

716 / 2
1966 X̄1



საქართველო

XI

KAVKASSIONI

Recueil littéraire

(en Géorgien)

საბჭოთა

1966

3094

*A L'OCCASION DU 800^e ANNIVERSAIRE
DE SA NAISSANCE*

HOMMAGE

à

CHOTHA ROUSTHAVELI

Poète Géorgien du XII^e siècle

et

auteur de l'immortel poème :

« LE CHEVALIER A LA PEAU DE LEOPARD »

მ ც ი რ ე მ ო ს ა კ ი თ ს ი

უ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ს

მსგავსი თქვენი რამცა მიძღვეს...

«კავკასიონი»

«კავკასიონი»-ს მისამართი:

Dr Victor Nosadzé

26, rue Lacretelle - Paris-XV^e





ნახტი სუნანა ღამბაშიძის ასულ თოხაძისა (პარიზი)

კ ლ ა ნ ე ტ ბ ა ზ ი ს ს ი მ ფ რ ე ნ ი ა

(შოთა რუსთაველის რვახი წლის აღსანიშნავად)

დაუზრატელი ცოდნის უჭურვილი
სიცოცხლის აზრის, უღუნის რაობის,
იყო მარადი ძველი სუბკვილი —
ყველა ეკოქის, ყველა თაობის.

იყო ძიება... ცდები უღევი
ამ ამოცანის გაგების, ნახვის,
სიცოცხლის მიჯან-დასახულოვის
და შემოქმედის უცნობი ზრახვის.

მის ძიებაში მრავალი მკარდი
ბაიკო ლახვრით, დაიჭრა დანიო.
ჩვენ ბავიციანიო მრავალი ლმერთი,
მათ საიღუმლოს ვერ გავციანიო.

ავარდა სულში მრავალ ძიებით
სვეტიბი ხანძრის და ბრიგალები,
მრავალ მცნებას დამსხვრა ფთებში,
მრავალ იღვას დასცვდა ბრძელები.

და მაინც, როგორც რვალს ანდამატი,
მათ იჭიღავდა სიმაღლე ცისა.
და სულში სჩქეფდა ცივი ნაქადი,
შღერა უმრავლეს ვარსკვლავებისა.

მათ წინ სამყაროს ბაიშალა უსაზღვრო ველი,
სადაც კლანეტებს მუფაშული მოესხათ თემა;
დასაბამი და დასასრული წუთისოფელის
ეფერა ცაზე ასომებით: ალფა. ომეგა.

და იჭიღავდა ამ წარწერის უცნობი ლანდი
ვარსკვლავთმერიცხველებს, ვით უღაზნოს მოგზაურს წყალი.
თუმც არ კჳონიოთ კოსმოსური სივრცის ხომალდი,
მაინც ბასჭვრითს მათ სამყარო ბონების თვალით.

შქვავამა დანტემ და კოცონზე დამფარვა ბრუნო
ნახოს სიშრავლე ვარსკვლავების, ვით ზღვაში ძვიშა.
კჳავერნიკუსის თეორია მუარნი, სარწმუნო,
კჳავერნიკა წესტად ბაიშეთვალა, იანბარნიშა.

ივრია უდეს, დაადგინეს მანძილი, სივრცე
და ყველა მნათობს საკუთარი ორბიტა მისცეს.
ესლა მათ სახელს უკვდავები: გვირგვინი მოსავს,
მაგრამ, ვინ მისწვდა რუსთაველის კოსმოსურ ყნოსვას?

მანაც სამყარო მოიარა გონების თვალით,
იხილა იგი მრავალ სახით. მრავალ ფერებით.
თქვა: — „ყველა აკრი შემქნილია ღვთის ძლიერებით —
რომლის წყარო უკვდავების უშრეტი ძალი“.

•
ოდეს ავთანდილს მოუშაბრთა სამზავრო მნარი,
ჯერ მზა მზამკო ცხრველმყოფელ ხობბათა რიბით,
შემდეგ მიმბართა სხვა მნათობებს: მუშთარს და მბარისს,
და რომ მნათობებს არ მოსვლოდათ კამათი დიდი —
არ დაივიწყა ასპირი და ოტბრიდი.


•
და როცა მთვარის შემდეგოდა ყვითელ მუზარადს,
ხელი მზახო ცის დესპანის მოტანილ ბარათს,
სადაც ეწებრა ბარდუშვლი ბრძანება ღვთისა:
— „ამიერიტბან მნიშნავ რუსთველს კომბად მჭისა
და მნათობთ ბუნდის სამუდამო პირველ ლობბარად“.

•
მოგვარეს კვიცი ალფრტიანი, სავსე მშვენიებით,
რომ ყველა მნათობს ჩაშროლოს ელვის მინებით,
რათა მათ ბულში არ აღიძრეს უშირი და მტრობა —
უნდა ისმოდეს უფლის ხობბის ჭლებრა ზარული.
და რომ სამყაროს არ დაეარღვის წონასწორობა,
შოთას ლეძები უნდა კჭუხდენ პლანეტარული.

ბარე სამყაროს მძვ მშვენივარ ზოგჯერ ოცნებით,
მიხილავს მჭკრივი რძის შარაზე ოქროს ურმების;
ბალოზდენ ირბველი მწვესები და სატურნები.
და როს დასრულდა უკვდავების არია მჭისა,
მოვიწდა ნახვა კვლავ ცთომილის დედამიწისა.

•
მოჩილი ზომით, მაგრამ უცხო, მჭირფასი თვალთ
ცურავდა მიწა ნისლის ზღვაში, ვით მცირე ბევი.
ბანათებული მშვენიერი მჭითა და მთვარით
ძირს დავინახე საქართველო — სამშობლო ჩემი.

•
ამევსო ბული ნებრებით, ვით ღვინით თასი;
მესმოდა მქლავრად მოგზაბუნე ხმა ორბელისა,
ბალოზდა ჰიფნოსს დიდებისა მნათობთა დასი,
მას ლობბარობდა ხელი შოთა რუსთაველისა.



ნახატი ნინო კეიშვილის ასულისა (ბუენოს აირეს)

ვიტორ ნოზაძე

შოთა რუსთაველს

ვინ ბრძანდები შენ?

— არ ვიცი!

ვინ არიან მშობელნი შენნი?

— არ ვიცი!

როდის იხილე მზე?

— არ ვიცი!

სად დაიბადე შენ?

— არ ვიცი!

როდის დაგიბნელდა მზე?

— არ ვიცი!

სად მიგაბარეს მიწას?

— არ ვიცი!

გამოხატული ხარ პალესტინის ჯვარის მონასტერის კედელზე?

— არ ვიცი!

დაწერე შენ ვეფხისტყაოსანი?

— არ ვიცი!

კეთილმა ქართველმა ბრძანა მეჩვიდმეტე საუკუნეში, რომ შენ ბრძანდები რუსთველი შოთა. დამწერი ვეფხისტყაოსანსა.

— ეს ვიცი!

ქართველმა მწიგნობარმა და უწიგნომ შენი ვეფხისტყაოსანი ისტორიის ჯოჯოხეთურ ქარცეცხლში გამოატარეს, თაობათა მანძილზე ატარეს; მათ შეინარჩუნეს და გვიანდერძეს იგი.

— ეს ვიცი!

ქართველმა ერმა მთელი თავისი სულითა და გულით შეგიყვარა შენ.

— ეს ვიცი!

და რატომ შეგიყვარა?

— ესეც ვიცი!

შენ ბრძანდები მფლობელი ქართული მხატვრული ენისა.

და ქართველი ერი ამით აწის მოჯადოებული!

შენ ბრძანდები დიდი მუსიკოსი ქართული სიტყვისა.

და ქართველი ერი შენი მუსიკით არის მონუსხული!

შენ ბრძანდები ღრმა მორწმუნე ღმერთისა.

და ქართველი ერი იყო მორწმუნე და სარწმუნოებას თავისი შეგნებითა და მკერდით იცავდა!

შენ ბრძანდები მღვივე მორწმუნე საიქიოსი.

და ქართველი ერი ამ რწმუნას შენთან ერთად იზიარებდა!

შენ ბრძანდები საიქიოშიც მარადი სიყვარულის ამლიარებელი.

და ქართველ ერს სიყვარული ასეთი ასე ვაგებოდა!

შენ ბრძანდები მღალადებელი კეთილობისა. მოციქული სიკეთისა.

და ქართველი ერი ოდითგან თავისი სულისა და გულის სისასით კეთილობისა და სიკეთის მომსახურე არის!

შენ ბრძანდები მახარობელი სიკეთის გამარჯვებისა.

და ქართველ ერს რწამს სიკეთის გამარჯვება!

შენ ბრძანდები გაუტეხელი, ფიცბი მებრძოლო ბოროტების წინააღმდეგ.

და ქართველი ერი თავისი სიციცხლისა და ცხოვრების გრძელ თავგადასავალში ბოროტებას სისხლის გაღებით ებრძოდა და ებრძვის დღეს!

შენ ბრძანდები ცნოვრებაში ბრძოლით მომქმედო.

და ქართველი ერი მარად ეძებს ამ ბრძოლაში არის ჩაბმული!

შენ ბრძანდები სამართლისა და სამართლიანობის მესაქე.

და ქართველი ერი ყოველთვის ამ საპართალსა და საპართალიანობას იცავდა და დღესაც მისთვის იბრძვის!

შენ ბრძანდები თანასწორუფლებიანობის დამცველი.

და ქართველი ერი ამ თანასწორუფლებიანობისათვის დღესაც განაგრძობს ბრძოლას.

შენ ბრძანდები მაქებარი თავდადებისა და თავგანწირვისა.

და ქართველი ერი მარად ამ გზაზე იღვა და დღესაც თავდადებისათვის მზად არის!

შენ ბრძანდები მოთაყვანე გმირობისა.

და ქართველ ერს სათაყვანებლად დაუსახავს იგი!

შენ ბრძანდები წინამძღოლი შენი გმირებისა სამშობლოს დამპყრობელთა წინააღმდეგ.

და ქართველი ერი დღესაც იბრძვის თავისი სამშობლოს დამპყრობელთა წინააღმდეგ!

შენ ბრძანდები სახელის მოხვეჭის მასწავლებელი, მკარნახებელი სახელმოხვეჭილობისა.

და ქართველ ერს ურჩენია თავისი სახელი ყოველსა მოსახეველსა!

შენ ბრძანდები საბარება სიყვარულისა.

და ქართველ ერს ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი უ ყ ვ ა რ ს !

შენ ბრძანდები მქადაგებელი სოციალური თანხმობისა.

და ქართველი ერის სანუკვარი დღესაც ეს არის!

შენ ბრძანდები მომღერალი მეგობრობისა.

და ქართველ ერს შეივისებული აქვს მეგობრობა!

შენ ბრძანდები მგალობელი ძმობისა და ძმადნაფიცობისა.

და ქართველ ერს იგი შესისხლბორცებული აქვს!

შენ ბრძანდები თანამგრძნობელი და შემებრალე, დამცველი სუსტისა!

და ქართველი ერი ამ თანაგრძნობისა და ზნეკელობის მიმდევარი არის!

შენ ბრძანდები მოძღვარი ხალხთა ძმობისა.

და ქართველი ერი მუდამ ეძებდა და დღესაც ეძებს ამ ხალხთა ძმობას!

შენ ბრძანდები მაძიებელი მოყვარისა შენივე დებულების თანახმად: «ვინც მოყვარეს არ ეძებს, იგი თავისი მტერია!»

და ქართველი ერი თავისი მტერის წინააღმდეგ დღესაც ეძებს იგი მოყვარეს!

შენ ბრძანდები მაიღებელი სიცოცხლისა.

და ქართველი ერი სიცოცხლეს ეტრფის!

შენ ბრძანდები მოტრფე კაცობის, ადამიანობისა!
და ქართველი ერი კაცობასა და ადამიანობას ემსახურება!

შენ ბრძანდები მაცნე და მებრძოლი კაცის ბედნიერებისა.

და ქართველი ერი ამ ბედნიერებისათვის იბრძვის!

შენ ბრძანდები ცხოვრების სინამდვილისა და მისი ნაკლის, მისი სუსტობის გამგები და მისი არ შემწყურებელი.

და ქართველი ერი ამ სინამდვილეს ვერსად ვაეჭევოდა!

შენ ბრძანდები კეთილშობილი, წესნიერი, უხვი და მომამაღლებელი.

და ქართველი ერი არის კეთილშობილი, წესნიერი, უხვი და მომამაღლებელი-მოწყაელი!

შენ ბრძანდები ქადაგი გონების და სიბრძნისა!
და ქართველი ერი ამ შენ სიბრძნეს ალიაბნის!

შენ ბრძანდები ქება-ხოტბის მოქმელი ამა წუთსოფელისა, წარმავალი წუთის ქვეყანისა, მოქადაგე სააქოსი!

და ქართველ ერს უყვარს ეს წუთისოფელი, მას უყვარს ეს სააქო!

შენ ბრძანდები ქების მოქმელი ღვინისა და გაბარებისა.

და ქართველი ერი არის მისი მეტრფე!

შენ ბრძანდები ბედის გადაწლახველი და მოქმედების დამამტკიცებელი.

და ქართველი ერი თავის ბრმა ბედს არც დღეს ემორჩილება!

შენ ბრძანდები ჭირსა შიგან გამმაგრებელი.

და ქართველი მგარად დგას ქვიტკირივით!

შენ ბრძანდები გამძლეობის, მოთმინების, მოთმენის მრჩეველი.

და ქართველი ერი ამ რწმენას შენთან ერთად ინაწილებს!

შენ ბრძანდები მებოტზე სილამაზისა და შეენაერებისა.

და ქართველ ერს სილამაზე და შეენიერება ხიბლავს!

შენ ბრძანდები ცაოთ, მნათობთა, უთვალავ, ნაირი ფერის შემამკობელი.

და ქართველი ერი მით არის აღტაცებული და გატაცებული!

შენ ბრძანდები ქებათა - ქების წარმომთქმელი წმიდა, უმანკო, კდემამოხილი, უმწიკვლო სიყვარულისა.

და ქართველ ერს ამ გვაზი სიყვარული გულში აქვს გამჯღღარი!

შენ ბრძანდები მფესალმუნე გამაქეთილებელა, ამანალღებელი, აღმაზევებელი ფაქიზი სიყვარულისა.

და ქართველი ერი ასეთი სიყვარულის პატივის მიმგები არის!

შენ ბრძანდები მეტრფე მოყვრობისა, მამაშვილური, მმური, დამფური, მეგობრული, ოჯახური ნაწი და უწაღო სიყვარულისა.

და ქართველი ერი მაზადის ამ გრძნობით არის შეპყრობილი!

შენ ბრძანდები მათაყვანებელი დედაკაცისა.

და ქართველი ერი დედაკაცს ეთაყვანება!

შენ ბრძანდები ქართველი ერის მთელი მსოფლ მხედველობისა და მსოფლქვერცის ამსაბელი და გამომხატველი.

და ეს შე ი ც ნ ო და შე ი გ ო ნ ა ქ ა რ თ ვ ე ლ მ ა ე რ მ ა !

შენ ბრძანდები ქართული ეროვნული მეობის ბორცვებსხა და განკაცება.

და ამას გრძნობს, ეს იცის ქართველმა ერმა!

ამ ი ტ ო მ ა ც უ ყ ვ ა რ ხ ა რ შე ე ნ ქ ა რ - თ ვ ე ლ ე რ ს !

ამ ი ტ ო მ ა ც უ ყ ვ ა რ ხ ა რ შე ე ნ მ ა ს ა ღ ტ ა ც ე ბ ი თ ა და ა ღ გ ზ ნ ე ბ ი თ !

სიყვარული,



პოეზია და ბალოვა, სილამაზე და შეენიერება, კითხილობა და მოწყალება, მებოტობა და ძროვა,

სამართლიანობა და მისთვის თავდადება, მისთვის თავგანწირვა, სამშოვლო სიყვარულა, თანასწორობა ხალხთა, — ყველაფერი ეს ბარდაუშვალნი, წარუშვალნი, მუდმივი.

ყველაფერი ეს საკაცობრივობა, სამართაშორისო!... — ამას უბალოვ შენ! და ქართველი ერი ასეთი წარმტაცი ბალოვით ტკავება!

შენი მომხილველი ბალოვითა და ბრძოლის მიხნებით შენ მასთან ერთად, სამართაშორისო ბანათლმბული საზოგადოების წრეში იმყოფები.

ქართველი ერი სიყვარულითა და სიხარულით ინაწილებს და თავიწად მიიჩნევს შენ მოქვრებას.

შენ ბრძანდები მისი უწენაესი მოქვარი!

და ქართველი ერი შენთან ერთად არის ამ საკაცობრივობ, სამართაშორისო ნაბრიონისათვის ბრძოლაში და მხარ და მხარ მიმყვება შენ! და შენთან ერთად დარწმუნებული არის, რომ ეს ნაბრება ერთ დღეს სინამდვილად ბარდაიქვება!

ამიტომ ბრძანდებით შენ და ქართველი ერი განუყოფელი, განუშორებალი!

თქვენ დ.ოცხლეთ ერთად მარად ჟამს იცოცხლეთ უაწითი უაწინისამდე!...

სანამ მზე მუდღეს და ეს მსოფლიო ცოცხლოვს!...

ვიკტორ ნოზაძე

პარიზი, 1966 წ.

გიორგი გამყრელიძე

ზოთას

ნობათად გიორგი ნოზაძის

დიად ქალთა სახეები გულში ისე მიზის,
თითქოს იუს ძვირფას ქვებით ავსებულნი თასი,
მასწავლებლად კვნიხს ისმის რამინის და ვისის,
მალრიბიდან მძიმე აზვრა ტრისტან-იზოლდასი.

მაგრამ, როგორ შევადარო იმთ შენნი ქალნი:
შეშლილინი მაღალ ენით, ბრძნული აფორიზმით?!
შენ ისინი გამოძერწე როგორც ნატურის თვალნი
და მზნავით გააშუქე ზელოვნების პრიზმით.

როგორ ვკადრო შენს თინათინს, შენს ნესტანს და ასმათს
შედარება იზოლდასთან, ვისისთან, ან სხვებთან?
შენ ფერწერას შემოავლე უკვდავების თასმა
და თასმებში მოაქციე მობოხოქრე ზღვებთ.

თუმცე დიდების შუქი გმოსავთ, დახატულნი გვიან:
ბეატრიჩეს ნაზო ლანდო, ოფელიის ჩრდილო!
მაგრამ არსად შევხვებდრე ივარ სურათს უფრო მზიანს —
ვიღრე შენსას, დილო შოთავ! შენ სრულყოფილ ტილოს!

აწ უკვდავო შემოიქმელო, ზელოვანო ზუსტო!
გთხოვ შენდო საწყალ მგოსანს შენს გმირებზე სწეროს.
აპატიე, თუ შირში მისი სიტყვა სუსტობს,
მიუტევე ქარავნიდან ჩამოწვეტილ წეროს.

ასმათს

ძღუნად ლიდა ნოზაძისას

ვით თავთუხის მწიფე ძნებით ავსებულნი კალო —
შენი გულიც სავსე იყო ოცნებებით მშვიდით.
კდემამოსილ სათნოებით შემკობილო ქალო,
ტკბილ წარბათით სავსე თასით სამსალასაც სკლიდო.

შენი გული მოიკონა კავშირის სირმით
ღელად გაჭრილ მიჯნურისთვის, როს გასწირე თავი,
მისთვის ზღვრჯერ შევიწვია მწვადი უვლის და ირმის,
დაგვიტრავს დაფრეწილი მისი ვეფხის ტყავი.

მელანდები: უღრან ტყეში დაცრეცილი კაბით...
ნარად გეგო ალბათ თივა და ლოდების ნავსი.
შენი ბინა საოცარი — დევთა ბნელი ქაბი,
შენი სული — მოციმციმე ვარსკვლავების მსგავსი.

ერთხელ ქვებთან თავს დაგებსა უცხო ვინმე მგზავრი...
შენ გეგონა მოძალადე, დახვდი მებრე მქისად,
როს მიუხვდი გულის ნადებს, ვადიყარე ჯავრი
და მიიღე ყრმა უცნობი, მსგავსად დიდილი ძმისა.

ებლა კინმა მოშაირემ, ვით მოგებატო ტილო:
რომლის სახე უკვდავებამ ოქროს ძალმით წერა!
ევრასდროს ვერ, დაგვიწყებს ასმათ! — დაწე ტკბილო! —
ერთგულლებას. თავდადებას, პოეზია, ვერა!

გიორგი გამყრელიძე

ამ საქმისა დავარჯულსა ბრძინი დინოსსა გააცხადებუს

პირველ სათქმელი

ენიც მიემთხულოდეთ. შენდობასა ჰყოფდეთ ჩუენთვის. ღმრთისათვის გვედრებნი. უფალნო ჩემნო. და თუ სადამე ტყუილი ნახოთ, წყევასა ნუ ჰყოფთ, უწყის უფალმან. ფრიადითა კრძალვითა და გულის მოღვინებითა აღესწერე...
(ძველი ხელთაწერიდან).

ზოგადი კუთვნილება ქვეშაირი ლიტერატურისა ... ვულწრფელობაა. უპროტო განზრახვა, სინდიცინაობა, პირობოფერებლობა...
ილია კავკაძე

ვეფხისტყაოსანის შაირში 1492 ნათქვამია:
ამ საქმესა დაფარულსა ბრძინი დინოსსა გააცხადებუს...
ენ არის ეს „ბრძინი დინოს“ და არსებობს თუ არა ასეთი სახელი „დინოს“ ან ზეპნულად. ან ქართულად? ამ სახელის ბერძნული გამოთქმა არის შემდეგი: დიონისიოს (დიონუსიოს), დიონისიოს, დიონუსოს (დიონუსოს), დიონისოს. 1).
ამას ვარდა არის კიდევ ამ გვარი გამოთქმაც: დიენისიოს, დიენისოს. 2).
ძველ ქართულ მწერლობაში ეს სახელი შემდეგი გამოთქმით არის ცნობილი: დიონვისი — „თხროზაა დიდისა დიონუსისათვის“. დიონოს, — თემურაზ პირველის ნაწარმოებში: დიონოს ბრძენმან მოგვიტარა ანგელოზთ განწყობილობა,
იგ ცხრა დას-დასი გუნდობა, უკანა ანუ წინაობა... 3). დიონოს და სოკრატ, პლატონ ნახონ... (იქვე, გვ. 75).
ბრძენთა მოვასხამ საქმებრად დიონოსითურთ კრებულად... (იქვე, გვერდი 115).
ვახტანგ მეფის მიერ დაბეჭდილ ვეფხისტყაოსანში არის სახელი „დიონოსი“, ხოლო მის განმარტებაში არის „დიონოსე არიოპაგელი“.
ნოღარ ციციშვილის მიერ გადმოქართულებულ პოემაში „შვიდნი მთიები“, ნათქვამია: დიონოსისებრ ღმობილინი, ბრძენნი მისგანე ბრძობილინი (შაირი 1342). 4)
იოანე ბატონიშვილს ასე აქვს ნათქვამი: „დიონისიოს იტყვის“... 5).
ხოლო უფრო ძველად, მეოთხრეკე საუკუნეშივე, ჩახრუხაძე თავის „თამარია“-ში ამბობს:

დიონოსისგან ვით ენოსისგან... (1,2).
შენთვის ხმა არისტოტელი, დიონოს წიგნთა შესმანი (3,17). 6).
ალბათ სხვისაც აქვს ეს სახელი ხმარებული.

იყენენ ცნობილი ამ სახელის მქონენი? დიონოსის თუ დიონისიოს სახელის მატარებელი შუა საუკუნეთა გასწრე ითხმეცხე მეტი მამაკაცი იყო! 7).
ზედმეტად მიმაჩნია ამ ოთხმოცი კაცის ვაცნობა. რადგან აქ საქმე უნდა გვეჩვენოს მხოლოდ დიონისიოს არეოპაგიტას = არეოპაგელთან. რომელს მკითხველი ვეფხისტყაოსანში ეცნობა სახელით „დინოსი“.

წმიდანთა სიაში დიონისიოს არეოპაგიტას მოხსენებულთა ანუ: „მოწაფე პავლესი [მოციქულისა], ათინის ეპისკოპოსი; ვით წამებულს. ხელში აქვს მოკვეთილი თავი. დღეობა სამ ოქტომბერს. ხშირად მას თვლიან შევდომით იმ დიონისიოსად, რომელიც იყო პარიზის ეპისკოპოსი, პატარანი საღვარდეთისა. რომლის დღეობა არის 9 ოქტომბერს“. 8).

რასაკვირველია ეს ამბავი ვაუტყვებობაზე იყო აგებული. თეოლოგისა და ფილოსოფოსი დიონისე არ ყოფილა პაველ მოციქულის მოწაფე. მას არ უცხოვია პირველ საუკუნეში და არც არაფერი დაუწერია.
ეს ვაუტყვებობა მით იყო გამოწვეული, რომ დიონისიოსის სახელით ცნობილი რწმენები ავტორის გამოუმჯდავნებლობისა გამო, სწორეთ ამ მოციქული პავლეს მოწაფეს მიაწერეს, რომლის შესახებ ახალ აღთქმაში არის საუბარი:

საქმე მოციქულთა 17,34 და ესრეთა მოვიდა პავლე შრომის მათსა, ხოლო რომელნიმე კაცნი მოჰსდევდეს მას და ჰრწმენა, რომელთა თანა იყო დიონისოსს არეობაველი და დედაკაცი სახელით დამარის და სხენი მათ თანა...

აი, ამ დიონისეს თვლიდნენ მესუთემ-მეექვსე საუკუნეში გამოცემულ თეოლოგურ წიგნთა ავტორად, ხოლო როდესაც ეს წიგნები ლათინურად ვადთარგმნეს, მისი ავტორი — დიონისოსს არეობავი — პარიზის ეპისკოპოსის დიონისოსად (დენი) გამოაცხადეს.

და ასე დიდ ხანს ითვლებოდა ეს ავტორობა. სანამ ორივეში ეკვი არ შეიტანეს; და როცა ეს ეკვი გამომდევნიდა, მაშინ ამ სახელს დაუთრეს ზედმეტ სახელად კიდევ: „ფსევდო“, რაც „ცრუ“ ნიშნავს და ასე წარმოვსდევს საავტორო სახელი ფსევდო-დიონისოსს არეობავიტს, ანუ ცრუ დიონისე არეობაველი!

მეტროპოლიტე საუკუნის მიწურულში უკვე საბოლოოდ გამოარკვეის, რომ „დიონისოსის არეობაველი“ ყოფილა ფსევდონიმი ანუ ცრუ სახელი იმ ფილოსოფოსისა, რომელიც მესუთე საუკუნ. დასასრულს და მე-6-ის დამდეგს ცხოვრობდა — ქრისტეანი თეოლოგოსი, მასთან ნეოპლატონიანი ქრისტეანი, მაგრამ მის ვინაობას მკვლევარებმა მაინც ვერ მიაგნეს, თუმცა გენათა, იგი სირიელი შეიძლება ყოფილიყო. 9). ლონდ პროფ. ემლ ბუიერ ამტკიცებს: სერჯოს რიზანელიმ ნეფთე საუკუნის დასასრულს ბერძნულიდან სირიულ ენაზე გადათარგმნა დიონისოსის თხზულებანი. 10).

ენობლი მკვლევარი დიონისოსის საქმეთა პროფეს. პილდერ ამტკიცებდა: დიონისოსის თხზულებანი გადათარგმნეს სირიულ ენაზე- მეექვსე-მეშვიდე საუკუნეში და მისი თარგმანი არაბულ, სომხურ ენაზეც უნდა ყოფილიყო. 11).

ლათინურად დიონისოსს არეობავიტს შრომანი გადათარგმნა პილდენუსმა-მა, მეცხრე საუკუნის დამდეგს, მაგრამ კოსტომანი ცული აღორძინდა და მეფეს კარლოს დერ კაპეტანმა (823 — 877 წწ.) ეს საქმე ცნობილ შოტლანდელ ბერ-ფილოსოფოსს, იოჰანესს სკოტს ერუგენუსს დაეავალა, რაც მან პირნათლად შეაწარულა.

დიონისოსს არეობავიტამ დიდი გავლენა მოახდინა არა მარტო მთარგმნელ სკოტს ერუგენუსზე და საერთოდ შუა საუკუნეთა მისტიკოსებზე, არამედ სხობასტიკაზე. თითო დიდ თეოლოგოსს და ფილოსოფოსს თომას აკინუსს და მის მიმდევრებზე. 12).

ამ გავლენით აიხსნება ის მოვლენა, რომ დიონისოსის თხზულებანი შემდეგაც არა ერთჯერ ვადთარგმნეს ლათინურად — მეთორმეტე საუკუნეში (იოჰანესს სარაკენუსს); მე-13ში (თომას ვიცელუსს); მე-15ში (ამბროსიუს ტრავესარ და მარკილიუს ფიცინუსს); მე-16ში (ფაბერ დესტაპლეს, კლასიერუს, პირონიუსს); მე-17ში (ლან-

ცელუსს და კორდერიუსს); ხოლო ამ თხზულებათა განმარტების რიცხვი ხომ დიდია. მეცხრამეტე საუკუნეში ისინი ითარგმნენ ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ ენაზე და დაიბეჭდნენ მრავალჯერ.

გასაკვირველი არაა, რომ ასეთი დიდი მოაზროვნე, როგორც იყო დიონისოსის არეობავიტა, ქართულად ადრევე ვადთარგმნათ. ქართულ თარგმანი დიონისოსს არეობავიტს = არეობაველია უკვე მეათე საუკუნეში არსებობს, როგორც ამას აღნიშნავს აკად. პროფ. კორ. კეკელიძე თავის წერილში: „უცხო ავტორები ძველს ქართულ მწერლობაში“. 13).

ვადთარგმნელი ყოფილა წიგნები: 1. საღმრთოთა სახელთათვის, 2. ზეცათა მღვდელმთავრობისათვის, 3. საეკლესიოსა მღვდელმთავრობისათვის, 4. საიდუმლოდ ღმრთისმეტყველებისათვის, 5. ეპისტოლეანი. ის თხზულებანი ვადთარგმნია ევგრემ მცირეს. დასაწყისში მათ დართული აქვს: „წინაბეჭ სიტყვისა, თხრობაჲ დიდისა დიონისოსისათვის და წიგნთა მათთვის მის მიერ აღწერილთა“.

ძველ მწერლობაში დიონისოსს არეობავიტს შესაბამისად არა ერთი და რამე ცნობაა: „ნისი პოეზიკონისა და სახე-ნისი ვარეუმო წიგნისხუდა ბუერი ლევენდა, რომელთაც ქართულ მწერლობაშიაც უპოვნიათ ადგილი. 880 წელს ვილაც იოანე აქიმს ის ქართულიდან სომხურად უთარგმნა“-ო — ამბობს პროფ. კორ. კეკელიძე. 14).

ჩვენ გვცხადს კიდევ ძველად. მეათე საუკუნემდე, ნათარგმნი „ცხოვრება დიონისოსისი ეპისკოპოსისაჲ რომელი იყო მც სოკრატისი და მთავარი ათენელთაჲ, რომელსა ეწოდა ქალაქი ბრძენთაჲ: „გვიფხობდა თავისა თვისისათვის ნეტარი დიონისოსს“... 15).

ამას გარდა, ზოგი ნაწარმოები დიონისოსისა მოთავსებულია კრებულში „მარგალიტი“. „მარგალიტი“ ეწოდა ამპროტეზის საეპიტომა კრებულს, ანუ „სწავლანი სულიერნი“; ამ კრებულში არის მოთავსებული დიონისოსის „სიტყვა დაბადებისა“, „ადამიანისათვის და სამოთხისა შევენებისა და ანგელოზთა დაბადებისათვის“. 16).

ვეფხისტყაოსანის პირველი დამბეჭდავი (1712 წ.) და განმარტებელი ვახტანგ მეექვსე (1675 — 1737 წწ.) თავის განმარტებაში ლექსისა: „ამ საქმისა მემოწმების დიონოსი ბრძენი ეზრისა“, გვეუბნება —

„დივანოსე არიობაველი დიდი ფილოსოფოსი იყო კერპთა და პავლესთან მოიქცა და ებისკოპოზთა აკურთხა“-ო. „დივანოს“ = „დივანოსი“ აქ არის დიონისოსს არეობავიტს = დიონისე არეობაველი. 17).

არ ვიცი, როგორ არის განმარტებული სახელი „დივანოს“ მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე გამოცემული ვეფ-

ხისტყოანის ლექსიკონებში, რადგან არც ერთი მანონ-
დელი გამოცემა ჩემ ხელთ არ არის.

იუსტინე აბულაძემ 1909 წელს დიონისიოს — დიონო-
სი ასე გადაცნო:

„დიონოსი — დიონოსი არეოპაგეტი (არეოპაგელი); მი-
სტიკურა მიმართულების დიონისმეტველი (1 საუკ. ქ. შ.),
რომელიც დიდი მოწონებული იყო ქრისტიან ნეოპლატონიკთა შორის“ო. 18).

აქ არის შეცდომა და ეს უნდა აღინიშნოს:

1. ამ დროს (1909 წ.) უკვე კარვად ცნობილი იყო ევ-
როპაში, რომ დიონისე არეოპაგელი პირველი საუკუნის
მოღვაწე, ფილოსოფოსი და თეოლოგოსი არ ყოფილა;
2). პირველ საუკუნეში ჯერ არ არსებობდა ნეოპლატონ-
ურ ფილოსოფიური მიმართულება და, რასაკვირველია,
არ იყვნენ არც ქრისტიანი ნეოპლატონიანნი.

ნეოპლატონიზმის სწავლის განვითარება ეკუთვნის მე-
სამე საუკუნის შუადან მეექვსე საუკუნის შუამდე — რა-
საკვირველია, ქრისტეს შემდეგ.

ეს ცრუ განმარტება იუსტინე აბულაძემ სიტყვა-სიტ-
ყეით განიმეორა 1914 წელს მის მიერ დაბეჭდილი ევფ-
ხისტყოანის ლექსიკონში.

1937 წლის საიუბილეო ევფხისტყოანის გამოცემის
ლექსიკონში პროფ. იუსტინე აბულაძეს ცოტა შესხვა-
ფერვებულად აქვს ნათქვამი: —

დიონოსი 177,1 ან დიონოს 1492.1 ფილოსოფოსი ნეო-
პლატონიკოსი დიონისი არეოპაგელი. დიენოს — არის ლექ-
სისთვის შეცვლილი დიონოსი, ეზრას 177.1 თითქოს ვი-
დას ბაძენის სახელი უნდა იყოს ლო.

იგივე ახსნა განმეორებულია 1951 წელს გამოცემულ
ევფხისტყოანის ლექსიკონში.

სარგის კაცაბაძემ 1926 წელს, მისი რედაქტორობით
გამოცემულ გეტს ლექსიკონში გამოგვიცხადა: —

„დიონოსი (დიენოსი) — დიონისი არეოპაგეტი (1 სა-
უკ. ქ. შ.).

გასაკვირველი ის არის, რომ 1909 წელს კიდევ არ იყო-
დნენ საქართველოში, რომ დიონისიოს არეოპაგეტას არ
იყო მოციქული პაულეს მოწაფე და მას არავითარი წიგ-
ნები არ დაუწერია, თუმცა... თუმცა რა? უნდა ცოდნო-
დათ უკვე? თუ გინდ 1926 წელს? რა უწურო იყო მა-
შინდელი კვლევა-ძიება! დიონისე არეოპაგელის საკითხი
ზომ საბოლოოდ გამოიკვია 1895 წელს!

როგორც გეტის მკითხველისათვის ცნობილია, „დიენოს“
არის დასახელებული შიარში 1492: —

ამ საქმესა დიდარულსა ბრძენი დიენოს ვაეცხადებს;
დმერთი კარგსა მოავლინებს და ზაორკოს ან დაბადებს,
აესა წამერთ შეამოყლებს, კარგსა ხან-გრძლიად ვაეკ-
ვლადებს,
თავსა მისსა უეეთესსა უხადო ჰყოფს, არ ახადებს.

„ბრძენი დიენოს“! „დიენოს“ — ეს სახელი, როგორც
ენახეთ, სწორები ასეთი გამოთქმით არც ბერძნულად არც
ქართულ ენაში არა გვეხდება. როგორც მთავარმთავარის
მხოლოდ მიხაილობული, მიმდგამებულს სახეხისსიტყ-
ნისოს“, „დიენოსი“, ბერძნულად, და ქართულად: „დი-
ონისი“. შეუძლებელი არ არის, ასეთი გამოთქმაც: „დი-
ენოს“ არსებულებიყო. მაგრამ ჯერ მას არ ვიცნობთ.

ამის მიუხედავად, მინც აშკარაა, რომ ევფხისტყოანს-
ანის „დიენოს“ . „ბრძენი დიონოს“ არის დიონისიოსი.
არეოპაგეტას, ქართული თქმით: დიონისე არეოპაგელი.

რა არის საამის საბუთი?

საამის საბუთი ეს ვახლავს, რომ ყველა ის აზრი, რო-
მელიც გამოთქმულია შიარში 1492 და კიდევ სხვა შიართა
დებულებები დიონისე არეოპაგეტას, დიონისე არეოპა-
გელს ეკუთვნის, როგორც ეს დაწერილებით განვიხილე
ჩემ წიგნში „ევფხისტყოანის დმრთისმეტველება“ (პა-
რაზი, 1963 წ.).

ამ ნარკვევში დაეადგინე შემდეგი: —

1. ევფხისტყოანში დასახელებული „დიენოსი“ არის
დიონისიოსი არეოპაგელი, ქრისტიანი თეოლოგოსი და ფი-
ლოსოფოსი, რომლის დებულებანი გამოთქმულნი არიან
შიარში 1492; მაგრამ ამას გარდა, არეოპაგეტული დე-
ბულება წარმოთქმული აქვს თინათის (შიარში 113); ნა-
თქვამი აქვს აფანადილს (შიარში 1090, 1361); უთქვამის
ფატმანს (შიარში 435) და იმეოზებუნ ამ დებულებებს აგ-
რეთვე არაბნი (შიარში 1509). 19). ამაზე უკეთესი საბუ-
თი, სხვა საჭიროც კი აღარ არის.

ააიენ არ დავობს იმის გამო, რომ დიონისე არეოპაგე-
ლი ანუ ევფხისტყოანის „დიენოსი“ არის ქრისტიანი
ფილოსოფოსი და თეოლოგოსი ნეოპლატონური იერისა.
დიონისე არეოპაგელის პირველ მკვლევართა პროფესორ
შტიგლზმარის და პ. კობის დამტკიცებით, ნეოპლატონ-
ურა გავლენა მასზე უეველი არისო. 20).

პროფ. ერდმანმა ამონაწერებით დამტკიცა, რომ დი-
ონისე არეოპაგელს ფილოსოფოს პარკლოსს პირდა-
პირი გავლენა ჰქონდაო. (იქვე, გვ. 189).

ამვე საკითხის გამო 1917 წ. პროფ. მუელლერმა თავის
წიგნში: „დიონისიოს, პროკლოს, პლოტინოს“ მო-
გვახსენა: —

„ეკრძოდ, ბოროტის არსების შესახებ („დე მლორომ
სუბსტანცია“) დიონისიოს არეოპაგეტა პროკლოსის
სწავლავს არის დამოკიდებული, რაც დამტკიცეს ერსოს
და იმვე დროს, ერთი მეორის უცნობად, კობმა და
შტიგლზმარმა (1895 წ.). ოლინდ თავის მხრივ, პრო-
კლოს პლოტინოსზე არისო: დამოკიდებულიო.

„პროკლოსს არც ერთი ისეთი აზრი არა აქვს გამო-
თქმული, რომელიც პლოტინოსს არა ჰქონდესო. პროკ-
ლოს და პლოტინოს ააიან დიონისიოსისათვის [დიენო-



სისათვის] სარწმუნო კაცები და მათი სწავლის მეოხებით მან თავისი ფილოსოფიური ცოდნა შეიმუშავა“ — და ასკენის პროფ. . მუელერ. 21).

ქრისტიანულ თეოლოგიაში ნეოპლატონიზმმა ძირი ვაიღდა დიონისე არეოპაგელის მეოხებით. ვინაიდან ძველად სწორი იყო ის ამბავი, რომ მუყურწინი თავის ნაწარმოებში რომელიმე დიდ პირავენებას მიაწერდნენ ხალხში, რათა მტერი გაეღწა მებრძოლებთან ერთად, ხოლო თავისი თავი კი დავმალით, ამგვარათვე დიონისე არეოპაგელის ნაწერები მიეწერა პავლე მოციქულის მოწაფეს და თვით ნამდვილი ავტორი დღემდე უცნობი დაზა და მისი ვინაობა საკამათო არის.

დიონისე ასხენეს პირველად კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრილობაზე 523 წელს. ორივე მებრძოლი მხარე (მონოფისიტებისა და დიოფისიტებისა) მის თხოვნებზე ვეყარებოდა; შემდეგ მას ასხენეს ოთხე ესკიტობოლიტას, რომელმაც პირველი განმარტება დაწერა დიონისეს სწავლის შესახებ, მაგრამ დიონისეს მოძღვრებას ვსა ვაღსანა ქრისტიანობაში მაქსიმე აღმასრებელში, მე-შვიდე საუკუნეიდან. ამგვარად, დამუშავდა ქრისტიანული ფილოსოფია და თეოლოგია ნეოპლატონურ ნიადაგზე. 22).

ბესარიონ (ობელიშვილა) დაამუშავა ახალი რედაქცია ტიპიკონისა. მასვე ეკუთვნის საღვთისწავლო, მე-ჩვიდმეტე საუკუნეში, დავით გარეჯის მონასტრში... ბესარიონის მიერ შედგენილ საღვთისწავლოში გეხედება სახელები წმიდანთა: აბო, ნინო, ილარიონ, პეტრე ქართველი, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელი და სხვ. კათოლიკოს დომენტის მიერ შედგენილ საღვთისწავლოში პეტრე ქართველი მოხსენებულია სამი დეკემბრის თარიღით.

დომენტი კათოლიკოსი იყო მეფე ვახტანგ მეექვსის ძმა. იგი იყო კათოლიკოსად 1705 წლიდან 1724 წლამდე. ეფთვემე ბარათაშვილის მიერ გადაწერილი (1705 — 1715 წ.წ.) და შედგენილ საღვთისწავლო ნუსხაში დასახელებული არის პეტრე ქართველის დღესასწაული ორი დეკემბრის თარიღით. (იხილეთ: მ. კეთიური — დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა. თბილისი, 1965 წელს, ვკერე 103, 107).

და ეს ხდება იმ ხანაში, როდესაც აღმშენებულია დავა და პეტრობა რელიგიურ სხვა მიმართულებათა წინააღმდეგ; როდესაც თვითონ ბესარიონმა (ობელიშვილა) დასწერა წიგნი ღვადმლო (1712 — 1714), საპაქრო წიგნი რომელი კათოლიკობის წინააღმდეგ მიმართული. მისი დასახებება შეიძლება მეც გამოვიყენო და მიუყვებო ახლანდელ მეცნიერთა ზოგ დებულებას, ცხადია, მცდარ დებულებას რუსთველოლოგიურ საკითხში. —

გვარა აწინდელმან ამან და ახალთა ამოიფილოსოფოსთა, რომელი ენა მკვერობენ და მზა არიან მრავლად მტყუყულებად და თვით თავით — თვსთვამეფეფეფემ გამოაკვლევლთა და გამოიძიებენ ვამუშეფეფეფელთა და გამოთქმად მეცადინებენ გამოთქმელთა... არა ისმენენ საღმრთოთა წერილთა, არც ბრძანებათა სამეფოთა გულისკმა ჰყოფენ, არამედ ახალთა და ახალთა ძიებათა შეზოღებენ და კულად უახლესთა მიმართ მზა არიან... მას ქადაგებენ და მას ასწავებენ... ვინებანსა მარტვიეთა და წრფელთასა და შეიტყუებენ უმანკოთა და უსწავლელთა... — ბრძანებს იგი. (იქვე, ვკ. 111).

თუ ფსევდო — დიონისიოს არეპაგატა არის გენეალური ხაზიდან? ვადასული და მონოფისისტი, ან პანთისტი, არა მართლ-მადიდებელი ქრისტიანი, როგორ-ღა მოხდა, რომ ეს დიონისე არეოპაგელი, ანუ აკად. შ. ნუქუბიძის მტკიცებით: პეტრე იბერიელი, არა ერთგურ მოხსენებული არის ქართულ საღვთისწავლოში?!

ზოგმა ჩვენმა თანამედროვე მკვლევარმა გამოთქვა ის აზრი, თითქო დიონისე არეოპაგელი პანთისტი ყოფილიყო და რადგან ვეფხისტყაოსანში „დიონის“ = „დიონის“ — ფილოსოფიურ — თეოლოგიურნი შეხედულებანი არიან გამოთქმულნი და აღიარებულნი, ამიტომ შოთა რუსთაველი პანთისტად გამოაცხადეს, კიდევ მეტი: მატრილიტიკურ პანთისტად. ასეთი არის აკად. პროფ. შ. ნუქუბიძის შეხედულება. რასაკვირველია, ეს სიმართლეს არ შეეფერება, რადგან დიონისე არეოპაგელი პანთისტი არ ყოფილა და არც მონოფისისტი, როგორც ვარკვეულად არის დღეს ცნობილი ევროპიელ მეცნიერთა შორის (თუ არ ჩავთვლით ზოეს, სენსაციის მოყვარულს!). 23).

მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ მართალი არის აკად. პროფ. შალვა ნუქუბიძის შეხედულება დიონისეს პანთისტობის შესახებ. ვთქვამთ ასეა დღეს! მაგრამ ხომ არ შეიძლება დიონისე არეოპაგელის დღესივე განხილეთ ეს დიონისე გამოაცხადოთ პანთისტად შუა საუკუნეთა მოაზროვნეთაგის?! და მაშინდელ შეხედულებას დიონისე არეოპაგელის სწავლამზე თავს მოვახილეთ დღევანდელი შეხედულება?! შეუწყნარებელია ამგვარათვე ვეფხისტყაოსანის ახლანდელი თვალსაზრისით განხილვა!

დიონისე არეოპაგელს უნდა ეცნობოდეთ და ეცნობოდეთ ისე, როგორც მას ეცნობდნენ და სცნობდნენ შუა საუკუნეთა მანძილზე, აღიარებდნენ მას ქრისტიანულად. დიდ ფილოსოფოსად და თეოლოგოსად: იყო ორთოდოქსი და ლუთოფისისტი. — როგორც ამბობს პროფ. სკერე. (იქვე, ვკ. 23).

თუ აკად. პროფ. შალვა ნუქუბიძის სჯერა, რომ დიონისე არეოპაგელი (პეტრე იბერიელი — მისივე მტკიცე-

ბით) არის პანთეისტიკი, — ამით მას სრულებით არ ეძლევა უფლება ეს პანთეისტიკა ვეფხისტყაოსანსაც თავზე მოახვიოს, რადგან ვეფხისტყაოსანის ხანაში არავის აზრად არ მოსულია დიონისე არეოპაგელი პანთეისტიკად დაესახა, არც აღმოსავლეთსა და არც დასავლეთის ქრისტიანობაში. ეს დიონისე არეოპაგელი მახსენებელი ჰყავს დიდებულ იტალიელს მანტუას თავის „დივინა კომედია“-ში. დანტეს ხანაში, მე-13—14 საუკუნეში დიონისეს ძალიან კარგად იცნობდნენ განათლებული წრეებში.

დიონისის მოთავსებულები აწის დანტეს მიერ დიდ თეოლოგოსთა წრეში, ბაძენ სულთა შორის (სასპირიტი საპირიტა) მზის მნათობზე და მის შესახებ ლაპარაკობს დიდი თეოლოგი-ფილოსოფოსი, რომელი თომას აკვინელის (სტ. თომას აკვინას) «ზეცუათა მღვდელთ-მთავრობისათვის». ციურ იერარქიასთან დაკავშირებით (შპარადილა» «სამოთხე», 10, 115, 7წ 28, 130-5), 24).

ევროპელი მეცნიერები (ვამბო: მეცნიერები და არა ფანტაზორები) არამც თუ მსოფლმხედველობის საკითხისა გამო, არამედ თვით ტექსტის გამოც კი დიდ სიფრთხილს იჩენენ და საკითხის გასარჩევად ახალ ტექსტს კი არ მიმართავენ, არამედ იმ ნაწიერს, რომელიც იმ ხანაში იყო ცნობილი, როდესაც განსახილველი საკითხი იყო წამოჭრილი. აი, ბრწყინვალე მაგალითი ამისა: —

3. ზუსლი. როდესაც არისტოტელესს „ეთიკ“-ის მეათე წიგნის ერთ ადგილს არჩევს, განმარტავს: ეს წინადადება ორგვარად შეიძლება ციაგნიო და ამიტომ დასძენს (ამას მიაქვით ყურადღება ბანი ქართული მკითხველი) — „რასაკვირველია, მომაქვს აქ ის ტექსტი ე თ ი კ ი ს ა „რომელსაც იცნობდნენ სხოლასტიკოსები, ესე იგი, მომაქვს თარგმანი ჰერმან ლ. ალემანდ-ისაო“ 25).

აი, ამას ეწოდება მეცნიერული კვლევა-ძიება! ასეთი შორიდებას იჩენენ ქრისტიანი მეცნიერები ხელნაწერთა და თარგმანთა მიმართ და ლაპარაკი არა დიან იმაზე, რომ დღევანდელი გავებით და დღესიყო თვალსაზრისით ძველ თხზულებას არაინი განიხილავს.

შუა საუკუნეთა განმავლობაში დიონისე არეოპაგელი ითვლებოდა ნეოპლატონურ, მაგრამ ოთოდოქს ქრისტიანად. იგი იყო წმიდანი და მოქცეადებული და მას ითავყენებოდნენ. ეს დიონისე არეოპაგელი არის ვეფხისტყაოსანის „დიონისი“ და მთელი ამისა აზრებენბა არის, რასაკვირველია, ქრისტიანული ფილოსოფიისა, რაც ვეფხისტყაოსანის მსოფლმხედველობას ასახროებს.

უქანსკენლად, 1952 წელს ბელგიელმა აკადემიკოსმა ე. ონიგმანმა დაბეჭდა გამოკვლევა, რომლითაც ამტკიცებდა, დიონისე არეოპაგელი იყოა მოთმის ეპისკოპოსი (ქალაქ ვაზა-სთან), პეტრე იბერიელი, ანუ ქართველი. იგი ცხოვრობდა 411 — 491 წ.წ. ამ დებულებამ ევროპელ თეოლოგოსთა და კერძოდ, პატროლოგიურ მცოდნეთა

შორის კამათი გამოიწვია და მათ მეტი გარკვეულობა დასაბუთება მოითხოვეს. მაგალითად, ფრანგი პროფ. ფ. კერე ამ ნიდავზე დადა, ხოლო მეტმა სხვამ სრულყოფილად აღიარა ჰუო ბელგიელი აკადემიკოსის მოსაზრებები (ქვეყნული 192).

მაგრამ ასეთი დებულება, ვაკლებით უფრო ადრე, 1942 წელს, აკად. პროფ. შალ. ნუცუბიძემ წარმოადგინა. 26). აკად. პროფ. შ. ნუცუბიძის მტკიცებამ, რომ დიონისე არეოპაგელი არისო პეტრე იბერიელი, თავის დროზე საქართველოში და უცხოეთშიც კამათი გამოიწვია, მაგრამ მას აღმოუჩნდნენ მხარის დამკვირვებ, როგორც მაგალით, ჩვენში, ახლავაზრდა მეცნიერი სასმონ ენუქაშვილი, გამოცემული დიონისე არეოპაგელის შრომებისა. ერთ წიგნად და სათაურით:

„პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი) შრომაები. ფერმე მცირის თარგმანი. გამოსცა, გამოკვლევა და რექტიკონი დაურთო სასმონ ენუქაშვილმა. თბილისი, 1961 წ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სასმონ ენუქაშვილმა დიდი მუშაობა გასწია და დიდი საქმე გააკეთა ამ შრომათა გამოცემით და განხილვით. მან ამ გამოკვლას წარუძღვარა დიდი ნარკვევი, რომლითაც იგი დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერიელის იგივეობას ამტკიცებდა. ახალი საბუთების მოტანადაც ამ წიგნის შესახებ ანგარიში მოვათავსე ფრანგულად და მას აქ აღარ დავუმორგე?

ვტყუი მხოლოდ შემდეგს: აკად. შალვა ნუცუბიძისა და აკად. ჰონიგმანის-თერია იმის შესახებ, რომ დიონისე არეოპაგელი არისო პეტრე იბერიელი, შეიძლება სწორი იყოს, მაგრამ ეს მოსაზრება უეკველობით არ არის დამტკიცებული და მეცნიერთაგან ჯერ აღიარებული. თვით ქართველმა აკადემიკოსმა, პროფ. კორნელი კეკელიძემ უარპყა ეს თეორია; ევროპაშიც ხომ არა ერთმა და ორმა ცნობილმა მეცნიერმა! ამისათვის ანგარიში უნდა გაეწეოს და დიონისე არეოპაგელის შრომათა გამოკვლისას უმჯობესი იყო ავტორად ტრადიციული ხელნაწერის სახელი დიონისე არეოპაგელი დაეტკიცებინათ. ამ შეზღვევით თავშეკლება და მორიდება უფრო განსაკვირვებელი იქნებოდა. ვიდრე ძალად თავზე მოხვევა. ეს, რასაკვირველია იმას არ ნიშნავს, რომ გამოცემულს თავისი შეხედულება პეტრე იბერიელ- დიონისეზე არ ეთქვა და იქვე არ დაეაბუთებინა!

აკად. პროფ. ნიკო მარაი ფიქრობდა, „დიონისი ბრძენი ეზროს“-თან დაკავშირებით, „დიონისი“ არისო „დიონისე არეოპაგელი“-ო. ანუ მისი რუსული თქმით „დიონისია არეოპაგისტკიკაა. 26).

რა კავშირი შეიძლება იყოს ვეფხისტყაოსანის 1492 შპარის „დიონისი“ და 177 შპარის „დიონისი“-ს შორის?

თუ „ბრძენი დიონისი“-ის ქრისტიანული თეოლოგიურ -

ფილოსოფიურნი დებულებანი ვეფხისტყაოსანში ადვილად მოსაძებნი და მისაგნებნი არიან და მის მსოფლმხედველობას საფუძვლად ედებთან. — 177 შიორი „დიონოსი“-ს მიერ თითქოს ნათქვამი ფსიქოლოგიურ დებულება „დიონოსის ანუ „დიონისე არეოპაგელი“-ს თხუზულე-

ბებში არსად მოიპოვება და ამგვარად: „დიონოსი“ 177 შიორისა არ არის „დიონოსი“ 1492 შიორისა, ესე იგი „დიონოსი“ არ არის დიონისე არეოპაგელიმ დაწერილი. შიორი, 1922 წ. სექტემბერი.

- 1) C. Alexandre — Dictionnaire Grec-Français. Paris, 1888, pp. 34-35.
- 2) C. Alexandre — Dictionnaire Français-Grec. Paris, 1905, p. 1003.
- 3). თიუმურაზ პირველი — თხუზულებათა სრული კრებული... ალ. ბარამიძის და ვ. ჯაკობიას რედაქციით. თბილისი, 1934 წ. „შამი-ფარვანიანი“, გვ. 15.
- 4). ნოღაძე ცოკოშვილი — წიგნი შთიები. თბლ. 1930.
- 5). იოანე ბატონიშვილი — კალმასობა. თბლ. 1862. გვ. 156, 158.
- 6). თამარია ჩახრუბაძისა, ს. კაკაბაძის რედაქციით. თბლ. 1937. გვ. 15.
- პროფ. კორ. კეკელიძე — ძველი ქართული მწერლობა. თბლ. 1923. გვ. 272. „თბილისის უნივერსიტეტის მოამბე“. თბლ. 1928. წიგნი მე-8. გვ. 130.
- 7) Ulisse Chevalier — Répertoire des sources historiques du Moyen-Age. Paris, 1905, p. 1168.
- 8) Heiligenveneration, in Reallexicon der deutschen Altertumer, von Dr. E. Goetzing. Leipzig, 1885, S. 380.
- 9) Prof. Fr. Ueberweg - Grundriss der Geschichte der Philosophie der patristischen und scholastischen Zeit. Berlin, 1915, S. 180.
- 10) Prof. Emile Bréhier — La philosophie du Moyen Age. Paris, 1937, p. 38.
- 11) Hipler — Dionysius Areopagita, in Wetzler und Weste's Kirchenlexikon. Freiburg, 1884, S. 1789.
- 12) Prof. Fr. Ueberweg — Grundriss der Geschichte der Philosophie. Berlin, 1915, S. 182.
- 13). პროფ. კ. კეკელიძე: ძველი ქართული მწერლობა

- 14). პროფ. კორ. კეკელიძე ძველი ქართული ლიტერატურა. თბლ. 1954. გვ. 65.
- 15). თბილისის უნივერსიტეტის მოამბე. 1928. გვ. 132.
- 16). პროფ. კორ. კეკელიძე — ძველი ქართული ლიტერატურა. თბლ. 1923. წიგნი 1. გვ. 490.
- 17). ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი. ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ. თბლ. 1937. გვერდი ტიე. შიორი როე.
- 18). ძველი საქართველო. თბლ. 1909. გვ. 180.
- 19). ვ. ნოზაძე — ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება. პარიზი. 1963. გვ. 143.
- 20) Prof. Friedrich Ueberweg — Grundriss der Geschichte der Philosophie der patristischen und scholastischen Zeit. Berlin, 1915, S. 180.
- 21) Prof. Dr. H.F. Mueller — Dionysios, Proklos, Plotinos. Muenchen, 1926, S. 21, 40.
- 22) Prof. Emile Bréhier — Histoire de la philosophie. Tome I, p. 484.
- Basilio Tatakis — Filosofia bizantina. Buenos Aires, 1952, pp. 38-9.
- 23) Prof. F. Cayré, A.A. — Patrologie et Histoire de la Théologie. Paris, 1955. Tome II, livres III et IV.
- 24) Dante — Oeuvres complètes... traduction et commentaires par André Pézard. Paris, 1965
- 25) Philosophie des Mittelalters, herausgegeben von Dr. Clemens Baeumker und Dr. Georg Freih. von Hertling. Muenster. 1908. Band VI, Heft 6. S. 7.
- 26). ივესტია ინსტიტუტა იაზიკა, ისტორიი ი მატერი-ალნიო კულტური იმ. აკად. მარია. 1.4 თბილისი, 1942.

ამ სახეშა მემოწმების დიონოსი, ბრძენი ეზროს

სახელთა ნაირობა

„ავთანდილისაგან ტარიელის ძებნად წასვლის ამბავი შემდეგი შიორით იწყება:

ამ სახეშა მემოწმების დიონოსი ბრძენი, ეზროს: სარსალოა, ოდეს ვარდი დეათრთვილოს, და-ცა-ეზროს: კის ბაღანში აზა ჰვეანდეს და ლერწამი ტანად ეზროს, იგი სადმე გაღარბდეს, სამყოფთავან იაბეზროს (177). აი, აქ დასახელებული „დიონოსი“სა და „ეზროს“-ს გამო რუსთველოლოგიურ კვლევაში დიდი აზქმობაა და ამას ბოლო არ მოელება. სანამ ეს საკითხი აქვს მიუტანელი არ გამოიჩვენება, ან ამოიწურება და არ ამოიწრება.

ვეფხისტყაოსანის ხელნაწერებში სახელი „დიონოსი“ სხვა და სხვა ნაირად იწერება: დიონოსი, დივანოსე, დიონოსი, დიონოსე, დივანოსე, დევანოსე, დიონოსე, დიონოსე, დიონოსე. 1).

ეგრემ მკირის თარგმანში ან სხვა და სხვა მინაწერში იხმარება სახელი: დიონოსი (დიონვისი), დიონოსი, დიონვისიოს, დიონვისიოს. 2).

მეთერთმეტე საუკუნეში ნათარგმნ გიორგი მონაწილის ხრონოლოგიურ სხეული „დიონოსი“ ნახმარია ასე: დიონოსი, დიონვისიოს, დიონვისიოს. 3).

სიტყვა „ეზროს“ ვეფხისტყაოსანის ყველა ხელნაწერში უცვლელია.

თეთი შაირის ჩვეულებრივი განმარტება ასეთია:
 აჲ საქმეში დიონოსი ბრძენი, რომელს უაზრია, უფიქ-
 რია (ეზროს). რა უაზრია დიონოსს? საზარლო არისო.
 როდესაც ვარდი (ანუ ანთანდილი) დათრთვილი და
 დაზრულია, გაყინული: მის, ამ ვარდს (ანუ ავთანდილს),
 რომელი ბადანშური ლალი (წითელი ფერის თვალი პა-
 ტიოსანი) არა ჰკვავს, მის ეს ფერი ვერ შეეძარება (თა-
 ვისი სილამაზით); რომელს ტანად ლერწმენი აქვს ვინც იმა-
 რის ტანი (ლერწმენი — ტანი: ზრა — ისარის ტანი: ორი-
 ვე შემთხვევაში: წერილი, მტკიცე, მაკარი ტანი და თან
 ლამაზიც): საზრათა, ასეთი ვინმე გაღარიბებულ, ანუ სა-
 მგზავროდ უტყობის წაივლის და თავი სამეფალთაგან
 გაიხდობროსო. (საპარსული „აბეზარ“, „აბეზარ“ — მოსაწე-
 უნი? მოსაძლებელი). ესე იგი, მოგზავური, სადაც კი
 იგი იმყოფება, მოწყენილი იქნება. თავმზებებულს სა-
 მყოფთა ადგენილივანაო.

ამ შაირში მხოლოდ პირველი სტრიქონია, რომლისა
 განმარტება დიდ გაუგებრობას იწვევს:
 ამ საქმესა შემოწმების დიონოსი ბრძენი ეზროს...

დივანოსე არიოპაგელი

დიდებული ვახტანგ მეფის (1675 — 1737) მიერ გამო-
 ცემულ ნაბეჭდ ვეფხისტყაოსანის ამ შაირში არის „დიო-
 ნოსი ბრძენი ეზროს“ (რიც). ხოლო თავის განმარტებაში
 ვესაწვლის: „...დივანოსე არიოპაგელი დიდი ფილოსო-
 ფოსი იყო ერთბა და პავლესაგან მოიქცა და ვესიცილი-
 ზათ აყურთხა: ვისცა იმისი სიკეთის ცნობა ვინდათ იმი-
 სის წიგნის კითხვით შეიტყუათ აწ იმას მოწმობს და ეხ-
 ზა წინასწარ მეტყუელს და სამღვდელის დამს რომ ამ-
 წიგლის ასმღვდელს საქმეს ვადად ხდის და ამბობს ზრა-
 ლია სამღეთო ვადი ცოდვით დათრთვილული იყოს და
 დაზრული: და რომელიც ცოდვისა და მარხვისაგან ასე გა-
 მხდარ იყოს რომე უფრო ზედად ზალახსს არა ვგანდეს და იმას
 მაზნებით ტანი რომ ლერწმის ზროსავით გახდომოდეს ის
 რომ მადლისაგან გაღარიბებულ იყოს და სასუფეველიდამ
 გაუზრებულ იყოს იმას იბრალებს: აბეზარს გამგზავს
 თუ შემოწმებულსა ჰქვიან: ვასინჯეთ თუ ეს ამაზუნდ კი
 არ ამბობს დიონოსე რომელსა სოფლის გამდგარს კაცს
 გომოს და სოფლიოს დარბიბობისათვის რას უმოწმებს თუ
 არ დამიჯერებთ იმისი წიგნი ნახეთ თუ ამგვარს საქმე-
 ზედ მოწმობდეს თქვენ რომ ვითარვინათ ამას ნუ და-
 იჯერებთ“-ო. 4).

ვახტანგ მეფის მთელი განმარტება, რასაკვირველია, აქ
 შემცდარია და გამოწვეული იმ განსაკუთრებული ვითარ-
 ებებით, რომელიც შექმნილი იყო ვეფხისტყაოსანის წინა-
 აღმდგ ბრძოლისა გამო, კერძოდ, მისი ზნეობრივი გაგე-
 ბის, უფრო სწორად: ვალეგლობის გამო. ვახტანგ მეფის
 ამ შაირშიც დაუნახავს რელიგიური ხრტილი და მის ში-

ნაას მიიწერს დიონოსე არიოპაგელს, (რომლის ვინაობა
 მაშინდელი ცნობის მიხედვით არის აღნიშნული) და
 არაფერ შეუმი აქ არც „დიონოსი“ არის ვრცე ენა წი-
 ნასწარმტყველი და არც სამღვდლო დასწრე ენა
 ვახტანგ მეფემ ვეფხისტყაოსანი, საერთოდ. რელიგი-
 ური მიდგომით განიხილა და რაც საკვირველია თითქმის
 ამავე დროს ასეთვე ამავე მიზად დასავლეთში, სადაც
 ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეოსი“ სწორედ რელი-
 გიურ-ზნეობრივი თვალსაზრისით იქნა განხილული.

არ შემძლია შემთხვევით არ ვისაზრებულ აქ და ახლა
 უფრო აღმდგომ დატვობი ეს ერთი განსაკუთრებული ამ-
 ბავი.

ვახტანგ მეფემ თავის განმარტებაში ვეფხისტყაოსანის
 სიყვარული, და საზოგადოდ თეთი ეს რომანი, მისტიუ-
 რად ახსნა-განმარტა; მასში ამღლებული, სახეო სიყვა-
 რული დანახა: იგი უბრათისადმი სიყვარულად დასახა
 და ზოგადად, ვეფხისტყაოსანი ალლეგორიულად განი-
 ხილა.

ზოგისათვის ეს გაუგებარი იყო და იმდენად, რომ ერთ-
 მა მკვლევარმა ქალბატონმა ვახტანგ მეფის მსჯელობა
 უნახსოდ „ბავშვურ ტიტინად“ გაასაღა. ასეთი ცუდის თქმა
 საპატივებელია, რადგან ეს ჯეციკობის შედეგია.

ქალბატონი ქრისტინე შარაშიძე ეხება რა ვახტანგ მე-
 ფის განმარტებას, გვეუბნება:

„ამგვარადვე, ყველგან სადაც კი მიჯნურობა აპის ნა-
 სენებია, ვახტანგი ირწმუნება, რომ სასუფეველისა და
 ქრისტეს ტრფალება იგულესმება. რუსთაველის ბრძ-
 ნულ გამოანათქვამში იგი პავლე მოციქულის, იოანე ნათ-
 ლისმცემელისა და საქრისტიანო ეკლესიის სხვა ავტორი-
 ტეტთა საზნებზე პულობა“-ო!

ზოგი მკვლევარი ფიქრობდა, ვახტანგ მეფე ვეფხისტყა-
 ოსანისადმი ალლეგორიული მიდგომით, მას ბერმონაზო-
 ნურ თვალსმისაგან იკავდაო: რადგან სწორით ეს უწი
 ამ ნაწარმოებს ამორაობას, ზნეობის შერყენას უკით-
 ნებდა. მაგრამ ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს და
 მიეთითოს იმაზე, რომ ალლეგორიული ახსნა-განმარტება
 თხზულებათა საერთო მოვლენა იყო შუა საუკუნეთა
 მანძილზე და უფრო გვიანაც შეჩვენილებულ საუკუნეშიც,
 როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში: — მწერ-
 ლობისაგან მოთხოვნიდნენ სულის მარტებელ, დამარჯე-
 ბულ, ჭკუის მასწავლებელ სულიერსა და ზნეობრივ სწე-
 ლას და სიყვარულიც უფრო ალლეგორიული უნდა ყო-
 ფილიყო.

და ვახტანგ მეფის ამგვარ მსჯელობა-განმარტებას ქა-
 ნი ქრისტინე შარაშიძის ასული „საზულ უსსურებასა“ (!)
 ხედავს და ბავშვურ ტიტინადაც კი ნათლავს, რაც გა-
 საკვირველია! თუმცა დასძენს იგი: „ამგვარმ ეს, ერთი
 შეხედვით უტყობალი მსჯელობა იმ ღობისათვის სრულიად

ბუნებრივი უნდა ყოფილიყო—ო! 32. გვერდი 147-8.

რატომ უნდა ყოფილიყო ეს ბავშვური «ტიტინი» ბუნებრივი, ამას უკვე აღარ გვატყობინებს პატერცენტული ქალბატონი ჭრისტინე.

ამ საკითხს ენება, სხვათა შორის, ანრი ლონზონი, და-ნტის „ღივირა კომედიის“ ფრანგულად მთარგმნელი და განმამარტაველი. ეს მეცნიერი გვეუბნება — ყველა ლექსი თუ პოემა, ლიტერატურული თუ მისტიური გვემისა, ყველა ლექსი, პოემა სპარსელისა და არაბეთში და ეგრო-საშიც ამ დებულებას ემსახურებოდა შუა საუკუნეების ხანაში და შემდეგაც: მთელი მწერლობა იყო მორალურ და დიდაქტიურ გემოზე აგებული. კიდევ მეტი, ასეთივე იყო ანტიკური, ბერძნული და რომაული მწერლობაც. — განსაკუთრებით პოეზია.

შუა საუკუნეთა მწერლობაში მკითხველი იმის კი არ მისდევდა: ნაწარმოებში საიმოვნება ენახა, არამედ ეძებდა იგი იქი მორალურ სწავლას. — თუგინდ მკითხველი უმცირესი ყოფილიყო. გაიხსენოთა — „პოპუს დანტე-ლოჯისი ანრი ლონზონი — რომ კიდევ მეტიდემეტე საუკუნეში წმინდა და ექსმარტივად მეცნიერი მაიამ დასიე ბეჯითად ეცილებდა ილიადისა და ოდისეოსის განმარტებისას პირველად ყოვლისა ნათელზე გამოეტანა ალლეგორიული სახე მათი. ვახედლო, უჩვეულო, უცნაურ დებულებათა წინ წამოწყვიტო; მან დასახელებულ ნაწარმოებთ მონიჭა ექსმარტივადი მორალურ და სულიერ სახისა, რაც მან თავისი პროტესტანტიული შეგნებით აღმოაჩინა ფრიად უწყალოდ ეცენეს თუ ულისეს, ოდისეოსის სხვა და სხვა თავგადასავალშიო. 5).

ვასაკერველი არ არის ასეთი დახმევეა თხუზღუდების კვლევისა და მისდამი მიდგომისა მე16—17 საკუნის სა-ჭირთველოსა და საფრანგეთში? საქართველოში რელიგიურ-ზნეობრივ-ალლეგორიულად განიხილავს ვახტანგ მეფე ვეფხისტყაოსანს! ამავე ხანაში (კოტა მოვიანებით!) მდამ დასიე ზნეობრივ-ალლეგორიულად განიხილავს ილიადს და ოდისეოსს! აქ არაფერი უცნაური არ არის — ეს აისხნება კულტურის განვითარების ერთიკეობით. საერთოდ ეს საკითხი (ცალკე გამოკვლევას მოითხოვს, ვი-საც თავის აქვს ცდისა!

ვახტანგ მეფის მიერ დასახელებულ მესუთე საუკუნის უცნობ ფილოსოფოსს, მეტახნელად: დიონისე არეოპა-გელს, თავის თხუზღუდებში არსად ისეთი აზრი არ გა-მოუთქვამს, რაც ვეფხისტყაოსანის შაირში (177) არის გა-მოთქმული, — არ გამოთქვამს არც სასულიერო, არც საერო შეხედულებების მიხედვით. ასეთი რამ დიონისე არე-ოპაგელს რომ ებრძანებინა, მაშინ ხომ ეს საკითხი საერ-ოოდ სადავოდ არ გარდაიქცეოდა.



თეიმურაზ ბატონიშვილი (1782 — 1849) თავისი განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა [ქართული საბჭოთავო იმ-ერატორის რედაქციით, თავის განმარტებაში გვეუბნებ-შემდეგ —

„ამა ლექსა შინა დიონისე ბრძენს რომ ასხენებს, ეს დიონისე არის ალიკარანსელი (და არა არიოპაგელი, რომელიც უწინარეს ქრისტეს მოსვლისა ოცდაათი წლი-სა მიიწია რომედ [ქალკა რომს] და მუნ დაპყო სწავლას შინა ოცდაათი წელი და ისწავლნა ენა ლათინური და იქ მნა ბრძენ და ფილოსოფოსი შეწყვეთთა რომელთ ბრძენთა და ფილოსოფოსთასა, რამეთუ მეგობარ იქმნე მას და ზრახვიდა მათ თანა მრავალკამ დიონისე და ქმნნ ამან მრავალნი წიგნნი და რომელნიმე აწ დაკარგულ არიან წიკათა მისთავანნი და მკარუნნი კვალად ჰკიან ლათინთა და სხვათა ენათა ზედა. ქართულთა ენასა ზედ-ძველად ყოფილა დიონისის წიგნები, ათი სხვა და სხვა წიგნი“—ო. 6).

თეიმურაზ ბატონიშვილის ზემოდ წარმოდგენილ განმარტებაში დ. კარივაშვილმა ეჭვი შეიტანა 1903 წ.: —

„ამ დებუბს პირველ სტრიქონში მოხსენიებული დ ი თ ნ ო ს ი თეიმურაზ ბატონიშვილის აზრით, არის დიონისე პალიკარანსელი. სიტყვა ე ზ რ ო ს მას წარმოჰყავს სიტყვისაგან ა ბ რ ი . ე . ი . ნ. ვახროს, ანუ დათვინისის [ეს] განმარტებას საეჭვოა“—ო. 7).

და წარმოდგება საკითხი: არის ვეფხისტყაოსანის დი-ონისი თეიმურაზ ბატონიშვილის დიონისოს პალიკარ-ანსელი?

ისტორიაში ცნობილი არის: —

1. ელიო დიონისოს პალიკარანსელი, რომელიც ცხოვ-რობდა დაახლოებით 120 წლებში ქრისტეს შემდეგ, იგი იყო მჭევრმეტყველი და ამასთანავე მუსიკის მკოდნი;

2. დიონისოს პალიკარანსელი — დაიბადა 54 წელს ქრისტეს წინ და მთელი თავისი ცხოვრება ვაატარა რომ-ში, სადაც მან დაწერა რომის ისტორია, დასაწყისიდან მე-სამე საუკუნემდე ჩვენი წელთაღრიცხვისა (მისი ოცი წიგ-ნულად დაკარგული არის ცხრა); მას აქვს კიდევ თხუ-ზღუდვა გიამატკაზე, მჭევრმეტყველებას (ისტორიკა) და სხვა. იგი სწერდა ლათინურ ენაზე! აბა, რა კავშირი უნდა ჰქონდეს რომის ისტორიის წიგნებს ვეფხისტყაოსან-თან? დიაკოპ მოვიბოდიშებ მკითხველს წინაშე, მაგრამ ზედმეტად მიამჩნია რომის ისტორიის დიონისოს პალი-კარანსელის თერთმეტი წიგნის წაკითხვა, რათა იქ ვეძიო ვეფხისტყაოსანის დებულება, გამოთქმული შაირში 177. (იხილეთ აგრეთვე 8). გვერდი 682-3).

ეზროს

პ.ოფ. დ. ჩუბინაშვილის აზრით, ეზროს უნდა იყოს წინასწარმეტყველი ეზრა (ეზდრა). ამ განმარტებასც დ. კაიხუაშვილი საეკოლ აცხადებს. 7). გვ. 271. აღექაწანდრე სარაჯიშვილმა მთელი ეს შაირი (177) აზუჩად იგღო და ყალბად გამოაცხადა. იგი იხსენებს — დაეით ჩუბინაშვილმა თქვაო, „ეზროს“ აქ არისო წინასწარმეტყველი „ეზდრა“, ოღონდ ევეფხისტყაოსანური შაირის აზრი ეზდრას გამოთქმული არა აქვსო. 9).

ლიონოსი — დივნოსი

აკად. პროფ. ნიკო მარბის განცხადებით: დიონოსი და დივნოსი ერთი და იგივე პირი არის, ეს განმარტება არ არის სწორი, რადგან დიონოსი ანუ დივნოსი არაერთაზრი იმის მსგავსი აზრი არ გამოთქვამს, რასაც მკითხველი ეცნობა შაირში 177.

დიონოსი — დიავნოსი — დიანოსი

აკად. პროფ. აკაკი შანიძის თქმით (1924 წ.), „დიონოსი“ არ წამოადგენსო საკუთარ სახელს, როგორც აქამდე ეგონათ. ის არისო დამახინჯებული ფორმა ეზდრას წინასწარმეტყველის ასტროლოგიურ — მეტეოროლოგიურ ტრაქტატისა: „დიავნოსი“, ან „დიანოსი“, რაც გადაწყვეტილება გადააკეთეს დიანოსად. ამის მიხედვით ეს ტავი უნდა გასწორდესო შემდეგ ნაირად —

„ამ საქმესა შემოწმების დიანოსი ბრძინა ეზროს“. 10). აქ იგულისხმებაო წიგნი ეზდრასი, რომელსაც ბერძნულად „დიავნოსი“ ეწევა და სხვა ქრისტიან ერთა ზორის, ქართველსაც კჰინდით ნათარგმნი ჯერ კიდევ მუთიე საუკუნეშისო — ადასტურებს აკად. პროფ. კოჩ. კეკელიძე. 11).

მაგრამ საქმე ეს არის: ამ წიგნში „დიავნოსი“, „დიანოსი“, რაც ასტროლოგიურ-მეტეოროლოგიურ თხუთულეხას წარმოადგენს, არის თუ არა ის აზრი გამოთქმული, რაშიელს ჩვენ ევეფხისტყაოსანის შაირში (177) ვეცნობით?

პროფ. სარგის კაკაბაძე კი გვეუბნება: „ეს შესწორება“ [აკად. პროფ. აკაკი შანიძისა] არა თუ „ექვიმეტრანელი“ არ არის [როგორც ფიქრობს აკად. პროფ. კოჩ. კეკელიძე], არამედ ფრიად საუკეთესო, რადგან მის მხარს არ უჭერს საუკეთესო ხელნაწერთა და სასოჯადოდ არც ერთი ხელნაწერის წიგნთვა“-ო. 12).

პროფ. ს. კაკაბაძე გვატყობინებს: „ეს შესწორება აწის მხოლოდ ფორმალური: ევეფხისტყაოსანის ხელნაწერთა შორის არ მოიპოვება „დიანოსი ბრძინა ეზრასი“-ო! მაგრამ თუ ეს „დიანოსი“ — ასტროლოგიურ-მეტეოროლოგიური ტრაქტატი — ეზდრასი ლაპარაკობს რაშეს

უცხოვნი გამგზავრების—გალარბებისა, მარტო კოფენისა, სამშობლოდან წასვლის შესახებ და სიმყოფიდან თანის მობრუნებაზე, ეს უნდა ერთკეით და წაიკრიზ გამოკრეული იქნებოდეს! მაგრამ ასეთი რამ შაირში უთქვამს!

იქნებ ეზდრა წინასწარმეტყველის რომელიმე წიგნში არის იმ გვარი აზრი, რაც შაირში 177 აწის გამოთქმული?

წიგნი ეზდრასი

საერთოდ წინასწარმეტყველ ეზრას, ანუ ეზდრას მიეწება ექვსი წიგნი: ზოგი — კანონიერი, ზოგი — უკანონო, აპოკრიფული.

1. წიგნი პირველი ეზდრასი, ბერძნულად: „ჰესდრას პროტოს“ (სებატანტას ბიბლიაში); ლათინურად: „ლიბერ პრიმუს ესდრასი“ (ველგატას ბიბლიაში); რუსულად: „ქნივა ეზდრა“.

2. ეზდრას მეორე წიგნი ეწოდება: „წიგნი ნემისის“; ბერძნულად: „ლოგოი ნემისა“, ან „ტონ ბიბლიან ტობ ნემისა“; ლათინურად: „ლიბერ ნეჰემიაე კუი ეტ ესდრასე სეკუნდუს დიკტურა“; რუსულად: „ქნივა ნემისი“.

ეზდრას მესამე წიგნი არის ხენეში, აპოკრიფული და არის პირველ ორ წიგნზე დამყარებით შეთხზული. 13).

ეს მესამე წიგნი ევრაბულ ბიბლიებში შეტანილი აწარის; არც რუსულშია იგი. ქართულ ბიბლიაში კი არის სახელწოდებით: „წიგნი მეორე ეზდრასი“.

მესამე, მეოთხე და სხვა წიგნთა შესახებ ცალ-ცალკე იქნება საუბარი.

**

ეზდრას პირველ წიგნში — დიახ: „ეზდრა“ და არა როგორც ეს სახელი არის ევეფხისტყაოსანში: „ეზრასა“ („ეზროს“) — მოთხრობილია ამბავი იმის გამო. თუ სპარსეთის დიდმა მეფე კიროსმა როგორ მისცა ეზრასელებს უფლება ტყვეობიდან იერსალემს დაბრუნებულიყვნენ და იქ თავისი სამოღვაწელო განაწესებინათ, ავევთო. ისრაელებმა მიიღეს უკანვე ნახუქოდონოსორის მიერ წართქმული განძი და პალესტინას გაეგზავნენ.

ასად ამ წიგნში, რომელიც ათი თავისაგან შესდგება, არ არის ისეთი აზრი გამოთქმული, რომელი შორიან მანქნ ევეფხისტყაოსანის აღნიშნულ შაირში ნათქვამ აზრს მიემგავსებოდეს, თუმცა აქცე მგზავრობაზეა ლაპარაკი. მანსადაძე, ეზდრას პირველი წიგნი ეტს 177 შაირის ეპოსარკვევად გამოუთქვამია.

**

იქნებ ნემისა წიგნში მოიპოვება რამე? იგი შეიცავს 13 თავს და ისრაელთა ცხოვრების დაახლოებით იმავე ხანას ეხება, რის გამო ეზდრას სხვა წიგნებშია საუბარი.

სპარსეთის სატახტო ქალაქ სუსა-ში, მეფე არტახსერ-ისის მწე, ანუ ლიდის დამსხმელ-მიმწოდებელმა ნემისი შეიტყო. თუ რა დიდ გაჭირვებაში იმყოფებოდა ხალხი ილუდა-ში და იერუსალიმში, იგი შესწივის ამაზე თავის

მფაველ დიდ მეფეს და ლეულუმის მისკან ნებართვის დანერგული ქალაქი აღადგინა. იგი მიდის იერუსალემს და შემოაბას შეუდგება. ბერძნი მას დასციინა და ხელს უღლიან: ვაჭრებულნი ხალხიც მოთქვამს მძიმე მუშაობის გამო. მაგრამ ყველა დაბრკოლების მიუხედავად, იერუსალემი კვლავ აღადგინეს და მთელი ხალხი შეიკრიბა, რათა მოესმინა მას საჯლოს სიტყვანი იმ წიგნიდან. რომელი ზეგრაბა ბაბილონიდან თან მოიტანა.

ან ნემის წიგნი არ მოიპოვება არც ერთი ისეთი აზრი, ფიქრი. შეხედულება, ან ვადაკვირთი ნათქვამი, რასაც ეკ ეტის შიარის აზრს შორებულად მინც ენათესავე ზოგის. ან მოგვაკონებეს.

მესამე წიგნი ეზღასი — 3. ეუთეს გამოკვეციები — 14). არის შენახავენი წიგნისა ქრონიკა-სრა-ნემისი. აქ მთელი ისტორია იერუსალემის ტაძარის აგება და მასთან ვადაბმულ ამბებს ეხება. ეს წიგნი ლუთერს არ უთარგმნია გეზმანულ ბიბლიისათვის. რადგან იგი მას უმინ-შენაღვრა ჩაუთვლია: იგი სხეებმა თარგმნეს შემდეგ და ესეც წაიციოთხე ბეჯითად: იქნებ აქ მინც მებოვნა ისეთი აზრი. რაც ეტის 177 შიარში არის ნათქვამი, მაგრამ ამ ცდამ უშედეგად ჩამიარა.

ეგრეთ წოდებულ ეზღრას მეოთხე წიგნის შესახებ ბიბლიის ფრანგულ ლექსიკონში ნათქვამია: ეს წიგნი ვადა-თარგმნილი იყო ბეზმანულ. სირიულ. ეთიოპურ. არაბულ. სომხურ, საძალურ, ქართულ ენაზე და ვაგერცლებულიც იყოა დასავლეთში. ეს წიგნი აბისო ულამაზესი და დი-დად შემძებელი სულისა იმ წიგნთა შორის. რაც აბოკრი-ფულ ებრაულ მწერლობას უანდერძებიაო. და ამ წიგნის წაკითხვისას დაერწმუნდი. რომ ეს შევასება მაართაღ წესასა ირის. 15).

ვინაიდან ეზღრას მეოთხე წიგნის ამბავს საერთო ინტერესი აქვს. ამიტომ მოკლე მის ამბავზეც შევჩერ-ლები.

ეზღრას მეოთხე წიგნის ქართული თარგმანი საინტერესო თავადადასავალით ყოფილა შეწყული. ამ წიგნის გერმანულ გამოცემის წინასიტყვაობის თანახმად. დრ. ბრუნო ვიოლეტს მიხნდა ჰქონდა დასახული ამ წიგნის ყველა თარგმანი შესადაგებლად შეესწავლა. მას გაუგია ფრ. კონიბერის მუხებები. რომ ეს მეოთხე წიგნი ქარ-თულადიც ყოფილა თარგმანი. პრუფ. ალექსანდრე ცა-გარელს ეს თარგმანი მოხსენებული ჰქონია 1888 წელს თავის რუსულ ნაშრომში: „ქართული ხელნაწერები ალექსტრინში“. რომლის გამო კლივიერი უორდროსს მკიერ ვანხილვა დაუბეჭდავს ბოსტონის ამერიკულ ბიბლიოტერ-ცენტრალში. ეს ქართული თარგმანი ეკუთვნოდა თურმე ერთ-ერთ მონასტერს იერუსალემთან: იგი შემდეგ შეუ-ტანიათ იერუსალემის ბერძნული საპატრიარხო წიგნისა-

ცავში. (მაგრამ იქ აღარ დაუცეთ იგი!). ეს ქართული თარგმანი ეზღრას მეოთხე წიგნისა ყოფილა დაწერილი დაახლოებით 1050 წელს და მას ქალმდელი დახინენია: ეზღრას მეოთხე წიგნის მხროლვე 21 თუთხაწილ წყნენა. ამ წიგნის დასაწყისი და დასასრული ფრ. კონიბერს პრუ-ფესორ ალექსანდრე ცაგარელის კატალოგიდან ვადა-ფარგმნია და დრ. ბრუნო ვიოლეტს-ისათვის გაუგავანია.

შემდეგ თითონ ეს მკვლევარი. ბრუნო ვიოლეტ. ყო-ფილა იერუსალემში. 1901 წელს და ბიბლიოთეკარის და-ხმარებით უძებნია საპატრიარხო წიგნისა ცავში მისთვის სანატრელი ქართული თარგმანი. პრუფ. დრ. ცაგარელის იქ ყოფნის შემდეგ ნომრები წიგნებისა ვადაუცვიობათ. მაგრამ მკვლევარს, ბრუნო ვიოლეტს ძალა არ დაუკლია იგი მოეძებნა. ოლოდ მისი ცდა ფუჭი გამოდგარა. და ნაღვლიანად ამბობს იგი —

„სხვა (ხელნაწებებთან) ერთად ალბათ მან [ქართულ-მა თარგმანმა ხელნაწერმა] გზა იპოვნა თურქეთის ვა-ჭრეუ ქვეყნისკენ. იქნებ ევროპისაკენ. სად და როდის ამოტვირთიყვნა იგი? —

მეორე ხელნაწერი ეზღრას წიგნისა ყოფილა ივერიონის — ივირონის მონასტერში. წმიდა ათონის მთაზე. 978 წელს ვადაწერილი ერთ ქართულ ბიბლიაში.

ეზღრას მეოთხე წიგნი აქვს ბატონ პრუფესორ მარრას პეტერბურგში — სწერს თავის წიგნში დრ. ბრუნო ვიო-ლოტ — როგორც ეს აგრეთვე ვაიკვ ბატონ დრ. კონი-ბერის წყალმთი. სამწუხაროდ. ჩემ წერილობით შეკით-ხებში ამ რუბის სწავლელმა ისეთი უარყოფითი პასუხი ვამცა, — ერთად ეთი უარი. რაც მე მივიღე ჩემი კვლე-ვის განხავლობაში. — რომ მეც უარი უნდა მეთქვა. ამ საკითხს [ქართული ხელნაწერის საქმეს] ვაგუყვარი. ამიტომ. სამწუხაროდ. არ შემიძლია ვთქვა, თუ ბატონ მარრის ეს ხელნაწერი ორ ზემოდ მოხსენებულ ხელნაწე-რის იგივეობას გვიჩვენებს და არც ის ციცი. გამოაქვეყნა ბატონმა მარრამ იგი თუ აზა. სანამ რუს სწავლელი ურ-ჩენენიათ თავისნი აღმოჩენანი გამოაქვეყნონ რუსულ ენა-ზე. ვერმანულ. ფრანგულ. ინგლისურის ნაკვლად. მათ ეს შეეძლებათ ევროპელ — ამერიკელ სწავლულთა ქვეა-ნაში მათ სწრაფ ვაგერცლებას მოლოდინ. რადგან თითი რუსული ენა არის ნაკვლად ვაგერცლებული“ —ო. 16). მკვლევარის აზრით. პრუფ. ალ. ცაგარელის შენიშვნათა მიხედვით იმ დასკვნის ვამოტანა შეიძლება. რომ ბერძენი ქართული თარგმანი შესრულებულია პირდაპირ ბერძნუ-ლი ხელნაწერიდან და სხვა.

აი, რათა ვაგამართლებინა ის დებულება. რომ 177 ში-არის „ეზრას“ — „ეზრას“ არისო წინასწარმეტყველი „ეზღრა“. მისი ეს მეოთხე წიგნიც ვადავიციოთხე. რომელი შემდგარა შეიდი ხილვისასან („ვიზიო“): ვადავიციოთხე კი არა. გულდასმით წაიციოთხე. და ამას ვარდა წაიციოთხე: არაბული. სირიული და ეთიოპური თარგმანიც. ვადა-

თარგმნილი გერმანულად. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაიეთარი იმის შესავსი წინადადება, ამ მისგავსებულ აზრი ვერ ვიპოვნე, რაც ეტის 177 შაირში არის.

ამ კნინი მიმოხილვის შედეგის ის დასკვნაა, რომ ესტრას არც ერთ წიგნში, არც ე.წ. ნამდვილში, ანუ კანონიერში და არც ერთ არა ნამდვილ, არაკანონიერ, აპოკრიფულ წიგნში ვეფხისტყაოსნური აზრი არსად არის წარმოთქმული.

პოეტი ეზროს

არ ვიცი, პირველმა თუ არა, მაგრამ 1903 წელს დავით კარიჭაშვილმა ვეფხისტყაოსანის მეცხრამეტე გამოცემაში წარმოაჩინა ახალი დებულება:

ვეფხისტყაოსანის (177) შაირის „ეზროს“ შეიძლება იყოსა:

„მეთოლი მითელში საუკუნეში ებრაელი არაბულს ენაზე მწერალი დილოსოფოსი ისპანეთიდან. შმიძლბა ის იყვის აქ დიონოსთან ერთად მოხსენებელი“-ო. 17).

რა კარგი ჩვეულება ჰქონდათ ჩვენ არც ისე შორეულ წინაპრებს, ვეფხისტყაოსანის გამოცემლებს! თვითიული გამოცემული ვეფხისტყაოსანის გამოცემის ნომერს აგრძელებდა, როგორც აქ 1903 წელს დ. კარიჭაშვილის გამოცემა არის: მეცხრამეტე! იუსტინე აბულაძის გამოცემა 1914 წელსაა — მე-22! და მერმე ვათავდა ეს კარგი ჩვეულება. ვინ მოშალა იგი?! ჰკითხეთ მეტიხარა გამოცემებს.

მაშ ასე: დ. კარიჭაშვილმა ის შესაძლებლობა აღიარა, რომ ეტის 177 შაირის „ეზროს“ იქნებ არისო არაბულ ენაზე მწერალი ესპანელი ებრაელი ეზროს. მან ასეთი წესაძლებლობა აღიარა. (მაგრამ იგი არაგის მოხსენებია და მუქთად გაიმეორეს მისი აზრი სხვებმა. მის დაუსახელებლად. ეს კული ჩვეულება დიდი ხანი არ არის, რაც თითქო დამკვიდრდა უკვე ქართულ მწერლობაში! სამწუხაროდ და საცალოლო!).

და აი, ამ სადავო შაირის გამო პავლე ინგოროყვა გვეუწყებს შემდეგს: —

„ტექსტის დადგენის შესახებ საჭიროა აქ აღინიშნოს შემდეგი. ტრადიციულ დედანში სიტყვები დამახინჯებულად არის წარმოდგენილი. ტექსტია: „მე მოწმე მე დი ვანი ბრძენი ეზროს“ —

უმცარა გადაამწეროთ დამახინჯებულია შემდგენიარად: „მე მოწმე ბრძენი დიონისი ბრძენი ეზროს“ — „დიონისის“ დასახელება აქ, მით უფრო ეზროს სახელითა შეერთებით, სრულებით შეესაბამება. დიონისი არაოპაგელს არაფერი აქვს საერთო იმ აზრებთან, რომელსაც გამოსთქვამს შოთა ან სტროფში. და მისი „მოწმობა“ აქ არაფერს უდგება. შოთას, რასაკვირველია, შეუძლებელია მიეწერა ეს აზრები დიონისისათვის, რად-

გან შოთა, როგორც ეს სჩანს ვეფხისტყაოსანის მტკიცედ აღვილიდან, ძლიერ კარვად იცნობდა დიონისოს და მისი ფილოსოფიური ხედვის სფეროს.

სწავნიწუღი

„დიონისის“ მაგიერად ტექსტში შეცვალა: „დიონისის“ ცხადია. იყო სიტყვა „დიონისი“. ეს სიტყვა „დიონისი“ არაბული ტერმინი და ნიშნავს პოეტურ ნაწარმოებთა კრებულს. „დი ვანი ეზროსი“, ე. ი. ეზროს პოეტური კრებული. ხოლო ეზროს (იგივე ეზრა), ეს არის ცნობილი პოეტი მეთორმეტე საუკუნისა. არაბულ ენაზე მწერალი.

„რომ ტექსტში თავდაპირველად იკითხვიდა სწორედ „დიონისი“, ე. ი. „ეზროს დიონისი“, ამას ადასტურებს აგრეთვე ორი რამ:

„1. ჯერ ერთი, — თვით გრამატიკული შეთანხმება: სახელი „ეზროსი“ აქ დასმულია ნათესაობით ბრუნვაში ეზროსი, ლიკენც. ეზროს, და მოითხოვს დამატებას: „ამ საქმეს ამოწმებდა მე პოეტი ეზროს“ [— რა? — ე. ი. ლექსი, დიონისი, პოეტურ ნაწარმოებთა კრებულები]. — შემდეგ:

„2. შოთას მელანქოლიური სულიერი განწყობილება, გადმოცემული სტროფში. მაროლაც საცემბით ეთანხმება ეზროს ლირიული დიონისის საერთო ტონს. და თითონ პოეტის ზედსაც“-ო. ასე გვესწავლის პროფ. პავლე ინგოროყვა.

მკითხველმა უნდა იფიქროს, რასაკვირველია, რომ პინგოროყვას, თუ არ შეუღწევილია. წაუციტხავს მინც „ეზროს ლირიული დიონისი“, ან არაბულ ენაზე, ან რომელიმე ენაზე ნათარგმნი! მაგრამ ამ ამავს მველევიარი არ გვიმტლანებს და საიდუმლოდ იმარჩავს!

პროფ. პავლე ინგოროყვა კვლავ იმეორებს: შოთა რუსთაველს მოხსენებელი ჰყავსა: —

„არაბი პოეტის მინაზს მდიონისი“-ო. 18).

მაშ „ეზრა“ ყოფილა არაბი პოეტი!

„ეზროს, იგივე ეზრა, ეს არის. როგორც მოვიხსენეთ — ამბობს პავლე ინგოროყვა — ცნობილი პოეტი მეთორმეტე საუკუნისა (არაბულ ენაზე მწერალი), რომელმაც უცხოეთში ყარაიზობაში ვაატარა მრავალი წლები. მისი დი ვანი ი (— ე. ი. პოეტურ თხზულებათა კრებული) შეიცავს მელანქოლიურ მოკონებებს სამშობლო ქვეყნის შესახებ“-ო. 18) გვ. 298-9.

პროფ. პავლე ინგოროყვა კვლავ უბრუნდება 1937 წ. ამ „ეზროს“ და გვესწავლის: —

„ეზრა ამის ცნობილი პოეტი მე-12 საუკუნისა (არაბულ ენაზე მწერალი), რომელმაც უცხოეთის ყარაიზობაში ვაატარა მრავალი წლები, და რომლის „დიონისი“ შეიცავს მელანქოლიურ მოკონებებს სამშობლო ქვეყნის შესახებ“-ო. 19) გვ. 286.

პავლე ინგოროყვამ უფრო წინ გვითხრა: —

„შოთა, ირანულის ვადა, ორიგინალებში იცნობდა

არაბულ მწერლობასაც; ამას ცხად ჰყოფს ეზროს დასახე-
ლება, რომლის წყითხვა ავტორის მხოლოდ არაბულ ენა-
ზე შეიძლოა“-ო. 19. გვ. 273.

ამგვარად: „დიონოსი“ ყოფილა თურმე არაბულ ლექს-
თა კრებული „დიენოსი“, ხოლო „ეზრა“ ყოფილა თურ-
მე „ცნობილი პოეტი ნიჟარმეტე საუკუნისა არაბულ
ენაზე მწერალი“.

ესრა რომ მეთორმეტე საუკუნეში არაბულ ენაზე მწე-
რალი იყო. — ეს შეზღუდვება არ არის ახალი, ოღონდ
პაველ ინგოროყვამ ამ შეზღუდვების წარმომადგენელი,
აქ იკადრე, მოესვენებინა და ეს ამბავი თავის „აღმო-
ჩენაში“ მოგვარებდა.

ღვთი კარიკაშვილმა უკვე 1903 წელს ი ავებისა და
განკვიმირტა უკუეთესად და უფრო სრულად, ვიდრე პა-
ველ ინგოროყვამ, თუ ვინ იყო ეს „ეზრა“.

„ეზრა იყო — ამბობდა დ. კარიკაშვილი — მეთორ-
მეტე საუკუნეში მბრძანლი, არაბულ ენაზე მწერალი
ფლოსოფოსი ისანიითაჲ. შეიძლება ის იუყუა აქ დი-
ონოსთან ერთად მოხსენებულ“-ო. 17). გვ. 271

როგორც ილიდ პასუხისმგებლობის გრძობით არის ეს
განმარტება დაწერილი: „შეიძლება ის იუყუა“-ო. რადგან
ცხადია, ამას დაბტკიცება სჭირდებოდა.

ღვთი კარიკაშვილის სათუო განმარტება, მის დასუ-
ხელებად, პაველ ინგოროყვამ გაიმეორა, მაგრამ იგი
შეაბოკლა: არც ეზრას ებრაულმა, ადარც ესანელობა!
პ. ინგოროყვამ გვითხრა მხოლოდ: ეზრა იყოო არაბულ
ენაზე მწერალი“. „არაბი პოეტი“ იყოო და სწოებით ეს
„ეზრა“ არისო ვტის შიარში მოხსენებული „ეზრას“!
ხოლო „დიონოსი“ ლექსთა კრებულ „დიენად“ გაასალა!
მკვლევარმა თავი არ შეიწუხა მკითხველისათვის ესწავ-
ლებინა, თუ ვინ იყო ეს ეზრა „აბაბი პოეტი“, საღარო
იყო იგი და რას სწერდა იგი. რით ემსჯიესებდა მისი
ნაწერი ვტის შიარს 177, და რაც მთავაზია, მაგალითებით
და შედარებით დადგენილებას ეს! სად, რომელ შიარ-
ში არის რუსთაველის მელანქოლიუზი სულეტი განწყუ-
ბილება, რაც „მათალა (რომ) საესებით ეთანხმება იზ-
რის ლირიულ დიენანის საერთო ტონს, და თითონ პო-
ეტის ბედთან“ ?!

ვეფხისტყაოსნის შიარში 177 აპეთიარი „მელანქო-
ლიუზი სულეტი განწყობილება“ არ არის და არც „სა-
მშობლოს ნატრა“, აქც „მელანქოლიურ მოგონებებს
სამშობლო ქუეყნის შესახებ“ იგი არ შეიცავს და არავით-
არი საერთო ჯამ შოთა რუსთაველის ცხოვრებასა და
ეზრას ცხოვრებას შორის არ ყოფილა, რადგან, ყოველ შე-
მთხვევაში, რუსთაველის ცხოვრების ამბავი სრულებით
არ ვიცით და მეტნეტულ კვლევას არ შეუძლია ფანტა-
ზიით დაკმაყოფილდეს.

აყად. პროფ. კორ. კაცელიმ გავაგრებულა მარდ. პ.
ინგოროყვას ამგვარი ზეზეულ მტკიცებას გამო.

„აქ ამბობს მკვლევარი (პ. ინგოროყვა), ლიბარია მე-
12 საუკუნის პოეტის ეზროს შესახებ“ (ვეფხისტყაოსნის
ბეჭდვით დადგენილი) (მდიენანი) ლირიული ლექ-
სებისა; ზადგან ეზრა თითონ ყარობი იყო, ამიტომ
მას შეეძლო ეთქვა, რომ საბრალოა ადამიანი, როცა ის
უსტეიოში ვადიხვეყება ვანდენვილი მის მამულდანი
(პ. ინგოროყვას რუსთველიანა, გვ. 298-299). აღნიშნული
სტროფი უწყება ასე: „ამ საქმესა მემოწმების დიონოსი
ბაძენი ეზროს“. ინგოროყვას კი ეს სიტყვები ვადიხვე-
თებია „ამ საქმესა მემოწმების მე მდიენანი ბრძენი ეზროს“
და ამის მიხედვით გამოტყებინა ვილაც ეზრო პოეტის ლე-
ქსთა კრებულ (დიენანი); მაგრამ ვადიხვეყება ამ სიტყვ-
ების ამინარად და არა მარტო ვადიხვეყება, არამედ ვა-
მოქუენება მისი ამ ვადიხვეყებულ სახით. პირდაპირ მე-
ტნეტული სყანდლია მას შემდეგ, რაც პროფ. ი. შანი-
ძემ ჯერ კიდევ 1924 წელს მოგვცა ეგვიპტელანდი შე-
სწორება ამ ადგილისა: „ამ საქმესა მემოწმების დიონო-
სი ბაძენისა ეზროს“ („ჩენი მეტნეტება“, იანვარი, ნომ.
8, გვ. 48-52), რომლითაც გამოიტყებლია ყველა დიო-
ნოსესა და ყარობი პოეტი ეზრო მისი „დიენანი“-ო. 20).
საწყობაროდ, აქც ვად. პროფ. ავაკი შანიძის შესწო-
რება არის გამართლებული და შესაწყნარებელი.

1941 წელს აყად. პროფ. შალვა ნუტუბიძემ თავი შე-
იყავა და ვადიხვეყით არ ბაძენისა: „ეზრას“ „არაბულ ენაზე
მწერალი“ ეზრა არისო; მან მხოლოდ ვითხრა, რომ ის
„უნდა იყუხო“ და აპკარო თქმით მან პასუხისმგებლო-
ბისაჲთ თავი დიაცვა წესიარა: —

„კრებულ „დიენოს“ („დიენანოს“, „დიონოს“) უნდა
იყოს ის, რომელიც მეთორმეტე საუკუნის დამდეგს, არა-
ბულ ენაზე მწერალი ეზრას უნდა ეკუთვნოდეს“-ო. 21.
ეს განმარტება აყად. პროფ. ნ. ნუტუბიძემ 1949 წელს
გამოცემულ ვტის იმავე რუსული თარგმანის ლექსიკონში
ასე ვადიხვეყით: — ეზრას — მეთორმეტე საუკუნის და-
მდეგის პოეტი, რომლის ლექსი არაბულ ენაზე შეკრე-
ბილ არიან სახელით „დიენოს“ („დენოს“, „დიონოს“).
22). გვ. 253.

ამგვარი განმარტების თარგმანად, აყად. პროფ. შალვა
ნუტუბიძემ, რასაკვირველია, ვტის შიარის 177-ს პირველი
სტროქონი შესწორა (რუსულ თარგმანში): —

ბაძენი ეზროს „დიონოს“-ში ჩვენ ვემოწმებ“-ო.
საერთოდ უნდა აღინიშნოს როგორც პაველ ინგოროყ-
ვის, ისე შალვა ნუტუბიძის და სხვათა საყურადღებოდაც,
რომ აქ არსებობს ამ შემთხვევაში სახელი ეზრას!

ასე და ამგვარად, მეთორმეტე საუკუნის დამდეგის არა-
ბულ ენაზე მწერალი ეზრასის ლექსები შეუკრებიან —
ამბობს აყად. პროფ. ნუტუბიძე — და ამ შეკრებულ ეზროს

ქსთა კრებულისათვის დაურქმევიათ „დიენოს“ („დივა-ნოს“, „დიონის“).

აი, მართლაც საოცარი ამბავი!

ევრ წარმომადგინა და დღეგრებელია, რომ ავად. პრაფ. შალვა ნუცუბიძემ არ იცოდეს, თუ რა არის კრებულის ლექსთა და რა ეწოდება მას! რომ არც სპარსულ, აქ არაბულ ენაზე არ არსებობს ლექსთა რომელიმე კრებული, რომელს „დიენოს“, „დიენანოს“, „დიონის“ ერქვას! რომ ლექსთა ყველა კრებულს ეწოდება „დიენან“ და ეს „დიენან“ არა ერთი ვინმე პოეტის ლექსთა კრებულს, არამედ საერთოდ პოეტის თითოეულ კრებულს უწევს.

სიტყვა „დიენან“ არის ირანულ = სპარსული (შეიძლება ასირული წარმოშობისაც) და იგი პირველად ნინუავე-და, სია, სუსხა, ჭვისტრი; იგივე ახრი აქვს მას ლიტერატურაშიც: ამომსავლეთის რომელიმე პოეტის „დიენან“ არისო ჭვესტრი, კრებული მის თხუზულემათა: შეიდა-რეთ გოეთეს „ამომსავლურ - დასავლური დიენანი“ — გვასწავლის საფრანგეთის ინსტიტუტის წევრი ანრი მას-სე, 23).

ასე; თუ 1941 წ. ავად. პრაფ. შალვა ნუცუბიძემ ძალიან ფრთხილად იკითხა: „ეზრა“ უნდა იყოსო მე-12 საუკუნის არაბულ ენაზე მწერალი. — სამაგიეროდ, 1949 წელს მტკიცედ ბრძანა: „ეზრა“ არისო მე-12 საუკუნის დასაწყისის მწერალი, რომლის არაბულ ენაზე დაწერილ ლექსთა კრებულს „დიენანოს“ („დიონის“) ეწოდებოდა! ხოლო 1965 წლის 12 მარტს კი მან უკვე დაიწყო ვინმე ვამოახვადა შედეგო:

„177. „ამ საქმესა შემოწმების დიონოსი ბრძენი ეზროს“

„ასე იწყება ავადმიოური კომისიის ტექსტის დასახლებული სტრაფი. მძიმე (.) სიტყვა „ბრძენი“ შემდეგ მარტოც ამძიმებს მდგომარეობას, აივად მას აკუთვნებს „დიონოსს“ — თითქოს ეს დიონოსი ავადპაველია. სინამდვილეში აქ ლაბარაკია ესპანეთში მცხოვრებ პარბ პოეტ ეზროს შესახებ. რომლის ლექსთა კრებულში — „დიენანოს“ ან „დიენოსში“ („ეგ-“ „იო-“) მოთავსებულია სამშობლოდან ბასამელინის და ძმის მომბაჰრებელ ძმებისათვის მიძღვნილი ლექსები“—ო.

მაგრამ იქნებ მართლა ვაკვირთ: ვინ ბრძანდებოდა ეს „საიდუმლო“, ჩვენთვის მერღვე „საკვირველია“, „არაბულ ენაზე მწერალი“. არაბი პოეტი, „ესპანეთში მცხოვრები“, „სამშობლოდან გასული“, „ძმის მომბაჰრებელ ძმებში“ გართლი. „მ.ლანქალოტი“ სულიერი განწყობილებაში „ეზროს“, „ეზროს“, „ეზრა“, „ეზრო“ და მისი „დიენანი“, მისი „დიენანოსი“. მისი „დიონოსი“? ვთხოვთ ვაკინოთ იგი!

იბნ ეზრა, მოსეს ბენ იაკობ

დასახლებული პირენეზა — ეზრა = ესრა — დაიბადა გრენადაში (ახლანდელი ესპანეთი) 1071 წელს და გარდა-

იცალა 1138 წელს. ეს ესპანელი ებრაელი იყო რელიგიურ თემაზე მწერალი პოეტი, პესიმისტურ ენთუზი. მის 220 ლექსიდან, რომელს მას აკუთვნებდნენ, უმეტესს შეტანილია სინაგოგის საახალწლო და სასტუმრო დღეობის საგალობლებში.

იბნ ეზრა, მოსეს ბენ იაკობის საერო ხასიათის დივიანი სამის ლექსს შეიცავს, რომელიც გუბ კიდევ, ესე იგი, 1914 წელს დაბეჭდილი არ იყო — როგორც ვკუთუნება გოტტჰეილ. იბნ ეზრას ეკუთვნის კიდევ მნიშვნელოვანი პოემა 1210 ლექსით და დაწერილია არაბული სტილით: მაჯამათი, მაგრამ ებრაულ ენაზე!

საერთოდ: ყველა მისი პოეტური ნაწარმოები დაწერილი არის ებრაულ ენაზე.

არაბულ ენაზე მას აქვს დაწერილი ისრაელით ისტორია. ისრაელი პოეზიის ისტორია — წიგნი ღირსშესანიშნავია — ამბობს გოტტჰეილ. იბნ ეზრას-ვე ეკუთვნის ფილოსოფიური თხუზულება: „არაფგატ ჰა-ბოსემ“, რომლის მხოლოდ ნაწილია დაბეჭდილი. (1914 წ.). 24) ეს ესპანელი ებრაელი, ანუ იქ დაბადებული და იქაური მცხოვრები, ფილოსოფოსი და პოეტი ეზრა, მოსეს ბენ იაკობ იყო „უმთავრესად რელიგიური ხასიათის მწერალი და ამას გარდა, პესიმისტურად განწყობილი“; აი, ეს „პესიმისტური“ პოეტი ეზრა გამოადგევობათ ეფხვისტა-ოსანის 177 შაირის შესაშორებელთ. მაგრამ ვა ეზრა? რომ მისი ლექსები მბრძანებულ ენაზე დაწერილია? იქნებ იმასაც გვეტყვიან: შოთა ჭსთაველმა ებრაული ენა იცოდდა დედანში წაიკითხაო იბნ ეზრას ლექსები! თუმცა რატომ არ უნდა ცოდნოდა ეს ენა?

იბნ ეზრა, აბრაჰამ ბენ მეირ

(ა ბ ე ნ ე ზ რ ა ა ვ ე ნ ა ა რ ს)

იბნ ეზრა, აბრაჰამ ბენ მეირ (აბენ ეზრა, აბენარჩი) იყო მბრძანებელი პოეტი, ფილოსოფოსი, გრამატიკოსი, ზინილის განმამარტებელი, მათემატიკოსი, ასტროლოგოსი, საერთოდ დიდად ცნობილი ებრაელი მეცნიერი შუა საუკუნეთა ვასწორი.

იბნ ეზრა დაიბადა ტოლედოში (ახლანდელი ესპანეთი) მეთერთმეტე საუკუნის დასასრულს და გარდაიცვალა 1167 წელს. თავის ცხოვრების პირველი ნაწილი იბნ ეზრამ ვაატარა თავის სამშობლო ტოლედოში, რომელიც მან დასტრვა 1140 წელს. სიკვდილამდე იგი მოვაზაურობდა, ესე იგი, გადადიოდა საცხოვრებლად ერთი ქვეყანიდან მეორეში და ამ ეჭით მან გაიწიო ჩრდილოეთი აფრიკა, იტალია, საფრანგეთი და ინგლისი.

იბნ ეზრა იყო ჭკვი მწერალი; მისი მოვაზაურობა მას არ ამაკლებდა მრავალ სხვა და სხვა საკითხზე თხუზულება და დაწერა. როგორც პოეტი — ამბობს გოტტჰეილ — იბნ ეზრა არის დიდადნი წარმოამდგენელი ესპან-

ნურ-ებრაელი პოეზისა. რომელიც ჩამოყალიბებული იყო არაბულის მიხედვით. მისი 150 რელიგიური ხასიათის პოემა, ლირია, დიდაქტიკა, შეტანილია სინაგოგის ლოცვანში: მისი დ ი ვ ა ნ ი შეიკავს 260 სხვა და სხვა ნაწერს, რომლის უმეტესსა საერო ხასიათისა არის. მისი დივანი პირველად დაბეჭდა, გერმანულ ენაზე გადათარგმნილი, 1885-6-94 წ. — 25).

ფილოსოფიაში იბნ ეზრას ეტყობა ნეოპლატონური და ნეოპიტაგორასული გავლენა: მან შეადგინა ებრაელი ენის გამარტივება არაბულის მავალითით და აგრეთვე ტერმინოლოგიური ლექსიკონი. იბნა ეზრა ცნობილია აგრეთვე როგორც ბიბლიის გამარჩეველ-განმარტებელი; მასვე ეკუთვნის მათემატიკური თხზულებანი, ნაწერნი ასტროლოგიაზე, ქარნოლოგია და ასტროლოგიაზე (რვა ნარკვევი ასტროლოგიისა).

იბნ ეზრას ვადაცვლებს წელიწადი ცნობილია — 1167 წ. მაგრამ სად აის იგი დასაფლავებული. დღემდე გამოუტყვევებელია — ამბოხს გოტტჰეილ, თუმცა მის საზარეს რომი და კალაპორა ჩემულობენო. 26).

დამატებითი ცნობები იბნ ეზრას შესახებ ესპანური ენციკლოპედიის მიხედვით: —

იბნ ეზრას ეწოდება — აბრაჰამ იუდაეუს. აბენაზე და ავენარა, შუა საუკუნეთა ნაწერებში. თვით ებრაელი მას ეძახდნენ — ზაქენი, დიდი, სათავანუნელი. იგი იყო პოეტი და მწიგნობარი. იმ სურვილით, რომ მტერი განთავსებდეს მიწელ, მან დასტრავა თავისი სამშობლო, ქალაქი ტოლედო (ესპანეთში) და იმოგზაურა იტალია, ეგვიპტე, საფრანგეთი. ინგლისში: პარიზთან ახლოს ცხოვრობდა დრეფტს-ში 1155—1157 წ.წ. ყველა ამ ქვეყანაში იგი ღრმა სწავლას მისდევდა თავის სპეციალურ დარგში, რაც იყო მისთვის ექვეყნის (ბიბლიის განმარტება), გრამატიკა, მათემატიკა, ასტრონომია, ფილოსოფია, მედიცინა, პოეზია... 27).

რასაკვირველია. ებრაულ ენციკლოპედიაში იბნ ეზრას — ესრას ცხოვრება და მოღვაწეობა უფრო დაწვრილებით აის მოთხოზობლი: —

ი ბ ნ ე ზ რ ა — სწავლული და მწერალი. იგი დიობდა 1092/93 წ.: გარდაიცვალა — 1167 წ. მის მამას ერქვა მერი და მისი ოჯახი შეიძლება იყო შტო იმ იბნ ეზრას ოჯახისა. რომელი იბნ ეზრა ეკუთვნოდა. მოსკის თავის პოემებში, იხსენიებს აბრაჰამ მისი არაბული სახელით: აბუ ისხაკ (იბრაჰიმ) იბნ ალ - მაჯიდი იბნ ეზრა. ერთად იუდაჲ პალეეს-სთან. მოსკის ცნობით. ორივე იყო ტოლედოლიან და შემდეგ ისინი დასახლდნენ კორდოვაში. ალბრეხტის კვლევის თანხმად, აბრაჰამ ბენ ეზრა დაიბადა ტოლედოში. იქიდან ემიგრაციის გამო მისი ცხოვრება იბნ ხანად განიყოფება. პირველსა და გრძელ ხანაში, რო-

მელიც ვაგრძელებს 1140 წლამდე, მან მოიპოვა თავის საშობლოში პოეტისა და მოაზროვნის სახელი. მისს ბენ ეზრა, რომელიც იყო მისი უახლოესი მეგობარი, ექცეს მისს. როგორც რელიგიურ ფილოსოფოსს (სინეტიკალიზმს) და როგორც ფრანგი მეცნიერს. — და უმარწმესი მისი თანამედროვე აბრაჰამ იბნ დაულ, თავისი ისტორიის დასასრულს უწოდებს მას: იგი იყო უკანასკნელი და კაცთაგან, რომელმან შექმნა სახელი, დიდება ესანაწერი იუდაიზმისა და განამტკიცა ხელი ისრაელისა ვალოზითა და სათანადო სიტყვითო.

პირველი ხანა იბნ ეზრას ცხოვრებისა: 1140 წლამდე:

თავის ცხოვრება ამ ხანაში იბნ ეზრას შემოქმედებითი ძალი მიმართულია პოეზიაზე; და უდიდესი რიცხვი მისი „რელიგიურ“ და სხვა პოემათა ალბათ ამ ხანაშია შექმნილი. იგი თავის თავს უწოდებს „პოეტი“ („პა-შარ“) ან „მამა ლეჟია“ და თავისი გოდებით გრძელ ლექსში იგი ამბობს: „ერთ ხანს ჩემ ახალგაზრდობაში მე გამოეთქვამდი ხოლმე სიმღერებს, რომლითაც ვამოკბდი ებრაელ სწავლებელს, ვით ყველის სამეფალით“ო. მაგრამ დაქტია, რომ იბნ ეზრა ესპანეთში ცხოვრებისას მისდევდა სერიოზულ სწავლას კოდნის სკოლად დარგში. სიდიდრე და ნაირობა მისი კოდნის შინაარსისა შეიძლება აიხსნას მისი ადრინდელი მრავალმხრივი სწავლით.

მისი მეგობრები. ესპანეთში მცხოვრებ ებრაელთა შორის უმესანისწავლესნი სწავლულნი იბნ ეზრას პირადი მეგობრები იყვნენ: თვით კორდოვაში, სადაც იგი მუდმივად ცხოვრობდა: იოსებ იბნ ძაღდი და განსაკუთრებით იუდაჲ პალეე. ეს უკანასკნელი იბნ ეზრაზე მხოლოდ რამდენიმე წლით იყო უფროსი... აქ იბნ ეზრა ბიბლიის განმარტებას სწერდა...

იბნ ეზრას უნდა ჰყოლიდა ხუთი შვილი. მაგრამ შერჩა მხოლოდ ისააკი, რომელმაც ესპანეთი დასტრავა დაახლოებით იმავე დროს, როგორც მამა-მისმა, 1143 წ. ბაღდადში მან, ამ ისააკმა შეთხზა ვალოზანი, ქებანი არაბ პიპეტ ალაჰ-ის პატივისცემისათვის.

ალბრეხტის გამოკვლევით. აბრაჰამ იბნ ეზრამ ესპანეთი დასტრავა შვილის, ისააკის შემდეგ, შეიძლება იმიტომ. რომ ამ შვილმა (ისააკმა) მოსკის სჯულისათვის და ისლამი აღიარა, და მამის წასვლას ის მიზანი ჰქონდა. რომ მოენახა შვილი და იგი მოსკის სჯულისათვის, იუდაიზმისათვის მოებრუნებინა და დაებრუნებინა. ისააკის გამაჰმადიანება მამისათვის შემაძრუნებელი იყო და შემდეგ თავისი ჩივილი მან გამოთქვა ორ ლექსში (ნომ. 203, 205 როსისი გამოცემისა). ალბრეხტი ამბობს, იბნ ეზრამ ესპანეთი დასტრავა 1137 წ. რადან მამამ შვილი მოსკის რწმენას ვეღარ დაუბრუნა, იგი წავიდა რომს 1140 წელს, სადაც მრავალი დავიდაბის შემდეგ, დასახლოდაო.

მეორე ხანა : 1140 წ. შემდეგ, მე-2 ხანში მისი ცხოვრებისა, უნდა წარმოიდგინოთ იბნ ეზრა მარტოხელად, რომელსაც ოჯახი აღაპ ჰყავს და ვით მოხეტიალედ დაუდევარ ცხოვრებას ეწევა. 1140 წელს არის სპანოლოთი თარიღი, რომელთაც მისი ცხოვრების მთავრ ხანა იწყება. ამ ხანში მან შეიხზა (რომში) რამოდენიმე წიგნი. ამ თარის და სხვასაც თვითონ იბნ ეზრა ვაცნობებს თავის შრომებში. იგი თავის თავზე ამბობს „ყოველეთ“ის კომენტარიის ლექსის შესავალი...“ იგი წაიწია და თავისი შრომები ადგილიდან, რომელიც არის ესპანეთში და მივიდა რომში“. მაგრამ ეს აადევრს ამტკიცებს იმ ვაჭადის წინააღმდეგ, რომ მან იმოგზაურა ჩრდილოეთ აფრიკაში და დავიპტერის (რომის) შესახებ არის გადამწვეტილი ცნობა), მისი ესპანეთის დატოვებიდან რომში მისვლამდე.

შეიძლება იბნ ეზრა იყო აფრიკაში იმავე დროს, როცა იუდაპ ჰალევი იქ იყო. სოლომონ იბნ პაპონის მოხსენება („მახბერეტ ჰე-არტუ“) მგონი უნდა ეხებოდეს მათ იმ ერთად ყოფნას, თუმცა მისი შენიშვნას შეიძლება სხვა მნიშვნელობაც ჰქონდეს. შესაძლებელია, მისმა მოგზაურობამ იგი მიიყვანა აღმოსავლეთში, როგორც ბევრი ფიქრობს: პალესტინაში და თვით პალდადშიც (კადმოციემის თანახმად: იგი ინდოეთსაც კი წასულა); მან შეწყვიტა თავისი დგომა იტალიაში და ცხოვრობდა მერმე პარკანს-ში.

იტალიაში ყოფნისას მან დასწერა მთელი რიგი ეგზეგეტიკის ბიბლიის შესახებ და გრამატიკა. იგი იმყოფებოდა რომში (1140წ.), ლუკაში (1145 წ.), მანტუაში (1145 - 46 წ.), ვერონაში (1146-47 წ.). რომში მას ჰყავდა მოწაფედ ბინაინე ბ. იობა, რომლის გულისათვის მან დასწერა იობის კომენტარიები. იბნ ეზრა გაემგზავრა პარკანსს 1155 წ. ადრე, შეჩერდა ქალაქ ბეზიერ-ში, სადაც მან დასწერა წიგნი ღმერთის სახელთა შესახებ. 1158 წ. იგი იმყოფებოდა ლონდონში. შემდეგ იგი მიბრუნდა პარკანსს, ცხოვრობდა ქალაქ ნარბონენ-ში და აწამბოდან თარგმნა ასტრონომიური შრომა და სხვა.

თავის ერთ ნაწარმოებში იგი ამბობს: „ცხოვრობდი აქ ვითარცა უცხოელი, ვწერდი წიგნებს, და ცოდნის საიდუმლოებანი გავამიღო“-ო. იგი არის ერთად ერთი მავალითი მოხეტიალედ სწავლულისა, რომელმაც განავითარა არაქველდებრივი მდიდარი ლიტერატურული მოღვაწეობა მისი მოხეტიალედ ყოფნაში, დამძიმებულ ვითარებათა შორის, და რომელმაც დასწერა ხანგრძლივი მნიშვნელობის შრომები-ო. თავისი ცხოვრება მას მიანიჭდა გაძევებული კაცის ცხოვრებად: თავისი თავს იგი ყოველთვის უწოდებდა ესპანელს („სეფარდი“) და თავის სიყვარულს სამშობლოსადმი იგი გრძობობიარედ გამოთქვამს ერთ თავის ელგიაში: მას აწუხებს ებრაელთა წინააღმდეგ დევნა და ჩამოთვლის ესპანეთისა და ჩრდილო აფ-

რიკის იმ ქალაქებს, სადაც მის თანამორწმუნეო აგროებენ და ამბობს ლევიტელთა მე-23 თავის გაჩივრებში: რომელიც გაძევებულია არაბული ქვეყნებიდან ედომის (ქრისტანთული ევროპის) ქვეყნებში. იგი ამბობს: „ყოველ აქვს მას თვალბედი, ამ მცენებს მნიშვნელობასა“.

მისი ამოცანა. გაძევებაში მოხეტიალედ ცხოვრებამ, დაახლოებით სამი ათეული წელიწადის მანძილზე, მას მისცა შეიმთავრა აღსრულებადი იმისა, რომელიც მნიშვნელოვანად ისტორიული იყო: იგი გახდა ქრისტიანული ევროპის ებრაელთა შორის, რომელთაც არაბული არ იცოდნენ, მჭადავებელი იუდაიზმის მეცნიერებისა... იბნ ეზრას ლექსების (რიცხვით 260) „იდიანი“ გამოცემა დრ. იაკობ ეგერს-მა, ერაზმუსის ხელნაწერის მიხედვით...

აღ-ხარისხ ამბობს, იბნ ეზრას ლექსების შესახებ — იბნ ეზრას ლექსები ვეგვირების გაქირავების ვაჟს და მოგვილენს გამაჰადილედელ წვიმას გვავლის დროს-ო. ცუნც კი ამბობს — მისი პოეზია არ იყოო მისი მოქმედების განსაკუთრებული გეზი. რიცხვი და ზომა ბწყყინავს მის ლექსში და ანათებს აზრი მის სიტყვათა. — მაგრამ მას არ აქვსო სურათთა წარმოსახვის უნარი.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ არაბულ ენაზე არც ერთი მისი შრომა არ შეიხაზულა. თუმცა მან ზედმიწევნით იცოდდა ეს ენა. ასეთი არის თვევადსავალი იბნ ეზრასი ებრაული ენციკლოპედიის თანახმად. (28).

აქ ვაღიზობიო ორი ეზრას ვარდა, კიდევ არის სხვა და სხვა ეზრას. თვით ამ უცანასეწლი ეზრას შვილი, პოეტო, გამამჰადინებელი იბნ ეზრა, ისაყ (აბუ სად); მეთორმეტე საუკუნის იბნ ეზრა, იუდაპ (გრანადელი, ესპანეთში); იბნ ეზრა, მოსეს ბენ იაკობ ჰა-სალაპ (აბუ ჰარუნ მუსა) — ფილოსოფოსი, პოეტო, ლინგვისტი. (იქვე, 28). ვინაც სურს, დაე, შეისწავლოს მათი ცხოვრება და მოქალაქეობა!



აი, ბატონო ჩემო, ეს ორი ეზრა! პირველი ეზრა არის ებრაულ ენაზე მწერალი პოეტო-ფილოსოფოსი. იგი ეფენისტოპასიანის „ეზრ(ს)“-ათვის ჩვენ მკვლევარებს სრულებით არ გამოადგებათ.

მეორე იბნ ეზრა — ყოველ მხრივ განათლებული კაცი — პოეტო, ფილოსოფოსი... და სხვა. იგი თურმე სამშობლოდან არავის არ გაუძევებია! მას თურმე ქალაქი ტრულედო, კორდოვა თავისი ნებით დატოვებია! იგი თურმე უცხოეთის წასულა: 1) ცოდნის ვასალმადიველად, 2) თავისი შვილის მისარჯღლებლად. მას თურმე არავითარი მძა არ უძენია (როგორც გვეუბნება აკად. პროფ. შალვა ნუცუბიძე). არც ერთ ბიოგრაფიულ ცნებაში მისი მძა არასდ ჩანს; თუ იგი პესიმისტი; თუ მისი „იდიანი შეიკავს მელანქოლიურ მოგონებებს სამშობლო ქვეყნის შესახებ“ — როგორც გვეუბნება პროფ. პაველ ინგოროყვა

— თუ მის „დივან“-ში, ლექსთა კრებულში „მოთავის-
ბუღია სამშობლოდან ვასლისათვის და ძმის მომაპეზ-
რებელ ძებნისათვის მიძღვნილი ლექსები“ — როვორც
გვასწავლის აკად. პიოტე. შალვა ნუტუბიძე 1965 წელს,
12 მარტს — 29) ეს და სხვა რამეც უნდა გამოირკვეს
სწორეთ იბნ ეზრას დივანის გაცნობით.

იბნ ეზრას დივანი

აი იბნ ეზრას წიგნი: 30).

აბრამი იბნ ეზრას დივანის პირველ ნაწილში
ნათქვამია ლექსი სხვა და სხვა საკითხზე, და კერძოდ:
ლოცვებზე: მეორე ნაწილი დივანის შედგენა ხოტბათა-
გან, რაც ასტრონომიულ და ფილოსოფიურ საკითხებს
ეხება: აქ არიან დაბეჭდვლი: ქებანი, თიოსაფიური, ასტ-
რონომიული და ფილოსოფიური ლექსები.

მეორე თავი: სამგლოვიარო ლექსები (გოდებანი) და
ელეგიათა ისრაელთა სამეფოს დანგრევის გამო და ებრაე-
ელთა სხვა და სხვა ქვეყანაში გაბნევის, შეხიზნის შესა-
ხებ, მტრთა გამაჯვრებაზე და იმედებზე, რასაც წინას-
წარმეტყველები მოსეს მიმდევართ აღუთქვამდნენ.

დივანის მესამე თავი: გოდებათა ლექსნი, რომელნიც
ისრაელთა სამეფოს დაშობას და ტაძარის დანგრევის
დატარებან. აქ არის აგრეთვე მოთქმა პალეგში და ანდა-
ლუსიაში მოსეს სარწმუნოების აღიარებელთა შეიწრო-
ებისა გამო.

დივანის მეოთხე, მესამე, მეექვსე თავი: სხვა და სხვა
შეიტხივეთის გამო დაწერილი ლექსები; აქვეა ლექსები ათი
სენის შესახებ.

მესამე თავშია კიდევ: სიყვარულისა და ხოტბათა ლე-
ქსები.

მეექვსე თავში: მონანიებათა ლექსები.

მეშვიდე თავი: მკვდათა გამოტყობილი, ენკობია და
ნანია, მარადი ჯილდოსა და სასჯელისა გამო.

მერვე თავი: სასჯელისა და მონანიების ლექსები. ტო-
ხენა მოსეს ხუთი წიგნის შესახებ.

მესამე ნაწილი დივანისა. პირველ თავში: „მარად არის
უფალი ჩენი“, „ვინ შეგადრება შენი?“ (დაწერილია მტრ-
რულად და რითმებით); მეორე თავი: კერპობითი (ანუ შე-
რიგების დღე); დაწერილია ვით პირველი. მესამე თავი:
ეპისტოლიენი, რომელნიც ალღეგორიულად სამ მსოფლი-
ოს განიხილვენ (დაწერილი უმეტრად, მაგრამ რიო-
მით). მეოთხე თავი: არამეტრული, ურითმო ლექსები და
მათ შორის მონანიებისა მთელი თხუთსულემა არის ებრა-
ულ ენაზე. და გამოქვეყნებულია ეს დივანი იაკო ვეგრის-
სი და მისი წყობილება ენის უკიდინარობის გამო არ
შემქმლი. მაგრამ არსებობს, რასაკვირველია, ვერმანულ
ენაზე შესრულებული თავგმანი იბნ ეზრას „დივანისა“. ეს
არის: — 31).

და აი, შეგვდები დრ. დავით ჩოხენის მიერ გერმანუ-
ლად ნათარგმნ „ესას“ = „ეზრას“ ნაწარმოებთა კითხ-
ვას, რათა გამოირკვეთ ვეფხისტყაოსნის, 177, მკრითან
ჩომელიძე მისი ლექსის ნათესავობა. შეგვდები მისი რა
ენახე: —

პირველ ლექსშივე, კოპოლეტის განმარტებისას, მესა-
სტროფში ეზრას ნათქვამი აქვს —

3. რათა გაიშქოს მან თავისი ღამე,
მას უშიშარი გზა და გუშავობა ექნეს,

მას, ვისაც ვაფუხუნდა ყმაწვილობის შეწენდა,

იმ ხესავით, რომელს აკლია სიგრილო,

4. მოშორებულს სამშობლოდან,

რომელიც მან ესპანეთში იპოვნა, —

გუშავრობით პირი იბრუნა რომისაყენ,

მეზება გაფუქებულმა და შეშინებულმა. (გვერდი 6).

იბნ ეზრას, ეზრავლს, თავისი სამშობლო ესპანეთში
უპოვნია — ტოლელში დაიბადა იგი. მერმ მას მოშო-
რება, უმოგზაურნია და შეწინებულს ქალაქ რომისაყენ
მიუძვარიათ ვეხი. ლექსი 22: —

მოუწოდებ, ღმერთო ცხოველო, შენ:

შეწიფე ბენ ესას, უბედურ კაცს,

რომლის სული უსუბოეთში გაძევებს დამორჩილებია.

იგი მოეღოს წყალობას შენსას... (გვ. 87).

აქ არის ჩივილი და ტირილი ებრაელი კაცისა, რომელ-
საც თავისი სასუთარი სამშობლო არა აქვს, გაძევებულია
პალესტინიდან, დამორჩილებულია ბედს და მხოლოდ წყა-
ლობას ღმერთისას მოეღოს.

შესანიშნავნი არიან იბნ ეზრას გოდებანი და მოთქმანი
— ისინი დაწერილი არიან იმ დროს, როცა მისმა შვილ-
მა ისაკამ მოსეს სჯული ვაგლი და მამამადის სჯულს
შეუღდა. ამის გამო მოთქვამს და გოდებს მამა, იბნ ეზრა.

„ჩივილი და ბრალდება“ ღმერთს შესამწევია თავისი გუ-
ლის წყობით ბედის მიმართ; ზეტიალი, ყველაზე ცალო-
ბა და დატკაობა სენისა და გენებისა, — ახლა კი —

და ახლა კი, მხნე სირბილის შემდეგ დაეცემა,

მაშას გავეყარ, — ვინ აღმოპყრობს ხელს,

თუ არა ღმერთი, რომელს აღვუტევენ

ლოცვებს გულის პრილობიდან! (გვ. 88).

აქ არის მოთქმა უბედობაზე და იგი შეილის დაკარგვის

შემდეგ შევლას მხოლოდ ღმერთისაგან მოეღოს.

ხომ შეუღლია აქ ვინმე ბრძანოს: შეხედეთ! იბნ ეზრას

შოთა რუსთაველზე გაეღენა მოუღენიანო?! მაშ, ახა გა-

იხსენეთ ვეფხისტყაოსანის ლექსი —

ვა, სოფელი რაზიგან ხარ, რას დეგარუნებვ რა ზნე

გვირისა!..

... მაგრა ღმერთი არ გასწიარავს კაცსა, შენგან ვანა-

წიარსა (951).

იბნ ეზრას შევლას მხოლოდ ღმერთზე, რადგან: —

ესა და უწმარობა და ქარაფუტობა ზელი-ზელ



კოდნის სილატაკესთან შეკავშირებულ არიან. გაძევებულით შორის გაძევებულ ვართ ჩვენ და ვეცხვებით მაჰად დღეამიწაზე... (გვ. 90).
 აქ სიტყვა ეხება მთელ ებრაელობას, ისრაელთა მთელ მოდემას, რომელმაც ისტორიულ მოვლენათა გამო დაჰყარა თავისი სახელმწიფო და მთელ მაჰინდელ მსოფლიოში ვაიფანტა. — „დიასპოა“ არის ბერძნული სიტყვა და ნიშნავს „ვაღანტება“. ეწოდება აგრეთვე იმ ადგილებს, სადაც შეხიზნული ებრაელები ცხოვრობდნენ.

პალესტინის ვარეთ, ისრაელთა პირველი დიასპორა იყო ასირიელთა, ბაბილონელთა დიდი დაპყრობით და ებრაელი ხალხის ტყვედ წყვანით: მიოზე დიდი დაპყრობა რომაელთა მიერ 70 წელს ქრისტეს შემდეგ; შემდეგ, მეშვიდე საუკუნეში, არაბთა დაპყრობანი, დაპყრობანი და გაფანტვა ებრაელთა; მე11-12 საუკ. ჯგეროსანთა ომები. ამ ომთა შემდეგი იყო დიდი გასვლა და გაფანტვა, დიასპორა ებრაელთა. ასეთი დიასპორა ჰქონდა ისრაელელებს ესპანეთშიც (მეთექვსმეტე საუკუნემდე). პოეტი იბნ ესრა ამ გაფანტულ, მიხეტალე, სამშობლოდან გაძევებულ ებრაელებს დატარის, მათ ბედზე მოთქვამს და გოდებს.

გავიგონიათ ჭუსული ცნება „ვეჩნი ეიდ“, ანუ ღმარადი ებრაელი, რომელმაც არ იცის თავისი წიწვილისა და ხეტიალის დასასაღული; და აქც ერგება მას მოსვენება ქვეყანის დასარღამდე! პირველი მწერლობითი საბუთი ამ თქმულებაზე, ევრაჰიში, ჩნდება მეცამეტე საუკუნეში და ამ „ვეჩნი ეიდს“ ეწოდებოდა: „დასავერუსი“.

რა კავშირი უნდა ჰქონდეს ამგვარი ხასიათის, ამნაირი შინაარსის ლექსი ვეტის შიორთან 177?!

შეყვარებულთან, სატყუოსთან მოშორებისას იბნ ესრა ჩივის: —

მოკიდეთ ხელი, ამხანაგებო!
 დეიძლი სულ დამეწვა!
 რადგან უყენება — ქურციკი გადაამეყარვა.
 მწავერ ცრემლები, ახ!
 თვალთვან ცეარის შვაგასად
 მოუსვენებლად პირს ერთვიან... (გვ. 110).

შვილის ისაიკის წასვლის გამო გამოკრილო: —
 წვიდა შორს, ჩემი თვალის გუჯა უძილთა ღამით
 და ბრმა ტირილით მის დაკარგვის ვაჟი (გვ. 111).
 მოთქმა აის აგრეთვე ნატერა ნახვა-შეხვედრისათვის: ახლა დაივლიდება ვული ჩემი, თუ მივიგონებ... (გვ.114).

ბეჯითად წაიციოთ ეს იბნ ასრას დივანი, რომელიც თავდება სახუმარო ლექსებით, დსალმუნის განმარტებებით. ქუქის დამარჯებელი შიორებით, საკუდრაო ლექსებით, ლექსად დაწერილი კალენდარით და სხვა. შემდეგ ამას მოსდევს ჭელიჯური პოეზია, ანუ რელიჯიუზ-ფი-

ლოსოფიური მსოფლანახილვა. და აქ სხვადასხვა შიორის ნათქვამი: —

ერთხელ დაეტოვე მე ჩემი სახელი, ჩემსულში გამოვედი ჩემი სამკვიდრებელნი, მივატოვე სამშობლო ადგილი, ოჯახი და ხალხი და წაესეტალიდი. წირომით შემომიერთდნენ მე ძმები და დამადვინეს მე ეყნისს მუხურედ, მე აკ ვაიფმზავარე შიორად...

აქ არის შთაგმნელის შინაშენა: ნავულისსმეგია უყვადვი სულის ჩამოსვლა იმნი ციორი ანგელოზური სამშობლოდან, ათა დედამიწისა და ადამიანის გვამის ვარნობადობის წინაშე იმსახუროსო.

ამ მოგსაუბრობისას იგი წახვდება ბძენდ მოხუცს, რომელიც მას კჟესას ასწავლის და მთელი მსოფლიოს წესსა და წაუბრლებას განმარტავს (გვ. 176) და აქ იწყება მსოფლიოსთან გაცნობა: —

1. მიწა, ვით საღვჯი ადამიანისა; ა) განსაკუთრებით ადამიანთა. ბ) ცხოველთა (ადამიანის გამოკლებით). გ) მცენარეთა, დ) მინერალთა. 2. წყალი, ვით შიორე ელემენტური სფერო; 3. ჰაერი, ვით მესამე ელემენტური სფერო; 4) ცეცხლი, ვით მეოთხე ელემენტური სფერო (ანუ ოთხნი ელემენტნი, ანუ ასონი, კეშირნი, სება). 5. ვარსკვლავიანი რვა სფერო (ათა): ა). მიწის სფერო, ბ). მერკურისისა (ოტბარის სფერო, გ). ვენუსისა (სასპირიზისა), დ). მზისა (შამსისა), ე). მარსისა (მარისისა), ვ. იუპიტერისა (ტეშთარისა), ზ). სატურნუს = კრონოსისა (ზულისა). თ). უძრავ ვარსკვლავთა სფერო; 6. მეცხრე უვარსკვლავო ვარგმოცულობის სფერო; 7. მსოფლიო ანგელოზთა და ადამიანის სულთა სფერო; 8. ღმერთი დაუსრულებელი და ზუსათა მსოფლიორი...

აშას მოსდეს ტაქტატი „მინშაჰ“ — მწემონეი ლექსი, გამოცანები, ანბანზე დაწოლილი, ლექსად დაწერილი საკუდრაო ამოცანები და სხვა.

საკითხის გარკვევისათვის

ჩვენ გავიციანით იბნ ეზრას ყველა ის ლექსი, რომელიც ცოტაოდენ ვარგენულად მიიქც ახლოს უდგება ეფესოს ტყუასანის 177 შიორს და სრულად მიუდგომილად უნდა აღვიარო, რომ არც ერთ ლექსს არავითარი დამოკიდებულება აზა აქვს ეფესოსტყუასანის შიორთან 177!

იბნ ეზრა წასულთა ესპანეთიდან, სადაც იგი დაბადებულა და უმოგზაურნია მას სხვა და სხვა ქვეყანაში, ერთი ბიოგრაფიის მიხედვით: წაწავის ვარგმავების მიზნით, და აი, მას დაუწერიო იმ ხასიათის ნაღვლიანი ლექსები, რომლებ ჩვენ აქ გვაეცნაით. მას აწუხებს „მოშორება სამშობლოდან“, „მიტოვება სამკვიდრებლისა“. გაცილებით უფრო ძლიერია სევდა, გოდება და მოთქმა

იმის გამო, რომ მოსეს სჯელის ხალხი პალესტინიდან გაძევებული არის და მთელ მსოფლიოში დახეტიალებს — ეს არის მოტივი „უფიე ეზრან“-ისა, „ვეინი „ეილ“-ისა, და ამ მოტივს. თავის თვალ ქცადა. არაერთაო კავშირი ეფეხისტკაოსანის რომელიმე შაირთან არა აქვს.

ეფეხისტკაოსანის მე-177 შაირში ლაპარაკიც კი არ არის სამშობლოს დატოვებაზე, თუ მიტოვებაზე; იქ ძალიან გარკვეულად და ცხადად არის ნათქვამი: —

ივი სიდევი ვალარბიდეს, სამყოფთავან იაბეროს (177).
იგი—ავთანდილი სადღაც ვალარბიებულია, ანუ: მოგზაურობს. იმყოფება უცნაოდ ადგილებში და უცხეს ტარიელს. და იქ. სადაც იმყოფება და სადაც ტარიელს ვერ ნახულობს, იმ ადგილით შეწყუბებულია. თავმობერებულად არისო.

„სამყოფთავან“ სრულებითაც არ ნიშნავს — „სამშობლო“, „სამყვირებელი“, „სახლი“. იგი სიტყვა ნახშირია მრავლობითი რიცხვით: „სამყოფთავან“. რაც არ უდრის იდეას „სამშობლო“. ცხადია. „სამყოფთავან“ ნიშნავს იმ ადგილებს, ქვეყნებს, სადაც ავთანდილი მიდის ხოლმე მოგზაურობის დროს და რადგან რომელიმე სამყოფში ყოფნისას ტარიელის კვალს ვერ მიაგნებს, ამიტომ ამ რომელიმე სამყოფიდან შეწყუბებული არის. ეს არის და ეს! ასე რაჟი შინაარსის მხრივ, იმ ეზრას ლექსებს ეფეხისტკაოსანის შაირთან 177 მართლაც არა აქვს კავშირი და არ შეიძლება ის დებულება გავიხარაო. თითქო „ამ საქმესა იმყოფებების დიონოსი (.) ბრძენი(.) ეზრას“ — დიონოსის იყის დიუნოსი და ეზრასი კი — იმ ეზრა!

ასეთი არის არსებითი მხარე. გარეგნულად საკითხი რომ განვიხილოთ, ვითარება ასეთი შეიქმნება: —

იმ ეზრა ცხოვრობდა 1029 — 1167 წელთა მანძილზე. მან დასტოვა ტოლედო, კორდოვა, ესპანეთი და მოგზაურობდა; იგი თავის თავს ვამეფებულად რაცხავდა. როგორც ყოველ ეზრელს; სამშობლოდან სიყვარული მას დიდ ქმნიდა; ამიტომ მას იოგონება და მას უცხოეთში სევდით იხსენებდა; ამიტომ ნალღლიან ლექსებას სწერდა. მაშინ არც ვახეთი, არც კრებული, არც რადიო ხომ არ არსებობდა, რომ მისი ლექსები, იტალიაში, თუ სავრანგეთში დაწერილი: ან თუ გსურთ, ეკვიპტეში, ან ინგლის-

ში, შოთას თვალამდე. ან სმენამდე მისულიყო! შეიძლება ვინმემ ბაძინოს, რუსთაველმა წაიკითხა იმ ეზრას! „დიონოსი“-ო! მაგრამ არსებობდა მაშინ იმ ეზრას დიონოსი? იტის ეს ვინმემ?!
სტეფანოვი

იმ ეზრა — ეზრა-ს გერმანულად მთარგმნელი თვით წიგნის სათაურშივე გვეუბნება: პირველად იბეჭდება იმ ეზრას დიონოსი ერთად-ერთი, მხოლოდ ხელნაწერის მიხედვითო! იქნებ ისიც ბრძანონ: ალბათ ბევრი დიონოსი იქნებოდა და მხოლოდ ერთი გადარჩენილია! მაშ. ასეთი შეხედულების პატრონმა ის უნდა დამტკიცოს, რომ მე-12 საუკუნეში იმ ეზრას არა ეცით და ორი დიონოსი არსებობდა და შოთასაც წაუკითხავს!

ეფეხისტკაოსანის მე-177 შაირში — ყველ ხელნაწერის თანახმად — არის სიტყვა „ეზრა(ს)“; არც ერთ ხელნაწერში არ არის სიტყვა „ეზრაბ“; ან „ეზრბ“. ეს ძალიან მძიმე საბუთია. მაგრამ ცნობა მკვლევარნი მის ტექსტს მაინც და მაინც დიდ ანგარიშს არ უწყვენ და მავანი და მავანი თვითნებურად, თავისებურად შესწორებას ხელს მიჰყოფს ხოლმე! — სამწუხაროდ!

იგივე ამბავი დაატყდა თავს სიტყვას „დიონოსი, რომელიც ხელნაწერებშიაც სხვა და სხვა ნაირად არის წარმოდგენილი. ოღონდ სახელს — „დიონოსი“ — მაინც არ სცილდება. მაგრამ მკვლევარებმა იგი გადააკეთეს და მას შინაარსი გამოუცვალეს: დიონოსი ვახდა „დიავნოს“ — „დაილნოსი“; გარდაიქცა „დიონანად“ — ლექსთა კრებულად. და რაც მთავარია, — ამგვარი დოსტაქრობით არაფერი დამაწმუნებულად არ გაიჩრკვა. სამაგიეროდ კი — შეხედული სადავო და თავსატეხი საკითხი გამოტყვრა!

მაშ რა ექმნათ? რა უყუთ ამ შაირს 177-ს? — ჯერჯერობით ეს შაირი ასე უნდა დარჩეს, როგორც დღემდე იყო. — მისი ჩვეულებრივი განმარტებით, მაგრამ კვლევა უნდა ვაპრძიდდეს და იქნებ ვინმეს გაუღიბოს ბედმა და ეს მძიმე ამოცანა უეჭველობით ამოხსნას.

ეს წერილი დაწერილია 1960 წლის აკვისტოში; შეცხებულია მაისში 1965 წ.

- 1). ეფეხისტკაოსანის ხელნაწერთა ვარიანტები. ნაკვეთი პირველი. თბლ. 1960. გვ. 120.
- 2). პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონოსე ანკოპაველი) შრომები. ეფრემ მცირის ნათარგმნი... გამოსცა სამსონ ენტაქშილიძე. თბლ. 1961. გვ. 018, 019, 030, 5.
- 3). სიმ. ყაუხჩიშვილი — ხრონოლოგიური გოგრივი მონაზონისა. თბლ. 1920. გვ. 14, 22, 182-3, 241 და სხვა.
- 4). შოთა რუსთაველი — ეფეხისტკაოსანი. ვახტანგი სელივი გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ, თბლ. 1937. გვერდი ტივ:

- 5) Dante — La Divine Comédie, traduction, préface, notes et commentaires, par Henri Longnon. Nouvelle édition. Paris, 1956.
- 6). თეიმურაზ ბაგრატიონი — განმარტება პოემა ეფესტის ტკაოსანისა: გაიოზ იმედლიშვილის რედაქციით. თბლ 1960. გვ. 31-32.
- 7). შოთა რუსთაველის ეფეხისტკაოსანი, გამოცემული დავით კარიკაშვილის მიერ. თბლ. 1903. გვ. 271.
- 8) Dictionario enciclopedico Hispano-Americana. Barcelona, 1912. T. VII, pp. 682-3.

- 9). „მოამბე“, 1896 წ. წიგნი მეათე. გვ. 12.
- 10). „ჩვენი მეცნიერება“. თბლ. 1924 წ. ნომ. 8. 48-52. 10.ა.). გაიოზ იმდაშვილი რუსთველოლოგიური ლიტერატურა 1712 — 1956 წლები. თბლ. 1957. გვ. 393.
- 11). ჟ. კეკელიძე — ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. თბლ. 1924 წ. წიგნი მე-2. გვ. 105.
- 12). სარგის კაკაბაძე — ვეფხისტყაოსანის საკითხის გარშემო. „მნათობი“. თბლ. 1927 წ. ნომ. 11-12. გვ. 262.
- 13) F. Vigouroux — Dictionnaire de la Bible. Paris, 1899. Tome II, pp. 1933, 1943.
- 14) Prof. E. Kautsch — Die Apokryphen und Pseudepigraphen des Alten Testaments. Tuebingen, 1900. Erster Band : Die Apokryphen des Alten Testaments. I : Das dritte Buch Esra.
- 15) Dictionnaire de la Bible. Supplément publié sous la direction de Prof. Louis Pirot. Paris, 1928. Tome I, p. 411. Tome II, p. 1107.
- The Jewish Encyclopedia. New York, 1913, volume V, p. 322.
- I. Hastings — A Dictionary of the Bible. Edinburgh, 1898. Vol. I, p. 758.
- 16) Lirc. Dr Bruno Violet — Die Esra-Apokalypse (IV. Esra). Leipzig, 1910. § 21. Seite XLI - III.
- 17). ვეფხისტყაოსანის მეცხრამეტე გამოცემა, დავით კარიჭაშვილის წინასიტყვაობითა და თანდართული შენიშვნებით. თბლ. 1903. გვ. 271.
- 18). პავლე ივაროზუა — რუსთველიანა. თბლ. 1926. გვ. 267.
- 19). ქართველი მწერლები — შოთა რუსთაველს. თბლ. 1937. გვ. 286.
- 20). კ. კეკელიძე — „რუსთველიანა“. „მნათობი“, ნომ. 2. თბლ. 1927. გვ. 195-6.
- 21). შოტა რუსთაველი — ვიტაზ ვ ტრიკოვიჩი წუთ-რე. პეტერვოდ შ. ნუტუბილდზე. რედაქცია სერგეი ვარო-დეკოვო. მოსკვა. 1941.
- 22). ვეფხისტყაოსანის რუსული თარგმანების შესახებ. თბლ. 1949. გვ. 253.
- 23) Henri Massé — Anthologie persane. Paris, 1950, p. 6.
- 24) Richard Gottheil — Ibn Ezra in Hastings Encyclopaedia of Religion and Ethics. New York 1914. Vol. VII, pp. 67-68.
- 25) Jacob Egers — Diwan des Abraham ibn Ezra. Berlin, 1886.
- David Rosin — Reime und Gedichte des Abraham ibn Ezra. Breslau, 1858-1894.
- 26) Richard Gottheil — Ibn Ezra in Hastings Encyclopaedia of Religion and Ethics. New York, 1914. Vol. VII, pp. 67-68.
- 27) Enciclopedia Hispano-Americana. Barcelona, Tome I, p. 369.
- 28) The Jewish Encyclopedia. New York and London.
- 29). პროფ. შ. ნუტუბიძის წერილი — „ლიტერატურული საქართველო“. 1965 წ. 12 მარტისა.
- 30) Diwan des Abraham ibn Ezra mit seiner Allegorie Hai ben Mekiz. Zum ersten Male aus der einzigen Handschrift, mit erläuternden Anmerkungen herausgegeben von Dr. Jacob Egers. Berlin, 1886.
- 31) Reime und Gedichte des Abraham ibn Ezra, gesichtet und gesammelt, übersetzt und erläutert von Dr. David Rosin. Breslau, 1858-1891.
- 32). ქრისტინე შარაშიძე — პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722). თბილისი, გვ. 147-8.

ხით კახანა ზვოცდი ლოგსა

ჩემ ნაწკვევში : „ვეფხისტყაოსანის ბუნებისმეტყველება“ (წიგნში: „ცტის ვარსკვლავთმეტყველება“. დამატება: „ბუნების მეთველება“, გვერდი 191 - 237) კატის საკითხის შეეხებ და დავადგინე: — ვეფხისტყაოსანის „კატა“ არ არის არც შინაური კატა და არც გარეული კატა. ვეფხისტყაოსანში მოხსენებული „კატა“ არის არაბული სიტყვა „კატა“, რომელი საზელოთაც უდაბნოს ქათამი. კაკაბაძის ერთი ჯიშო იწოდება-მეთქი. ამის დასამტკიცებლად. მგონია, საკმარისი საბუთები მოვართვით. მაგრამ დღეს დამატებით კიდევ, ზედმეტი საბუთი მსურს შემოვთავაზოთ.

კატა (არაბული სახელი) არის ფრინველი ტეტრაონიდული, ანუ დურაჯთა ოჯახისა: კატები დაფრინდები ვცნდ-გუნდად და მათ იციან, თუ უღაბნო ზი სად იშვებება წყალი, თუ ვინდ შოასაც იყოს იგი. ისინი ყვირიან ხმით —

„კვატ“. „კვატა“ და ამ ძახილის მიხედვით დავრქვით მათ სახელი: „კატა“.

ეს ძახილი ფრინველისა „კატ, კატ“ ხომ არ გავონებთ ქართულ სახელს „კვატა“-ს? ეს ხომ იხეს ჰქვია!

მაირ ეწოდება მონადირეს იმ ფრინველთა, რომელთაც ჰქვიათ „კატა“.

მაჩივარ არის დედალი „კატის“ სახელი. 1).



იბე ჰაზი — ცნობილი არაბი მწერალი ესპანეთიდან, მათი საუკუნეში — თავისი ერთი ლექსით, როცა იგი სიყვარულის გაუმეაღწევლობისა და სიჩუმის საკითხის განიხილავს, იხსენებს ჩვენთვის საინტერესო ფრინველს: კატას —

ცრემლი ნაზი შეყვარებულისა იღვრებიან და ისე იხევა სიყვარულის პირბადე.

გული არის, ოდეს იგი (სატყუო) გამოჩნდება, ვით კატა, რომელს ბაღე შეიპყროს. 2).

მოჰამმედ ბენ მოჰამმედ კალზინი (ყაზვინელი) კატის შესახებ მოგვითხრობს: —

კატა (76). ეს ფრინველი, კარგად ცნობილი, წოდებული არის ასე მისი ძახილის გამო. ანდაზად ითქვამს: „უფრო გულწრფელი ვით თვით კატა“. იგი თავის კეცტებში სდებს უღაბანოში; მათ იგი მიატოვებს რამოდენიმე დღით და მერმე მიუბრუნდება. და ამან გამოიწვია შემდეგი ანდაზა: „იგი ვხან უკეთესად გაიგნებს, ვიდრე თვით კატა“. კატა მღვიძარია მთელ ღამეს და ფრინავს დიდ გზებზე, რათა მოგზაურნი გაიცინოს, მისდევს მათ. კატა თავის ბუდეს იკეთებს სილაში, ბალახებში და ვასაკიკრველი შენობით. ამ კატის ბუდის სიმკირვე მინიმუმით წინასწარმეტყველს (მამამდა) უთქვამს — ვინც დობობს ალუშენებს სალოკავს, განა არ იქნება უფრო დიდი, ვიდრე ბუდი კატისა?! და დნერთი (ალლაჰ) მას სამოთხეში სასალეს აუფებსო!.. 3).

ამ კატის შესახებ შენიშვნაში (76) ნათქვამია:

კატა არის ტეტრაო ალბა (კატა), ანუ ტეტრაო არე ნარტუს ლინენ-სი (77). ეს ანდაზა, რომელზეც ყაზვინელი ლაზარაკოს, როგორც ხედავთ, დამყარებულია იმაზე, რომ ამ ფრინველმა (კატამ) თავისი ხმით, ძახილით: „კატა, კატა“ თავისი სახელიც მიიღო.

კატა ვანთქმულია აგრეთვე თავისი სიარულის მოხდენილობით, რადგან მას მკირე ნაბიჯი აქვს და დედაკაცის ღამაში სიარულის შესახებ არაბი იტყვის: „მას აქვს გოგმანი კატისა“-ა. სპარსელებმაც გააიღეს და შეითვისეს ეს შედაცება იმ ფრინველთან, რომელიც არაბულ კატას უნდა ჰგავდეს, ან იგი უნდა იყოს. ხოლო არაბული სახელი „კატა“ სპარსულად ნათარჯმნია სახელით „კატუ“.

ამგვარი შედარების მაგალითი ვაჰქვს **ჯამის**-ს ერთ ლექსში იგი ლაზარაკოს ლეილა-ზე: —

მსგავსა კობტა კაკაბისა, წინ მიიწვევს მოხდენილად...

სისერა რ. ფ. ბაბტონ (მურტონ) თავის მიმოსვლაში აღმადინა და მეკაკა-საკენ, მოგვითხრობს:

სწრაფად მფრინავი კატანი წაშოიშალენს ზიდან დიდი ყვირონი! ამ ამბავის გამო იგი შენიშნავს: „ტეტრაო კატა“ არის უღაბანოს, სილის ქათამი; სინდში მას ეწოდება „კელდის მტრედი“; იგი არის სწრაფად მფრინველი და შემთხვევაში იგი დროაჯს არა ჰკავს. და როდესაც მანფარა ტრახახობს: მხოლოდ ნაყის რუკ კატებს შეუძლიათ შესვან ჩემი ნარჩენი (წყალიო), რადგან მთელ ღამის განმავლობაში ჩჭარი ფრენით მიდიან, რათა დილით დაიმშვიდონ წყურვილი, ეს არის ვადა-ბატება. რითაც მას კატის მეტის მეტი სისწრაფე სურს: აღნიშნოს. 4). წონი პირველი, გვერდი 154.

და ეს სახელი „კატა“ ასეა არის განმარტებული: აბა-

ზლი „კატა“ არის „პეტროკლეს ალ კატა“ (აღუ-ხატა), კარგად ცნობილი უღაბანოს ქათამი და ამასთან ნათქვამია არის: მათ თეთრი ხორცი კიტა აქესო (რ. 4). წინავე პირველი, გვერდი 120. შენიშვნა 3.

უღაბანოს ქათამი, „სილის ქათამი“ ანუ „კატა“ დასახელებული არის «თასერთი ღამის» ზღაპრებში (მე-11, მე-12, მე-13 და სხვა). 5).

კატის გვარს ეკუთვნიან: 1). კოდრი, 2). ჯუნი, 3). გატატატ. პასსელისტაის აღწერით კატა არის ერთგვარი კაკაბი, ფერით რუხი და უფრო პატარა, ვიდრე ევროპული კაკაბი. (იქვე, გვ. 122-3).

კატა, კატა (მფრინავი ქათამი (პეტროკლეს ტემე)). — ასე ეწოდებოდა კატას ბრემის ცხოველთა აღწერაში — ეგრეთ წოდებული „მფრინავი ქათამი“, ანუ „უღაბანოს ქათამი“ შვიდი ოჯახისაგან შესდგება. თითოული ოჯახი ერთი მეორესაგან ფეხებითა და ფრთებით განსხვავდება. ეს მფრინველი ქათამი მრავალ ტანიანი მოჩანს, რადგან მას აქვს გრძელი ფრთა, გრძელი ბოლო და ის არის ჩამრეკლებული; მას აქვს სინამდვილეში გრძელი ბოლო, ხოლო მკერდი ძლიერ წაშოშულებული; კისარი — საშუალოდ გრძელი; თავი — პატარა და ნახი; ნის-კარტი — მკირე და მოკლე; გვერდებზე ნაკლებ შეწეულ ფეხი არის და ამიტომ მრავალად მოჩანს; მას აქვს მოკლე ფეხები და ნაბიჯიც — მოკლე, მაგრამ მისი ბოლო, 14 — 18 ფრისისაგან შემდგარი, არის გრძელი, მორგავლებული, ან უფრო — სოლიანებრი.

მფრინავი ქათამთა შორის ტანით ყველაზე დიდი აარის ქათამი „განგა“ („პეტროკლეს არენარის პალე-). ხოლო ჩვენთვის საყურადღებო ქათამი არის „უღაბანოს ქათამი“. გვერდმანად ვაღებოცებელი სახელით: „ხადა“, ლათინურში „ხატატა“ („პეტროკლიდურუს ალხატა (კატა)); მას არაბულად ეწოდება „კატატა“ და იგი არის „განგა“-ზე მომცრო, ოღონდ უფრო ხატოვანი, ფერადი. საერთოდ „განგა“-ს „კატა“ არის ნაყის ფერი და მას ერთთვის ბუმბულის ყვითელი, რუხი, წაბლის ფერი; კისერზე — მომწვანო; თავზე — მოწითაო და სხ.

ეს კატა ბუღანს და ცხოვრობს ესპანეთის ველებზე, ჩრდილო აფრიკის უღაბანოებში, აზიის სტეპებში, განსაკუთრებით აშურარიის, კასპიის ზღვის მიდამოებში, ინდოეთში... ყოველ დღითურად, დილითა და ნაშუადღევს, კატები მფრინავნი ათთვის ცნობად ადგლობ, წყალობს დასალეველ და ბრუნდებიან უკანვე თავის მკვებად მიდამოებში. და რადგან წყალიანი ადგილი არც თუ ბევრია, ამიტომ ათასობით გროვდებიან კატები ამ ადგილებზე, სადაც შეუწყვეტელი მათი ძახილი გაისმის. ისინი იკვებებიან სხვა და სხვა ბალახის თესლით და ბუდე პირდაპირ სილაში აქვთ, სადაც თავის დროზე რამოდენიმე კვერცხს

სდებენ. მათ აქვთ თავდაცვის კარგი საშუალება: შეფარდება, შეხამება მიწის ფრთხან და სწრაფი ფრენა. კატები ადვილად ჰპოვენ ბუნების ფერის შესაფერადებელს, სადაც საფრთხისას იმალებიან, განაზღვრებიან და მათი მიზნება ადვილი არ არის. ისინი ჯგუფად არიან და ჯგუფადვე იმალებიან მიწაზე; მხოლოდ ზოგ მამალ კატს აქვს თავი ამოყოფილი და მტერს უთვალთვალბს; როგორც კი მტერი (მონადირე, ნადირი, ან მტაცებელი) მათ

მიუხლოვდება, ისინი მიწას გაკრულნი სწრაფად ადვილად განაინაკვლებენ ხოლმე, ხოლო დიდი სწრაფობის წინ ვაი-უშველებელი ყვირილი-ყვირილით აფრთხილებენ და სწრაფი ფრენით თავს უშველიან ხოლმე.

აი, როგორც უკვე გამოვარკვეე ჩემ ზემოთ დასახელებულ წიგნში, აქ გაცნობილი „კატა“ არის ევფისტიკაოსანის „კატა“.

1) Francis Johnson — A Dictionary, Persian, Arabic and English. London, 1852, pp. 968, 1079.

2) Lawrence Ecker — Arabischer, provenzalischer und deutscher Minnesang. Bern und Leipzig, 1934. S. 99.

3) Extraits du Livre des Merveilles de la Nature et des Singularités des choses créées, par Mohammed ben

Mohammed Kazwini, traduit par A. L. Chézy. Paris,

4) Captain Sir F. Burton — Personal Narrative of a Pilgrimage to Al-Madinah and Meccah. London, 1898. Vol. I. p. 154.

5) The Book of Thousand and a Night, translated by Captain Sir R. F. Burton. London, 1894.

6) Brehms Tierleben. Vogel. Leipzig, 1913. B. III.

ლოკპარღს, პანთერა, ტიგრ, ვეფხი

ევფისტიკაოსანში სიტყვა „ვეფხი“ ხშირად იხმარება და თვით ამ რომანის სახელია: ევფისტიკაოსანი: კაცი, ევფის ტყავის მატარებელი, ანუ ევფის მოსახლრითა და სარქველით, ქვლით.

სახელი „ევფისტიკაოსანი“ სხვა და სხვა ენაზე თარგმნისას სხვა და სხვა ნაირად გადმოგვეტყვენ —

რუსულად: „ბარსოვა კოვა“ (6. მარა); „ნოსიაშიბა ბარსოვე შკურუ“ (ბალმონტი); „ნოსიაშიბა ტიგროვოა შკური“ (პეტრენჯო); „ტლი წიო ვ ტიგროვია შკური“ (პავანა), „ფიტიან ზ ტიგროვოი შკურე“ (ბალმონტი, ცავარელი, ზაბოლოვიცი, ბრიკ, ანტაკოლსკი, შ. ნუცუმბიძე)...

როგორც ხედავთ, ევფისტიკაოსანის რუსულ თარგმანში ამ ბოლო დროს სახელისათვის „ვეფხი“ გაბატონებლია სიტყვა „ტიგრ“.

გერმანულად: „დერ მან ინ ტიგერფელ“ (ლისიტი); „დერ რეიქ ინ ტიგერფელ“ (ჰუმპერი).

ინგლისურად: „დლი მან ინ დლი პანთერ სკინ“ (მარჯ. უარდროპ); „დლი ნაით ინ დლი ტიგერს სკინ“ (მოსკოვის გამოცემა).

ფრანგულად: „ლომ ა ლა პო დე ლეოპარ“ (გვაზავა); „ლე შველიე ა ლა პო დე ტიგრ“ (წულაძე). იტალიურად: „ლა პელლე დი ლეოპარდო“. 1).

მახსადამე: უცხო ენებზე სიტყვისა «ვეფხი» თარგმანი არის: ა). ბარს, ბ). პანთერა, გ). ლეოპარდ, დ). ტიგრ.

კოდა გამოტყბილი სჯობია: მეც ავეყვი სხვებს და ჩემ წიგნში, ქვესათურისათვისაც, ვიხმარე ეს სახელი: „ტიგრ“, მაგრამ ეჭვი შემეპარა ასეთ თარგმანში და წამოიქრა საკითხი: არის „ვეფხი“ მართლა „ტიგრ“?!

ჩემ განმარტებაში სახელისა „ვეფხი“ ვწერდი:

„ევფისტიკაოსანის სახელი „ტიგრ“, „ტიგერ“ წარმომდგარა ბერძნულისაგან, რომელიც თავის მხრივ წარმომავლია ძველი ირანული, ანუ უფრო სწორათ: ძველი ბაქტრული. ბაქტრული სახელისაგან: „ტიღრა“ „მკვეთრი, მწველი, მჭრელი, გამახული“, ძველი სპარსული — ტიღრა. 2).

ამის შემდეგ დამდევს ეჭვი: არის თუ არა ქართული სახელი „ვეფხი“ ევროპული სახელი „ტიგრ“? ეს ეჭვი თან და თან მიძლიერდებოდა და ბოლოს გადაწყვიტე ეს საკითხი გამომეკვია.

**

ძველ ქართულ მწერლობაში რას ეწოდება „ვეფხი“ და რა სახელი არის ამით ნათარგმნი?

ამ საკითხის გამოსარკვევად, რასაკვირველია, მივმართე ქართული ენის საწვჯეს — ბილიას — და იგი სხვა ენათა ბილიას შევადარე.

ესაია 11,6 მაშინ ძვიდეს მგელი კრავთა თანა და ვეფხი თიკანთა თანა განისვენებდეს...

1. ბერძნულად: ლეოპარდალის
2. ლათინურად: ლეოპარდუს
3. ინგლისურად: ლეოპარდ
4. ფრანგულად: ლეოპარ(დ)
5. გერმანულად: პარდელ (ბერძნული: პარდალის)
6. ესპანურად: ტიგრ
7. რუსულად: ბარს.

იტიგნა 5,6 და მგელმან ვიდრე სახლთამდე მოსწყვიდნა იკინი, და ვეფხმან იღვიძა ქალაქთა მათ ზედა...

ზემოთ აღნიშნულ ენათა რიგის მიხედვით: 1). პარდალის, 2). ლეოპარდუს, 3). ლეოპარდ, 4). ლეოპარდ, 5). პარდერ, 6) ტიგერ, 7). ბარს.

იერემია 13, 23 უკეთეს ცვალოს ვითომებან ტყავი თვისი და ვეფხვან სიჭრელენი მისნი

ოხე 13, 7 მეტა ვიქმნე მათ თვის ლომი ძეი, ვითარცა ვეფხი გზა ზედა ასსურისტანისასა...

1). პარდალის, 2). ლეოპარდუს, 3). ლეოპარდ, 4). პარდერ, 5). ლეოპარდ, 6). ლეოპარდო, 7). სკიმენ
ამბაკუმი 1, 8 და ელდეზოდენ უფროს ვეფხისა ცხენნი მისნი...

1). პარდალის, 2). ლეოპარდუს, 3). ლეოპარდ, 4). პარდერ, 5). ლეოპარდ, 6). ტიგურ, 7). პარს.

დანიელი 7, 6 შემდგომად ამისა ვხედვედ, და ამა სხვა მხეცი ვითარცა ვეფხი...

1). ლეოპარდუს, 2). ლეოპარდუს, 3). ლეოპარდ, 4). პარდერ, 5). ლეოპარდ, 6). ტიგურ, 7). პარს.

გამოცხადება 13, 2 და მხეცი იგი, რომელი ეციხლე, იყო მშვეფი ვეფხისა...

1). პარდალის, 2). ლეოპარდუს, 3). ლეოპარდ, 4). პარდერ, 5). ლეოპარდ, 6). ლეოპარდო, 7). პარს.

მამსადამე: ქართული ზიპლია მცხენი არის ბერძნულად: ლეომპარდუსი, პარდელის ლათინურად: პანტომრა, ლეომპარდუსი; ინგლისურად: ლეომპარდ; გერმანულად: პარდერ; ფრანგულად: ლეომპარდ; ესპანურად: ტიგრამ, ლეომპარდო; რუსულად: 1. პარს, 2. სკიმენ (ერთჯერ, რაც ნიშნავს: პატარა ლომი, — პარდუს კატულუს ლეონის).

ებრაული სახელი ვეფხისა „ნამმარ“ ზიპლის სხვა და სხვა ენაზე თარგმნილი არის სახელით. ხან 1. ლეოპარდუსი, ხან 2. პარდალის, ხან 3. ტიგურს. ხოლო რუსულად, ყველა დასახელებისას სიტყვით „ბარს“. ქართულად ყველგან: „ვეფხი“.

პარდალის არის იგივე პანთერა, ხოლო ეს მხეცი ლეოპარდუსის ჯგუფს მიეკუთვნება და ამიტომ მას, პანთერას, ეძახიან აგრეთვე ლეოპარდს. თარგმანი სახელით „ტიგრ“ უკვე სწორი არ არის.

ბიბლიის მიხედვით საიეთხს თუ გადაწყვეტივით, ქართული სახელი „ვეფხი“ უნდა გადაითარგმნოს რუსულად სახელით „პარს“. და სწორეთ ასეთი თარგმანი ჰქონდა პროდ. ფ. მარსს.

სიტყვა „ვეფხი“ მოხსენებულა ქართულ ვისამიანში და უმეკელია თვით სპარსულ დედამშიც. მაგრამ არ ვიცი, რომელი სპარსული სიტყვით არის იგი თარგმნილი: დასაწყისიდანვე, იდეს საუბარია მოაბდისა და ვიროს ომის გამო, ნათქვამია — „მთათა შიგან ფიციხელისა ვეფხისებურ იყენეს“-ო. 3). გვერდი 27. „ვითა ვეფხი საგებელთავან იპრა“; (იქვე, გვ. 143); „ქეიშა — ლომი და ვეფხი“ (გვ. 151); რამინ „ზე გავიდა ვეფხისაჲნაჲ უქისკისსად“ (გვ. 152); რამინ „ვეფხსა ჰგავდა სიფიციხითა“ (გვ. 161) „თავენიცა ვეფხთაებრ მიღაერობენ“ (გვ. 202);

„ვითა ნადრობასა შიგან ლომისა და ვეფხისათვის მიწყით ხრმალი ჰქონდის“ (გვ. 207); „ზარდი იპრა და ზემოჭრინდა ვითა ვეფხი, რამინს“. 3). გვერდი 155 და 156. „ვეფხი“ ლინისიკი არეოპატიკას დასახელებას უნდა იყოს ცათა მღელღელ-მთავირობისათვის“ ნათარგმნია ფრანგულად სახელით „ლა პანტომრა“. 4). 4.ა).

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ვეფხისტყაოსანის დასურათებაში, რაც მხატვარმა ზირმა შეასრულა, ვეფხი დახატულია, როგორც „პანთერა“. არ ჰყოლია მას, ბევრ შემთხვევაში იგივეს ცნობილ მხატვარს, ცუდი მრჩეველი.

ევროპულ ენებზე ქართული სახელი „ვეფხი“ უნდა გადაითარგმნოს სახელით „პანთერა“, როგორც ეს ჰქონდა ნათარგმნი მარჯორი უორდეროსს, ან უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება გადაითარგმნოს აგრეთვე სახელით „ლეოპარდ“.

რუსულ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში სიტყვა „ბარს“ თარგმნილია სიტყვით „პანთერა“. ფელის პარდუსი. ეს სიტყვა რუსულს ნასესხები აქვს ძველ თურქულ, ილღურული ენიდან და ოსმალურად იგი გამოითქმის, ვით „პარს“. 5). შიგინ პირველი. გვ. 57.

ი. პავლოვსკის ცნობილ რუსულ-გერმანულ ლექსიკონში სიტყვა „ბარს“ ნათარგმნი აქვს „ფელის პარდუსი“ „დერ პანთერ“, „დას პანთერტიკა“.

ა. ფ. ხაშჩაბის მიერ შედგენილ „რუსკო - პერსიდეი სლოვარს“-ში სიტყვა „პანთერა“ ნათარგმნია სიტყვით — „პარს“. 7).

კ. ს. ლევის-„პანთერა-ვეფხი“ ჩაიცხული ჰყავს სიყვარულის ალგორითა და სათნოებათა შორის და მაგალითისათვის ასახელებს მეთექვსმეტე საუკუნის ინგლისელ მწერალს ჰოუესს (იწერება: ჰაუეს), რომელიც თავის ნაწარმოებში „მავალითი სათნოებათა“, ამბობს: — ტკბილი სურნის მოიხებით ვიკოლით, რომ აქ სადაც ახალი ვეფხი=პანთერა იმყოფებოდაო.

სხვა რომელი გზით უნდა გამოირკვეს, თუ რა მხეცი ეწოდება „ვეფხი“?

ქართულ განმარტებით ლექსიკონში სახელი „ვეფხი“ ახსნილია ასე: დიდი მტაცებელი ცხოველი (კატის ჯიშისა); აქვს ჰრელი, ზოლებიანი (ან ხალებიანი) ტყავი. 9). აი ასე: ზოლებიანი ან ხალებიანი! შეუწყნარებელი მტერიერულ ლექსიკონში ასეთი ორმაგი და გათვლებარი განმარტება! ჰრელი, ზოლებიანი მხეცი არის „ტიგრ“ — აღმათ მოპოვება იგი თბილისის ზოოლოგიურ ბაღში! — ხოლო ხალებიანი ტყავის მქონე არის პანთერა და მისი გვირისა! — იქნებ ეს მხეციც და მშვეფი მისი მოიპოვება

აგრეთვე თბილისის ზოოლოგიურ ზღში! ეწვიონ მით ამ სიტყვის განმარტებელი!

სახელი „ვეფხი“ = ვეფხვი იხმარება მამაკაცის სახელად: „ვეფხვია“, „ვეფხია“; არის ხომ გვარიც „ვეფხვაძე“!

საქართველოს ეკლესიის კალენდარში. სახელთა შორის აღნიშნულია «პარდი», «ტიგრია», 10. «პარდის» დღე არის 15 დეკემბერი და ეს სახელი ნათარგმნია სახელით «ვეფხვი», «ავაზა» (იქვე გვ. 110). ხოლო სახელი «ტიგრი» აღნიშნება ივნისის 16-ით და იგი ნათარგმნია აგრეთვე სიტყვით «ვეფხი»! დიდი გაუწებრობა!

მაშ ისევ ებრაული ენის ბიბლიას მივუბრუნდეთ. ებრაულ ბიბლიაში ვეფხს ჰქვია „ნამერ“, არაბთათვისაც ვეფხი არის „ნამერ“.

პარდალის=პანთერა მზეც ლეოპარდუს=ლეოპარდის ჯიშს ეკუთვნის («ფელის პარდუს»), რომელიც აფრიკაში და სამხრეთ აზიაში ცხოვრობს. არაბული «პარდალი» = პანთერ=ნამერ («ფელის პარდუს ნიმრ») მრავლად უნდა ყოფილიყო პალესტინაში, რადგან მას ბიბლია ხშირად ასხენებს (როგორც ვნახეთ).

პარდალის=პანთერა სხვა და სხვა ჯგუფისა არის; პანთერა ლეოპარდუს პარდუს ვანიყოფება ასე: 1. ლეოპარდუს ანტიკორუმ (ცხოვრობს იგი შუა ინდოეთში და სიე-სუმტაზე), 2. ლეოპარდუს ვარიგატუს (ინდო-ჩინეთ, იავა, სუმატრაზე), 3. ლეოპარდუს ფონატანის (ჩრდილოეთ ჩინეთი, კორეა), 4. ლეოპარდუს ტელლიანუს (სპარსეთი, სირია), 5. ლეოპარდუს ლეოპარდუს (დასავლეთი აფრიკა). არის კიდევ ერთგვარი ჯიშო ლეოპარდისა, რომელს სანადიროდ წრთენიან და იყენებენ — «ფელის იუბატა», არაბული «ფუბდ», სომხური «იავაზ», ვეფხისტყაოსანის «ავაზა».

პანთერა=ვეფხი დაჯილოებულია ლამაზი ბეჭვით, რომელსაც აქვს ფაცველი და მშხინავი ყვითელი ფერი; მისი ტანი მოფხენილი არის პატარა-პატარა ხალხებით (ლამბებით), რაც ჯგუფ-ჯგუფად არის განლაგებული მის ყვითელ ტყავზე. შავი ხალხები მისი ტყავის ყვითელ ზედადაზე ჰქმნის სიურელეს, რაც აღნიშნული აქვს იერემიას — 13,23: უკეთუ სცვალოს... ვეფხმან სიურელენი მისნიო. ეს სიურელი ვეფხ=პანთერას ულამაზეს ცხოველად აჩენსო — ამჟამს გ. ე. პოსტ. 11).

ძმბა-ძმბაბაში (4,8) მოხსენებულია «ვეფხი=პანთერა». გერმანულად ლუთერას ეს სიტყვა ნათარგმნი აქვს სახელით «ლეოპარდ», მაართა — შენიშნავს ბიბლიის ჰეკლევაირი ე. როზენმუელერ — ეს შეცდომაა, რადგან ლეოპარდი არის ცხოვრობენ სამხრეთ სპირეთისა და

ინდოეთისა, ხოლო სირიაში და პალესტინაში (იქვე იგი: ბიბლიის ქვეყანაში) მას არასოდეს უცხოვრობია. 12).

„უსულ ბიბლიაში აქ არის „ბარს“, ფრანგულად: „ლ. კობარ“, ინგლისურად „ლეოპარდ“, ესპანურად „ლიტპარე“, ბერძნულად „პარდალი“, ანუ „პანთერა“. ეს „პანთერა“ = ვეფხი დღესაც გვხვდება ლიბანონში და მისი ტყავი ძვირად ფასობს.

ნიმრა—პანთერა—ვეფხი მზეცა გვარს ეკუთვნის. მას აქვსო — ამჟამს ჰუარე — ტიგრის ბუნება. იგი არის გაუმძაღარი სისლანისმშელი. არასოდეს მისი მსუნავობა არ დაცხრება; იგი დაუზოგველად ხოცავს ცხოველებს, რათა ახალ-ახალი სემელი მოიპოვოს. თუ ჯოჯოში შეიჭრება ახალ მას ვერ მოჰკლავენ, ან ვერ გააძიებენ, მაშინ იგი ჯოჯოში არც ერთ ცხოველს მოუკლავად არ ვაუშვებს; იგი თავს ესხმის ყველა ცხოველს, გარდა ლომისა და ყოველივეს თავის გამარჯებეში დარწმუნებული არის; და ეს ყოველ აქვს შენიშნული იესოს ძეს ზირაქისა. 28,27. როცა წინასწარმეტყველი ამბავს ქალდეველთა მხედრობის სისწრაფეს აღწერს, იგი მათი ცხენების მღობა-სისწრაფეს ვეფხ=პანთერისად მათარგებს. თავისი ტანის ზომის ყველა მზეც სისწრაფით სჯობნის იგი. პირუტყვის მისგან გაქცევა უჭირს. ვერც ბუჩქნარი-ჩირაგვანარი, ვერც თხრილი, ვერც მდინარე (თუ მეტისმეტად ფართო არ არის) მის სიბრძნის ვერ შეაჩერებს; იგი ოლად გადალახავს მით, ან გადასკურავს. და თუ რომელიმე ცხოველი მას გაექცა და ხეზე აცოცდა, პანთერა=ვეფხიც თავისი ტანის სიღრმის მიუხედავად, მას ხეზე აჰყვება. ამ სისწრაფისა გამო იგი კაცისათვის საშიში არის. ფირინის ბარტყი, მართე, თუ ვინდ მაღალი ხის კენწროზე ბუდობდეს პანთერა=ვეფხის ყას ვერ გადალერებია. ასე ახასიათებდა მას პლინუსი (მისტ. ნატ. 40. 10. 73), რომელიც მას აღწერელი ჰყავს სახელით „პარდის“, რაც იგივე პანთერა-ვეფხი არის. 12.

ჩაღა არის ტიგრის=ტიგრი? იგიც მზეცაა ჯგუფს ეკუთვნის. მისი სამშობლო არის კასპიის ზღვის სამხრეთი მხარე, თურქესტანი, ბენგალი, ინდოეთი, ინდოჩინეთი, სუმატრა, იავა და სხვა კუნძულებიც; სამხრეთი კიმბირის, ამურის მხარის ტიგრი ამავე ჯიშს ეკუთვნის, მაგრამ ცალკე სახეა: „ამურენისი“.

ფერი ტიგრისა არის ლამაზი ყვითელი, ფორთოხლის ფერადე. მუცელზე იგი არის თეთრი, აგრეთვე ყაზუხ და კისერზე; ტრანხ მას აქვს აქეთ-იქით. ზურგიდან ფერდობზე გადაყოლებული ზებრისებური ხაზები, შავი ხაზები ყვითელ ტყავზე.

ტიგრის=ტიგრი არის მხნე და გამბედავი. — ლომზე უფრო; იგი არის ფიცხელი, ძლიერი მზეცი; მას ეშინია მხოლოდ სპილოსი და კამეჩისა; იგი არის კაცობიერი, თუმცა მისი მოშიშვლება შეიძლება. შეცდომით ამ სა-

ხელს „ტივრ“ უწოდებენ ხოლმე აგრეთვე პანთერას. იაგუაზს, ლეოპარდს, მაგრამ ნამდვილი ტივრი მხოლოდ აზიაში ცხოვრობს.

სხვა ცნობებიც მოვიტანოთ:

პანთერა არის ებრაულად „ნამერ“, არამეულად — ნემარ; ბერძნულად — პარდალის. პანთერას ეწოდება კიდევ ლეოპარდუს (ფელის პარდუს); იგი გავრცელებული იყო აფრიკაში და სამხრეთ აზიაში. „არაბული პანთერა“ (ფელის პარდუს ნემარ) გავრცელებული იყო პალესტინაში და ამიტომ იგი ხშირად არის დასახელებული ბიბლიაში: ესაია 11,6; იერემია 5,6; 13,23; ისაია 13,7; ჰაბაკუკ 1,8; დანიელ 7,6; ზირაქისა 27/23. 13).

ტივრი არ მოიხსენება ბიბლიაში. ეულვატა—ბიბლიაში (იოზი 4,11) გადათარგმნილია „ლომი“ შეცდომით სახელი „ტივრის“. ავსტრეე ცელი თარგმანია სებატანა-შიც. 14).

პანთერა ლეოპარდზე მცირეა და მისი ტყავი უფრო მუქია, ხან და ხან — შავი სასებით... რღვან ამ სახელს „პანთერა“ აიგივებენ სახელთან „ლეოპარდუსს“. ამიტომ «პანთერას» ხშირად უწოდებენ «ლეოპარდუსს»-ს. 15).

ფელის ლეოპარდუს ანუ ლეოპარდუს ვარიუს ნატურალისტების ხშირად არის შეცდომით გასაღებულნი, განსაკუთრებით ძველად, პანთერა-ვეფხად, რომელთანაც ნათესავობა აქვს, ხოლო განსხვავდება მისგან ტანის სიმცირით, შავი ხალეობის (ლაქების) სიფართო-სიდიდით, ამათი დაწორებით ერთი მეორესავან და სხვა.

ნატურალისტ პლინიუსის პანთერა არის „ვეფხი“. ლათინური სახელი ვეფხისა არის ყველგან „პანთერა“ (ლათ. პ: პანთერა; ლათ. ბ. 23: პანთერა)..

ბასილ დიდის „ექუსთა დღეთაჲ“-ს თარგმანში ჩვენ ვეცნობით სახელს „ვეფხი“ —

„მძევარე არს ვეფხი, და მკუეტი, და მახულ მიმპათებიათა. რამეთუ შეზავებულ არს კორცთა შინა მისთა სინოტრესა თანა პისუბუქე და მიუდგეს იგი აღძვრათა სულისა თასისათაჲ“. 16).

მ. კახაძე ამ სახელის „ვეფხი“ შესატყვისი მოაქვს ბერძნულად: პარდალის; ლათინურად: პანთერა (იქვე, 16. გვერდი 135). იმავე წიგნში კიდევ არის დასახელებული ვეფხი დათელომ-ვიგრა-ავაზასთან ერთად: —

„მოკლე არს და შთასიებულ მართთა შინა ყელი დათეოსაჲ, და ლომისა, და ვიგრისა, და ვეფხისა, და ავაზისაჲ და ყოველთა მსგავსთა მათთაჲ“. (იქვე, 16. გვერდი 110). ბასილ დიდის „ექუსთა დღეთაჲ“-ს გამოცემულ მ. კახაძეს ამ სახელთა თანაბარი ბერძნული და ლათინური სახელი მოაქვს: დათეი = არკტის, = ურსუს; ლომი არის ლეონ = ლეო; სახელი „ვიგრა“ მ. კახაძეს არა აქვს აღნიშნული ლექსიკონში; ხლო სახელი „ვეფხი“ და სახე-

ლი „ავაზა“ ერთად აქვს მოტანილი მხოლოდ სახელით: „ტივრის“. რატომ შეიერთა ეს ორი სახელი „ვეფხი“ და „ავაზა“ მ. კახაძემ და რატომ მიუწერა ამ ორ სახელს სახელი „ტივრის“, ვარკებარია! პირველ შემთხვევაში, ქრტიანი წინადადებაში „ვეფხი“ თუ იყო მის ლექსიკონში სწორად განმარტებული სახელით „პანთერა“, რატომ იგივე სახელი და მეორე წინადადებაში „ვეფხი“ გარდაიქცა „ტივრად“?! „ტივრის“?! მაშ მოეწინააღმდეგებოდა ბასილ დიდის ცქუსთა დღეთაჲ“-ი სხვა თარგმანი.

თვით ბასილ დიდის ბერძნულ ტექსტში აქ არის ნახმარი სახელი „პარდალის“ — პავლაოზ ვ პარდალის, კი ოკურრო (და სხვა)... ლათინური ამისი თარგმანის არის «პანთერა»: — 82,3: ვეპემენს ესტ პანთერა (და სხვა. 17). ფრანგულად იგი ადგილი ნათარგმნია: — „ლა პანთერ ევემპეტაუაზა“ (და სხვა). 18).

ამასაღებ: ბასილ დიდის „ექუსთა დღეთაჲ“-ის ქართულ თარგმანში ბერძნული სახელი „პარდალის“ და მისი ლათინური სახელი „პანთერა“ ქართულად გადმოცემული არის სახელით „ვეფხი“.

ძველ მწერლობაში და მკითხველი საზოგადოებისათვის დიდად ცნობილი წიგნი «ფიზიოლოგუს». 19).

ეს წიგნი, წოდებულია სახელით „ფიზიოლოგუს“, შეთხუებულია ქრისტიანობის პირველ ხანაში და გადათარგმნილია მრავალ ენაზე და მათ შორის, ქართულზეც.

ცხოველითა აღწერილობა ამ წიგნში გამოყენებული არის ქრისტიანული ქადაგებისათვის. მე, რასაკვირველია, მაინტერესებდა ამ წიგნში მოხსენებული „პანთერა“ ცნებისათვის „ვეფხი“ გამოარკვევად.

ბერძნული ტექსტის მე-16 თავში არის სათანადო სათაურად: „პერი პანთერის“. და ეს მხეცი „პანთერა“ დახასიათებულია შემდეგ ნიარად:

16). პანთერას ძინჯს სამი დღე, რაკა იგი გამოძიარი არის. მე-7ვე გამოიღობებს იგი და აღიმოდებს ხმას, რომლის დროსაც მისი ხახიდან მეტის მეტად ძვირფასი კარგი სუნნი გამოიღის. და ყველა ცხოველი, ზოგიერთი თუ ახლო მყოფი, მირბის მასთან მის ხმაზე და სურნელებას; ყველა მის გარეშე იკრთება. მხოლოდ ვეფხეშაბი, რომელიც არის მტერი მისი, შეშინებულია და იძალდება ასე აღსდა ქრისტე მესამე დღეს მცვერთით და შემოიკრება თავის ირგვლივ ახლო და შორის მყოფნი, ესე იგი, ისაეღნი და წარპართნი, ხოლო ვეფხეშაბი არის ეშმაკი, რომელსაც მან სძლია. 19)

პოტიე ნიკოლ დე მარტივად, მეცამეტე საუკუნისათვის პოემას „პანთერა — ვეფხი სიყვარულისა“ მიუძღვნის თავის ფიქრთა ქალბატონს და მოგვიხიბრობს: დამეძინოა ოღმით სუსანოში და მომიტაცესო ფრინველებმა და ჩამსვეს ტუეში მრავალ სხვა და სხვა მხეცთა შო-

რის. იქ იგი განაცვიფრა, სხვათა შორის, ულამაზესმა მცემბა მისი ფრიადი შეწევნით, რომელიც მოსწონდა ყველას, გარდა გვეულშაპისა. სანამ პოეტი აღფრთოვანებით შესჩერებოდა ამ ლამაზ ცხოველს, მხეცს, ეს მხეცა წვიდა და ყველა ცხოველი მის ვაძვანა. 20).

პოეტს მოეჩინა ტკბილი მუსიკა. სინამდვილე სიყვარულის ღმერთის სასახლეში. პოეტი არ ყოვნდება და მიმართავს თვით ღმერთს და ცოტა მსჯელობის შემდეგ ღმერთი მას ნებას დათავს სიყვარულის მსახური ვახდეს. მას უბოძებენ ტყენს. მას წარუძღვება სიყვარულის ღმერთი და საკვირველი მხეცის კვალს ვაძვენიან. ბოლოს იგი შენიშნავს ხეობის ძირას ერთ ბუნებრივ დამალულ მხეცს. ამ ხეობას შემოტყეული აქვს მესერო.

ღმერთი პოეტს განუწყობს მას სურათის მნიშვნელობას და ეუბნება მას: ეს მხეცი არისო პანთერა, სიმბოლო ქალბატონისა, რომელსაც ყველა ფიქრი და გრძობა მიეძღვნება. ყველა დანარჩენი ცხოველი ძეგლს და მიჰყვება პანთერას, რადან ამისი ამოსუთნევის ტკბილი სუნე ყოველ სწეულებას ჰკურნავს ისე, ვითარცა ქალბატონის მაგალითი ჰკურნავს თვითეულს გარყვნილებისაგან ვინც მას მოსდევს. დანაგონ-ველეშაპი ნიშნავს: შურს, შეხარბებას; ხეობა არის თავმდაბლობის სიმბოლო; ხოლო ბუნება — უბალიბა-სისადავის მაგალითი არისო. მაყვლანრი და ჯიჰქარნი წარმოადგენენ სიყვარულის ფიქრებს და კვლიდნენ უნდა გაევიგოთ, ვით მხაკრული თავდასხმა აე ვნათო.

თუმცა პოეტი ვაფრთხილებული იყო, თუ რა დაბრკოლება აქვდა მისი შეყვარებულს, იგი მაინც გადაახტუნებს თავის ცეხნს და მიიქრება ლამაზი ვეფხ-პანთერის წინაშე. მაგრამ ვაჩნდა თუ არა პოეტი მის წინ, კინტის დაძვაც კი ვერ მოახერხა. დიდ ხანს უტყვარდა შეყვარებულს პოეტი ლამაზ პანთერას და უკვე ცდილობს ახლა უკან დაიხიოს, მაგრამ ამჩნევს, რომ მას სამოსელი დახეული აქვს, ხორცი კი შემოკლევილი; მივიდა იგი სიყვარულის ღმერთთან და შესჩივლა თვის ამბავზე; ღმერთმა მას მკურნალად მიუჩინა. „ტკბილი ფიქრი“, „იმედი“, „ვახსენება“. რომელიც მას სიყვარულის საკურთხევით მიიყვანს. მკურნალები მის ტრლობებს, წყლულთ ჯერსავენ და პოეტს ისინი ვეითხიან: როგორ უნდა დიქიქოს თავი შეყვარებულმა, მოტრიალელ-მოტრევემ სატრფოს მიმართ. საპასუხოდ პოეტი მათ გძელ სიტყვას ეუბნება სატრფოს, რაც სიყვარულის რწყენას შეიცავს.

და აი, მოდის მასთან სიყვარულის ღმერთი, თავის მეუღლე ვენუსთან ერთად. ვენუსი (ვენერა) პოეტს ასწავლის: თუ როგორ გულადი, ვამძლე და მომთმენი უნდა იყოს მოტრფე. ამაზე პოეტი ვახსენებს სხვა პოეტის ლექსს, რომელიც კდემა-მორცხვობაზე ლაპარაკობს. ხოლო ღმერთი-დიადი, რომელიც ხედავს, პოეტი შეგვას საჭიროებსო, თვითონ გამოთქამს ლექსს და მას ეტყვის:

შენს ქალბატონს გაუგზავნე ეს ლექსი და თან დაურთე ბუდეში ჩასმული ზურმუხტისა ბეჭედი. ეს ბეჭედი არისო საბოძარი ყველაფერზე სასიამოვნო. რაც ცქცნ შეჩქვდება ქალბატონს მიერთვისო, რადან ამგვარ ბეჭედი ბეჭედი სიმბოლოური თვისებები, რასაც ღმერთი-დიადი დაწერილობით აღწესდა. მოტრფე ემხადება ლექსიც და ბეჭედიც სატრფოს გაუგზავნოს, მაგრამ შეუწუხებელი ეჭვით და სიხმართი: ვითუ ქალბატონმა ჩემი მისწრაფება უარჰყო, მოით გამოიღვიძებს. და ხედავს: მის გვერდით იმეფება ღმერთი-დიადი, რომელს უბრუნებს ლექსსა და ბეჭედს იმ გამართლებით, რომ არა მაქვსო ღონე მათ ვაგზავნავო. და აქ პოეტსა და ღმერთ-დიაც სიხმარის დაიწყება შირობა და შემდეგ ამის მოწყვეტა შობს ამხედა. სადაც გამოჩნდება პანთერა=ვეფხი, რომლის წინაშე მოტრფე ნებაშიშლიდა და უღონო. მაგრამ მას ამაგრებენ: იმედი, კეთილი ნებისყოფა, შებრალბა და წყალობა და ამით იგი თავის სიყვარულს მიაღწევს... და პოეტს გამოეღვიძება.

და იწყება მწარე სინამდვილე... სატიცი... პოეტი კმაყოფილება ვალობს, ლექსებით, თავისი სვედის გამოთქმით, თავისი სიყვარულის დარდით. პოემა თავდება ქალბატონისადმი შემახილი მადლობით... 20).

ამ პოემის განამარტებელი არა ა. ტრად გვეუბნება, პოეტი ნიკით დე მარტივალ ან მალეს, რომ მისი პოემის წყარო არის მეთერთმეტე საუკუნის (დაახლოებით 1031 წ.) რომანი, სახელით „რომანი ვარდისა“ („რომანი დე რაოზ“), სადაც „ამორა“ („ამორ“ = სიყვარულის ღმერთი) და ვენუსი (სიყვარულის ღმერთი-დიადი) მოტრფეს სიყვარულის ხელოვნებას ასწავლიან. იქიდანვე აქვს საერთო იდეა სიხმარისა და ალვეგორიისა, მაგრამ მის პოემაში არის ცენტრალური ფიგურა და ეს არის — ვეფხი=პანთერა სიყვარულისა. ეს მხეცი კი დიდად ცნობილი იყო მაშინდელ მწერლობაში ცხოველთა შესახებ. და მასზე ვაგვინა აქვს აქ ჩვენთვის ცნობადი რომარ დე ფურნივალს. 73).

მწერალთა შორის, ვინც პანთერა=ვეფხს იხსენიებს უძველესი არის გილიბ დე თაონ, რომელმაც ინგლისში დასწერა 1125 წელს გძელი ლექსი პანთერის შესახებ, რომელს „ჩელივიუზი მნიშვნელი ლექსი პანთერის შესახებ“ ლექსში არის დართისმომბელი მარიაიმის ხატე.

ამგვარვე რელიგიური გამოყენება პანთერისა აქვს გამოიმი ნორმანდელს (გარდაიცვალა 1227 წ.) —

გაუიომ ნორმანდელის თანამედროვე ეტრეზ დე ბარბერი თითქმის იმ გვარადვე დაწვის პანთერას, როგორც გაუიომ. 21).

და ბევრი ასეთი ლექსი არის დაწერილი იმ ხანად პანთერას შესახებ და მათ შორის ცნობილი იტალიელის, ბუნეტრო ლატინისა (ფლორენტიელი მწერალი, მეც-

ნიერ. პოლიტიკური მოღვაწე' დაახლ. 1212-1294 წ., დანტეს მასწავლებელი).

ყველა ფაზანგულ ნაწერს პანთერაზე წყაროდ აქვს ლათინური, ხოლო ლათინური მწერლობა ბერძნულზე არის დამოკიდებული.

„ლე ბეტტიერ დამუტ“-ის დართული აქვს პროფესორ (3)იპოს განმარტება ცხოველთა სახელისა და მათ შორის მოიპოვება სახელი „ტიგრი“ და „პანთერა“.

ტიგრი. ნათქვამია იქ, არის სირბილიში სწრაფი და საშინელი გაჯაგუნებისა: ტიგრი გამოუღებებია მონადირეს. რომელმაც მას ლეკვები მოსტაცა; მცარამ მონადირემ იცის ზერის, თუ როგორ უნდა გადაიჩინოს თავი: იგი ტიგრს დაუტვებს სარკეს და მხეცი იმ წუთზე გაიხრტება: იგი სარკეში ეჭერას იწყებს და ეს მას იმზომად იტაცებს. რომ წართმეული ლეკვებიც ავიწყლება. ამაზე ლექსი აქვს დაწერილი პოეტ ადამ დე ლა ალს და ბეტსურენეს. 21). რელიგიურ იკონოგრაფიაში ტიგრი იხიბლება სარკის დანახვებზე, რომელში იგი თავის თავს უტყვევს და ამით გამოხატულია ამავეობა. (იქვე, გვერ. 120).

პანთერა როდესაც კარვად გაძღება: იწყებს ბლავილს: მისი ხმა შორს გაისმის; და მას ხოზნიდან ამოსდის ისეთი კარგი სუნი, რომ, შორს თუ ახლო მყოფნი, მხეცი თავს ვერ იკავებენ და მას აედევნებიან და სხვა, რაც ვიციოთ ბერძნული წიგნიდან „ფიზიოლოგუს“. მთელ ევროპაში გავრცელებული რომ იყო.

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ „პანთერა“ გამოყენებულია ყველგან ამ ქრისტიანულ ქადაგებაში. მისტიკურად: ქრისტე არის პანთერა, რასაკვირველია. ციური პანთერა და იგი შექმებულია შუა საუკუნეთის მწერლობაში. პანთერის აღმუცრობა შესანიშნავად აქვს აღწერილი ჰუგო ფონ ლანგენშაინის ერთ თავის მისტიკურ ლექსში: — წმიდა მარტინას წყალობიდან სისხლის ნაცვლად სურნელოვანი რძე გამოიჩქეფდა. ეს იყო მისთვის ჯილდო, რადგან იგი გულმოღაინე ციურ პანთერას — იესო ქრისტეს მისდევდა. მერმე ჩამოთვლილი არის მისტიკური გაგებით პანთერას ხალეობით (ლაქებით) გამოხატული ოცი სათნოება: სიბრძნე, მორჩილება, მოთმინება, სიმტკიცე, უმანკობა, სიყვარული და სხვა. როგორც გადოქმებულ პანთერას ცხოველები მისდევენ, ასევე მისდევენ მკვდრებით აღმდარ იესო ქრისტეს ისინი, რომელიც ყოველი მიატოვებს და შეუდამბობებას შეუდგენენ და აგრეთვე წამებულნი, მარტვილნი. — მათ შორის: წმიდა მარტინა, რომელს პოეტი ლანგენშაინი უჯობებს.

იგივე თმბე პანთერისა და ქრისტეს გამოყენებული აქვს პოეტებს კონრად ფონ ვერტსბურგს († 1287 წ.) და ჰუგო ფონ ტრიმბერგს, მეცამეტე საუკუნეში.

პანთერას მაგალითი გამოყენებული აქვთ პროვენსულ

პოეტებსაც, ტრუბადურულ პოეზიაშიც. ერთი მგოსანი (უსახელი) სიყვარულს ადარებს პანთერას: ვით პანთერა, რომელს მისდევს ყველა პირტუცვე, რომელთაც იგი ფლობს, ისევე მიჰყვობს სიყვარული და მსგავსე მსუქნობის დაპყრობა მე არ შემიძლია და მაყენებს იგი ზიანს, რათა ამით იცმაყოფილოს. და სხვა. (იქვე, 19. გვ. 185).

იტალიურ პოეზიაშიც სატრფო მეტრებს პანთერას-ვით იხილავს. რომელს მისდევენ ცხოველები მისი სურნელებისა გამო. 19. გვ. 188.

გვიღო დღელე კოლონენ თავის ქალბატონს უჯობებს. მისი პირი აფრტყევის სურნელებას ისე, ვით პანთერა ინდოეთში (იქვე, 19. გვ. 189). მესეე პოლოც თავის სატრფოზე ამასვე აშობს: ვით პანთერა, რომელიც სურნელებით აღავსებს სხვა ცხოველთა და ამაზე ზრუნავს, ასევე (სატრფო) იგი არ ამპარტანებას თავისი სილამაზით. გარნა მით სიამოვნებს ყველა, ვინც მას შეხვდავსო. 19). გვ. 190). მისისნერ (მეოთრმეტე საუკუნეში) პანთერას ადარებს მარკვრად აღბრებტ ფონ ბრანდებურგს: ვით პანთერას ხმას, ისე მიჰყვებიან მარკვრად თავადებო. ასეთივე ნათქვამი აქვს მიცენერას გრავ ლუდვიგ ფონ ლეტინგენის შესახებ. 19. გვ. 199.

პანთერას გხედათ „ნიბელუნგენლიდ“-ში (აგრეთვე უფრო ადრე ლუგენდრეს-სთან): მისი სასარტზე ვადაკრულია პანთერას ტყავი, რადგან ამას ტკბილი სუნე აქვსო. დღელვალ კანდეცს აქვს პანთერას ოქრის ფეფურა; იგი ხან და ხან მხეცის ხმას გამოსცემს და მისი ხახვიდან იფრქვევა სუნთქვა სურნელებისაო. (იქვე, გვ. 200).

„ფიზიოლოგუს“-ის ცხოველები გამოყენებული არიან არა მარტო მწერლობაში. არამედ მხატვრობაშიც და მათ შორის. რასაკვირველია, პანთერაც. 19. გვ. 216.

ამ მიმოხილვას ის სარგებლობა ჰქონდა, რომ გაცივით: ევროპულ მწერლობაში და შეგანებში სამი მთავარი მწიფეწელობა აქვს პანთერას:

- გამორკვა, რომ:
1. „პანთერა“ არის „ვეფხი“.
 2. „პანთერა“ = „ვეფხი“ არის სიმბოლო სილამაზისა.
 3. „პანთერა“ = „ვეფხი“ არის სიმბოლო ქალბატონისა; იგი არის სიმბოლო სატრფოსი.
 4. „პანთერა“ = „ვეფხი“ არის სიმბოლო რელიგიური. რაც იმ საკითხს შეეხება, რომ პანთერა არის სიმბოლო სილამაზისა, სახე ქალბატონისა. ხატი სატრფოსი, როგორც ეს ვეფხისტყაოსანშია კარვად გარკვეული. იგი გარჩეული იყო ჩემ წიგნში „ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველებზე“.
- პანთერის ეს მოსაწყენი გრძელი ამბავი მხოლოდ იმიტომ მოვახსენეთ, რომ ვეფხისტყაოსანის პანთერა=ვეფხი სრულიად არ წაავას ევროპულ შუა-საუკუნის მწერლობის პანთერას. ვერს პანთერა=ვეფხი არ არის მისტიკური და მას საერთოდ მისტიკიზმთან აკვითარი კავშირი არა აქვს.



რა სიტყვით არის გადათარგმნილი „ფიზიოლოგის“-ს „პანთერა“ ქართულ ენაზე?

ფიზიოლოგის ქართულ თარგმანში სიტყვისათვის — „პანთერა“ — გამოყენებულია სახელი „ვეფხი“. 22).

(ამ ცნობის მოწოდებისათვის მაღლობას მოვასხენებ ბ-ნ ალექსანდრე ჭეიშვილს, ბუნების არცნის).

პროფ. ნიკო მარბის დამოწმებით, სომხურ თარგმანში „ფიზიოლოგ“-ისა ბერძნული სიტყვა იხმარება: „პან-ტიმარ“... ამ სახელს „პანთერა“ პროფ. ნ. მარბი რუსულად თარგმნის სახელით „პარსი“ („პანტერა“ — ჩიო ესტ ბას“).

ქართულ ტექსტში „ფიზიოლოგ“-ისა ბერძნული სახელი „პანთერა“ დამახინჯებულია და დაწერილია სიტყვით: „პანფილი“. და ამ ადგილზე კი სომხურად არის ბერძნული სიტყვა „პანთერა“.

„პანთერა“-ს სომხურად ეწოდება „იოვაზ“ ან „იავაზ“, რაც ქართულში გადმოღებულაია — ამბობს პროფ. ნ. მარბ — სიტყვით „იავაზი“. ხოლო წინასწარმეტყველ ისესთან (13.7) კი ნათქვამია ქართული თარგმანით ქართულ „ფიზიოლოგ“-ში: „მეცა ვიქმნე მთვს ლომი ძეი ვითარცა ვეფხი გვასა ზედა“ — აქ სომხურად არის სახელი „იოვაზ“. 15).

ამით იხსენება, რომ ვეფხისტყუასანში სახელები „ვეფხი-იავაზა“ გადაბმულად იხმარება —

ვეფხის-იავაზა პირქუშად ზის (1159), ამბობს ფატმანი ნესტანის შესახებ და წყენა ვერ ეფერძენითო. მაკამ ეს სახელი „იავაზა“ ნახმარია ცალკეც, როცა ნადირობაზეა ლაპარაკი —

დამხედა ჯარი იავაზისა (474).

ს. ს. ორბელიანის ეს სახელი ასე აქვს ახსნილი: იავაზა ვეფხსა ჰკავს, მკირეა.

იავაზს უწოდებდნენ სანადიროდ გაწრთვნილ ვეფხი-ძალს. —

ამგვარად, ერთჯერ კიდევ ზედმეტად ირკვევა, რომ ფიზიოლოგის“-ის ქართულ თარგმანში „პანთერა“-ს შენატყვისი არის „ვეფხი“.

მაშასადამე ყველა გარჩეული მასალის თანხმად „ვეფხი“ არის „პანთერა“.

ამ ენის ნარკვევის საბოლოო დასკვნა ის არის, რომ ქართული სახელი „ვეფხი“ არის „პანთერა“ და სწორეით ამ სახელით — პანტიმარ — უნდა ითარგმნებოდეს იგი ევროპულ ენებზე, და ამით თავის თავად გამართლებული არის შესანიშნავი მთარგმნელი ვეფხისტყაოსანისა ინგლისურ ენაზე მარჯორი სკოტტ უორდრობა — ნეტარ ხსენებელი!

მადრიდ, 1961.

ეს წერილი ვეფხის საკითხზე უკვე შექმნილი ქართულ-საბჭოთა თბილისიდან ამავე საკითხზე ვახუშტილიძის ამონაბეჭეტი მივიღე. „ვეფხის“ თარგმან „ტიგრის“ სახელით იქ საეჭველ მიუჩნევიათ და იგი უარ უყვიათ.

პირველი წერილი მოთავსებული ყოფილა გაზეთში „ალიტერატურული საქართველო“ (20. 8. 65 წ.). მას ორი ავტორი ჰყავს: მიხეილ მამულაშვილი და ალექსანდრე ქუთათელაძე. ისინი მართებულად ამტკიცებენ: ვეფხი პანთერა არის.

მეორე წერილის ავტორი ყოფილა სარგის ცაიშვილი. ვეფხისტყაოსანის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის თავჯდომარის მოადგილე, რომელიც იმავე დებულებას ამტკიცებს („კომუნისტი“ 28. 11. 65 წ.), ილონდ მას ბერძნული „პარდალის“ და ლათინური „ლიოპარდუს“-ი მიანიჩა „ვეფხი“-ად.

ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო მესამე წერილი, რომელიც ცნობილ მეცნიერს, პროფესორ ირანისტს დ. კობიძეს ეკუთვნის. იგი არის ირანული (საპარსული) მწერლობის კარგი მცოდნე და ვანევიმარტავს. თუ როგორ ითარგმნებოდა სახელი — ვეფხი — ნათარგმნ „ვისრამიან“-ში. პროფ. დ. კობიძეს მოაქვს ამონაწერები ვისრამიანიდან. (ვახუშტი „თბილისის უნივერსიტეტი“, 20. 9. 65 წ.). სადაც კი „ვეფხი“ არის დასახელებული და ამ ადგილებს ამოწმებს ვისრამიანის სპარსული დედანის მიხედვით. პროფესორი დ. კობაძე ბრძანებს: „ქართულ ვისრამიანში სიტყვა „ვეფხი“ ცხრაჯერ გვხვდება... აღნიშნული ცხრა შემთხვევიდან თანამედროვე ტექსტში ვეფხის შესადარი ტერმინი მხოლოდ ხუთი შემთხვევისათვის დაიძენება. დანარჩენი ოთხი შემთხვევა კი სპარსულის საბამის ადგილზე არ იკითხება“. იქვე პროფ. დ. კობიძე მიმართავს სხვა და სხვა ლექსიკონს, სადაც სიტყვა ვეფხი სხვა და სხვა სახელით არის წარმოდგენილი და ამბობს ამის გამო: „ამჯერად სხვადასხვაობა და გაურკვეველობა“-ო. მისი დასკვნით, სპარსული „პარაბ“ არის ზოღლებიანი ცხოველი, ხოლო „ფალანგ“ არის „ვისრამიანისა“ და აგრეთვე შპანამეს ქართული ევრსიების მთარგმნელებს მიერ დასახელებული „ვეფხი“ — ხალხობიანი ცხოველი. და ეს „ფალანგ“ არის „ლიოპარდუს პარდუს“. ეს არის კარგი საბუთი!

როგორც ჩანს, ყველაზე უყეთესად და მართლად „ვეფხი“ ქართულ ბიბლიაში არის ნათარგმნი და ამას კი ყურადღება არავინ მიაქცია!

1). ვაიოზ იმდაწვლი: რუსთველოლოგიური ლიტერატურა 1712—1956 წლები. თბლ. 1957 წ.

2). ე. ნოზაძე — ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველება, დამატება იქვე: „ბუნებისმეტყველება“. სანტიაგო დე ჩილე, 1957 წ. გვ. 211.

3). ვისრაიანი — აღექსანდრე გევაზიანის და მავალი თოდუას რექსიით. თბილისი, 1964 წ.

4) Oeuvres complètes du Pseudo l'Aréopagite, traduction de Maurice de Gandillac. Paris, 1943. p. 194.

4ა. პეტრე იბერიელი (ფესცელო-დიონისე არეოპაგელი). შრომები. ეფრემ მცირის თარგმანი. გამოსცა. გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სამსარ ენთქაწვილმა. თბილისი, 1961 წ. გვ. 109.

5) Max Wasmer — Russisches etimologisches Woerterbuch. Heidelberg, 1953. B. I. S. 57.

5). სოფლის მეურნეობის ლექსიკონი.

7) A. F. Caschtschab — Russke-peridsky Slovar.

8) C. S. Lewis — The Allegory of Love. Oxford, 1937. p. 287.

Encyclopaedia Britannica. London, 1960. Vol. II.

9). ქართული განმარტებითი ლექსიკონი წიგნი მე-1, გვერდი 58.

10). საქართველოს ეკლესიის კალენდარი. თბილისი, 1954 წ. გვ. 100.

11) James Hastings — A Dictionary of the Bible. Edinburgh, 1910. Vol. III, p. 95.

12) Ernst Fr. Kroll Rosenmüller — Handbuch der

biblischen Altertumskunde. Leipzig, 1830. Band II. S. 134 - 138.

13) L. F. Hartmann — Encyclopedic Dictionary of the Bible. Usines Brepols S. A. Tournhout, 1963.

14) F. Vigouroux — Dictionnaire de la Bible. Paris.

15) ib. tome IV. p. 2076. p. 172-175.

16). ბასილ დილი: ექუსთა დღეთი. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ტექსტი გამოცემა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ. თბილისი, 1947 წ. გვერდი 106.

17). S. Basili Magni — Homilia IX in Hexaemeron. Patrologiae completus. Series Graeca. 1857. Tomus XXIX, pp. 191 - 192.

18) O. Roy — Hexaméron ou leçons de la Nature. 1942.

19) Dr. Friedrich Lauchert — Geschichte des Pflanzens. Strassburg, 1889. S. 19.

20) Nicol de Margival — Le Dit de la Panthère d'Amours. Poème du XIII siècle, publié... par Henry A. Todd. Paris, 1883.

21) Le Bestiaire Divin de Guillaume, clere de Normandie. Edité par C. Hippau. Caen, 1852. p. 25.

22). ტექსტი ი რაზისკანია პო ა მინაო-გუზინსკოი ფილოლოგია. კნია ვუნსილა. პეტერბურგ, 1904.

23) Richard de Fournival — Le Bestiaire d'Amour et la Repose de la Dame, publiés pour la premier fois d'après le manuscrit de la Bibliothèque imperial, par C. Hippau. Paris, 1860. p. 24.

ბრუნავს ვითა ტანაჯორი

ტარიელი ავეიწერს ომის ამბავს — მტრის ლაშქარში შივან ასუე გავერთვე, ვნოლის ჯოგსა ვითა ქორი, კაცი კაცსა შემოვსტყორცნი, ცხენ - კაცისა დაედვი გოზი;

კაცი, ჩემვან ვანატყორცი, ბრუნავს ვითა ტანაჯორი, ერთობ სრულად ამოვეყვიდე წინა კერძო რაზმი ოზი...

პირველი ვანმატება ამ სიტყვისა „ტანაჯორი“ მოგვაწოდის ვაბტანე მეფემ (1712 წელს): ტანაჯორი — ერთი წლის ჯორი არის და ბევრად სხვად იტყვან (ემა).

მაშასადამე, სიტყვა „ტანაჯორი“ სხვა და სხვა გვარად განიმარტებოდა. აქ ვიცი თხოლოდ, რომ იგი არის ერთი წლის ჯორი; მაგრამ უეჭველია, ამ შინაარსით ეს სიტყვა შიორის აზრს მინც და მინც არ შეეფერება, არც არის დამაკმაყოფილებელი და ამიტომაც ამ სიტყვისათვის „ტანაჯორი“ სხვა გვარი ვანმარტებაც მოუძენიათ.

თეიმურაზ ბატონიშვილის ასხანა: —

ტანა ჯორი — ტანად მომცრო ჯორი და მსწრაფლად მბრუნავი.

თეიმურაზ ბატონიშვილის ასეთი ვანმარტება მხოლოდ ვანერცობაა ვაბტანე მეფის ვანმარტებისა, მაგრამ უფრო სურათოვანად აღწერილი.

**

ჩემ წიგნში (სანტიაგო დე ჩილე, 1957 წ.) ჭეტის ვარსკვლავთმეტყველება, გვერდზე 222 ნათქვამია შემდეგი: სიტყვას „ტანაჯორი“ რაფიელ ერისთავი ასე თარგმნის: „ვლადიშ ილი გრებლიაჲ სერია“.

პროფ. ნ. მარაზის ვანმარტებით, რომელიც სახელს ტანაჯორი უკავშირებს სომხურ სიტყვას: „ჯორეაკ“; არის პრიტიხანა („სტრეკოხა“).

1903 წელს დ. კაპიჯაშვილის მიერ გამოცემულ ვტის ლექსიკონში, ნათქვამია: ტანაჯორი ერთგვარი მწერია ბუნებით.

ასეთი ვანმარტებით უარყოფილია ძველი წარმოდგენა ამ სიტყვად. ვანმარტება, სამწუხაროდ, არ არის დასაბუთებული.

იუსტ. აბულაძე 1914 წელს იმორებს ამ ვანმარტებას: ტანაჯორი — ერთგვარი პაწია ზუხი.

სარგის კაკაბაძე 1926 წ. ვანუეთიხვად ამავე ვანმარტე-



ბას ვეთავაზობს: ტანჯალორი — პატარა ერთგვარი მწერი. ამვე განმარტებას უტარალებს რედაქტორი კონსტანტინე კვიციანი: ტანჯალორი — ერთგვარი პატარა ბუხის მაგვარი მწერი.

1937 წლის საიუბილეო გამოცემის ლექსიკონში: ტანჯალორი — პატარა ბუხის კოლოს მაგვარი.

1951 წელს ალ. ბაზამიძის, კ. ყვეციძის, ა. შანიძის რედაქციით დაბეჭდილ ვტში ტანჯალორი არის პატარა ბუხი კოლოს მაგვარი.

რომელი ბუხია?! რომელი კოლო?! ყველა განმარტება უცვლელად და განუტოხებავად იმიორებს ერთსა და იმავე განმარტებას, სრულიად დაუსაბუთებელად.

ვეფხისტყაოსანის ინგლისურად მთარგმნელს მაჯალორი ფორდობს ეს სიტყვა ტანჯალორი ნათარგმნი აქვს სიტყვით „დრაგონ ფლაი“. მე კი ნათქვამი მაქვს (დასახელებულ წიგნში, გვერდი 222) „ეს, როგორც გამოვარკვეი, არის „ნეტონეკტა გლაუკა“. და ამის გამო ვამბობდი: „დრაგონ ფლაი არის ნეტუპტეროს მწერთა ლიბელლანას ჯგუფისა. მათ ახასიათებს გრძელი ტანი, ფართო თვალები და ორი წყვილი ფართო ძლიერი ფრთისა, რომლითაც სწრაფად ფრინავენ. „იქნებ ტანჯალორი“ სწორედ ეს „ნეტონეკტა გლაუკა“ არის? დანამდილებით ვერ ვიტყვი“. (გვ. 222).

ამდენი ნიაზ-ნაირო განმარტების შემდეგ უყანასენელად აკად. პროფ. აკაკი შანიძემ ახალი განმარტება მოგვაროდა: 1957 წელს გამოქვეყნდნ ვეფხისტყაოსანში დოკუმენტულ ლექსიკონში მას ნათქვამი აქვს: —

ტანჯალორი ერთგვარი მწერია, რომელიც სულ ბრუნავს გუბეში, მორგეში.

ეს თქმა მინც და მინც აუც თუ ზუტატია, რადგან არ არსებობს რომელიმე მწერი, ან ცხოველი, რომელიც „სულ ბრუნავდეს“!

სამწუხაროდ, აკაკი შანიძეს ეს განმარტება დასაბუთებელი არა აქვს: სად, ვისთან მოიპოვა იგი, სოფელში — გლეხთან, თუ ქალაქში — მწიგნობართან?! ან რა წინადადებაში, რა გამოთქმაში!

ამ სიტყვას „ტანჯალორი“ შემდეგ მე ვავეციანი „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონ“-ში, წიგნი მეექვსე, გვერდი 1243. აქ ეს სახელი ასეა ახსნილი:

ტანჯალორი — 1. ერთი წლის ჯგირი; 2. [ნოტონეკტა გლაუკა]. ენტომ. მცირე ზომის წყლის მწერი ბალნიჯოსანიითა რივისა; მეტწილად ზურგიით დაცურავს-ო. და აქ ამ განმარტებას დართული აქვს ვეფხისტყაოსანის რეკა: კაცი ჩემგან განატყორცი ბრუნავს, ვითა ტანჯალორი (რუსთაველი).

ბუნებრივად, დაინტერესა ამ „ნოტონეკტა გლაუკა“-მ, რადგან მარჯორი უორდენისთან თარგმანის საფუძველზე სწორებით ასე განმარტებ მე თვითონ ეს სიტყვა ტანჯალორი — ნეტონეკტა გლაუკა — თუმცა ისიც დავძინე:

ვერ ვიტყვი, ასეთი განმარტება დანამდილებით არის — მეთქი. ამიტომაც უფრო დაწერილობით ვავეციანი ეს ახლა სადავო მწერი.

ეს ნოტონეკტა გლაუკა არის ბალნიჯოსი გვარისა; ეს გვარის კი ცნობილია, როგორც ზურგიით მოცურავი. მას აქვს გრძელი, ხშირ ბალნიანი უყანა ფეხები. შორს გაქმეული, რომლითა: ნიაზებით, ვარეშეში წყალს უსვამს მისი ცურვის ხელოვნება ის არის, რომ იგი ცურვისას ვაწროლიაა ზურგზე, მუცელით უყანა მოღუნული, ამოზნებურთული, შოთაილული არის მისი ზურგი და წინ ნათელი, მოთეთრი, ხოლო უყან — ყვითელი. თავდამცველი. შემავებელი. შესამებულნი ფერი აქვს: მუცელის ასეთი ფერი ბევრ თევზს და სხვა მცურავსაც აქვს; მაგრამ ნოტონეკტა გლაუკას ცურვის დროს მუცელი ზემოდ აქვს, შეზრუნებული. და იგი შავი ფერისა ხდება. ეს ზურგიით მოცურავე მწერი მონადირეა, სასტიკი მტაცებელი; იგი ნაღობს პაწია თევზზე, მწერზე, არც თავის მოღუმისას დაინდობს და ხშირად თავის მხხელეტელ საწურტელს — ისარს ხვარობს, რაცა კაცი მას დაიჭვას. ვისაც უფრინია მისი ჩხვლეტა, ვამართლებს იგი ჩვენ შეთევზეთ, რომელნიც ამ ზურგიით მოცურავს „წყალის ფუტკარს“ უწოდებენ. ბან და ხან, დროიდან დრომდე მას ხვდავთ წყალის ზედაპირზე, რაც მისთვის იოლი რამ არის; წყალის პირზე ამოსულა მისთვის ვასპირია არ არის, რადგან იგი ყოველთვის ჰაერის ფენით შემოცულია და ამიტომ წყალზე უფრო სუბუტია... 1).

როდესაც სპეციალურ წიგნში ტანჯალორა = ნოტონეკტა გლაუკას ვავეციანი ექვი შემეპარა: სწორი არის თუ არა ამ გვარი ახსნა - განმარტება? არის ტანჯალორი „ნოტონეკტა გლაუკა“ ქართული ენის „ტანჯალორი“?

როგორც ვავეციეთ, ნოტონეკტა გლაუკა უმთავრესად წყალის კალაპოტის ძირზე ცხოვრობს; სიღრმეში არის მისი სამწუხარო და მზოლოდ ხან და ხან ამოღის მდლია. წყალის პირზე. იგი ცურავს, ბრუნავს, ალბათ სწრაფადაც. მაგრამ იგი მინც და მინც ცნობილი მწერი არ უნდა იყოს. რადგან მისი სამკედრებელი არის წყალის კალაპოტის ძირი. ამიტომ „განმარტებით ლექსიკონის“ თქმა კულგებარია, რომ „ტანჯალორი“ მწერი არის, რომელიც მეტ წილად ზურგიით დაცურავს, რადგან ამ გვარი ახსნილი არ ვიცით, სად დაცურავს იგი. სინამდილეში კი ეს ნოტონეკტა გლაუკა, მკურავი ზურგით, მზოლოდ ხან და ხან ამოღის ზემოდ, მდინარის ზედა პირზე. ასე რომ იგი დიდად ცნობილი მწერი არ უნდა იყოს.

ამ მოსაზრებით, მგონია, რომ არც „განმარტებით ლექსიკონის“-ა და არც ჩემი ძველი განმარტება გამოსადეგი არ უნდა იყოს „ტანჯალორი“-ს ვავეციანათვის.

როგორც შევიძლო ვეფხისტყაოსანის ავტორს „განატყო-

რწი კაცი“ შედარებინა მდინაწეში ასე იღუმალად მცხოვრები მწერისათვის? პოეტური შედაბნა ნათელ სურათს ითხოვს და არა მდინარის კალაპოტის ძირში მყოფ მწეწს! — კაცი ჩემგან განსაყოფი, ბრუნვის ვითა ტანაჯორო! (447).

მაგრამ არის კიდევ სხვა მწერი მცურავთა გვარისა, რომელსაც მონღოებშით გავეყანი. ეს მეორე მწეწი არ არის ბაღლინჯის ჯიშისა; იგი არის სხვა გვარისა და წყალის ზედაპირი არის მისი საცურაო ადგილი; ასეთ მწეწრებს ეწოდებათ: წყალზე მსრბოლი, წყალზე მორბენალი. წყნარი, მდორე, გუბის წყალის ზედაპირზე არის თავშესაყარი წყალზე მორბენალთა („ვესერლოიფერ“), ზომილიც თავისი გრძელი. თხელი ფეხებით წყალის ზედაპირზე დამდგარი არიან, ან სწაფად დარბიან, მიმორბიან და ბეჯითად უთვალთვალევენ, გამოჩნდება საიდანმე პაწია ცხოველი ან ხმელეთის მწერი, რომელიც წყალზე დაეარება; იგი ამ ცხოველს სწაფად სრიალით მივაწდება, დაიჭერს და მას სისხლს ამოსწოვს. ყველა ამ გვარ მკვირავს ცხოველს აქვს დიდი, ვადმოკარგლი თვალები და ცალწეული ობსწეირიანი შეხების წეწერი — საწეწრელი, ისაზი. ზოგ სახეს აქვს მყარალი სუნის ჯირყვლები და მწეწის შენიშვნა-დანახვა ადვილია ამ უსიამოვნო სუნის გამო.

ამ მსრბოლ ანუ მორბენალ-მოცურავე მწერთა შორის ცნობილია ეგრეთაში ფართოდ გავრცელებული: ტბაზე, ვუბეზე, ანუ ტბის-გუბის მორბენალი „ტრაიხლოიფერ“, ანუ მისი ლათინური სახელით: ჰიდრომეტრა სტანგრომელ. ამ სახის მორბენალს აქვს კომბალის მსგავსი თვით და აქვს გვერდითი თვალები; მას აქვს გრძელი, ეწით მფორესაგან ფართოდ დამორბეული ფეხები და მოშავო-შაბლის ფერი; იგი ცხოვრობს ნაპირზე, გაიჭებულ, ან მტვად მდორედ წარმავალ წყალზე, ან კლდის სოველ ხავსზე, ან თვით წყალის ზედაპირზე.

უფრო მაგარი და ღონიერი წყალზე მარბენალი არის —

მოლი რამ წამოსხსა ზედა ტანსა

სიტყვა „მოლი“ გვხვდება ჰომეროსის „ოდისეა“-ში. პირველად წყაითხვისას მას უწოდებდა არ მივაჭერ, რადგან პირველივე შთაბეჭდილების თანახმად, ამ პომეროსულ „მოლი“-ს ეფხვისტყაისანის სიტყვასთან „მოლი“ არავითარი კავშირი არ შეიმჩნეოდა. მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა: თუმცე სხვას შეუმჩნეოდა იგი და ეფხვისტაისანის „მოლი“ ვადაუტყევი „ოდისეს“-ის „მოლი“-ად, ასეთმა ამბავმა ვამაკვირვა და მან იძულებული გამხდა „მოლი“-ს საკითხს დაებრუნებოდი. ესე იგი: უნდა გამომერკვია და დამედგინა: თუ რა არის „მოლი“ საერთოდ. ამიტომ მივეჯბრუნდი ისევ „ოდისეს“- და გავი-

„გერის ფ.“: იგი ევროპაში არის გავრცელებული და 12 სახისა არის. ამ „გერის“-ის დამახასიათებელი არიან — მოკლე წინა ფეხები და უკან, ზურგის ვარზე გავრცელებული წინა-ზურგი. უკვე მოზრდილი შეიძლება უკავისებური ფრთებით იყოს შემკობილი. ხშირად შეხედებით ამ „გერის“-ის დიდ საზოგადოებას ვაჩრებული წყალის ზედაპირზე, ან წყნარი პირის რუზე, ან მდორე მდინარეზე. ამ მორბენალთა გერის“-ის დამახასიათებელია უკან ბრუნვა, უკან სვლა; ამ დროს იგი დაყრდნობილია უკანა ფეხებზე და ამიტომ სწაფად და მოხერხებულად გააბის. ჩვეულებრივ, საკვირებისას ფრთაზე მხოლოდ დამით. ასეთი არის წყალზე მორბენალი, მოცურავე მწერი „გერის“- (2).

ბავშვობისას ხშირად მინახავს აქ აღწერილი, წყალის ზედაპირზე მორბენალი, მოცურავე მწერი. ბავშვი დაეცხნებოდათ ხოლმე და დიდი მოთმინებით, ვასაკვირველი ინტერესით მიფრებოდათ ხოლმე იმ სწაფად მოსრიალე მწეწებს, რომელთა ჩვენ მოთამაშებებს ვეძახდით. და აზრადეა არ მომსვლია. უფროსებისათვის გამოკითხა მისი სახელი. ამა რა ვიკოდი, რომ მისი სახელი ჩემთვის სადღეიდარამო ვადეზოდა?

თუ სწორია აკად. პროფ. აკაცი შანიძის ვანმარტება სიტყვისა „ტანაჯორო“ და იგი არის მწერი, გემწე, მდორე წყალზე, მორბევე მორბენალი, ამ შემთხვევაში არც ჩემი ძელი ახსნა და არც უკართ. ვანმარტებითი ლექსიკონის განმარტება მისალბებ არ არის. „ტანაჯორო“ იმ შემთხვევაში, თუ იგი მარბენალ მწერი, უნდა იყოს აქ აღწერილი „გერის ფ.“ (Gerris F)

კლუბი, იენისი, 1964 წ.

1) Brehms Tierleben. Erster Band : Die Wirbellosen. Leipzig, 1919. S. 205.

2) Ibid. S. 207.

ცნოთ ამ უდიდებულესი პომის ის ადგილები, რომელი სიტყვასთან „მოლი“ დაკავშირებულ ამბავს შეხებთ.

„ოდისეს“-ს მესამე ვალომა. ოდისესოს-ის გემი მიადგა ზღვით ისეთ სანაპიროს, რომლის ქვეყანა მისთვის და მის მზღებელთათვის უცნობი იყო. ადგილ-მდებარეობის რაობის გამოსარკვევად, ოდისესოსმა გამოჰყო ოცდარი თანამებრძოლი და ვაგზავნა ისინი ქვეყანის სიღრმით; დანარჩენები დარჩნენ გემზე და წაასულთ მიტრობდნენ. ვაგზავნილებმა ერთ ზეობაში იპოვნეს კირკესის სახელი. [აქ, სხვათა შორის, უნდა მოახსენოთ შემდეგი: ამ დი-

აღმერთის კირკესს (კირკესს) წიამომავლობა შემდეგ - ნაირად განისაზღვრება: — მის შვილი აიეტეს მეფობდა კორინთოსში. ამ მეფის აიეტეს დაა იყო კირკესი. კორინთოსიდან ლტოლვილი მეფე აიეტეს მივიდა კოლხეთში და მას ჯდღოსან დაიქვეყნა-გან შევიძინა ასული მე-ღისა... აიეტეს მეორე დაა იყო ასისთვე; რომელიც მინონის მეუღლე იყო. 1). გვერდი 454.]

კირკესს სასახლის ეზოში, გარშემო მგზღვარებმა დაინახეს ლომები და მგლები. ესენი იყვნენ მამაკაცები, რომლებიც ამ მხაკვარ დაიქვეყნა კირკესს თავისი წამალით მოეჯადოებინა და ლომებმა და მგლებმა გადაეჭრა ისინი.

ამ დასა სტუმართა დანახვისა, ეს ლომები და მგლები წამოდნენ და ახალ მოსულთ თავისი კუდით აღერსი დაუწყეს; მისულნი კი შინით იზინდებოდნენ და ვანილებოდნენ. მაგრამ აი, კარბობზე მოჩანს ღმერთი-დაიცი, ლამაზი კელულებითა; იგი ვალობს შევიერი ხმით და ჭიკის დამთებნი ტილოს... მისულთა უფროსი პოლიტეს თავის თანამგზავთ ეუბნება: ისინეთ ეს ხმა; იქ ქსევნი... ვინ არის იგი; დაიცი თუ ღმერთი? მამ შეგძახოთ აქედან.

დაიცი (ღმერთი) ვამოდის სახლიდან. ვაალებს ბრწყინვალე კარს და მოსულთ შეიწვევს. ყველა მიჰყვება მას; მხოლოდ ეურლოკესი რჩება უკან. იგი უნდობია... დიაცმა სტუმრები შეიყვანა დარბაზში; დასა ისინი სკაიბუნებდა და საბოლოებში; მერმე კირკესმა გათქვიფა ღვინოში ყველი, ფჭელი და მწვანე თაფლი; მას შეურია საბედის-წიროს საწამლაგი, რათა მოსულთ წაართვის ყოველი მოკრუნება სამომლოებზე. მან მოიტანა სასისი; სტუმრებმა მიირთვეს იგი. მამინ თავისი გრძელი წქნელი (ჯოხი) დიაცმა-ღმერთმა კირკესს-მა მათ შეახო. დაჯრა და გარდა-ეჭვითა რა ისინი ღორებდა. შერეკა ისინი სალორეში; მათ პქონდათ ღორის თავი, ღორის ხმა და ჯჯავარი... ტიროდნენ ისინი და კირკეს მათ უყრიდა წინ ღორის საქმელს...

ეურლოკე გაიქცა და მიბრუნდა გემზე. მაგრამ მომხდარი ამბავით ისე იყო გაბრტანებული, რომ სული ვერ მოითქვა და მხოლოდ ტიროდა. ბოლოს ოდისიკოსს და მის თანამოხლებელთ ეურლოკე ნახულ საშინელ ამბავს მოუყვება.

ოდისიკოს გადაწყვეტს და მიდის კირკესს სასახლისაკენ. და უტყბად მის წინაშე გამოჩნდება ღმერთი ჰერმესი, ოქრო-ჯოხისანი; მას მიეღო ჭაბუკის სახე. ჰერმესმა მოჰკიდა ხელი ოდისიკოსს და უთხრა:

„ჰერმეს: — სად მიდობხე, უბედურო, ამ სანაპიროს გასწორივ?... მარტოდ მარტო და იმ ადგილებში, რომელს შენ არ იცნობ?... კირკესთან? ისაღე შენინანები ღორებმა გაარდაცქელო, ახლა ტყვენი არიან კარგად დაცეტილი სალორეში?... იქიდან ვერ დაბრუნდები, დამიჯერე... შენ გაიწაწალებ მათ ბედს... მაგრამ მე მსურს ხიფათს ვადაგაჩინო, დაგიხსნა, შეხედი! ეს არის ზალახი სიციცხლისა!

ამით შენ შეგიძლია სასახლეში შევიხედო, რადგან მისი (ამ ზალახის) ღორსება ცუდ ღღეს ავაცილებს. და მე შენ განგებარტავ კირკესს ზრახვებსა და მის გმძიმებულებად კვირნარებს ვაძაზადებს. იგი ჩაასხმა საწამლაგს დასმისწილამაგრამ მის ჯდღოსან დავაკარგება ძალა ამ სიციცხლის ზალახის წინაშე, რომელსაც მოვსკემ. მაგრამ კარგად დაიჭირე ჩემნი რჩევანი: რა წამს თავისი გრძელი ჯოხის წვერით კირკესს შენ დავარტავს. შენ იშვილე შენი გვერდიან მახვილი შენი, მიიჭრე მასთან, თითქო ვსურდეს შენ მისი მახვილი!.. აცხახებულნი იგი წვაიყვანს თავისი საწოლისაკენ. ვამი არ არის უარი თქვა მასთან დაწოლასზე; ვახსოვდეს, იგი არის ღმერთი, ერთადერთი, რომელსაც შენუძლია შენ დაიბრუნო შენი ხალხი და შენი დავაბრუნოს გემზე! მაგრამ დაფიცე იგი ღმერთების სხედი ფიციტ, რომ მას აკ აქვს შენ წინააღმდეგ არაკითარნი და ცუდი განზრახვა, შენთვის და შენი დაღუპვისათვის...

„მითხრა რა ასეთი რამ ნათელ სიხუთსანმა ღმერთმა [ჰერმესმა]. ამთაპრო მიწოდან ზალახი, რომელიც მან გაძაცინო, სანამ ხელში მომცემდა; ძირი მისი არის შვიი და ყველილი მისი რძესავით თეთრი; „მოლაფ“-ს [მოლვ] უწოდებენ მას ღმერთები; ადვილი არ არის მოკვდავთათვის მისი ამოძრება; მაგრამ ღმერთებს ყველადევირ ძალუძით. შემდეგ ჰერმესმა, მიალწია რა ოლიმპოსის მწვერვალთ, დაჰქტრ ცხემში.

„კირკესს სასახლეში მივიდი: რა ფიქრნი ფორაიქობდნენ ჩემ გულში!

„ლამაზ-კელულებიანი დაიცი-ღმერთის კარბობესთან შეიჭერიდა და ეყვირებ; დაიცი-ღმერთმა გაიგონა. მან მიობინა ჩემ ხმაზე, იგი ვამოვიდა, გაალო ბრწყინვალე კარი, შემიწვია და მეც მივეყვი. ჩემი გულის ტკივილის მიუხედავად. მან ჩამტვა ვერცხლის ლურსმინით შეკრულს სავარძელში და იმ ოქროს თასში, რომელსაც მე ვინებარბდი, მან მოამზადა თავისი ნარევი; მან ჩაასხა იქ საწამლაგი, აჰ! სულა მიოლატისა!.. მან გამომიწილა თასი; ერთი გადაეკრით ვამოვეცლო იგი...

„ჯდლო უშედეგოა, მამინაჲ კი, როცა იგი შემეხო ჯოხით და ვანიჭება: —

— „ახლა მოდი სალორეში შენ ხალხთან ახლოს!
„მან თქვა, მაგრამ მე ჩემი გვერდიდან ვიძებო მახვილი; ვადებტი მისკენ და ისე ვქენ, თითქო მისი მოკვლა მდომებოდეს. მან ძლიერად დაიკვილა და დაემხო ჩემ მუსხლებთან, მოეხვია მათ, მე მთხოვედა, მე მეუბნებოდა ასეთ ფრთოსან სიტყვებს“...

ოდისიკოსი შეურაცხვენი კირკესს, მიიღებს მისგან მასპინძლობას და ბოლოს დააჯერება მას განათავისუფლოს ღორებმა გარდაცქეული ხალხი...

ოდისიკოსს მოკითხობს —

„ვამოიყვანა იქიდან ჩემი ხალხი: ისეთი ვასუქებული იყვნენ, რომ ცხრა ვაზაფხულის ღორები გვერინებოდათ...“

ისინი დადგენენ ფეხზე, პიპი მიპტკეის მისკენ; მან ჩაუარა მათ რიგს და თვითუფლს წაუხვია ახალი წამალი [აქ ფრანგულ თარგმანში არის სიტყვა „ფორტერა“ — ხეხეა, ზეღა, ჩაწელება, დასრესა], და ვხედავ: მათ ტანს სცილდება ჯავარი, რაშილითაც ისინი დადავრული იყვნენ, როგორც კი მათ შეეხო ღიბებული დიაც-ღმერთის საწამლავი. ხელ აშლა, აი, გახდნენ ისინი ისევ დადამიანებად, როცა მე მათ მცენეს, თვითუფლად ხელი მომიხდა, მართო სულთქმებატორით: ბინა გაივსო საშინელი ხმაურით! დიაც-ღმერთი, იგივე შეიპყრო შეკოდებამ!“. 1).

გერმანულად ნათარგმნ ოდისეაში ეს მნიშვნელოვანი ამბავი ასე არის მოთხრობილი —

„ასე თქვა ჰერმესმა და მომცა განმაცურებელი მცენარე: ძირი მისი იყო შავი, რძითურად ჰყვავდა მისი ყვავილი; ღმერთები მას უწოდებენ „მოლი“ [„მოლუს“]... [კირკვი] მოგაწოდებს მოწამულ ღვინოს, მაგრამ ამით იგი ვეღარ შესძლებს შენ გადასხვადგებებას; სიკეთე ამ მცენარეს დააბრკოლებს მას!... 2).

კლასიკურ ჰომერულითა გადმონაცემებში ეს ამბავი ასეა აღწერილი —

ამ დაბრკობასთან ერთად ჰერმესმა „მან ამოაძრო მიწიდან შავი ძირი თეთრი ფერის ყვავილით და უწოდა მას „მოლი“; [კირკვი] აღარ შეეძლება შენ გავნოს, ეს თუ გეჩვენება. 3).

ეს მცენარე [„მოლი“] მას [კირკვის] ხელს შეუშლის (დააბრკოლებს) შენ გარდავატკობს პიპუტყვად“ — (იქვე, 3. ვერსი 780).

ამ ამონაწერებით საკმაოდ გამოჩვეულია: თუ რა არის „მოლი“ და რისთვის იხმარება იგი.

გამორკვეულია და ნათელი: —

1. მოლი არის მცენარე, შავი ძირით და თეთრი ყვავილით;

2. მოლი თუ კაცს აქვს, მასზე ჯადო, ან საწამლავი აუ მოქმედებს.

3. ჯადოსან დიაც-ღმერთის, კირკვის გრძნება და საწამლავი უძლურია „მოლის“ წინაშე.

4. კირკვი ღორბება გარდატყუებული ადამიანები ისევ კაცებად აქცია არა „მოლის“ წასმით, არამედ თავისი საკუთარი ახალი წამლის ხმარებით. ამ წამლის სახელი «ოდისეა»-ში არ მოიპოვება!

ახლა ისიც შევიტყუოთ, როგორ წარმოედგინათ ძველად „მოლი“?

ფრანგულ დიდ უნივერსალურ ლექსიკონში ამ სიტყვისა „მოლი“ შესახებ ნათქვამია —

მოლი — ბუძნულად — მოლვ — მცენარეა, რომლის შესახებ ლაპარაკობს ჰომეროსი და რომელს იგი საკვირველ თვისებას მიიწერს. ეს სახელი შემდეგ ნიროს ერქვა.

ბანფეის შეხედულებით, ეს სიტყვა მოდის სანსკრიტული წინდან: ძირი მისი აზის „მოლ“. რაც ნიშნავს მძვინვარეულად, ძირდავდა. აქედან წარმოვად მრავალი სახელი, რაც ინდოევროპულ ენებში მცენარეებზე მითითებული მწერლობიდან არა ჩანს სიტყვა „მოლი“, თუ ამ სახელით სწორედ ეს „მოლი“ იწოდებოდა; მაგრამ ჰომეროსის „მოლი“-მ ძველებზე შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც საკვირველ მოქმედმა მცენარემ და სურათა ვაგვეთა მისი რაობა, ოღონდ უშედეგოდ. ამ „მოლი“-ს სახე ამოჭრილია ძველ ფულვებზე, ქებებზე და ამ მცენარეს ჰერმესი აწვდის ოდისეათს; ფიქრბდნენ, ეს იყო ერთგვარი ნიროი; ჯეგუროს: იგი საწამლავის საწინააღმდეგო საშუალება იყო. 4).

და სიტყვარში „მოლი“ აზის განმარტებული, როგორც ნიროის მსგავსი, ნიროის სახის მცენარე. 5).

მოლვ — მოლი, სასწრაფოებრივი მცენარე, რომელიც ჰერმესმა მისცა ოდისეოსს, როგორც საშუალება დიაც-ღმერთის კირკვის ჯადოსნობის გასაბათილებლად, ძველადაც და ახლაც საწინააღმდეგო აწუხებს, რათა მისი რაობა გაიგონ და დაედინონ — ნათქვამია პაულის რეალ-ენციკლოპედიაში. 6).

რასაც ჰომეროსი „მოლი“-ს შესახებ ამბობს, ძალიან ცრუა არის: ძირი — შავი, ყვავილი — თეთრი და შემდეგ მიმბამვლეთა შორისაც იგივე აზის განმარტებული.

თეოფრასტოსის ისტორიაში მცენარეთა შესახებ ძალიან ფრთხილად ნათქვამია, რომ ჰომეროსის მიერ დასახელებული „მოლი“ არ მინახავს, მაგვარა მისი მსგავსი მცენარე არის ერთი („მოლისა“), რომელს აქვს რგავლი თავი ვით ხახვს, ხოლო ფურცლები ზღვის ხახვს უგავსო; („სკილვა“), ამ მცენარეს ხმარობენო შხამის წინააღმდეგ და ჯადოსნობაშიც; მაგრამ ძნელია იმის თქმა, რომ იგი ჰომეროსის «მოლი» არის. 6).

აქედან გამოდინარეობს ის, რომ თეოფრასტეს ხანის შემდეგ ჰომეროსულ მოლად მიღებული იყო საბერძნეთში მხარად მცენარე, და რომელს ეწოდება „მოლუსა“, რაც სინამდვილეში იყო მიხავს მსგავსი მცენარე, რომელიც კილლე-ში და საერთოდ ფენეოს-ში იზრდებოდა.

დიოსკორიდების დროიდან უკვე „მოლი“-ს უწოდებენ სხვა და სხვა მცენარეს, რადგან ყველა ამ მცენარეს მაგეურ, ჯადოსნულ იყო მიხავს მსგავსი მცენარე, რომელიც კილლე-ში და საერთოდ ფენეოს-ში იზრდებოდა. დიოსკორიდების დროიდან უკვე „მოლი“-ს უწოდებენ სხვა და სხვა მცენარეს, რადგან ყველა ამ მცენარეს მაგეურ, ჯადოსნულ იყო მიხავს მსგავსი მცენარე, რომელიც კილლე-ში და საერთოდ ფენეოს-ში იზრდებოდა. დიოსკორიდების დროიდან უკვე „მოლი“-ს უწოდებენ სხვა და სხვა მცენარეს, რადგან ყველა ამ მცენარეს მაგეურ, ჯადოსნულ იყო მიხავს მსგავსი მცენარე, რომელიც კილლე-ში და საერთოდ ფენეოს-ში იზრდებოდა.

პარმა და სირიულად: „ვესსასა“; მის სქელ, წებოვან წვეს მტრნარლობაში იყენებდნენ.

ცნობილი ბოტანიკოსი პლინიუს ლაპარაკობს (25,26) მოლის შესახებ: იგი იმეროებს თეოფრასტულ აღწერას და დასძენს, რომ ბერძენმა ავტორებმა ამ მოლის ყვი-თელი ფერი მიანიჭეს, მაშინ როცა ჰომეროსთან მის თე-რი ყვივით აქვს. პლინიუსის ცნობით, მალი იზრდებოდა იტალიაშიც; მაგრამ არც მისი აღწერა ანის გარკვეულად გადმოცემული; შემდეგ კიდევ ეხება იგი „ჰომერო-რიუმ მოლი“-ს და მას უწოდებს „მოლონ“ და მოგვი-თხრობს, იგი საუკეთესო მშენებლებსა და დიდებულებსა წინა-აღმდეგ (25,127; 21,180) და მას იგი გაივიცებულ აქვს „პაპიკაპონ“-ს და „მორონ“-თან.

სხვა მწერლებიც კიდევ მხელა ცნობას გადმოგვცემენ.

დასჯეს ის ანის, რომ აქვს საბერძნეთში და რომში არ იცოდნენ. თუ ნამდვილად რა მცენარე იყო „მოლი“.

მე-16 და მე-17 საუკუნედან გაიხსენეს მოლი და და-იწყეს იმის გამოკვლევა, რა შეიძლება იგი ყოფილიყო. ამ საკითხზე აუარებელი გამოკვლევა დაიწერა და ამ შემთხვევაშიც; ცხადია, აზრთა დიდი სხვაობა და არეუ-ლობა არის გამოვლენილი. რადან მკვლევარებს ჰომერო-სის მოლი, „ჰომეროკუმ მოლი“ ნამდვილ მცენარედ მიაჩ-ნიათ. მაშინ როცა ბოტანიკოსი ლენც ამტკიცებს, მოლი ანისა ჰომეროსის შემოქმედების ნაყოფი, პოეტური ზან-ტაზიათა. იგივე აზრი აქვს გამოთქმული ამეის-საც; ჰო-როსისათვის — ამზუსტ მკვლევარი ლენც — მოლი იყო ზღაპრული მცენარე. რომელიც ჯადოსნობას თავიდან ავაცდენდა, როგორც არის სხვა ანა ერთი მკურნალი მცენარე, ზღაპრებში ხშირად მოხსენებული.

ამ შეხედულების გარდა, არის კიდევ ერთი, რომლის თა-ხანხად მოლი ანის უბრალოდ ალბეგობრილი და „პაი-დეა“, ანუ უღებობა, ქუთის სწავლება. რაც უჩინა ჰერ-მესმა ოდისეოსის, რათა დიაც-ღმერთის კირკის ჯადოს-ნობისაგან თავი გადაერჩინა. შვიი ძირი, შვიი ფესვი მცე-ნარბისა ნიშნავს მწარე, ღებურ დასაწყისს „პაიდეა“-სას, ხოლო თეთრი ყვავილი ტკბილი ნაყოფია. 31). წიგნი 31' გვერდი 29-33.

ჯადოსნური მცენარე, ნიროს ოჯახიდან, რომელიც ჰერმესმა (მერკურუსმა) მისცა ულისესს (ოდისეოსს), რათა მას უნებდენ ექნა უკუდესი შვედეგ იმ სასმელისა, რაც მას სირსემ (კირკემ) მიაწიდა. (ჩქვე, ლომი 2. გვერ-დი 132). 7).

ასეთი ანის „მოლი“-ს თავგადასავალი.

წამლის წასმა და მით გადასხვაფრებება, უფრო სწო-რად: გარდაქმნა, მეტამორფოზა, მავისი, ანუ მოკო-ბის დარჯს ეკუთვნის და იგი ძველ მწერლობაში მრავალ-ჯერ არის აღწერილი, მაგალითად: სამ წიგნში „აპულეი

მეტამოფოზენ“ აღწერილია ასეთი გარდაქმნა „ამოდენ-ჯერმე და, ყოველ შემთხვევაში, გარდაქმნილი მთელ ტანზე ისევე, იტებს რალც წამალს და მწერს მთელ და-იზილავს ხოლმე, მერმე კი გარდაიქმნება ან მხეცად, ან პიურტყვად, ან ფრინველად და სხვა, როგორც ეს მას მო-ეპარბენა, და წამლის მეზხებთა და ძალით: არსად ამ შემთხვევაში სიტყვა „მოლი“ ან „წამალი მოლი“ არ იხ-მარება, თუმცა ძველმა მწერლებმა ჩვენზე უკეთ იცოდნენ „ოლისისა“-ც და მისი „მოლი“-ც!

ამ ნარკევის დაწერა გამოიწვია ივანე ლოლაშვილის წერილმა, რომელიც მოთავსებულია კრებულში „მნათო-ბი“. 8). მას სათაურად აქვს: „ჰომიოზიონ, შვეთელი, რუს-თაველი“.

ივანე ლოლაშვილს მოაქვს კირკეს (კირკეს) ამბავი, მაგრამ ცოტა უსწორად: 1. ოდისეგმა (ოდისეოსმა) დასაწყებება: რადც არ უნდა დაუჯდეს, დაკარგული მე-გობრები მოიძიოს და განსაკუდელისაგან იხსნას-ო.

ოდისეოსმა ძალიან კარგად იცოდა, რომ: 1. მისი თანა-მხლებლები კირკეს სასახლეში იყვნენ ღორებად გადაქ-ცეული, სალორეში ჩამწყვედული.

2. ის (კირკე—კირკე) საქმელს შეამზადებს-ო.

პოემში 2. არავითარი ლაპარაკი საქმელზე არ არის; აქ არის ფილია და სასმისი.

3. მისი („მოლი“-ის) ამოკლევა მიწიდან მომავლეთთა ამ შეუძლიათ-ო.

ნამდვილად კი 3. პოემაში ნათქვამია: ადვილი არ არის ზოკედეთათვის მისი ამოძრობა-ო.

ივანე ლოლაშვილს თითქო სწორად აქვს ვაგებული, თუ რა ანის „მოლი“ ჰომეროსთან: ჰომიოზის ვაგებით „მოლი“ არის მავთური ძალის მქონე ჯადოსნური მცე-ნარე... ხოლო შემდეგ უკვე გაუგებრობაა, რადან ივანე ლოლაშვილი ამზუსტ: —

„ამ მცენარისაგან დამზადებული სასწაულებრივი წამა-ლი, ფარმაკონი, რომელსაც მინიჭებული აქვს გრძენუ-ლობის გამძაბობილებელი ფუნქცია“-ო.

ჰომეროსთან არ არის, თითქო მოლისაგან არის და-მზადებული სასწაულებრივი წამალი... პოემაში არავითარ წამალის დამზადებაზე ლაპარაკი არ არის.

ღმერთი პერსეუსმა ზანმა დახვდა ოდისეოსს და მას მი-სცა მიწიდან ამოძრობილი „მოლი“, რომელიც ჯადოსნო-ბისა და მოწამელის წინააღმდეგ მოქმედობდა. ეს მოლი არ არის თხევადი; არ არის იგი არც მალაობა; არ არის იგი არც სხვა რამ, „დამზადებული“; არ არის არც დასალევი, არც წასასმელი, — არც ერთი ეს ხმარება ჰომეროსის პო-ემიდან ან ჩინს და მხოლოდ ივანე ლოლაშვილის ნაგა-რბილდევია, რათა თავისი თეორია გაამართლოს! ამას არ უწვევს სხვა და სხვა მოსაზრება, ხალხური რწმენა თუ მედიკინის გამოყენება, მაგლრი ძალის მქონე ბალახ-

თა ამავეი, სიკოცხლის წვენი და სხვა, რასაც დიდი ადგილი აქვს ხალხურ წარმოდგენაში. ეს ყველაფერი მას იმიტომ დასჭირდა. რომ ეფესისტაოსანის შთაბრძნობით, რომელსაც სიტყვა „მოლი“ არის ნაშთი, თავისებურად განმარტოს. რასაკვირველია... ტექსტის და მამა-ბინჯებით...

ბანი ივანე ლოლაშვილი მოგივთხრობს: — ფატმანს ჰყავდა ორი მონა. ესენი არიან „შენი“ და „სასენი ჯანებითა“ „უჩინოდ წაუღუნ — წამოვლენ მათათა ხელოვნებითა“ (1237); მათ შეუძლიათ ამავე დროს ფრენა (გასაკვირველია: საიდან დასაქვენა მან ამ ფრენის ამავეი; ვ. ნ.). და დაბნულ კართა შევლა. ისინი თავისი საგრძნობლო ხელოვნების ზოგიერთ სახეობას ეუფლებიან, „მოლის“ საშუალებით, რაღაცა მათ კარგად იციან ამ სასწაულომოქმედი წამლის შოვნა და მოხმარება. როდესაც ფატმანმა ნესტან-დარეჯანისადმი ქაჯეთში გასაგზავნი უსტრა დაწერა, ვადასცა „გრძნულსა ხელოვანსა“, ხოლო „მან გრძნულმა მოლი რამე წამოიხსა ზედა ტანსა, მასვე წამსვე დაიკაჯვა, ვადაფრინდა ბანის ბანსა; წაივდა ვითა ისარი კაცისა მშველ-დაცხელისა. რა ქაჯეთს შეხდა, ქმნილ იყო ოდენ ბინდ-ბანიდ ბნელისა. უჩინოდ შევლო სიმრავლე მოყმისა, კართა მცველისა, მას მესხსა ჰვადრა ამავეი მისისა სასურველისა (1276—1277). ამ კონტრასტში „მოლის“ მნიშვნელობა დაკავშირებულია ჯალდოსტური მცენარის ფესვიდან გამოთავის სითხესთან. რომელსაც რუსთაველის აზრით, მიკუთვნებული აქვს გაუჩინარების ძალა და გრძნულ ქაჯთა მისნობის გამაძლიერებელი ფუნქცია. ასე რომ, ტაბეი „მან გრძნულმა მოლი რამე წამოიხსა ზედა ტანსა“ ნიშნავს (ფატმანის) გრძნულმა (მონამ) ტანზე წამოიხსა (დაიხსა, მოიხსურა) ჯალდოსტური მცენარის ფესვიდან დამზადებული თხევადი ნივთიერება, რაღაც საგრძნობლო წამალი (ანუ მოლი)“.

„მოლის“ ამგვარი გაანგებების სისწორეს — ვანაჭრის ბუნე ივანე ლოლაშვილი — მხარს უჭერს აგრეთვე (3) 599 ხელნაწერის წინაკითხი: „მან გრძნულმან მოლი რამე წამოიხსა ზედა ტანსა“. რაკი ვადაწერს „წამოიხსა“ ზნა შეუცვლია „წამოიხსა“-ზნით, უხადია მას „მოლის“ სახით უფარულდება თხევადი ან მალამოს მთავსად ოდნავ შესქილებული ნივთიერება“-ო. — დასაკენის ივანე ლოლაშვილი.

და სწორედ აქ აქვს ნათარგმნი ინგლისურად რ. ზლეკს. სახელი „იკინთე“ რ. ზლეკთან — კარბუნკულუს; მ. ჯანაშვილითან — იხონტ. ხოლო დასასრული ამ ნაკვეთისა არის ასეთი — „და მოვნარს (მუნ არს = იქ არის) ანთრაქი. ძიწუელი და კაპოიტ“. ასეა მ. ჯანაშვილის მიერ გამოქვეყნებულ ხელნაწერში. (გვ. 32). იგი არ არის ზლეკთან, თუმცა მას აქვს შემდეგი თარგმანი: „იქ არის კარბუნკულუს (ანთრაქი) და პორფირი (ძიწუელი) და ინიქს — ქვა კაპოიტ“. 15. გვ. 111.

ყოველ შემთხვევაში აქ რ. ზლეკს „პორფირი“ ნათარგმნი აქვს სიტყვით „ძიწუელი“. მ. ჯანაშვილის თარგმანი არის: „ანთრაქი. პორფირი ი კაპოიტ“. 14. გვ. 33.

მ. თუალი საფირონი: —

„მეხუთე თვალი საფირონი... და შემდგომ იქნებოდეს [მსაჯულნი] მოწვეული მოსლთა მათ ზარავანდელთა ... რაი განავება კარავს მას წამებისას. რა იქმოდა მოწვეულს მას“... რ. ბლეკის მ. სადაბრუს; მ. ჯანაშვილთან — საბფირ. რობერტ ბლეკი აქ მოკლედ ამბობს: — თვალს ეწოდება საბფირი და არის იგი პორფირის (მოწვეულს) ფერისაო. 15. გვ. 112.

მ. ჯანაშვილთან ეს ადგილი მოკლეა — „რომელსა ჰქვან (პქვიან) თოვალ (თვალ) საფირონ. ფერაჲს (ფერ არს) ვითარცა მოწვეული (მოწვეული). ზნობის ფერ შავად ზხილვენ“. 14. გვ. 33.

„და შექმნა მოწვეულად შესამოსელად და სამკულად სამეფოდ“. სიტყვა „მოწვეული“ ნათარგმნი სიტყვით: „პორფირა“ (ჯან. გვ. 33; ბლეკი; გვ. 112).

3. თვალის იასპინი: —

რა (რამეთუ) მრავალ სახც არს თვალისა მის... მსგავს არს ხილვა მისი ფერსა ზეურსა. და მეგრე მსგავს არს ფერი მისი ზვსა (ზღვისა)... სიმწვანე ფერისა... ბლ. 14 რ. ბლეკთან — იასპის; მ. ჯანაშვილთან — იაშმი.

ზ. თვალის ლვკვირინი: —

„სახელი ერთ არს თვლისა (თვალისა) მის. ხ (ხოლო) ფერა მრავალ... ეგრე მგონივს ე-დ (ვითარმედ) ესე არს იანთინ... და არს ხილვა ლვკვირინისა მის თაფლის ფერ და მოწვეულის ფერ: 15. გვ. 44.

რ. ბლეკს სახელი „თაფლის ფერ“ ნათარგმნი აქვს ინგლისურად — მოყვითალო (სიტყვა-სიტყვით — ჰონეი-კოლორ — თაფლის ფერ), ხოლო სიტყვა „მოწვეულის ფერ“ — სისხლის ფერი ქვა = ბლადსტონენ კოლორ. 15. გ. 139 მ. ჯანაშვილის თარგმანით: — მეღვთოვო ცევატ. პორფერ და მოწვეულის ფერ: 14). გვ. 44.

ლიგვირიონი რ. ბლეკს ნათარგმნი აქვს ლათინურად — ლიგვირიონი. მ. ჯანაშვილს რუსულად — ლიგვირა.

3. თვალის აკატ: —

„არა მეწამულ არს თვალის იგი. არცა მწუანის ფერ. (არამედ) მიწის ფერ მომწითურც... და ფერა თვალისა მის მსგავს არს ფერსა ლობისასა...“. 14). გვ. 56.

რ. ბლეკის თარგმანით — ახატეს; ჯანაშვილთან — ავატ.

მ. თვალის ამეთსტონი: —

„ფერსა მისსა ცეცხლის ფერად... და სეტაკის ფერადცა ჰხილვენ. და მსგავსადცა ღვინისა (ღვინისა). რ-ლ (რომელ) არს წყლისა ფერ... და მერმე არს მისგანი მრავალ-სახც... იაკინთისა თვალისა. რ-ლ მოითერც არნ... მსგავს არნ ფერსა სისხლისასა... მემრუმე არს...“. 14). გვ. 14.

რ. ბლეკის თარგმანით — ამეთისტუს; მ. ჯანაშვილთან — ამეტისტ.

ი. თუალის ძიწვაშული: —

ეპიფანე კვიპრელთან ამ თავის ბერძნულ სათაურად აქვს — „ლოთის ხრიზოლითოს“. ანუ — „ქვა ხრიზოლითოს“.

რაც ქართულად არის: „ოქროს ქვა“.

«მეათე თვალის მოწვეული თავ არს ესე მეოთხისა მის განაწესებითა. რ-ლთა მე ჰქვს ამას ზვირლი, ა-ლ უფროსს მოწვეულის ფერ არს ზვირლისა... [ესე უფროსს ჰპირე-ლის ფერსაზე ეს თვალის (მოწვეული) განაწესებულს არის თავ. ანუ პირველ ქვად მეთოთხე იგიში, რომელნიმე უთქვამს. იგი არისო ზვირლი, არამედ იგი უფრო მოწვეულის ფერის. ვიდრე ზვირლისაო...]. ნამდვილედ კეთილად განაწესებულად დაიწერა თვალის მოწვეული... და მრავალ-სახედ იტყვევებ ამისა. რ-ლთა მე ჰქვან კარქიდონ. და სხუ-ანი იტყვევებ ამითით და ნამდვიათ ატიკოსათ. და არა-დაიათ. და რ-ნი მე იტყვან ჰრულსათ. და კაცნი იტყვან იონთანი დიდისა ჰრომთით. და სანანიათ... მუნ იპოვე-ბოდა თვალის მოწვეული. და ერქუმის მოწვეული. რ-ლ არს ზრწყინვალეზისა გამომცემელი. და ოქროსა ფერ. და ცეცხლისა გან არაა განირყუნის... ესე არს თვალის იგი მოწვეული. რ-ლ არს ნათლის მსგავს ხილვითა და შეწინებ ოქროსა ფერ. და იპოვების ესე ჯუშ-ღმლსა მას. რ-ლსა ჰქვან კლდის პირ ბაბილოუს ქვენიდოს... ბაბილოენ აქემენიდოსი, რ-ლსა იპოვების თვალის იგი მოწვეული. და სამკურნალოდ არს სტამბოქით საღობოზრთა და მუკვლით საღობობურთა. რ-ლს ნალესავი ვინ მე სვს (სვის); წეს არს თქმულად ყ-ლთა ადვილთა სახელებს. რ-ლ უწყითობა ვინაა გამოვალს თვალის იგი მოწვეული. ანუ რამ სახც არს: აწ ვიხილთ ზამბლონი, რ-ლ დაიწერა ზ-ა თვალსა მას მოწვეულსა... ამომლისა თვალის იგი მოწვეული. რ-ლსა და-იწერა სახელი ზამბლონისი... 15. გვ. 62

აი ჩვენთვის მნიშვნელოვანი საკითხი. თუ როგორ უნდა გადაითარგმნოს ეს სახელი „მოწვეული“.

თვით სათაური ამ თავისა რობერტ ბლეკს ნათარგმნი აქვს სახელით: „პორფირა“ (მოწვეული). შემდეგ პირველ შეხვედრისავე ეს სახელი „მოწვეული“ გადაითარგმნო აქვს სიტყვით: „ბლადსტონენ“ — სისხლიანი ქვა. = სის-ხლის ქვა. მეორედ: ფერა პორფირისა; შემდეგ თვალის მოწვეული არის ბლადსტონენ ანუ სისხლის ქვა; შემდეგ კიდევ: ბლადსტონენ; კიდევ: ბლადსტონენ; მერმე: მოწვეული = ბლადსტონენ; შემდეგ: ბლადსტონენ; კიდევ: ბლადსტონენ. 15. გვ. 153-155.

ამგვარად: რობერტ ბლეკისათვის „მოწვეული“ არის: პორფირა და ბლადსტონენ — porphyry, bloodstone

და თუ თან დაატულ ლექსიკონში მოცემულ თარგმანს გაევიწყლებო, რობერტ ბლეკი აქ განეციმარტავს — მოწვეული — პურპლ (პურპურა); ხრიზოლით. 15. გვ. მგ. ესე იგი: რ. ბლეკის ახსნი „მოწვეული“ არის პორფირა, არის ბლადსტონენ, არის ხრიზოლითოს.

მ. ჯანაშვილთან როგორია აბრის სახელის „მოწვეული“ თარგმანი რუსულად? ამ თავის სათაური გადათარგ-

მნილია: ძოწული = პორფირა და დასახელებული არის „პორფირა“. „დრავოცენნი კამენ პორფირუ“... 14. გ. 35 ამასთან ერთად მ. ჯანაშვილი შენიშვნაში ამბობს: — ძოწული, ძოწი საერთოდ აღნიშნავს პორფირას, ბაგრიანტას, კორალს, წითელ მარგალიტს, კერძოდ კი ნიშნავს — პორფირა. 14. გვ. 45. შენიშვნა-ში.

თან დაბრუნდეთ ლექსიკონში მ. ჯანაშვილი სიტყვას „ძოწული“ ასე თარგმნის: „პორფირა“, ხოლო სიტყვას „კორალს“ სიტყვით „მარჯანი“. 14. გვ. 51. ესე იგი: მ. ჯანაშვილს ლექსიკონში „ძოწული“ არა აქვს ნათარგმნი სიტყვით „მარჯანი“ = „კორალს“.

თუ „ძოწული“ ამდენ რამე იყო, არ ვიციდი და როცა ენახე თვალთა პატროსანთა სახელები, თარგმნილი მ. ჯანაშვილის მიერ და ეს აღენიშნე ჩემ წიგნში — „ვეფხისტყაოსანის ფერთაშეცველება“, გვერდი 198. იქ „ძოწი“ არ იყო ნათარგმნი სიტყვით „კორალს“. კორალს = მარჯანი (მ. ჯანაშვილი, გვ. 51).

ეპისკოპოსი ებიფანე კვიპრიელი გაურკვეველად გვიუბნება: ძოწული ანუ პორფირას ზოგი უწოდებს: „ბერილს“. ს. მაგარამ არისა კიდევ სხვა ძვირფასი ქვა, ფერით პორფირი და ფერით მწვანე.

იბ. თუალი ბვერილიონი: —

„მეთერთმეტე თუალი ბვერილი. რუი მომრუმედ ჩანს. ნათლის-გამომცემელ არს. ზღვს ფერ ხილვითა იაგუნდის მსგავს“. 14. გვ. 66.

რ. ზღვიის თარგმანით — ბერილუს; მ. ჯანაშვილისა — ბერილ.

იბ. თუალი ფრცხილი:

„მეათორმეტე თუალი ფრცხილი. და არს ღიდად მწითურ ფერი მისი... არს სხვადა თუალი ფრცხილი მსგავს ამისა. რულისა ფერ თვის სვეტაის ფერ“. და სხ. 15. 77.

ამ მიმოხილვამ გვაჩვენა, რომ ებიფანე, კვიპრიელი ეპისკოპოსის „თვალთა“-ში დასახელებული „ძოწული“ არის „ხრიზოლითოს“, არის „პორფირა“, არის „ოქროს ქვა“, მაშასადამე: თუალი პატროსანი ყვითელი ფერისა. მ. ჯანაშვილთან ეს „ძოწული“ არის პორფირა, ბაგრიანტი, კორალ, წითელი მარგალიტი... აქ გვაქვს საერთოდ „წითელი ფერი“. ხოლო რაბერტ ზღვიისათვის კი „ძოწული“ არის: პორფირა, ზღაღსტოუნ და ხრიზოლითოს. საერთოდ აქ გვაქვს: წითელი და ყვითელი ფერი. მთავარი არის ახლა გამოირკვეს, თუ რა არის ებიფანე კვიპრიელის „პორფირა“, „ხრიზოლითოს“, „ძოწული“.

ძველი აღთქმის სახელები ძვირფას ქვათა სარჩელის დაფაზე და მათი თარგმანი სებასტიანის-ში, ვულგატა-ში, იოსებთან და სხვასთან, განსხვავდება ერთი მეორისაგან

იმით — ამბობს გ. ფ. ჰერბერტ სმით — რომ არადაბარევილი სარჩელი მღვდელმთავარისა დაიკარგა; შემდეგ ახალი შეადგინეს, ალბათ მიხსენებული ფერის ქვეშა; რო- მიელებმა იუ-რუსალმის დაპუ-ოპისას რე-ვიტუცეს და ისევ დაიკარგა. ამგვარად, სხვა და სხვა სახელი ვაინდ პირველ ყოვლი ქვათათვის. 13. გვ. 161.

თითქმის ყველა სახელი ქვათა, რაც ბიბლიაში გვაქვს, დღესაც იხმარება, მაგრამ აქედან იმის დასკვნა არ შეიძლება გამოვიტანოთ. რომ ჩვენი დროის ქვენი თავისი სახელით მაშინდელ ქვეს წააზოადგენს, — სახელები შეცვლილი არის — დასტენს იგი. 13. გვ. 163.

სანამ ძვირფას ქვათა ჭრავთლას ისწავლიდნენ, ქვეს აფასებდნენ და იცნობდნენ მათი ფერის მიხედვით და არა მათი გამჭვირვალობისა თუ სიმტკიცის მიხედვით; ამიტომ ეს ქვენი ჩვენი დროის ქვესადა არ ჩათვლება. მაგალითად, მაშინდელი, ძველი ხრიზოლითოს იყო ყვითელი ქვა — გავევიმარტავს ჰერბერტ სმით. 13. გვ. 164.

ამ ხრიზოლითოსის შესახებ ებრაულ ბიბლიურ ლექსიკონში ნათქვამია —

ხრიზოლითოს არის იგივე ტოპაზიონ — ყვითელ-მწვანე ფერისა. ჩვენი დროის სწავლულნი მას აიგივედენ ასირიულ „ხიპინდუ“-სთან, მაგრამ იგი შეიძლება ყოფილიყო „არა - მრთული“ (ყალბი) ტოპაზიონ. ესე იგი, ყვითელი კლდის კრისტალი, მაგრამ უფრო შესაძლებელია იგი იყო ახლანდელი ხრიზოლითოს, რომელიც არის მწვანე ფერისა, მუსმისებრი, გამჭვირვალე თუ სხივაგამტარი, გამაშუქებელი მინერალი, რომლის ორი გვარი არსებობს, ჩვეულზე რიგი, მადანიური და ძვირფასი. ეს უკანასკნელი არის მქრტალი ყვითელ-მწვანე ფერისა; იგი მოპოვება აღმო-სალებელში. პლინიუსის აღწერაში ტოპაზიონ შეესაბამება ჩვენი დროის ხრიზოლითოსს და ეს კი შეესაბამება ებრაულ „პიტდაჰ“-ს. იოანის წიგნის თანახმად (28,19) ეს ძვირფასი ქვა გამოჰქონდათ კუშ (ყუსიდან, ეთიოპიიდან). აქ იგი აღწერილია როგორც მწვანე. 9. წიგნი მე-5. გვ. 594.

ქ. ტანერი და ე. ფაგე გვეუბნებიან — ხრიზოლითოს არის სახელი, რომელსაც ძველები მინერალეების სხვა და სხვა ნივთიერებას უწოდებდნენ: კიმიფან, პრიდოტ, აპატიტ და სხვ. იმ მიზეზით, რომ მათი ფერი იყო მოოქრული. 16. გვ. 331.

როდესაც მკვლევარი ეან ესკარი სინელოუსის ქვათა ჯგუფის გამო მსჯელობს, ამბობს —

სინელუს, სინელუსის ჯგუფს ეკუთვნის: ლალი სინელი, ანუ რუბი დასავლური (მუქი წითელი), ლალი ვარდის ფერი, რუბინოელი — ოქროს ფერი, ან ფორთოხალის ფერი, წაბლის ფერი, ლურჯი და სხვა. მათ შორის არის ხრიზოპერილუს, ბერილუს მოოქრული, ბერილუს — ოქრო, აღმოსავლეთის ხრიზოლითოს. ეს არ

უნდა აფურთხოს საკუთრივ ხრიზოლოთოსთან, რომელიც არის პერიდოტის სხვაობა. , 2. გვ. 255.

მე აქ მომაქვს კიდევ ერთი ცნობა ამ ჩვენთვის საინტერესო ძვირფასი ქვის, ხრიზოლოთოს—ოქროქვის შესახებ. თვით პრაეტორის, იუველიერ მანაბარბოს ძვირფასი ქვები შეუსწავლია ქიმიურად და მინერალოგიურად. „ხრიზოლოთოს“-ის გამო 1858 წელს იგი გვეუბნება: — რასაც ჩვენ ვიცნობთ ამ სახელით არის ძვირფასი ქვა მესამე ხანისხისა, რომლის შესახებ შეთანხმებული არ არიან არც მინერალოგოსები, არც ძვირფას ქვათა მკოდნენი და ხრიზოლოთოს ვერ არჩევენ; ურევენ ხან პერიოდოტთან, ხან კიმიფანს, სიმოფანთან, რომელთაგან იგი ოღონდაც განსხვავდება. 17. გვერდი 118-122.

* *

აქედან ცხადია, რომ ძველ ხალხთა შორის „ხრიზოლოთოს“ არის ჩვენი დღევანდელი ტოპაზიონს ყვეთილი, ოქროს ფერისა, ნაწ ყვითელი-მომწვანაო, ხან მკლხე ვაშლის ფერ მწვანე ყვითელით შერეული, რამდენსაც ხრიზოლოთოს ვარქანებ; რადგან პლინიუსი ამბობს, რომ ხრიზოლოთოს არის უმშვენიერესი ვიდრე ოქროს.

ხრიზოლოთოს არის ნაკლებ მაკარი ვიდრე დანარჩენი ძვირფასი ქვა; მას აქვს მე-19 ადგილი სიმბაგრე-სიმტკიცის კიბებზე, რომლის პირველი საფეხური აღმაზს უჭირავს. ხრიზოლოთოს არის კარვად გამჭვირვლი, ცოცხალი ფერისა. ერთ დროს იგი მოდაში იყო, მერმე კი მიიჩქმალა.

ყველაზე მეტად ფასდებოდა აღმოსავლეთ-ორიენტალური ხრიზოლოთოსი, რომელიც არის აღმოსავლური. ტოპაზიონი“, ლამაზი ყვითელი, ფერით ჩალისა, რომელსაც შერეული აქვს მცირე იერა ვაშლის ფერ სიმწვანისა. 17. გვ. 118-122.

ამ სახელის გამო უ. პერიდოტ სმით გვეუბნება 1940 წ. — „ხრიზოლოთოს“ არის სიტყვა, რომლის გამო ერთგვარი არეულობა და გაუგებრობა იყო. ნამდვილად კი იგი არის სახელი მინერალურ სახეობა, ოლივი, ანუ პერიდოტ, როგორც უპირატესად ეძახიან მას იტალიურად, მაგრამ ამ სახელს უწოდებენ აგრეთვე სრულიად განსხვავებულ სახეს — ხრიზომერილოსს.

ორიენტული ხრიზოლოთოს არის მოყვითალო-მწვანე კორუნდუსი, მაგრამ მას, მის სახელს ხან და ხან ხმარობდნენ მისი მსგავსი ფერის ხრიზოლოთოსისათვის... — კორუნდუმის ჯგუფს ეკუთვნის: საფირონი (ლურჯი, წითელი), რუბინი (წითელი), ტოპაზიონი (ყვითელი), ორიენტული (აღმოსავლეთის) ხრიზოლოთოს (მოყვითალო მწვანე), ორიენტული სმარაგდის (მწვანე), ორიენტული ამეთისტის (იისფერი), იაგუნდი ორიენტული (ცისკარის სიწითლისა) და სხვა. 13. გვ. 135. 221.

ყველა ამ ცნობით ირკვევა, რომ ხრიზოლოთოს ყოფილა პერიდოტის სახე. პერიდოტი კი ეკუთვნის ზეთის ხილის ფერის ქვათა ჯგუფს, რომელს ახლა უნდა გავეცნოთ.

თვალნი პატრიარხი ზეთის ხილის ფერის მწვანე მინერალთა მთელ ჯგუფს, რომელში მხოლოდ ერთი, სახელდობრ, კარძოდ „ოლივი“, ძვირფას ქვად უხმარებია. მას ეწოდება „ხრიზოლოთოს“ — ვესწავლას მსიხმობილი დიდი მკვლევარი კეთილშობილ ქვათა, მაქს ბაუერი. 7). ეს, ხრიზოლოთოსი იწოდება კიდევ „პერიდოტი“. იგი არის ყვითელი ფერისა, ოქროს ფერისა. ზეთის ხილის ფერის ქვათა შორის მხოლოდ გამჭვირვლი, სრულყოფილ წმინდა. უნაკლო და შეღებულად არის „კეთილშობილი ხრიზოლოთოსი“ და ეს იხმარება სამკურნალ და არა, მდამბო ოლივი“-ი. ხრიზოლოთოსსაც აქვს თავისი იერი: მოყვითალო-მწვანე, ან მოყვითალო წაბლის ფერი.

თვით საკუთრივ ხრიზოლოთოს არის ბაიკი მოყვითალო-მწვანე, ხოლო პერიდოტ არის მუქი ზეთის ხილის სიმწვანისა და ზეთის ხილის მოყვითალოსი, ან ბაიკი ზეთის ხილის მწვანისა. ფერის ცვალებადობა ქანაობს მოყვითალო მწვანისა და ბალახის წმინდა სიმწვანის შორის. და ისე, რომ არსებითი შერევა სიყვითლისა არ არის. 7. გვ. 458.

ნამდვილ ხრიზოლოთოსს ხშირად სხვა ძვირფას ქვებთან ურევენ, ისეთთან, რომელთა მწვანე ფერი აქვთ. ზოგ ხრიზოლოთოსს სმარაგდოს უწოდებენ და ასეთად ასაღებენ. ასეთი არიან ვერცე უწოდებულ სმარაგდოს, რომელიც ამწვანება ქალკე კოვლინის ტაძარის სამ მოგებ-ფერს, ოღონდ ეს ქვები ნამდვილად ხრიზოლოთოს არაა; ხშირად ეს ქვა ეშვებთ ხრიზომერილოსთან. „ოლივი“-ტული ხრიზოლოთოსი, ვაკობაში ხმარებული და ფარავ იტვირთებთან ასეთად წოდებული, უფრო ხშირად ხრიზომერილოსი. კიდევ სხვა ბაიკიყვითელი ფერ მსგავს საღებენ ხრიზოლოთოსად. სხვა და სხვა სახელით: ტურმალინი, კორუნდი, საქსონური ხრიზოლოთოსი, მოლდავიტი, კაპის ხრიზოლოთოსი. ამ ბოლო დროს კიდევ პაზრაზე გამოიტანეს მოყვითალო-მწვანე შუშა ხრიზოლოთოსის სახელით, რომელს უწოდებენ ხოლმე: ოპალინი; იგი ნამდვილი, მრთელ ხრიზოლოთოსს მალანა ჰკავს. 7. გვ. 462.

* *

სხვა და სხვა მასალის მიხედვით ჩვენ გავიყვანით ებრაული „ტარშიში“, ბერძნულ-ლათინური „ხრიზოლოთოსი“, რუსული „პო-ფირა“ და მისი ფერი: — ოქროს ქვა; ყვითელი; „ტოპაზიონი“ ყვითელი, ოქროს ფერისა; ყვითელი „იასპის“, ოქროს ფერი; უმშვენიერესი ოქროს ფერი; ლამაზი ფერი ჩალისა, რომელსაც შერეული აქვს მცირე იერი მკლხე ვაშლის ფერ სიმწვანისა; მწვანე, რომელს ოქროს ფერი გადაჰკრავს; მოყვითალო-მწვანე; „ტოპაზიონი“ ყვითელ-მწვანე ფერისა; მოოქროვლი; ყვითელი - მომწვანაო; ვაშლის ფერი მწვანე ყვითელი შერეული; ზეთის ხილის ფერი მწვანე („პერიდოტი“); ზეთის ხილის ფერი „ოლივი“; „პერიდოტი“, მუქი ზეთის ხილის სიმწვანისა; ბაიკი მოყვითალო მწვანე, ან მოყვითალო წაბლის ფერი...

მაშასადამე: „თარში“ = „ხრიზოლოთოს“ = „პორფირი“ ყოფილა თვალი პატრიოსანი, ძვირფასი ქვა 1. ოქროს ფერი, ყვითელი. 2. ყვითელ-მოწვანო ანუ მკვიცი-თელ-მწვანე.

ამგვარად: ირკვევა, რომ „ხრიზოლოთოს“ (ქართული სიტყვა-სიტყვით თარგმანით: ოქროს ქვა) ყოფილა ოქროს ფერი ყვითელი, ზაცი მოყვითალო-მწვანე.

განა ასეთი ფერისა არის „ძოწუელი“ თუ „ძოწი“ — სახელი, რომლითაც ნათარგმნია „ხრიზოლოთოს“?!

ემაფანე კვიპროსელის «თავითაჲს»-ს რობერტ ბლექმა დაურთო ლექსიკონი. სადაც სიტყვა „ძოწუელი“ მას ნათარგმნი აქვს ინგლისურად სამი სიტყვით: 1. ბლადსტონი, 2. ხრიზოლიტ. 3. პორფირი=პურპურა=პურლი.

უნდა ვანიბატოს. რომ ჰერბერტ სმით ამ სახელს — „ბლადსტონი“, რაც არის იგივე „ხრიზოლიტ“ თვით რ. ბლექის თარგმანით. თარგმნის ინგლისურად სიტყვით — „ჰელიოტროპი“, რომელიც არის ხალკედონი, წითელი წიწყლებით. თვით სიტყვა „ხალკედონ“ დაცემირებულ არის ძველთა ქალაქის სახელთან „კართაგოს“. ბერძნული გამოთქმით „კარხედონ“, ჩრდილო აფრიკაში. ძველი აღწერით ქვა ხალკედონი იყო ფერი მწვანე და ასე იცნობდნენ ამ ქვას მეჩვიდმეტე საუკუნემდე. აი, ეს ხალკედონი, თავისი წითელი წიწყლებით, არის „ჰელიოტროპუს“ (ჰელიოს — მზე; ტროპოს — მიმართულება) და თარგმნიდა ეს სახელი ერქვა მწვანე ხალკედონს, რომელს ჰქონდა წითელი წიწყლები. თუ ამ ქვას წყალში ჩადებთ და მზეს უჩვენებთ მას, იგი მილიანად წითელი გამოჩნდება. ამავე სახელით „ჰელიოტროპი“ პოტანიკაში მონათლულია „მზესუმზიკა“. 13. გვ. 349.

ამნიარად: ბიბლნიში დასახლებული ძვირფასი ქვა „წიქმული“ არის „ხრიზოლოთოს“, ანუ ქართულად — „ოქროს ქვა“. მაშე, „ძოწუელი“ ყოფილა ყვითელი ფერისა!

შიძელმა ეს „ძოწუელი“ იყოს ვეფხისტყაოსანის „ძოწუელი“? — შეუძლებელია.

იმიტომ, რომ ვეფხისტყაოსანის „ძოწუელი“ არის გარკვევით და ცხადად წითელი ფერისა, რაც აქვე ზედმეტად დასტურდება. რამეთუ არ შიძელმა ძოწუელი = ხრიზოლოთოს = ოქროს ქვა = ბლადსტონი, რომელიც არის ყვითელი ფერისა, ან მწვანე წითელ წიწყლებიანი, გამოყენებულ იქმანს ტურთა = ბავთა დასახტავად — რაც თავისი ფერით თავის თავად წითელი არიან!

იქნებ ქვა „პორფირის“ საკითხიც გამოვიყვინო. რა არის იგი? აქ საინტერესო არის ანა ქსიოელი პორფირი, რომელს კარგად ვიცნობთ ძველ აღთქმაში „ძოწუელის“ სახელით (იხილეთ აქვე წინა წერილი „ძოწუელის“ შესახებ).

ბებ). საინტერესო არის ქვა „პორფირი“, თვით პორფირისანი, რომელი სიტყვითაც ნათარგმნია ესპანელი სიტყვა „ტარპიზი“ = „ხრიზოლოთოს“.

კ. პოსპერი ბრარ „პორფირის“ შესახებ წყაროებს: — პორფირი არის მაგარი და კარგად გლეჯი ქვა. ფერი მისი არის ძალან ნაირი, სხვა და სხვა. მაგრამ ეს ფერი ყოველთვის მუქი ფერისა არის. ამ ქვას ხმარობენ შენებლობაში და მისი სხვაობა არის შემდეგი: —

ა. პორფირი შავი; ბ. პორფირი მწვანე; გ. პორფირი წითელი, წაბლის ფერი, იის ფერი. დ. პორფირი რუხი. ყველა აქ ჩამთვლილი ფერი სხვა და სხვა იქნება. 18). წიგნი მე-2, გვერდი 251-269.

შ. შარბოტ(ი) ძვირფასი ქვის პორფირის შესახებ გვეუბნება — ძველ ხალხთა „პორფირი იყო წითელი პურპურისა და შედგენილი პორფირისაგან კორნენინის ნიადაგზე და პორფირისაგან ფელდსპათის ნიადაგზე. ეს ქვა არის შესაძენი თაისი სიმავრე-სიმტკიცით, სილამაზით და ფერთა ნაირობით. რომაელები მას განსაკუთრებით აფასებდნენ და უბრატესად ამუშავებდნენ პორფირს წითელსა და სერპანტინს (ფერი სერპანტინისა: მწვანე, ძარღვიანი, ან შაბრლო), რაც ეგვიპტედან და არაბეთიდან გამოჰქონდათ. ბევრ ძველ საფლავში ნაპოვნი ქანდაკება, ვახა, სურა, მგერდ-ქანდაკება, გაკეთებული პორფირისაგან გვაქვს ჩვენ მუზეუმებში. ეს ნივთები მოდის პირველად ყოვლისა ეგვიპტედან, საბერძნეთიდან, შემდეგ კი რომიდან. 17).

«წითელი პორფირი» დანტრე დასახლებული აქვს თავის «დივინა კომედია»-ში, «სალხინებელ»-ის წინა ეზოდან შესასვლელ ერთ საფეხურად: პირველი საფეხური იყო სარკესავით ნათელი და წმინდა — მარმარილო; მეორე — მუქი, ბელი, უბეში ქვისა, ხოლო მესამე — წითელი, სისხლის ფერი პორფირისა; და თითოეულს აქვს (განმარტებათა მიხედვით) სიმბოლოური მნიშვნელობა: 1. ადამიანის პირველადი უცოდველობა; 2. — ცოდვის ხანა; 3. სიმბოლო ქრისტეს მიერ დათხულები სისხლისა. («პურპურული» = «სალხინებელი», ქება მე-9, 76. 95, 97, 144). 24). გვერდი 511.

ავად: დიდ მწერალს სინტაქტინე გამსახურდიას ეს ადგილი ამ გვარად აქვს კონტრამენი: მესამე ლოდად დახვრელი ორთავე ზემოდან მეჩვენებოდა მეწამული და ალისფერი, როგორც სისხლი ძარღვისაგან გამოდენილი... 25).

ჩვენი დროში პორფირს ნაკლებად ხმარობენ, რადგანაც იგი იშვიათად არის და ძვირიც ჯდება მისი დამუშავება: მაინც მისგან ნივთებს აკეთებენ ხოლმე. 18. გვ. 485.

დახაკ: ცნობილია სამოცილი „პორფირი“, წითელი სამოსელი — ძოწუელი — რომელიც ბიზანტიელ იმპერატორთა სამთვო წამოსახსამი იყო და აქედან გაჩნდა მან-

თი წოდება: „პორფიროსანი“. მაგრამ ეს „პორფირი“ არის წითლად შეღებული, კონსტანსის წყნით შეღებული სამოსელი და არა რაიმეიმეო დიკრფისი ქვა.

ასეთი „პორფირი“ — „ძოწუელი“ — ჭაივილი — სამოსელი მოსწონებული აქვს ჩახრახიძეს „თამარის“ — ში — მეფეთა სკიპტრა-პორფირთა მცმელი (10,26)... და ავრთვე შევთვის „ახლელ-მესიან“ — ში — გაქვს-და პორფირთა შთაცმა, პოდირთა (37,3). 19. 20. ყველვან აქ „პორფირი“ არის სამოსელი და არა ძვირფასი ქვა.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ განხილული „პორფირი“ არის „ხრიზოლითს“, ანუ „ტარშიშ“, ანუ „ძოწუელი“? საამისო საბუთი არ ვგვაგანია. თუმცა ეს ქვა წითელიც ყოფილა. სხვა ნიარ ფერის შორის. მაგრამ შთავაი მან იცის არის, რომ იგი თვალთა პატროსანთა რიცხვში ევრ ჩათვლება, რადგან იგი უფრო საღმრთებულ ქვა ყოფილა. შით უმეტეს მისი სახელი პოეტური შედარებისათვის უკეთესი და გამოხადევაი იქნებოდა.

ძოწუელი, ძოწი მ. ჯანაშვილის ნათარგმნი აქვს ეოდე სიტყვით: „კორალ“.

სახელი „კორალ“ გვხვდება ბიბლიაში — იობი 28,17 აღმატებული და მარგალიტი არა მოიხსენოს

ბერძნულ ბიბლიაში აქ „აღმატებული“ — ს ადვილზე გვაქვს „კორალიონ“ და ყველა, დანარჩენი ენის ბიბლიაშიც აის „კორალიონ“, — ქართულად იგი არის — აღმატებული.

ეს სიტყვა „აღმატებული“ არის ნამდვილი და სწორი გამოხატულება ებრაული სიტყვისა „რამოთ“, რაც „კორალ“ — ს ეწოდება. 21). 22).

იფეკილი 27,16 ვაქართა შენთა სიმრავლისაგან შეეყვალა შენისა შტახის და პორფირი და ბისონი და ქრელებულნი თარშით, და რამოთი და ხორხორით მოსცნეს საფარდელსა შენსა

„ხორხორი“ ნათარგმნი ნაირად: ახატენ, ავატ. კრისტალე, ავატ, რუბინ. ქართულად მთარგმნელს დაუტოვებია ებრაული სახელი „რამოთ“ — „რამოთ“ სახელითვის „კორალიონ“ — „კორალ“. და იგი არ უთარგმნია ცნობილი სახელით „ძოწუელი“. ან „ძოწი“. ხომ შეეძლო მას სახელი „რამოთ“ ეთარგმნა სიტყვით „ძოწუელი“. ან „ძოწი“? რატომ არ თარგმნა? არ იცოდა მან სიტყვა „ძოწუელი“? ეს შეუძლებელია! მან მთარგმნელისათვის „კორალ“ — ან იყო „ძოწუელი“ და არც „ძოწი“.

ეგრეთ წოდებულ არისტოტელისის წიგნში ძვირფას ქვათა შესახებ, რომელიც მას არ ეკუთვნის. არამედ არის ანაბული უსახელო თხუხულებმა, მარჯან = მარგალიტუსის შესახებ ნათქვამია —

53. მარჯანი („კორალე“) იხრდება როგორც შტო;

იგი არის ვიწრო რტო; იგი სასარგებლოა თვალის ტკივილის წინააღმდეგ; საუკეთესო (მარჯანი) არის მტვივე წითელი. იგი კაცს ამოკრებს კბილის და მკვდრებს და მას ამავრებს; თუ გულამდე მიადწევს, მას მსხვერპლს და მძიმე სისხლს ათხლებს; და თუ მას (მარჯანს) დაეკრებები, მთიარული ვახელებს და ზრუნვას მოიცლებს. მოწყალე ღმერთის ნებით... 23).

კორალიონს ძველი ბერძნები კარგად იცნობდნენ; მაგრამ იგი გავრცელდა მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელის ხანის შემდეგ, ლათინთა შორის კორალიონს პირველად ახსენებს ლეკრეციუსი (96 — 55 წ.წ. ქრისტეს წინ). შემდეგ კი პლინიუსი, ოვიდიუსი...

ნათობადმი მიკუთვნილ თვალთა პატროსანთა შორის არის აგრეთვე „კორალე“ და ეს სახელი ნათარგმნია არაბულად სიტყვით: „მარჯანე“; იგი პლანეტა მარსის მიეწერება. 26). გვ. 242, 244.

ფრანგულ-პრანციული ლექსიკონში სიტყვა „კორალე“ გადათარგმნილია სახელით „მარჯანე“ = „მორჯანე“; მაგრამ იქვე აის ნათქვამი: ეს სახელი მარგალიტისათვისაც იხმარებოდა. (ყუზანი, თავი 54). 27). წ. 1. გვ.340. სახელი „მარჯანე“ სწორად იხმარება ათას ერთი ღამის ზღაპრებში და ინგლისურად გადათარგმნილი არის სიტყვით „კორალე“. 28). წიგნი მეთთ, გვერდი 216.

კორალიონ ანუ მარჯანი იხმარებოდა: 1. სამკაულად, 2. რელიგიურ ამულეტად. 3. შელოცვისათვის ავი თვალისა და ყოველი საფრთხის წინააღმდეგ, 4. სამეურნელოდ. (8. წიგნი 1. ნაწილი 2. გვ. 1503).

აქ არ შემიძლია არ აღენიშნო, რომ იგი ვიზანე კვიპრელის „თვალთის“ კობტურ ენაზე თარგმანში „პორფირა“ გადმოცემულია სახელით „კორალიონე“ („კორალიონ = კორალიონ“) (ზღუც. გვ. 305). იქნებ კობტაჰესნიელებისათვის „პორფირა“ იყო „კორალიონ“, ანუ მარჯანი, რომელს ისინი კარგად იცნობდნენ!

კორალიონს მოიაზრებდა უთმავრესად სამიდან სამას მეტრამდე ზღვაში და რამდენად უფრო სიმრედი იგი, იდენტურ უფრო მჭირეა მისი რტო და ბაჯი სიმე ფერი... ყველაზე მდიდარი ზღუბობა მისი ალჟირისა და ტუნისის სანაპირო წყალში; ამას ვარდა ესპანეთსა და იტალიასთან.

კორალიონს, კორალ არის ჩვეულებრივ წითელი ფერი, მაგრამ არის კიდევ თეთრი და შავიც; იგი იხმარება უმთავრესად სამკაულად, მუსაბთავად, განსაკუთრებით აღმოსავლეთში, ჩინეთში, ინდოეთში და ჩრდილო აფრიკაში (ნაგალანდ ეგვიპტეში). შუგ კორალის გლოვისას ტარებდნენ ხოლმე. (7. გვ. 680-699).

რა გამოირკვა ამდენი თავის მტვევის შემდეგ?

1. ბობლიის „პორფირა“ ზერძნული და „პერპურა“ ლათინური არის ქართული „ძოწეული“.

2. პორფირა, პერპურა, ძოწეული არის ფერით უმთავრესად წითელი, თუმცა მისი ფერი არის ნაირი იერით.

3. პორფირა, პერპურა, ძოწეული არის შეღებული ქსოვილი, სხვა და სხვა ფერით.

4. ძოწეული—პორფირა—პერპურას ლებავდნენ ზღვის ლოფორთქინის, ლოკოკინის, კონხლიის წვენით, რომელიც დამზადების შემდეგ, სხვა და სხვა ფერისა იყო.

5. ვეფხისტყაოსანის ძოწეული არის წითელი ქსოვილი.

6. პორფირა—ძოწეული—პერპურა არის ძვირფასი სამოსელი; იგი არის სიმბოლო მეფობისა, დიდკაცობისა, დიდებისა და პატივისა.

7. ძოწეული—პორფირა—პერპურა აგრეთვე თვალსა ბატონისა, ძვირფას ქვას ეწოდებოდა.

8. ბიძლიაში თვალთა პატრიოსანთა შორის „ტარშიშ—პორფირა—პერპურა— არის „ხრიზოლითოს“, რომელი სახელიც ნათარქმნია ქართულად სიტყვით „ძოწეული“.

9. ტარშიშ—ხრიზოლითოს—პორფირა—პერპურა = ძოწეული არის „ოქროს ქვაა“.

10. ძოწეული არის ტარშიშ—ხრიზოლითოს—პორფირა — პერპურა.

11. ხრიზოლითოს არის „ოქროს ქვაა“. — ფერით ყვითელი.

12. ძოწეული არის ოქროს ქვის, ყვითელი ფერისა.

13. ბიძლიაში (ძველსა და ახალ აღთქმაში), თვალთა პატრიოსანთა შორის, სახელით „ძოწეული“ იგულისხმება „ხრიზოლითოს“, ანუ „ოქროს ქვაა“, — ცხადია; ყვითელი ფერისა.

14. ხრიზოლითოს —პორფირა—პერპურა—ძოწეული და ფერი მისი სხვა და სხვა ხანაში სხვა და სხვა ფერად იყო მიღებული: ყვითელი იასპის, ტოპაზონ, ყვითელი ფერისა, წითელი იასპის.

15. ძოწეული—ხრიზოლითოს—ოქროს ქვაა ეწოდებოდა კიდევ შემდეგ ქვებს ადრინდელ ხანაში: ყვითელი იასპის, გრანატემ—კარბუნკულს—ბროწეულის ფერი; გვიან ხანაშიც ასე ეწოდებოდა.

16. ემიფანე კვიპელის «თვალთაჲ»-ში «ძოწეული» არის „ხრიზოლითოს“, არის „პორფირა“. „ხრიზოლითოს“ არის „ოქროს ქვაა“, ყვითელი ფერის და მასასადანე: „ძოწეული“—ც არის ყვითელი.

17. „ძოწეული“ და „ძოწი“ განურჩევლად იხმარება „თვალთაჲ“-ის თარგმანში.

18. მოუკანაშვილის თარგმანით ეს „ძოწეული“ არის — „ძოწი“, „პორფირა“ = „მაგრიანიცა“, „კორალა“, „წითელი მარგალიტი“. მასასადანე, იგი არის ფერით — წითელი.

19. რობერტ ბლექის თარგმანით „ძოწეული“ არის: „პორ-

ფირა“. „ზღაღსტონ“, „ხრიზოლითოს“ აქ გვაქვს ფერი წითელი და ხრიზოლითოს — ოქროს ფერი.

20. თანამედროვე კვლევის თანახმად: „ხრიზოლიტოს“, „ოქროს ქვაა“ არის ყვითელი ფერისა; „ძოწეული“ და „ძოწი“ უნდა იყოს ყვითელი ფერისა.

21. „პორფირა“ ეთ ქვა, თვალთა პატრიოსანთა რიგს არ მიეკუთვნება. თუმცა მის სხვა და სხვა ფერს შორის წითელიც ცნობილი იყო.

22. „კორალლიონ“—„კორალლიუმ“—„კორალ“ არ არის „ძოწეული“. არც „ძოწი“.

23. ბიძლიაში (აქცეულ აღთქმაში და არც ახალ აღთქმაში) სახელი „ძოწი“ არ იხსენიება.

24. და წინასწარ ვიტყვი: ვეფხისტყაოსანის არც ერთ შარში სახელი „ძოწეული“ არ იხმარება ძვირფასი ქვის, თვალთა პატრიოსანის აღსანიშნავად; სახელი „ძოწი“ არ იხმარება სამოსელის, მისასხამის აღსანიშნავად ვეფხისტყაოსანის ბარც ერთ შარში.

ახლა წამოვიკრება საბოლოო საკითხი — რა კავშირი აქვს ყვითელი, მიყვითლო-მწეული „ძოწეულს“ ვეფხისტყაოსანის „ძოწეულთან“. ან „ძოწი“—თან?!

სახელი „ძოწი“ იხმარება ვეფხისტყაოსანში და იქნებ გავარკვეოთ, რას ნიშნავს იგი!

ნესტანზე ნათქვამია, მასო —

მუნ ვარდსა შუა შევნოდეს ძოწი-მარგალიტი ტყუანნი (480) ანუ: ნესტანის ვარდის ფერ ლოყებს შევნოდნენ, ამკობდნენ ორნი ძოწნი, ესე იგი: ტუჩები და ტყუბნი მარგალიტი, ესე იგი: კბილები. (ერთი მეორე მიტყუებულა, არა მეჩხერი კბილები, მაშ: ლამაზი). თავის თავად ცხადია, აქ ბაგენი, ანუ ტუჩნი არიან „ძოწნი“ და ფერად წითელნი.

ტარგილი ნესტანზე ამბობს —

ენახე, ძოწსა მარგალიტი ვარე ტურფად მოეზარა (536), ანუ: მის წითელ ტუჩებს ლამაზად ერტყვა მარგალიტი კბილები. აქაც „ძოწი“ არის ბაგეთა (ტუჩთა) ფერი — წითელი.

ავთანდილი —

მისთვის სძვრიდა სასაუბროდ მთ ბაგეთა ძოწის ფერთა (893). აქ: „ძოწის ფერი“ ტუჩები — წითელი.

ავთანდილის —

ბაგეთათ ვარდსა ანათობს ბროლი ძოწისა ძირითა (953) ანუ: ძოწის ძირი აქ არის ღრძილები, რომელში ჩასმული არის ბროლი, ანუ თეთრი, ელვარე კბილები.

აქაც „ძოწი“ არის ფერით წითელი.

თინათინი —

ვინ მარგალიტსა ვარეშე მოსცავს ძოწისა ბაგეთა (961) ანუ: თინათინის კბილებს (მარგალიტსა) არტყია ძოწი ტუჩებითი. „ძოწი“ — წითელი ფერი.

და შემდეგ უკვე ნესტანის ტუჩები —

შეა ძოწისა და აყიყისა სჭვირის მაზგალიტი ტყუბები (1146). არაბული სახელით „აყიყი“ არის თვალ პატიოსანი, ძვირფასი ქვა „სარიდუს“, რომელს ახლა ეწოდება „კარნელიანი“ — წითელი, უმი ხორკის ფერისა. მასასადამე — ერთ ტუმს, აყიყის ფერისა, და მეორე ტუმს, ძოწის ფერისა შორის მოსიანანო ტყუბი მარგალიტი კბილებით.

როდესაც ეს ლექსი გავაჩივ ჩემ წიგნში „ვეფხისტყაოსნის ფერათმეტყველება“ (გვერდი 67), მკითხველს მოვასანე —

„აქ ყურადღებას იპყრობს ორი სახელის: „ძოწი“ და „აყიყი“ ერთად მოთავსება, — ეს მოვლენა საბუთს იძლევა საფუძვლებლად, რომ „ძოწი“ იქნებ იყოს ძვირფასი ქვა, რადგან იგი ძვირფას ქვასთან „აყიყი“ ერთად არის მოთავსებული; ოღონდ ისიც შესაძლებელია, „ძოწი“ აქ მხოლოდ ფერს აღნიშნავდეს“ — მეთქი.

შემდეგ ავთანდილის ბავთა გამო ნათქვამია — მით მარგალიტი უჩვენის, ძოწისა კარმან ღიაშან (1324) ანუ: კარ ვალბული ტურებიდან მით მარგალიტი კბილები უჩვენა, ესე იგი: ვალიმია. აქაც „ძოწი“ არის — წითელი. ავთანდილი —

გალიმდის, ძოწი გააპის, კბილთავან ელვა ჰკრთობდა (1337) — ძოწი გააპის — ტურები გასნა, ვალიმია.

და დასასრულ, „ძოწი“ არის შედარებული ფერით სისლთან —

შუნით წყარონი გამოჩნდეს, ძოწისა ვამსგავსე ფერთა (1342). წყარონი — ცრემლი; აქ — სისლის ფერნი.

ვეფხისტყაოსანში ტურები შედარებულია ერთად აყიყთან და ძოწთან, — ზომ არ შეიძლება ასეთი შედარება მომხდარიყო, თუ ეს ორი ფერი სხვა და სხვა იქნებოდა? მაშ „ძოწის“ ფერიც უნდა იყოს წითელი, უმი ხორკი-სებური ფერისა!

ვიცი: „აყიყი“ არის უმი ხორკის წითელი ფერი და ლათინურად ეს აყიყი არის „კარნელი“ („კარნელიანი“, „კორნალინი“), რაც ნიშნავს „ხორკისებურ ქვად მსგავსე ზღური სწიფილვ. მას ეწოდება კიდევ „სარდინი“ მსგავსე ლექს არის წითელი.

მაშ: ძოწისა ფერიც უნდა იყოს წითელი, უმი ხორკისებური ფერისა!

იქნებ სახელით „ძოწი“ გავებულია სახელი წითელ ქვისა, ძვირფასისა თვალისა პატიოსანისა „ანთრაქს“ (ებრაული „ნოფეს“, ბერძნული „საპფიროს“, ლათინური „საპფირუმ“, რომელს ეწოდება კიდევ „კაბუნკულუს“ (ნაკვერცხალი).

ეს მოსაზრება მიკარნახა ჰასტიკის ბიბლიურ ენციკლოპედიაში დაბეჭდილმა ცნობილი მკვლევარის პიეტრის წერილმა, რომელში ნათქვამია: „ზოზოლითოს“, ებრაულია წარმოდგენით, აღრიდელ ხანაში იყო „თარშიშ“, ფერით — ყვითელი იასპის; ბერძნებთან ეს „თარშიშ“ იყო ფერით — ყვითელი იასპის; ანტიკის ბოლო ხანაში ეს „თარშიშ“, ანუ ზოზოლითოს (რაც ქართულად ნათარგმნია სახელით „ძოწიული“ და „ძოწი“) იყო „ტოპაზიონ“ ტაპაზიონ, ფერით — წითელი იასპის. (4. წიგნი 4. გვ. 619-622).

ამ „ტოპაზიონს“ ეწოდებოდა კიდევ „ანთრაქს“, ანუ: აღრიდელი ხანის „გრანატუმ კარბუნკულუს“ (გრანატ — ანთრაქს). გრანატის ქვა კი არის ბროწულის ფერის ქვა (2. გვ. 213).

ამგვარად, მივედით საბოლოო დასკვნამდე: —

თვალი პატიოსანი „ძოწი“ არის „გრანატუს კარბუნკულუს“. ეს არის მღვივე წითელი ფერი, ბროწულის ყვავილის ფერი, ან ბროწულის მწიფე მარცვლის ფერი, რაც აყიყის ფერს მართლაც შეეფერება.

პარიზი, მარტი, 1965 წ.

1) Histoire naturelle de Plin. Tome 12e, livre XXXVII, p. 167.

2) Jean Escard — Les pierres précieuses. Paris, 1914 p. 2.

3) F. Melly — Pierre chaldéennes, d'après le lapidaire d'Alphonse X le Sage. Paris, 1891.

4) James Hastings — A Dictionary of the Bible. New York, 1902. Vol. VI. W. M. Flinders - Petristones, Precious.

5) Patrologiae Graecae. Tomus XLIII, pp. 293, 224, 306.

6) Ernst Friedr. Carl Rosenmüller — Handbuch der biblischen Alterthumskunde. Leipzig 1830. Band IV. S. 31 - 32.

7) Max Bauer — Edelsteinkunde. Leipzig, 1896. S. 574.

8) Ch. Daremberg et Edm. Saglio — Dictionnaire des Antiquités grecques et romaines. Paris, 1896.

9) The Jewish Encyclopedia. New York, 1903. Vol. V, p. 594.

10) McGraw-Hill — Encyclopedia of Science and Technology. New York, 1960. Vol. VI, p. 95.

11) F. de Melly — Les Lapidaires de l'Antiquité et du Moyen Age. Paris, 1902. Tome III. Fasc. I, p. XXIV.

12) Paulys Real — Encyclopaedia der klassischen Altertumswissenschaften. Stuttgart, 1912. Band III. S. 1114.

13) G. F. Herbert Smith — Gemstones. London, 1940, p. 133.

14) შ. ჯანაშვილი — დროკოცენი კამნი, იხ ნაწვანია ი სვიოსტვა. სპირნი მატერიალე დლია ოპისანია მესტ-

ნოსტიტი ი პლემიონ კავკასია. ტფლისი, 1898. ვით. 24.

15) Studies and Documents, edited by Kirsopp Lake, Litt. D. and Silva Lake, M. A. II. Epiphansus de Gemmis. The Old Georgian version and fragments of the Armenian version by Robert P. Blake, Ph. D. and the Coptic - Sahidic fragments, by Henri de Vis. London, Christophers, 1934.

16) J. Tannery et E. Fagnat — Dictionnaire Universel des Sciences, des Lettres et des Arts. Paris, 1904, p. 331.

17) Charles Barrot — Traité complet des pierres précieuses. Paris, 1858, pp. 118 - 122.

18) C. Prosper Brard — Traité des pierres précieuses, des porphyres, marbres, albâtres... Paris, 1808. Tome II, pp. 251 - 269.

19) ძველი ქართველი მეზობენი. 1. ჩაბრუხაძე — ქება მეფისა თამარისა. ტექსტი გამოსცა... ივანე ლოლაშვილმა თბილისი, 1957. გვ. 129.

20) ძველი ქართველი მეზობენი. 2. შავთელი — აბდულმუსიანი. თამარ მეფისა და დავით სოსლანის შესახებ.

გამოსაცემად მოამზადა, გამოცემა და ლექსიონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა. თბილისი, 1964. გვ. 209.

21) F. Vigouroux — Dictionnaire de la Bible. Paris, 1895. Tome I, p. 607.

22) T. K. Cheyne and J. Jutherland Black — Encyclopaedia Biblica. London, 1907. Vol. I, p. 895.

23) Dr Julius Ruska — Das Steinbuch des Aristoteles. Das Buch der Steine (Codex Parisiensis) von Aristoteles, übersetzt von Luca ben Serapion. Heidelberg, 1912. S. 176.

24) Dante. Œuvres complètes, traduction et commentaires par André Pézard.

25) დანტე ალიგიერი — ლეტაბრიე კომედია. წიგნი მეორე: სალხინებელი, კონსტანტინე გამსახურდიას მიერ თარგმნილი. ტფილისი, 1938.

27) Dictionnaire Français-Arabe.

28) The Book of Thousand and a Night, translated by Captain Sir R.F. Burton. London, 1894. Vol. X, p. 216.

მე მამრუნვას, არ ბამიშვას, შამიარის ლამიქამს წვასა

აქ ვებუდავ ერთ თავს ჩემი მოხსენებლდან, რომელიც წვეკითხე პარსში 1965 წლის მაისის 9ს. სათაურით: „რუსთაველი — ლანტი. — 800 წ. — 700 წ.“

ბეატრიჩე და დანტე მნათობი მთვარიდან ისარის სისწრაფით აღიან მნათობი მერკურისის ცაზე. ამას არა-წელ-ქართულად ეწოდება: ოტარიდი.

ოტარიდის ცა დედამიწიდან არის პლანეტათა რიგში მეორე. დანტე ავიწერს მას და გვასწავლის: მერკურისს = ოტარიდის ადგილი არის მთვარესა და ვენუსს = ასპაროზის შორის; იგი არის ყველა მნათობზე პატარა; მისი დიამეტრი უდრის 232 მილს, არაბი ასტროლოგოსის ალფრავანუსის ანგარიშის თანახმად. რადგან ოტარიდი = მერკურისს მესთან ახლოს არის, ამიტომ მას ხშირად ვერ ვხედავთ; იგი დამალული არის მზის სხივთა ბრწყინვალეობაში (პარად. 5. 128-9; კონე. 2.14—98-100). 1). მერკურისს = ოტარიდი და ვენუსს = ასპაროზ მოძრაობენ ცაში ახლოს მზის გარემოში. 1). და ამიტომ დანტე აზბობს —

ენახე, როგორ მოძრაობენ მის გარემო და მასთან ახლოს მათა და დიონე (პარ. 22. 143-144). ანუ ძველი ბერძნული თქმულებით: მათა არის ასელი ატლასისა და პლეიონესი, ერთ-ერთი შვიდი პლეადისაგან; მათა კილენეს გამოქვაბულში, არკადიაში, მათამ მიიღო იუპიტერისაგან დედა

მერკურისს. დანტე აქ ლაპარაკობს მერკურისისა და ვენუსის დედათა სახელით. 2). გვერდი 351..

რა ლამაზი მნათობი არის ოტარიდი = მერკურისს — ამბობს დანტე სონეტა-ში 28.9. მერკურისს = ოტარიდი ახლა იმყოფება მესთან და დანარჩენ მნათობთა შორის იგი მზის სხივებით იმალება (პარად. 7. 11-12).

ეს სინამდვილე დანტეს მარტივი სიტყვითაც აქვს გამოთქმული თავის „კონვენია“-ში —

მერკურისს = ოტარიდი... როცა მოძრაობს, უფრო დადარულია მზის შუქთაგან. ვიდრე სხვა ვარსკვლავები (კ. 2. 14.99-100). და პოეტურად ამასვე ამბობს თავი „პარადისო“ = „სამოთხე“-ში —

სფერო, რომელიც უფრო სხივებით კაცთათვის პირბადეს იფარებს (პარ. 5. 128,129). 2).

მეორე ცას, მერკურისს = ოტარიდის ცას დანტესთან ეწოდება „მეორე სამეფო“; მას განაგებენ არქანგელოზები. ოტარიდის ცაზე მოათავსებულნი არიან სულნი მათთა, რომელთაც უყვარდათ სახელი და პატრიე, სულნი სახელმწიფევილთა, პატრიევილთა, რომელთაც მიწიერ ცხოვრებაში დიდნი საქმენი ჩაიდინეს, (სპირიტი ოპერანდი). მათ შორის არის სული იმპერატორ იუსტინიანესი (527 — 565 წ.წ.). იგი მოუთხრობს პოეტს რომელი არწივის, რომის ისტორიის დიდ საქმეთა შესახებ; უხსნის და ცნობს მას, თუ ვინ და რატომ იმყოფება ოტარიდის ცაზე; მოუთხრობს გველეხისა და ვიბელან

თა სამოქალაქო ომზე, დანტეს დროის რომის ისტორიის დანტინებაზე; ვახსენებს რომეოს. პროვანსის გრაფის. რინონ ზერანდერის სენეშალს და დასასრულ გალობს „ოსანანა მაღალთა შინა“-ს და როკეით. სხვა სულებთან ერთად, დანტეს შიდაში. შემდეგ დანტეს ბეატრიჩე სენეშალს. თუ როგორ არის თანაბრად სამართლიანი სიკვდილი ქრისტესი და მის გამო შურისძიება; რატომ არჩია ღმერთმა კაცობრივობის დასახსნელად განკაცების საშუალება; ებასება მის ქმედლებათა ბუნების სხვადასხვაობაზე. ელეუმენტა განაწინაზე. ხორცთა აღდგომაზე და სხვა. 1). გვ. 379. 3). გვ. 64-70.

მერკურუს = ოტარიდი ეფენისტეა-სანში ასტრონომიულ-ასტროლოგიურად არის გამოყენებული. ოტარიდი აქ არის მეფე სიზანსისა, მოხიზებული ბატონი, მწერალი და ბედის გამგე.

მნათობადი გალობაში ავთანდილი ოტარიდს ეველებდა —

ოტარიდო. შენგან კიდ არვის მიგავს საქმე სხვასა:
მზე მახარუნვესს, ან გამოშვებს, შემყირის და მიმცემს წვასა;

დაჯდე წერად ჭირთა ჩემთა, მელნად მოკცემ კრემლთა ტბასა;

კალმად გიკვეთ გაწლობილსა ტანსა ჩემსა, ვითა თმასა (შაირი 962).

პირველი ორი ბუკარი ანის ასტრონომიულია; ავთანდილი მნათობს ეუბნება — ჩემი და მზენი საქმე ერთნაირი არისო. როგორც შენ, ოტარიდო. მზე გაბარუნებს, არ გაგიშვებს, შეგიყრის და თავისი სიახლოვით გწვავსო, — ეს არის ასტრონომიული ურთიერთობა მზესა და ოტარიდს შორის, რაც გამოყენებულია ავთანდილის სიყვარულის პოეტურ შესადარებულად და დასახსიათებულად: — მზე=თინათინის სიყვარულით ავთანდილი შეპყრობილია და ეს სიყვარული მას არ უშვებს, თავისი ცეცხლით სწავსო.

ამ შაირის მეორე ორი სტრიქონი არის ასტროლოგიური — ოტარიდი ასტროლოგიურად იყო მწერალი. რომელსაც მწერალს ავთანდილი თავისი კრემლთა ტბას მას მელნად აძლევს. ხოლო სიყვარულისაგან თმასავით გამხდარ, ჩამომხმარ, წერილ ტანს კალმად აწოდებს. და ყველაფერი ეს იმისთვის, რომ ოტარიდმა თინათინს აცნობოს ავთანდილის სიყვარული. 4).

ამგვარად, დანტეს მერკურუსსა და რუსთაველის ოტარიდს სულ სხვა და სხვა დანიშნულება აქვთ მინიჭებული: დანტეს მერკურუსი საიქიო ცხოვრების ერთ ნაწილს ავითარებს და იქ ბეატრიჩე დანტეს თეოლოგიურ საკითხებს განუმარტავს; რუსთაველი ოტარიდს ამქვეყნიურა, საიქიო ამაღლებული ხორციელი სიყვარულის მოკეტულისა და შიკრიკის მოვალეობა აქვს დაკისრებული.

საქართველოში — ნათქვამია ჩემ წიგნში „ეფენისტეა-ოსანის ფერამეტეულება“ 5). გვ. 77. — ეფენისტეა-ოსანის გარშემო ერთი მეტად ცუდი ჩვეულება მყარდება — თვითთელი მკვლელობა — ცლილობს სვეტისს სქესისან-ზე რაღაც განსაკვირებელი რამე თქვას და ისეთი დებულება განმოაცხოს და სანაწინებულად გამოიტანოს, რომელი მკითხველს გააბრუნებს-მეთქი.

სამწუხაროდ, ამ დებულების განსმარობებულად და სადასტურებულად ამ ათი წლის განმავლობაში ზევარი საბუთი დაგროვდა; მაგრამ რაზეც ახლა მსურს ზეყარდება შეეჩერო. ეს მართლაც რაღაც არა ჩვეულებივი ამბავი არს.

საერთოდ სახიფათო არისო — ამბობს ასტრონომიის ისტორიკოსი ჯ. ე. ე. დრიეიერ თავის „ისტორია-ში პლანეტარული სისტემის თაღისოს-დან ეკლერ-ამდე“ — გამოიტანო პოეტური ნაწარმოების სიტყვიდან მისი ხასიათის მეცნიერული დონის შესახებ რაიმე დავსკვნაო. მავალითად: მე-19 საუკუნის რომანებში ისეთი ასტრონომიული მოვლენანი არიან აღწერილი. ვთქვათ, მთავარი შესახებ, თითქოს კაცს მასზე მაშინ არაფერი ცოჯნოდეს და გაეგებოდესო. 6).

ეს სამართლიანი შენიშვნა საერთოდ შესაყენებელია, გარნა რუსთაველმა იცის თავისი დროის ასტრონომია და დანტემაც კარგად იცის თავისი დროის ასტრონომია და ორივე კონდა დამყარებულია პტოლამაიოსის ცნობილ სწავლაზე. კერძოდ, დანტე სარგებლობს ალფარგანუსის წიგნით, რომელიც იყო მისი საყვარელი წიგნი, როგორც იტყვის მ. ა. ორს. 7). გვ. 184. ტალიევი მაშინდელი სწავლული ბერი ბრენტეტო ლატინი არაბ სწავლულს ალფარგანუსს უწოდებს: „ისტორია ასტრონომიისა“.

ძველ ფილოსოფიურ და მათემატიკურ თხუთულებებში — ამბობს ცნობილი მკვლევარი ლუდვიგი იდელერ — და კერძოდ, ასტრონომიის შესწავლაში ცის გვათა შენახებ, სხვა და სხვა შენახულება იყო გამოიჭედილი, ერთი მეორეს დაპირისპირებული, მაგრამ პტოლემაიოსსმა ასტრონომიის მისკა მთლიანი ერთი სახე და იგი მსოფლიოს განსაგებლად განმარტა. ამ სწავლის მიხედვით: დედამიწა არის უძრავი და იგი მსოფლიოს ცენტრში იმყოფება, ხოლო ცანი, პლანეტათა სფერონი: მთავარ, მერკურუსს, ვენუსს, მზე, მარს, იუპიტერ და სატურნს დედამიწის გარშემო გრძალივდენ. მსოფლიოს შესწავლის ამ წესს უწოდებს პტოლემაიოსის (პტოლემეს) სისტემა, რომელიც მას არ გამოუგონია. მაგრამ მან ვადაამუშავა ძველი სწავლება, დაალავა და მათ გააკვეთილი სახე მისცა... 8). გვ. 44. პტოლემეოსს გარდაიცვალა 180 წელს ქრისტეს შემდეგ.

პტოლემეოსის ეს ასტრონომიული სისტემა ათას ოთ-

ხასი წელიწადი ბატონობა აწიხა და ევროპის განათლებულ წრეთა შორის; ეს იყო **გეოცენტრიზმის** სისტემა, სადაც „ბიკ“ ანუ „მიწა“ არის ცენტრი მსოფლიოს და უძრავი გვაში, რომლის გარეშეა ყველა მანათობის ცა და ვარსკვლავიანა ცა ტრიალებს. ეს იყო დაკანონებული, ურყევი სწავლა, სანამ ახალი დროის, ჩვენი დროის ასტრონომია არ წარმოიშვა მე16—მე17 საუკუნეში, სანამ არ დაიბადა **ჰელიოცენტრიზმის** სწავლა, რომლის მიხედვით **ჰელიოს** = მზე არის ჩვენი მსოფლიოს ცენტრი.

ხუთი პლანეტა — მერკურუსი, ვენუსი, მარსი, იუპიტერი და სატურნი — ცნობილი უნდა ყოფილიყო კაცობრიობის ისტორიის დამდეგდანვე და აღრიდელ ხანაში შეინიშნული იყო: თუმცა ეს ხუთი პლანეტანი გარეგნულად ვარსკვლავებურნი, თავისი ყოფაქცევით კი სასიყბობაზეა განსხვავებული, ხანადნენ ისინი ვარსკვლავებზე, რომელნიც მიკულობენ, მიკედლინი ციურ თაღზე, მოწიწილობას ღებულობენ მხოლოდ მთელი ცის ყველ დიდურ წესიერ მოძრაობაში ციური პოლუსის გარეშე, ასე რომ ქალდეველი მწყემსი ასტრონომოსები, ათას წელთა უკან, გაეცნობილი იყვნენ იმავე კონსტელაციისთან, ვარსკვლავებთან, რომელთაც ჩვენ დღესაც ვუწოდებთ. ისინი იცნობდნენ პლანეტებს, მარსს, იუპიტერს, სატურნუსს, რომელნიც მოგზაურობდნენ ზოდიაკოთა საზღვრებში.

მერკურუსი = ოტარიდი და ვენუსი = ასპირიოზ კი, ჩანდა, რომ მისდევნენ მზეს ცაში და ამიტომ ასტრონომოსები დიქრობდნენ, ისინი, მაშასადამე, ბინადრობენ მზისა და მიწის შორისო. ვენუსი = ასპირიოზ, ყველაზე მოზიზშიმე ვარსკვლავი ცაზე, მზისა და მთერისი გარდა, არასოდეს არ დანახულა კისზე მიერ ღამის სიღრმეში. მაგრამ იგი ცნობილი არის ვითარცა საღამოს ვარსკვლავი, რომელიც მზის ჩასვლის შემდეგ კიდევ რამოდენიმე საათი მოჩანს და ვითარცა დღის ვარსკვლავი, მზის ამოსვლას წინ არამ უსწრებს. 2).

თავისი „აღმავსეტ“ -ს მეორე წინის მეხუთე თავში (ფრანგული თარგმანი) პტოლემეიანის ხუთი პლანეტის განლაგება-ურთიერთობის განიხილავს და მათ შორის მერკურუსი = ოტარიდისა და ვენუსი = ასპირიოზის შესახებაც, რასაცირველია მსჯელობს.

ადვილად დასაწახია ზებრაო თვალითაც — ამოზს პტოლემეიანს — თუ როგორ ხდება მერკურუსი = ოტარიდის დაშორება თუ მიახლოება მზესთან და ზოდიაკოებთან. 9). გვ. 53-54.

მერკურუსი = ოტარიდი და ვენუსი = ასპირიოზი თავისი მსვლელობაში მერყეობენ მზის ერთი მხარიდან მზის მეორე მხარისაკენ, — ისინი ხან მოჩანან, ხან — არა.

როდესაც ისინი მზის ხაზში შედიან, ისინი უხილავნი

არიან, ჩვენთვის არა ჩანან, რადგან მზის მარჯვენადი „შუქნი მათ სინათლეს სჯობიან და მათ უჩინა“ კნინან. აი, სწორედ ამას ეწოდება რუსთაველიან: „შემიყრის და მიმცემს წყასა!“

სწორედ ამასვე ამოზს დანტე — რადგან მერკურუსი = ოტარიდი მზესთან ახლოს არის, ამიტომ მას ხშირად ვერა ხედავთ; იგი დამალულია მზის შუქთა ბრწყინვალეობის შედეგად. (პარ. 5. 128-9; კონ. 2. 98-100). იგი (მერკურუსი = ოტარიდი) იმყოფება მზესთან და დანარჩენ მნათობთა შორის იგი მზის სხივებით იმალებაო. (პარ. 7. 11-12).

დანტე მერკურუსი = ოტარიდის შესახებ თავის თხუთხუთედაში „კონვივია“ = „წვეულება“ (2, 13, 11). მსჯელობს: — და ცა მერკურუსისა შეიძლება შეეღაროს დიალექტიკის ორი თვისების გამო: მერკურუსი ნამდვივით დანარჩენ პატარა ვარსკვლავი ცისა, რადგან მისი დიამეტრი უდრის... როგორც დაადგინა ალფაგარანესმა (არაბ ასტრონომოსმა)... მეორე მისი თვისება კი არის ის, რომ იგი ყველა ვარსკვლავზე უფრო დამალული არის მზის შუქთან. და ეს ორი თვისება არის დიალექტიკაშიც...

ამ დებულებას დანტე პოეტურად ასე გვიხატავს — მერკურუსის სფერო, რომელიც უცხო სხივებით ცა-თათვის პირბაღს იფარავს (პარ. 5. 128-9). ანუ: კაცმა რომ ვერ დაინახოს იგი მერკურუსი პირბაღს იფარებს. თავს იმალავსო მზის შუქით.

რუსთაველთანაც იგივე დებულება უფრო პოეტურად არის გამოთქმული; როგორც ოტარიდს, ისე ავთანდილს მზე აბრუნებს; მათ მზე არ გაუწევებს, თავისთან ატარებს; მზე მათ შეიყრის; მზე მათ სწევას.

ეს იმას ნიშნავს, რომ ოტარიდი მზის გზას მიჰყვება და მზე მას ამნაირად აბრუნებს; და რადგან ოტარიდი მზის გზაზე არის, ამგვარად მას ვერ გასცდება; მზე მას არ გაუწევებს, ასტრონომიული სისუსტით მისდებს მას; და როცა ოტარიდი მზე შეიყრის, შეხვდება, იგი ოტარიდი მზესთან სიახლოვისა ვაშა იწეის, აღარ ჩანს მზის შუქში — მზე მარბუნებს. არ გამიწევებს, შემიყრის და მიმცემს წყას — (შოთი 962).

მეორე ეს დებულება რუსთაველის მიერ მაღალი პოეტური სიტყვით გამოთქმული, ისე როგორც დანტეს აღწერა დამარბებული პტოლემეიანის სისტემაზე, ძველ ასტრონომიაში. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან სხვა ასტრონომიული სწავლა არც რუსთაველისა და არც დანტეს ხანაში, არც შემდეგ, მე16 და 17 საუკუნემდე, არ არსებობდა. მით უფრო გასაკვირველი, განსაკვირვებელი და მართლაც საოცარი არის ის წერილი, რომელიც ამ საკითხის გარეშე მოხილესი დაბეჭდილია.

გაბუთი „ლოტარატურული საქართველო“ 1964 წლის

იანვრის 17სა ანეთ ვასაოცარ ამბავს გვატყობინებს. ბ. რევაზ თვარაძე წერს —

„ვახუთ „სახალხო განათლების“ 1955 წლის 7 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა პედაგოგ დ. ჭანტურიშვილის უარესად საინტერესო სტატია — „ჰელიოცენტროზმის ნიშნები ვეფხისტყაოსანში“.

„ნიშანდობლივი ამბავია: — განაგრძობს ბ. რევაზ თვარაძე — სტატიაში არაერთი გამოვლენა, ჩვენმა მეცნიერებმა დღემლით აუზარ გვერდი მისში აღმოვსოეთ. სიტყვები, რომლებიც მიხვნი ალბათ ის იყო, რომ, ერთი მხრივ, ავტორის საბუთები თითქოს სრული უწყველობით ადასტურებდა მისი დებულებების სისწორეს, მაგრამ, მეორე მხრივ, თუნდაც აღიარებული ფაქტი რუსთაველის მიერ ჰელიოცენტრული თვალსაზრისის ვაზიარების მიანიც ახსნას მოითხოვდა; იმადეზოდა კითხვა: საიდან უნდა სკოლადნოდა რუსთაველს კოპერნიკზე თოხი საუკუნით ადრე, რომ „დღემამოა არ წარმოადგენს სამყაროს ცენტრს და მის გარშემო არ ბრუნავს პლანეტები (როგორც ეს გეოცენტრისტებს პტოლემეს სწავლის მიხედვით წარმოედგინათ) და რომ დღემამოა მზის სისტემაში ერთი-ერთი რიგითი პლანეტა?“

„სტატიაში ავტორი მიუთითებდა რუსთაველის სტრიქონებზე: „ოტარიდო შენგან კიდ არვის მიგავს საქმე სხვასა; მზე მბარუნებს, არ გამიშვებს, შემყირის და მიმცემს წყასა...“ „მთავარ მხესა მოეშორვოს, მოშორებდა განანათლებს, ესა და რამდენიმე სხვა ციტატი თითქოს მართლაც უეჭველს ხდიდა, რომ რუსთაველი ადგა ჰელიოცენტრულ თვალსაზრისს, რომელიც ევროპულმა მეცნიერებმა რამდენი საუკუნით გვიან ძლივს აღიარა. ამის შემდეგ აღარც ავტორის დასკვნა იყო მოულოდნელი: „ვეფხისტყაოსანში“ ჰელიოცენტროზმის ნიშნების არსებობის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მე-12 საუკუნის საქართველოში ასტრონომიული შეხედულებები ჰელიოცენტრიზმისა ვხით ვითარდებოდა“.

აქ არულებდა ზღაპარი პედაგოგ დ. ჭანტურიშვილისა და იწყება იმ ზღაპარის გაგრძელება რევაზ თვარაძისა. იგი კითხვას წარმოადგენს —

„ერთი შეიძლება აიხსნას, რომ მეთორმეტე საუკუნეში, როდესაც მთელ მსოფლიოში გაბატონებული იყო სამყაროს გეოცენტრული ვაგება, ქართველი პოეტი სწორედ კოპერნიკისეულ შეხედულებებისა აღმოჩნდა?“

და რომ ეს აღმოაჩინოს, ბ. რ. თვარაძე წინადადებას იძლევა, გამოვიკლიონ: არსებობდა თუ არა საქართველოში ეზოტერიული (საიდუმლო) ცოდნა (კერძოდ: ასტრონომიის დაჯგუფი). შესაძლებელია მსგავს მოვლენას ჰქონდა იქ ადგილი და

„მაშინ ადვილად აიხსნებოდა, თუ როგორ შეუძლებდა და რუსთაველი ჰელიოცენტრული შეხედულებები“

და იგი ბუნებრივად დასძინა: — „ხოლო მსგავსი სამუშაოს შესრულება ეჭვირვალად მისაღწეა, ამის საწინააღმდეგარსა პტოლემის მიკვლეული, მაგრამ დღემდე აუხსნელი ფაქტი“.

„ეჭვირვ ბ. რევაზ თვარაძეს, რადგან მის ბევრი დრო უნდა ჰქონია, ცოდნასთან ერთად, თითონ შეუდგეს ამ საკითხის გამოკვლევას: იყო თუ არა საქართველოში „ხალხისათვის მიუწვდომელი ძველთაძველი ეზოტერიული ცოდნა“!

და რუსთაველი ჰელიოცენტრული შეხედულებები და იგი ბუნებრივად დასძინა: — „ხოლო მსგავსი სამუშაოს შესრულება ეჭვირვალად მისაღწეა, ამის საწინააღმდეგარსა პტოლემის მიკვლეული, მაგრამ დღემდე აუხსნელი ფაქტი“.

„ეჭვირვ ბ. რევაზ თვარაძეს, რადგან მის ბევრი დრო უნდა ჰქონია, ცოდნასთან ერთად, თითონ შეუდგეს ამ საკითხის გამოკვლევას: იყო თუ არა საქართველოში „ხალხისათვის მიუწვდომელი ძველთაძველი ეზოტერიული ცოდნა“!

სრულებით არ გამეცირებია, რომ პედაგოგ დ. ჭანტურიშვილის წერილს არაერთი გამოვლენა და მის დამოკლებით შეხედნენ. რომ იგი თვის დროზე მენახა და წამეკითხა (1955 წელში), გამეცინებოდა ხოლო, მაგრამ როდესაც ათი წლის შემდეგ ბ. რევაზ თვარაძე ამ ამბავს იხსენებს და საყვედურობს იდეც და მოუწოდებს სხვებს რაკვიონ „ეზოტერიული ცოდნა“ — ეს უეცე აღსაშფოთებელი არის და მისდამი უყურადღებობა უეცე აღარ შეიძლება. სამწუხაროდ, ეს ამბავი თურმე არ დასრულდებულა და აი, ბბ. ს. ცაიშვილი და ნათაძე 1965 წლის აპრილის „მნათობ“-ში ბეჭდვენ წერილს „ვეფხისტყაოსანის“ „გეოგრაფიული ავტორის“ შესახებ“.

„აქ, სხვათა შორის, ეს ავტორები, ასე ვთქვათ, ვაკვრით, მზე—ოტარიდის საკითხსაც ეხებთან და შემდეგსა სწერენ: — „ავთანდილის მიმართვა ოტარიდისადმი, კერძოდ, რუსთაველის ასტრონომიულ ცოდნაზე განსაკუთრებით საინტერესო ენობებს გვაწვდის.“

„ოტარიდო, შენგან კიდევ არვის მიგავს საქმე სხვასა, მზე მბარუნებს, არ გამიშვებს, შემყირის და მიმცემს წყასა“.

„საიდან იცოდა რუსთაველმა, რომ მერკური მზის გარშემო ბრუნავს...“ 10).

დაიპ, ეს ორი ავტორი ვაკვირებებით კითხულობს: საიდან იცოდა რუსთაველმა, რომ ოტარიდი მზის გარშემო ბრუნავს?!

ვისაც გულისყური ასტრონომიულ ამბავზე ჰქონია მიპყრობილი, მას გაგებლი ექნება — ძველად, ძველ საქართველოში ზოგი ფიქრობდა, რომ პლანეტები დედამიწასთან ერთად ტრიალებდნენ ცეცხლადი ცენტრის გარშემო, ამ ცეცხლის ცენტრს უწოდებდნენ: — „მსოფლიო გული“, „ბუნების საკუთხეველი“, „დედა დემითის“ და სხვა. ამ თეორიას, რომ ცანი და დედამიწა ტრიალებენ ცეცხლადი ცენტრის გარშემო, ფილოლოგის (მე-5—მე-6 საუკუნეში ქრისტეს წინ) მიავრდნენ.

მარკუს ტულოუს ციცირომ (დაიბადა 196 წელს ქრისტეს წინ, გარდაიცვალა 66 წელს ქრისტეს შემდეგ), ფიქ-

რობდა, მნათობი ვენუს=ასპიროზი და მნათობი მერკურ-
იუს=ოტარდი შვის სატელიტები იყვნენო, ხოლო სა-
ტელიტ არის პლანეტა-მნათობი, რომელიც მეორე მნა-
თობის გარემოში ტრიალებს. 11. წიგნი მე-2. გვ. 309 და
12). გვ. 124. 128.

პითაგორასთან შორის იყო პიკეტას სირაკუსისის,
რომელმა წარმოთქვა: დედამიწა თავისი ღუძის გარემოში
ტრიალებსო, სხვადაც გაიფიქრა ეს. მაგრამ ეს მოვლენა
იმდენად გაუგებარი, დაუჯერებელი და ფრიალ ძელი
შესატყობი იყო. რომ იგი ადვილად მივიწყებო...

ასტრონომიის სწავლა ერთ ხანაში იკამდე მივიდა, რომ
ზოლოს დღიდან ცათა რივი: დედამიწა უძრავია და მის
გარემოში ტრიალებენ ცანი შემდეგ მნათობთა: — 1.
მთვარი, 2. მერკურიუს=ოტარდი, 3. ვენუს=ასპიროზი,
4. მზე, 5. მარს=მარხი, 6. იუპიტერ=მეშთარი და სა-
ტურნუს=ზუალი.

თითოეულ მნათობს თავისი საკუთარი რევოლუცია,
შემოტრიალება აქვს: მთვარე თავის რევოლუცია-შემო-
ტრიალებას ასრულებს ერთ თვეში: მზე — ერთ წელი-
წელში; მერკურიუს — 88 დღეში; სატურნუს — 29 და
ნახევარ წელიწადში...

საერთოდ, მაშინდელი მთელი სწავლა ცათა შესახებ
ძველ სწავლათა მიხედვით დამუშავა და მოაწესრიგა
პტოლემიოსმა (მეორე სტრუენევი ქრისტეს შემდეგ) და
ეს მისი სწავლა ვაბატონებული იყო მეჩვიდმეტე საუკუ-
ნდელ.

ამ ძველი ასტრონომიის მიხედვით ვენუს=ასპიროზი
და მერკურიუს=ოტარდი არიან შვის ქვემოლ. ამიტომ
ისინი შვის ზემოდ არასოდეს ჩანან. — ისინი არიან მთვა-
რესა და შვის შორის. ამ ნიადავზე წარმოიშვა სწავლა,
რომლის თანახმად, ვენუს=ასპიროზ და მერკურიუს=
ოტარდი არიან შვის სატელიტები და ისინი ტრიალებენ
შვის გარემოში, — მაგრამ მზესთან ერთად ისინი ტრია-
ლებენ დედამიწის გარემოში. ეს პიპიტეზა მონახულია
ვიტრუვიუსის თხზულებაში. — იგი ცხოვრობდა აუ-
გუსტის ხანაში (პირველი საუკუნე ქრისტეს წინ): ეს თე-
ორია განმეორა მარტინუს კაპელაში (რომელიც ფი-
ჭრობენ. ცხოვრობდა მეხუთე საუკუნეში). იგივე თეო-
რია აღენიშნავს უფრო ადრე თეონ სმირნა-ელს, რომელიც
მეორე საუკუნეში უცხოვრია. მაგრამ ეს თეორია, რო-
გორც ვხედავთ, არ არის პტოლიმეონტული: იგი არის
გეოცენტრული; მაგრამ მაინც იგი პტოლემიოსისათვის
უცნობია და ასეთი სწავლა მას არა აქვს და არც რასა-
ვირეელია, იგი არაინი იცოდა შუა საუკუნეთა განმავლო-
ბაში. იგი უცნობია რუსთაველისა და დანტესთვის. 13).

ყველაზე გრძელი განედი, ვანი ვენუსისა არის ექვსი
გრადი და მესამედი, თანახმად პტოლემიოსისა. როგორც
ასწავლის არაბი ალფარგანუს (მეათე საუკუნეში). ამი-

ტომ იგი დამალულია შვის მიმართ მხოლოდ იური დღით,
თუ იგი იმყოფება ვარსკვლავებში ათეზნი: ეს არის
„მოთხებ კლიმატისათვის“; სატურნუსს მერკურ-
უსსზე შვისა, იუპიტერი — 11-ზე, მარსს — 17-ზე, მერ-
კურუსს — 13-ზე შვისა. 11). ქვემო პლანეტებს ეკუთვ-
ნიათ მთვარე, მერკურიუს და ვენუს, რადგან ჯეროდათ,
რომ მათი ცა, სვერო იყო შვის ქვემოლ ძირს; ხოლო პლა-
ნეტებმა კი — შვის ზემოდ უშლილეს.

შუა საუკუნეთა ასტრონომიისათვის ენუსი და მერ-
კურიუსი შვის ქვემოლ იმყოფებიან: და ყველა პლანეტის
სრბოლა ხდება ერთნაირი და წრიადი მოძრაობით; ისე
ვით შვისა და მთვარისა. ვინიდან ეს სრულყოფა არის
არატყა ციურა წყობისა, რაც უთანასწორობასა და უწყე-
სრობასს არ ითმენს. 3. გვ. 309.

მერკურიუს=ოტარდი იმყოფება თითქმის ეკლიპტი-
კის პლანში. ისე როგორც მოჩანს: იგი ან წინ უძღვის
მზეს, ან მისდევს მას უკან, იმის მიხედვით. თუ იგი თა-
ვის ოპტიკაზე რა პოზიციაში არის.

მართლაც, თავის ოპტიკაზე მოძრაობს შედეგად, ჩანს
ასე, რომ იგი მერკურუსს, ქანაშა უკანა მხარედა, ან წინ-
ისა მხარეზე, პირველად მის უკან, მეტ-მე — შვის წინ;
მეტ-მე — ისე უკან და ასე, ერთი მეორეზე მიყოლებით.
როდესაც მერკურიუს=ოტარდი არის შვის უკან, ჩვენ
მას ვხედავთ საღამოს პორიზონტთან ახლოს, დასავლეთ-
ითი: როდესაც მერკურიუს=ოტარდი მზეს წინ მიუძ-
ღვის, მას ვხედავთ აღმოსავლეთით.

ანტიკურ ხანაში არ ესმოდათ. არ იცოდნენ, რომ ეს
სხვა და სხვა ხედავ, განცდა მერკურიუს=ოტარდისა,
ბარონ დე სლან ვაკერებელი არის. როდესაც იგი მუსულმან პოეტსა შედარებსა და მეტაფორებს ეცნობა. იგი ამბობს: ზმირად ისინი ვატეგებარი არიან!

ამ შედარებათა შორის ბევრია ცნობილი ქართულ მწერლობაში: ნაჭვიზი (თვალი). მარგალიტი (კბილი, ცრემლი. სიტყვა). ლალი (ბაგენი) და სხვა. თვალი, ანუ თუ სპარს პოეტთა შორის, — ამბობს ბარონ დე სლან — არის ხრზალი; ეს სიყვარულით გულსა სჭირს! 12. წიგნი მე-8. ვევილ 155.

თიმიურაზ მეფის მიერ ნათაგზმ «ლეილ-მეჯუნინან»-შიც არის მოხსენებული ლახვარი სიყვარულისა: — აკოც. მაკარმ დაეცა ლახვარი მოღესტლები... 21). გვ. 33.

[სხვათა შორის, სპარსულ-არაბულ «ათასერთი ღამის» ერთ სასიყვარულო თვევადსავალში, რომელიც შეეხება წურ ელ-დინ ალი-სა და ენ ელ-ჯელ-ის, ჩამოთვლილია მონათა ბახარზე გამოყენილი ასულია წარმოშობა და სხვათა შორის დასახელებული არიან: ჩერქეზთა და ქართული ქალწულისიქ]. 12). გვ. 433.

იქნებ საოცარიც იყოს, რომ ეფხისტყაოსანში მკითხველი ხშირად ეცნობა საკურველს „ლახვარს“; რომელიც იქ გამოყენებული არის არა მარტო საომარ იარაღად, საბრძოლო საკურველად, არამედ სიყვარულის ამბავშიც. „სიყვარულის ლახვარს“ ჩვენ ვხვდებით ეფხისტყაოსანში; მაგრამ არსდ იქ არ იხსენება პეტლს (პეტლეს); არც მისი შვილის ახილოისის ლახვარი; ეფხისტყაოსანის ლახვარი არ არის არც პეტლესისისა და არც ახილოისისა — იგი არის რუსთაველისა დასაწყისიდანვე რუსთაველი წინასიტყვაობაში, სადაც იგი თავის მიჯნურობას ამოცანებს, გვიცხადებს — ჩემ გულს ლახვარი აქვს დასაბოლიო — დაეჯე რუსთაველმან ვაგლექე, ზისთვის გულ-ლახვარსოხილი (შარი 7)

ლახვართი არის დაქრილი ეფხისტყაოსანის ყველა მოტრევე და ყველაზე უფრო ღრმად ტარიელი, რომელიც ნესტანის პირველივე ნახვით, მისი პირველი შეხედვით ლახვარ-სიბოლი ვახსდა ანუ როგორც თვითონ ამბობს — ქალსა შევედო ლახვარი მეცა ცნობასა და გულსა (34).

ეს იმას ნიშნავს; რომ გვირმა ტარიელმა კარგად იცის, რომ მისი გული ლახვარით არის დაქრილი და რომ ეს ლახვარი არის სიყვარულისა; მას სურს გაუძლოს ლახვა-

რის მიერ მიყენებულ ქრილობას; მაგრამ იგი უძლურია ამ შემთხვევაში და ამიტომაც არის: იგი თავის თავს ეკითხება —

გულს ვარკთ თუ: „ლახვარი ეგ ვით დაგაღონებენ?“ და როცა ასმების ხელით მიიღო „წიგნი ნესტანისა“, ამან იგი ისე აღაფრთოვანა, რომ ეგრეა კიდევ თვით სიყვარულია ლახვარმა მომარჩინა: მისი დაცემა, პოხვედრა ასარიდა —

მე ლახვართა გულსა მრიდეს (386).

ხოლო შემდეგ მას კარგად ესმის; რომ მისი გული ლახვართი დაყოილია; ჩემს გულს შეგხო სიყვარულის ლახვართი — გულსა მე ლახვაზ-ხებული (522):

ევხვისტყაოსანში ფილონს ასლელ ვინმ არ უყვარს; მაგრამ მან კარგად იცის სიყვარულის ამბავი და ისიც იცის, რომ სიყვარულს „სიყვარულის ლახვარი“ იწვევს და ამ ლახვანს შეუძლია სიყვარული — პასუხი მერე მზადანაც და ეს ღმერთის შემწეობით: ამიტომ იგი ტარიელს ასე ანუფეგებს —

კვლაც მითხრა: „ისიცა ღმერთი საოსო მორჩსა ტანად უხებს; პას ლახვანსა მოაშორებს, აუცა პირველ გულსა უხებს (633).

აქ სიყვარულის ლახვარის საქმეში ღმერთი არის ჩაბრუნებული და მოქმედის: თუმცა პირველად ღმერთი ლახვარს უღოს უხებს ანუ სიყვარულის ლახვართი მამაკაცს ჰყოდას, სურისო, იგივე ღმერთი ამ გულს მოაშორებს ლახვარს, სიყვარულის პასუხს მიაცემინებს გულს. ამგვარად ვაძრთვლდის და ეს იქნება წყალობის ღმერთისა... ამ შაირში — მაღლი ღმერთისა — „სიყვარულის ლახვარი“ სურის და არჩენს; დაჰკოდას და განკურნებს.

მაგრამ აქ ვაჯკვეით უნდა აღვნიშნო, რომ ეს ღმერთი არ არის არც ეროსი; არც ამორი; არც ერთი არსება მითლოგიური; არამედ არის ღმერთი ქრისტიანული; რომელიც თვით სიყვარულია და მიჯნურობის წესთა შემქმნელი, ვით ეს ნათქვამი არის ევხვისტყაოსანში — ღმერთო ღმერთო, გეაჯები, რომელი ფლობ ქვენათ ზესა, შენ დაბადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა (809).

ავთანდილსაც აქვს სიყვარულისაგან დაპირილი გული. თინათინთან საუბარის შემდეგ, იგი შინ ბრუნდება და გოდებს: ღმერთმა აღვასაგით ამზარდა, ლამაზი მოყვანილობა, წაზმოსადევობა მომინიჭა, ამ ჩემი ალიგს — ტანის ზრდისას მომრწყო; იზრუნა ჩემთვის; ხესაგით ლამაზი, ჰაბალი და წერწერი, სლიერი და მტკიცე ვამადა და ახლა კი საწუთრომან ლახვარსა მიმცა, დანას მახია, სიყვარულის ლახვართი, დანიმ დაპირა —

ვინ უფინ ედემს ნაზარდ აღვა მრგო, მომრწყო მახია; დღეს საწუთრომან ლახვარსა მიმცა, დანას მახია (715). და ავთანდილის მძიმე მუწუხარება, ქრილობა გულისა

გამოწვეული არა ერთი ლახვართი — მას ათი ლახვარი დასცემია გულში — უღ-მესი სიყვარული შეგარობილი არის და —
მარკინესული ტრის, იტყვის: „დაღვა კემანი ლახვაჰმან ჩემმამქსან მხმანო (835).

ფატმანის გულიც არის ლახვართი დაპირილი; გარნა ეს მისი ქრილობა ნესტანისადმი დედობრივი სიყვარულით არის წარმოშობილი. ამიტომაც ეუბნება ნესტანს ფატმანის მძინე: რაც შენ დობა არაგოა — ფატმანის გული მას აქით ლახვართა შენახევია (1282).

და „შუღარებელი“ „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთან“ ჩინებულად გადმოგვცემს ნესტანის შეხედულებას სიყვარულის ლახვარის შესახებ — ნეტარ, რა ქმნას უშენომან გულმან შენგან დალახვარულმან (1295).

ტარიელისადმი სიყვარულმა დალახვარა ნესტანი და პირუტყუ: ნესტანისადმი სიყვარულმა დალახვარა ტარიელა და ამიტომ ამბობს იგი — ქაჯეთით მომყავს ჩემი მზე; ჩემთა ლახვართა მსოფელი (1428); ამას გარდა სიყვარულის ქრილობის აღსანიშნავად დანაც კი არის გამოყენებული როდესაც ტარიელი ამბობს —

გული უფროვე დამიჭრა ათათასმან დანამან (358) და კიდევ იმეორებს — ვისი მესვა გულსა დანა (392).

მიმოგვიჩინოს მოშორებება, მემატების წყლული წყლულსა

სიყვარულის ისარი (წამწამი; მახვილი; ლახვარი; დანა) გულს სჭრის და კოვდება; თავის თავად ცხადია, ამით გულს ქრილობა ანუ წყლული უხნდება; და იგი შეიძლება გამართვლდეს მხოლოდ სიყვარულის პასუხით; თუ სატროფო მორტფეს სიყვარულს დაუდასტურებს.

რასაკვირველია ეს „წყლული“ ხშირად არის ნახსენები როგორც აღმოსავლეთის ისე დასავლეთის მწერლობაში და კერძოდ ვისამიანშიც; მაგალითად სიყვარულით რამდენ წყლული გულია აქვს. 9). გვ. 59; „რამდენი წყლული გულსა (გვ. 60); ვისი არის „გულწყლული“ (გვ. 69); და სხვა.

დანტეც ხშირად ლაპარაკობს წყლულის შესახებ. მაგალითად: მას აწუხებს „მოთრჩენელი წყლული სიყვარულისა“; „ქრილობა სისხლმდენი, რომელი ვმაღავნი, ახლა ჩნდება“; „წყლულისაგან კვცდები მე და დიდად აღარ დავიტანებები“ (რომე ჩინს; 7-8; 49-50).

ამორმა დასტურა პეტრი ჩინო დე პისტოიო და იგი დანტეს სწერს — ავახელ თვალს და მისგან უტყბადი ქრილობა ჩემ გულს აკარგვინებს ძალას. 8). გვ. 185.

ევხვისტყაოსანში სიტყვა „წყლული“ ხშირად არის ნახმარი; იგი ვტირენებს გულში სიყვარულის მიერ გამოწვეულ ქრილობას —

ავთანდილს უყვარს თინათინი; იგი არის სიყვარულის
ლახვარით ანუ წამწამებით დაჭრილი —

მას თინათინის შენება ჰკლევდის წამწამთა ჯარისა (40);
ნახის; ცეცხლი გაუახლდის; წყლული გახდის უფრო.
წყლულად (41) და იგი ვარსკვლავსაც კი ეყვარება; მი-
შეგლო — ნუ მაწყლულებ მისთვის წყლულსა (959).

ამგვარივე თხოვნით ავთანდილი თავის ბედსაც მიმარ-
თავს — შენ გაქვს წამალი ჩემისა მიმართებული წყლუ-
ლისა (1205); მაგრამ მიუხედავად ამისა, ავთანდილი
ისე დარწმუნებული არის თავისი სიყვარულით, იმ ზომად
ჯერა სიყვარულის სიმტკიცე თინათინისა, რომ ტარეის
ეუბნება — მეწველი რად მინდა, მკირს არავისგან წყლუ-
ლობა (1473).

უტყვევია: ავთანდილს სიყვარულის ლახვარით გულსა
წყლული ღრმად აწნია; მაგრამ ამაზე იგი ხშირად არ ლა-
პარაკობს; ტარიელი კი, არამც თუ თავის წყლულზე
ლაპარაკობს, არამედ გაუჭვირის კიდისა, ავთანდილი
და ღრმად, ჰქარად განიცდის მას და აღარც მოეღის თა-
ვის გულის წყლულის განკურნებას; რადგან მისი გან-
დაკურნებული ნესტანი უფროსწველიად გადაკარგულია;
ამიტომ ეუბნება ტარიელი ასმათს —

მაგრა არ არის ქვეყანად წამალი ამა წყლულისა (274).

გარნა ასმათს მიიწე რუმის ტარიელის ჰქილობას ე-
შეუბნება და იმედი აქვს ავთანდილის დახმარებისა ნეს-
ტანის მოძებნის საქმეში; ამიტომაც ეუბნება ასმათი ტა-
რიელს — გააყანიო ავთანდილს შენი თავგადასავალი:
ენას მიზეზი შენთა წყლულთა, ქმნას, რა ღონე დაედე-
ბის (301):

ტარიელი ავთანდილს უამბობს: ნესტანის პირველ ნა-
ხეისას დაგნდი ავად გახვდი; მაგრამ ღმერთმა —

მანვე ქმნა და მორევეგობდი გული წყლული გაგარყინეო
და ნესტანიც ამხნევეს მას წერილით —

ნუ დაიწნე, ლომო, წყლულსა (376) და როდესაც ტა-
რიელმა მოწყენილი და დაღრევილი ასმათი ნახა; მას
აღარ შესცინა და ტარიელი შეხებ —

ამან უფრო დამწყლულა; არა წყლულთა მიაქმიდა (519)

და თინათინიც ტარიელის თავგადასავლის ვაგების
შემდეგ, ავთანდილს ეკითხება —

რაა წამალი მისისა წყლულისა განკურნებისა? (701)

ტარიელისათვის წყლულის მოსარჩენად ავთანდილს
შეოილდ ერთი წამალი აქვს: მოთინებნა და ძებნა ნეს-
ტანისა და სწორეთ ამიტომ ურჩევს მას ავთანდილი —
დაუბარუნდიო სოფელს და იქ ეძებო ნესტანი; სოფლის
მოძულეებით და გარეული ცხოველებით წყლულს უფრო
დაიწყლულებო (876); ამას ავთანდილი იმტობს ამბობს,
რომ იცის ტარიელი სიყვარულის საქურეულით არის და-
ჭრილი: ვის განწია ვისგან წყლული (895) და ამიტომ
განმეორებით ასწავლის ჰუვას და ურჩევს კიდევ —
მაგრა შენცა ნუ ავრე ხარ; ნუ იწყლულებ ახლად

წყლულსა (902) და ვეცადით; ვიბროლოთ და ღმერთის
შემწეობით ნესტანს მოენახვითო; რადგან ღმერთი არის
ყოველის მზრუნველი; ყველას დამხმარე და ეგი, შენც
გაგიკურნებს წყლულს და მოგარჩენს; ნესტანი, ქმრევა-
ვინებო. —

ღმერთსაცა ვით არ შეეძლო კვლა განკურნება წყლუ-
ლისა (929).

აქაც ღმერთი არის დასახული სიყვარულზე მზრუნ-
ველად, სიყვარულის წყლულის მომარჩენელად.

რელიგიურ ნიადაგზე წამოქმენილი ეს დებულება გან-
მეორებულია ოდეს დიდებულნი ტარიელს ეუბნებნან —
წყლულსა მისგან დაკოიღისა, მასვე ძალ-ჯც განკურ-
ნება (1454):

ტარიელმაც იცის ეს, რომ ყველაფერი ღმერთის ნე-
დაზრუნვად არის დამოკიდებული, მაგრამ ისიც იცის,
რომ თვითონ კაცმა უნდა იზრუნოს; თვითონ კაცმაც
უნდა იმოქმედოს, იბროლოს თავისი საქმე-მიზნისათვის
და ამიტომ ფრიდონს იგი ნესტანის განთავისუფლები-
ბისათვის განსაკუთრებულ მადლობას მოახსენებს და იმა-
საც ათიარებს; რომ — მე თქვენგან ეპოვე მოკვადემან
ჩემი წამალი წყლულისა (1496).

თინათინი თავისი სიყვარულის წყლულზე არსად ლა-
პარაკობს — მის უყვარს ავთანდილი და დაჯერებული
არის ამ სიყვარულით; იგი ზრდის ამ სიყვარულს; მას
აღვივებს; განამტკიცებს; ხოლო ნესტანის გული ძალიან
ძიმედ დაჭრილია; ღრმად წყლული აქვს და თავის გულს
იგი ასე ახასიათებს — გულისა ერთად წყლულისა და
ასრე დადაგულისად; და როდესაც იგი ტარიელის მო-
ზარევებას ივინებს (1306) — მემბატების წყლული წყლუ-
ლისა-ო. (1306).

*#

ამ წყლულის შესახებ ვეფხისტყაოსანში ზოგადადაც
არის მსჯელობა და ეს იწყება წინასიტყვაობაში —

ვინცა უყვარს, ოად აყენებს მისთვის მკედარასა, მისთვის
წყლულსა (30).

შვილის, ანაბოების, ნათესაის, ძეგობარის მოზო-
რებაც იწყებს წყლულს და ეს წყლული ლახვარით ისა-
რისი, დანთი, წამწამით გამოწყველი კი არ არის, არამედ
არის იგი: ფსიქოლოგიური განცდა: წუხილით, აშუხარე-
ბით, დარღობი, სევდით. ამიტომ უთვლის როსტევენი თა-
ვის ასულს —

მოდი, ქმუნევა გამიქარე, კულსა წყლულსა მეწამლეო
(105) და შეშინებული; შეწყნებული ვაზირი სოვარატ —
გამოძარე და გამომელდა; გულსა წყლულსა მოძიებდა
ნებს (761); და ფატმინიც გუნაგარის მოზორების შემ-
დეგ ამბობს, რადგან დიდ საფრთხეს გადაარჩა — გამი-
მრთელდა გული წყლული... (1119) და ამ წყლულის
ამხავი გამოყენებული არის ბუნების მიმართ; სადაც ვარ-
დი ცოცხალ სულიერ არსებად არის ნაჩვენები — სიტყე

სწევას, ყინვა დახარბოს. წყლულნი ორჯელე სტიკი-
ვიან (1347) და ამის მსგავსადე არის კაცი; რომლის სა-
წყუთრო არ არის მართელი და მუდამე კირსა და ლხინზე
ვით ხელი არის, გვი —
მიწყვი წყლულდემის, საწყუთო მისი აროდეს მრთელია
(1348)

მაშ ასე: ვეფხისტყაოსანში სიტყვით „წყლული“ პირ-
ველად ყოვლისა ჩნდება; ამოხატება ლახვართ, ისარი-
დანი, წამწამით გულის დაჭრა; გულის დაკოდე სიყ-
ვარულის ვამო; სიყვარულის დაბადების შედეგად.

როგუე დგას ახლა საკითხი გამოირკვეს ან დამოუკი-
დებლობა ან გავლენა აქ განხილულ პოეტურ გამოთქ-
მათა შესახებ. შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ დასავლეთი
ევროპის და აღმოსავლეთის და ქართულ მწერლობაში:
მოწონების საკითხი, თვლის სარკის მეხებით ამ მოწო-
ნების გულში ჩაჭრა; თვალმისა და სიყვარულის გამო-
წყვეა ძველი კლასიკური ფილოსოფიის კერძოდ პლა-
ტონის შეხედულებათა გავლენის შედეგი იყოს? ან ქრის-
ტიანული მიწინააღმდეგობა გზით გავრცელდა? — არა მკო-
ნია.

როგორც აღვნიშნე: — მოწონება და სიყვარული ისევე
ბუნებრივია, ვით თვითონ დამიანი; ხოლო ყოველ პოეტს
შეიძლო განმარტებინა იგი ისე, როგორც ეს პლატონმა,
ამ ფილოსოფოს-პოეტმა სამისოდ განმარტა თავისი ფი-
ლოსოფიურ - ფსიქოლოგიური დებულება; ამიტომ, რო-
ცა შუა საუკუნეთა რომელიმე მწერალი ლაპარაკობს
მოწონებაზე და სიყვარულზე, იგი ამით გვაცნობებს მა-
შინდელ უბრალო და სადა წარმოდგენას ფსიქოლოგიისა
და სიყვარულის შესახებ და ამგვარი სადა შეხედულება
ყველა ხალხში არსებობდა

ცალკეა ეროს-ამორის ისარის საკითხი, რომელს პრო-
ვანსელი, ნორმანდელი, გერმანი, ქართველი ან სპარსელი

თუ ინდოელი პოეტები თავის პოეტურ სლარობი იყე-
ნებენ სიყვარულის წარმოშობისა და განვითარების სა-
ჭურველად და რასაც ძველ მითოლოგიაში იხსენიებენ
სათავე; მაგრამ ეს ისარია არ არის არც მართალი და არც
ლო, არც რომაული, არც ინდური, რადგანაც მას ყველგან
ხედავთ ისხვა და სხვა სახით; და იგი ყველა ხალხს და
ყველა მწერლობას უნდა ეკუთვნოდეს.

ხოლო რაც ახილოვის ლახვარს შეეხება, ეს საჭურვე-
ლი მართლაც ევროპას ეკუთვნის ამ სახელით: „ახილე-
ვის ლახვარი“; თორემ საერთოდ: ლახვარი ისართან
ერთად შეიძლება ყველგან ხმარებულყო სიყვარუ-
ლის საკითხთან დაკავშირებით.

წამწამთ რაც შეეხება, რომელი ლახვარის ან ისარის
მნიშვნელობა აქვთ — ეს პოეტური თქმა საერთო განძის
შემადგენელია და განსაკუთრებით ვეფხისტყაოსანში გა-
მოყენებული.

და როგორც უკვე აღვნიშნე: ჩინებული არის ის მოე-
ლენა, რომ სიყვარულის ლახვართ დაწყულდება ღმერ-
თის ნებაზე არის დამოკიდებული. ეს ძალიან აშკარად
არის ნათქვამი ვეფხისტყაოსანში. ეს იოლი განსამარტე-
ბელია — ღმერთი არის ყოვლის მფლობელი; გულის
თქმათა მფლობელიც და იგი ზადებს სიყვარულს; იგივე
აწესებს მის წესებს. აეთანდოლო —

ილიცავს, იტყვის: „მძალო ღმერთო ხმელთა და ცათაო..
მომეც დათობა სურვილთა, მფლობელო გულის თქმათაო!
შენ დაბადე მიჯნურობა. შენ აწესებ მისსა წესსა,
მე სოფელმან მოამაზორეა უეტეთსსა ჩემსა შხესა,
ნუ აღმოაფხვრი სიყვარულსა, მისგან ჩემთვის დანათეს-
სა. (შაირი 809, 810).

აქედან ხედავთ აშკარად, რომ თვით სიყვარულის სა-
თავე ღმერთში იმყოფება, რამეთუ ღმერთი არის სიყვა-
რული! ის არის ვეფხისტყაოსანის სიყვარულის ფილო-
სოფია.

1) Ovide — L'Art d'aimer, suivi de Les Remèdes à l'Amour et Les Produits de Beauté pour le visage de la femme. Textes établis et traduits par Henry Bor-
neque. Paris, 1961.

2) E. Wechsler — Kulturproblem. S. 637, 381.

3) Dante Alighieri — Vita Nova, traduction par
André Pézard. Paris, 1953.

4) Platon's saemtliche Werke. Phaidon Verlag, Wien,
MCMXXV. B. II, S. 427.

5) Prof. Dr. Hermann Siebeck — Geschichte der
Psychologie. Goetha, T. I. S. 209-213.

6) Herbert Kolb — Der Begriff der Minne und Ent-
stehen der hoefflichen Lyrik. Tuebingen, 1958, S. 30-38.

7) Karl Heyl — Die Theorie der Minne in der ael-

testen Minnenromanen Frankreichs. Marburg, 1911. S.
73, 137.

Brockhaus Konversationslexikon.

8) Dante — Oeuvres complètes, trad. et com. par
André Pesard. Paris, 1965. p. 1295. note 17. p. 977,
note 113.

9) ეისრამიანი. ალექსანდრე გვახარაის და მაგალი იო-
ლუს რუდაქითი. თბილისი, 1964 წ.

10) Nizami — Die sieben Geschichten der sieben
Prinzessinen... von Rudolf Gelpke. Zuerich, 1959. S. 58.

11) Nizami — Leila und Madschnun. Der beruehmte
Liebesroman des Morgenlandes, Erstmal aus dem per-
sischen verdeutsch... von Rudolf Gelpke. Zuerich, 1965.
Seite 76.

12) The Book of Thousand Nights and a Night, translated from the arabic by Captain Sir R. F. Burton. London, 1894, vol. III, p. 423.

13) Das Kamasutram, die indische Liebeskunst. Das altindische Liebesbuch, übersetzt und herausgegeben von Clstian Barth, Muenchen, 1965.

14) Naquib al-Mamalek — Liebe und Abenteuer des Amir Arslan, uebersetzt von Rudolf Gelpke. Zuerich, 1965. S. 10.

15) Dante — Die Goetliche Komoedie. Deutsch von Ida und Walter von Wartburg. Zuerich, 1963-4.

16) Remy de Gourmet — Béatrice, Dante, Platon. L'Enseignement secondaire des Jeunes Filles. Paris, 1883. p. 294.

Charles Williams — Religion and Love in Dante. The Theology of romantic Love. Glasgow.

17) Pauly-Wissowa's Realencyclopaedie der classischen Altertumswissenschaften. Stuttgart, 1893. B. I, S. 222-245.

18) Apulei Les Metamorphoses. Paris, 1940, p. 43.

19) Pauly's Real-Encyclopaedie der classischen Altertumswissenschaften, herausgegeben von Georg Wissowa. Stuttgart, 1909. 12-er Halbband. S. S. 485.

20) Die schoensten Liebesgeschichten aus Tausen-

undeine Nacht., uebersetzt von Enno Littmann. Manesse Verlag. Band II.

21). თემურაზ პირველი — თხუთმეტი წელიწადი კრებული. ალ. შარაშიძის და გ. ჯაყამაძის მიხედვით. ტფილისი, 1934 წ.

22). დანტე ალიგვიერი — ლეთაებრივი კომედია. წიგნი პირველი: ჯგჯგბთით.

23) Henri Massé anthologie persane. Paris, 1950.

24) E. Vinnet — Achilles. H. Derenberg et Edm. Saglio — Dictionnaire des Antiquités Greques et Romaines. Paris, 1877. tome I. p. 26-28.

25) Paget Toynby — A Dictionary of proper Names and notable matters in the Works of Dante. Oxford, MDCCCXVIII. p. 412, 421, 463.

26) M. Raynouard — Choix des Poésies originales des Troubadours. Paris, 1818. tome III. p. 43.

27). ნინამი ვანგელი — ხსოროდ და შირინი, თარგმნილი სპარსულიდან ამბაკო ჭელიძის მიერ. თბლ. 1964.

28) Dante u Divine Comedie, traduction... de Alexandre Masseron. Edit. Albin Michel. Paris, 1950.

29) Dante — La Divine Comédie... par H. Longnon. Paris, 1956. Ed. Garnier Frères.

შშ მართანმართნი კვლა ზნახნეთი, კვლა რამე ბაზიზარინით (შირი 882)

მცირე ნაკვეთი ჩემი ხელნაწერიდან — რუსთაველი და დანტე (წაკითხული მოხსენებად პარიზში, 9 მაისს 1965 წ.).

შუა საუკუნეთა ფილოსოფიის, კერძოდ, წმიდა თომას აკინელის სწავლის მიხედვით: როდესაც კაცო ვარდაიცვლება, მისი „სული წერგობრივი“ („მცენარული“, „ანთმა ვეგეტატივა“), „სული გზნობადი“, „გვაიმობრივი“ („ანთმა სენსიტივა“) და „სული ვანებრივი“, ღმრთიერი („ანთმა ინტელექტივა“, „დივინი“, „ანთმა რაციონალის“) ერთმანეთს შორდებიან. პირველი ორი: ნივთიერ-მატიერული მიწაზე რჩება. — იგი უკუვდებულა: ხოლო „სული გონიერი“ ანუ „ინტელექტივა“, გვამთან დამორების შემდეგ, ხდება უფრო ძლიერი. უფრო მაგარი, ვიდრე იგი უწინ იყო; იგი გაძლიერდება თვით-ცნობით. თვითშეგნებით.

და აქ იწყება დავა თეოლოგოსებისა და დანტეს განმარტებულ შორის იმიტომ, რომ დანტეს თქმით: — ვარდაცვალებულის სულს ენიჭება მოჩვენებითი გვამი, თითქო-გვამი, მხოლოდ გამოსახულებადი ტანი — და ეს შეხედულება დანტესი არის პოეტური და ანა წმიდა თომას აკინელის აზრით, რომლის მიმდევარად დანტე ითვლება.

საერთოდ, დანტეს თხუთმეტი წელიწადი (ღმრთებრივი ანუ ლეთაებრივი კომედია-ს) უწოდებდნენ თეოლოგურ ნაწარმოებს. როგორც მაგალითად დანტეს მკვლევარი ალექსანდრე მასერონი. 1). გვერდი 273.

„დივინა კომედია“ თავის თავად, შინაარსითა და მიზანით, არის თეოლოგიური და დანტე, ქრისტიანული თეოლოგიურ საკითხთა ვარკვევისათვის მიმართავს ისეთ ცნობილ პირებს, რომლებიც ამ საკანონი დიდად ვაწითებნილი იყვნენ, ეთი მაგალითად: წმიდა აუგუსტინუსი წმიდა დიონისიოს არეოპაგევი, წმიდა ბერნარდუს, წმიდა ვიკტორ და მისი სკოლა, წმიდა ფრანცისკუს, წმიდა ბონავენტურა და სხვანი მნათობნი შუა საუკუნეთა მსტიციზმის ფილოსოფიისა და თეოლოგიისა. 2). მაგამ, როგორც ამბობს პ. მანდინე: დანტეს მთავარი ოსტატი იყო დიდი ფილოსოფოს-თეოლოგოსი წმიდა თომას აკინელი, რომლის სწავლა გამოსკვევის მივლ „დივინა კომედია“-ში: მისი სწავლის შედეგია დანტეს მთავარი ნაწარმოები და განსაკუთრებით „პარადისო“-ს მესამე ქება. მაგამ ეს იმას არ ნიშნავს — ამბობს ა. მასერონ — რომ დანტე თავის მასწავლებელს ყოველთვის ერთგულად მისდევს. — ეს განსაკუთრებით ეხება სამოთხეში



მყოფ სულთა გვამს; მაგრამ, როგორც ეს საბუთიანად უთქვამს დანტეს დიდ მკვლევარ, თეოლოგის გ. ბუსნელის — დანტეს სჭირდება ხოლმე ატიტსტული თქვისათვის ზოგი რამ, რაც თომას აკენიელს აცილებსო. 1). გვერდ 288. და ბოლის მართალია ი. გ. ბუსნელი, როდესაც ამბობს — დანტეს აზროვნების თავისებურება თეოლოგიურ დარგში არ არის, არამედ ხელოვნებაში და პოეზიაში. 1). გვერდ 288.

ჩენი დროის მკვლევარს, პროფ. ვალტერ ფონ ვარტბურგს შემოიპოვებოდა დებულება გაუმართლებლად მიიჩნია და ამბობს — წმიდა თომას აკენიელს აქვს ისეთი დებულებები, რომლის მიხედვით დანტეს შეიძლო თავისი დასკვნა გამოიტანა: სიცილიის შემდგ სული არჩილ ტანს, მოგონებებით გვამს ლეულისგან. 3). გვ. 698.

დანტეს არ-ცნობა არის, მას მიეწეროს — ამბობს იგი — თითქო მან თავისებურად მოიგონა, მოჭორა ეს დებულება თავისი ლექსის ესთეტიკური მოთხოვნილებისათვისო. (იხევე. 3). გვერდ 698).

პოფ. აცანამ ამავე საკითხის გამო გვეუბნება 4). -- სიცილიისას სული ხორცს შორდება; ხორცი იხრწნება და ისპობა. სული ცოცხალი რჩება, ვეი იგი: მას აქვს შენაჩრევებული ღმრთებობა და კაცებრი უნარი, ანუ: გონება, მახსოვრობა, ნებისყოფა, რაც უფრო მკმედი ხდება. ეს ყველაფერი არის ღმრთებრი უნარი კაცისა, ხოლო კაცის უნარი, კაცებრი აის ყველაფერი, რაც კი მოთავსდება ცნებაში „გაძნობადობა“, რაც ჯერ მიძინებულია. ამ სულის ღირსება თუ უღირსობა, ძალა, რომელს იგი მიჰყავს, გადასწყვეტს: თუ სად მოხდება ეს სული, რომელი საღვურზე? იქ, სადაც მოელის სასჯელით ზღვევა, თუ იქ, სადაც მოელის სიციეთისთვის ჯილდო? რადგან ნოტიო ატმოსფერო ღებულობს ფერს, ფერადობს სხივებით, რომელიც უკუ იფიქნება, აგრეთვე პატივ ღებულობს ახალ ფიგურას, რომელიც მასში იბეჭდება. აქედან წარმოდგება სუბტიქი, ნაზი, თხელი გვამი, რომელიც თვითონვე გრძნობას აქვს თავისი ზრგანო თითოეულ აზრს — თავისი ვარგებანი გამოხატავს; სადაც სული აღიდგენს თავისი ცხოველური სიცოცხლის დანიშნულებებს და აცხადებს თავის არსობას სიტყვით, სიცილით, თუ ტირილით. 4). გვ. 175. ანუ როგორც დანტე „პურგატორიი“—„სალხინიბელ“—ში სტაციუსს ათქვინებს 5) 97 108. —

მგავსად ცეცხლისა მუდამ ემს რომ თანა სდევს ალსა, ასევე სულსაც თან დაყვება ახალი ფორმა და აღნაგობა მიღებული ხელახალ წმინსას; ახალ ფორმაში ვაბაწყინდება იგი ხელახლა და ამიტომაც შეერქმევა ამ სულს აჩრდილი, აღიჭურვება ყოველგვარი შერგნობის ნიჭით. ამ გზით ვებტყველებთ, ჩვენ კიდევაც ვერძობთ და ვიცინით,

ვიოხებთ სევდას, ცრემლებს ვანთხებთ და ვიბრახებ კიდეც.

რაც არა ერთხელ ამ მთაზედაც გასმენია ჩვენი სული და ასეთ ფორმას ღებულობს აქ ჩვენი სული, როგორც ენებებს და მღელვარებას განიცდის სული... (თარგმანი აკად. კონსტანტინე გამახაშურდიასი. 6).

ამას უწოდებდნენ ძველად მკვლევარ აჩრდილს და მათი, ძველთა რწმენის მიხედვით: ამ აჩრდილებით იყო დასახლებული მკვდართა სამეფო. ასეთივე შეხედულებისა იყვნენ ახალი თეოსოფოსებიც, რომელთაც ვერ წარმოედგინათ ციფრვა-წამება და სიხარულ-სიამოვნება გვაპოპრივი ჩარჩოს ვარგეშე. 4). გვ. 175.

დანტეს „პურგატორიი“ — „სალხინიბელ“—შიც ასევე არის. იქ არიან სულნი, რომელთაც აქეთ სუბტიქი, ნაზოთხელი გვამი. რათა მათ საწუალდება ჰქონდეთ მისივლი წამება მოიხადონ და ცოდვანი მოინანაონ.

სამოთხეში მყოფ სულთ აქეთ პაეროვანი გვამი — აქეთ მათ გრძნობადობა, მახსოვრობა, აზროვნობა, — ისინი აჩიან შემოსილნი ნათელით. მათ აქეთ მოკონება, მახსოვრობა მიწიერი ცხოვრებისა და განსაკუთრებით წმიდა სიყვარულისა; არაფერი არ არის ამოწოლილი და წაზოცილი სულთა მახსოვრობიდან. რადგან სულნი ცოცხალნი არიან. ისინი, დანტეს აზრით, ადამიანთა შუამავალნი ვა მოიქცევიან არიან ყოვლად შემძლე უფლისი წინაშე და არიან ამავე დროს აგრეთვე მისი წარმომადგენლებიც და სხვა. ასე ახასიათებს დანტეს წარმოდგენისას სულთა შესახებ ცნობილი მკვლევარი დანტესი. პროფ. ოცანამ 4). გვერდ 236, 260.

შევიდროთ დანტეს ეს შეხედულება ტარიელის პირით რუსთაველის ნათქვამს. რაც საიქიოს ამბავს სწულიად გარკვევით გვაქნობს.

ტარიელის ჩინებული თქმა საიქიოზე გვაგრიე ჩემ წიგნში „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველები“ (პარიზი, 1963 წ. გვერდ 410). ტარიელი აეთანხმოს ეუბნება: — ნესტანი აქ დამეკარგა, მაგრამ მე მას საიქიოში შეტყუდები, იქ ვნახავო —

აქა ვაყრილი მიჯნურნი მუნამაც შევიყარენით მუნ ერთმანერთი კვლა ვნახენთ, კვლა რამე ვავიანენით. საყვარელმან საყვარელი ვით ან ნახოს, ვით ვაყრიოს! მისეკ მივალ მხიარული, მერე მენაც ჩემ კერძ იროს, მივეგებვი, მომეცემოს, ატარდეს და ამატროს (882-3).

ამგვარად დახატული ცოცხალი, გამოინებელი სუბათით ჩანს — ვამბობს — თითქო ტარიელი თავისი თავი ცოცხალ ადამიანად წარმოდგენია საიქიოში თავისი გვაპოპრივი და მისი ვანცდებით...

რუსთაველი მერე აქ დახატული საიქიო ცხოვრება სულსა არაფრით იერ განსხვავდება დანტეს წარმოდგენი-

საგან საიქიოში სულთა არჩილ გვამთა და გრძნობათა შესახებ.

დანტეს „სალხინობელ“ „პურგატორიო“-ში სტაციული დაწერილებით განგვიმარტავს საიქიოში სულის ჩაჩოხ, მისი ფარის, დორმის შექმნის საკითხს: სულს ეძლევა ახალი ფორმა და მას აქვს ყოველი გვაძრეველნი ნიქი: სევდა, ცრემლი, ოხერა, ენებანი და მღელვარებანი.

ტარიელი ამევე საკითხს განგვიმარტავს არა დაწერილებით, ვარნა შეკუმშულად ოღონდ ვასაგებად და გვეუბნება, რომ სული საიქიოში არსებობს როგორც ცოცხალი არსება რაღაც გვემობრავად: ნესტანი და ტარიელი იქ ერთმანეთს შეხვდებიან, გაიხარებენ, იტრობენ...

როგორი საოცარი მსგავსებაა! — იფიქრებს კაცი. ვასაოცრად მოჩვენება მხოლოდ ზერეულ აზის, რადგან ქრისტიანული თეოლოგიური ფილოსოფიის მიხედვით, საერთოდ, როგორც ეს უკვე აღენიშნე? 7). გვერდი 441: — გაადაცალღებულის სული თავის სახეს, თავის პიროვნებას — პერსონალობას ინარჩუნებს; ანუ როგორც იტყუდა საიქიოს საკითხის გამარკვეველი ფრანსუა ვრეგუარ, 8). გვ. 55. — სულს აქვს ცოდნანი ზნეობრივი, გონებრივი („ინტელექტუალური“), მეცნიერულნი და ყველაფერი, რაც მას დედამიწაზე შექმნილი ჰქონდა, ოღონდ გადაიღებულ, ამაღლებული, გაბრწყინებული. ეს საეზოთოდ, ხოლო ქრისტიანულ-მათიზმადიდებლური სწავლა, ანუ როგორც ამბობს წმიდა კობაჩე: ჩვენ იქ მივგვლის ჯარი ჩვენთა საყვარელთა; გვიციდნან იმ მრავლებანი მშობელთა, ძმათა, შეიღობთ... მათი ნახვა, მათი შემოხვევა, ოჰ, რა სიხარულია მათთვის და ჩვენთვის! 7). გვერდი 402. ანუ კიდევ —

სული უკვდავება იმაში მდგომარეობს, რომ ხორცთავან სულის გაცლებობს. გაყრის შემდეგ სული საიქიოში განაგრძობს არსებობას ვით არსებობს პიროვნული თვითშეგნებით, გონიერულ-ზნეობრივი, რომელს ახსოვს თავისი წარსული სტოგონა. სულის უკვდავება არის საბაძამო ცხოვრების საბაძამოში გაგრძელება; მაგრამ სხვა სახით და სხვა პირობებში, თავისი თვითშეგნების დაუკარგავად და თავისი პიროვნების მოუსპობელად. ადა-

1) Alexandre Masseron — *Pour quelques La Divine Comédie*. Paris, 1939.

— 2) Edmund G. Gardner — *Dante and the Mystics*. London, 1913.

3) Dante Alighieri — *Die Goetliche Koemede*, ins Deutsche uebertragen von Ida und Walter von Wartburg. Zuerich, 1963. S. 628.

4) A. F. Azanam — *Dante et Philosophie catholique au treizieme siecle*. Paris, 1859.

მანის პიროვნული არის განუწყვეტელა და ერთიგვენება, — აი, ეს არის უკვდავება — ქრისტიანული თვალსაზრისით. (იქვე 7). გვერდი 493).

ამ მცირე მიმოხილვით იოლად ვასაგებდა ქრისტიანული აზროვნებისა და რწმენისა, რაც რუსთაველსა და დანტეს ამ შემთხვევაში ახასიათებს — ორივე არის ქრისტიანი.

აპრილი, 1965 წ. პარიზი.

ა რადიზაზებ და რუსთაველისა და დანტეს ამ შეხედულებას **საიქიოს** შესახებ სპარსელი დიდი პოეტის, ნინაზი განჯელის შეხედულებას შევადარებ: —

თავის პოემაში «ხოსროვ და შირინი» (დაწერილი არის 1181 წელს), ნინაზი ხოსროვსა და ზოზოვკომდა ალაპარაკებს. ხოსროვი ბაძენს ეკითხება: სიყოცხლზე მოგონების შესახებ სიკვდილის შემდეგ — კვლავ ჰკითხა: «შემდეგ ჩვენი ყოფის და სიყოცხლისა, თუ მოვივანებ ამბავს ამა წლისოფლისა?» პასუხს მისცა ბრძნული და სასახლო: «პოი, სინათლე ჩირაღისა და სასახლო: შენ ის სიხვი ხარ, რომელსაც წინ მიწის ამბავზე გქონდა სამყოფი, სამფლებო ამ ზეცის ბანზე, რომ შეგვიკითხონ, თუ რა იყო იქ შესამწვევი, მისას ვერაფერს მოვიკონებ და დაიბნევი, რომ დასრულებ ამ მწარე დღეს ქვეყნად ყოფინასა, ენოში, რომ ვერას მოვიკონებ აგრეთვე მისას. ვინც წარსულს დღეზე ოდნავაც ხმას არ ამოიღებს, იგი ადვილად ამ დაშვასკი დაიფიწყებს». 9). გვ. 282.

მაშასადამე, ნინაზის გარდაცვალებული საიქიოში ვერაფერს მოვიკონებს და თუ საბაძამო ცხოვრებაზე მას შეეკითხნენ, არამც თუ ვერ მოვიკონებს, დაიბნევა კიდევ თავისი უმასხოვრობის გამო. აქ დასმულია სიყოცხლზე წერტილი, რადგან სიკვდილით კაცის სიყოცხლზე კვდება, მაშინ როცა რუსთაველისა და დანტეს დადამინი სიყოცხლზე საიქიოში განაგრძობს, რასაკვირველია, განასხვავებულად, გარდაქმნილი სახით, — ბაძამო სიყოცხლის გაგრძელება იქაური სიყოცხლზე არის...

5) Dante — *La Divine Comédie*, traduction... par H. Longnon. Paris, 1956.

6). დანტე ალიგვიერი — ლეტაებრივი კომედია. წიგნა მეორე: სალხინებელი. კონსტანტინე გამსახურდიას მიერ თარგმნილი. ტფილისი, 1938.

7). ვ. ნოზაძე — ეტის ღმრთისმეტყველება. პარიზი, 1963.

8) François Grégoire — *L'An-Dela*. Paris, 1957. p. 55.

9). ნინაზი განჯელი — ხოსროვ და შირინი. თარგმნილი სპარსულად ამბაკო კელიძის მიერ. თბილისი, 1964 წ.

ჩემ წიგნში „ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება“ საგანგებო ნაკვეთი ვარდ-ყვავილთა საკითხს მივუძღვინე (კარი მეთოხე, გვ. 136-153). იქ მქონდა ამ დარგნი უცხოეთის მწერლობის (სპარსულ, არაბულ, ევროპლის) შედარებანი მოტანილნი; შენდგომი მუშაობისას არა ერთ ხელ შემხვდა იგივე საკითხი, კერძოდ ვარდ-ყვავილთა საკითხი სპარსულ, არაბულ, ესპანურ-არაბულ, ანდალუსურ პოეზიაში და დამეჩანა მისი უყურადღებოდ დავგდებ. ამოვწერე სათანადო ადგილები, რითაც მსურს შევავსო ჩემი „ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება“.

არაბთა დიდი მგოსანი **ალ - მუტამიდი** (გარდაიცვალა 1095 წ.) თავისი სატროფის ლაწივებს ვარდს ადარებს — ვარდნი ღვანთა შენთა და ვაშლნი მერდისა შენისა. 1). გვერდი 112.

აგრეთვე მგოსანი **ინ - შარად დე ბერხია** — ვარდნი შენთა ლაწივთა (იქვე, გვ. 121).
აბუ - ტემან - შაბიბ, წოდებული არაბ მგოსანთა თავადლ (დაიბადა 792 4.) ერთ თავის ლექსში ამბობს — ლუბუქი ღინღლი შენი ნაკაისა ვერ ფარავს პირისა შენისა ვარდებს. 2). გვერდი 93.

პოეტური ყველა თემას შორის — ამბობს მკვლევარა, პროფ. ჰ. პერეს — მუსლიმანური ესპანეთის პოეტთა შემოქმედებაში. წალკოტია, ანუ ბაღთა აღწერა იქნება ყველაზე უფრო ჩვეულებრივი და გავრცელებული არის და განსაკუთრებული ადგილი აქ ყვავილებს უკავიათ. 3). მეთერთმეტე საუკუნის არაბული ესპანეთის პოეტები ყვავილებით აღტაცებული იყვნენ. აქ მხოლოდ ორიოდ მაგალითს მოვიტან —

აბუ - ლ - ინ - ალამ —
შეხედეთ ყვავილთ რომ გამოსულან წალკოტის ცაში,
უხვად წვიმით მორწყულნი...

აბუ ამირ ინ მასალამა —
მინდორბა, რომლის ზედაპირი მოჭარვა დრომ წარმტავი ქსოვილით და თეთრით, შეწოვა გაჩერაჟის წინ, ნერწყვი ნისლისა; ასევე შეყვარებული შესეავს საყვარელის ტრჩეხიდან.

აბუ - ლ - ალ - ბალიმი —
თვალთა მოსასვენებელად შეხედე წალკოტს, რომელს ნიაგი შეუსვენებლივ უტარავს და წვიმას ასხურებს... ფერნი მისნი ნაირ-ნაირნი არიან და სურნელება — ჩინებული

აბუ აბდ ალლამ ინ ხიმაკ —
წალკოტმა გამწვანა ბორცვები და მოირთო მაცქერალთათვის თავისი შეწვიერი ფერებით...

აბუ აიაზბ ინ ბატტალ ალ - მუტტალამის —
მიწა ამაყად ეჩვენება ჩვენ მზერას მისი ბრწყინვალე სამოსელით... ყვავილნი ისეთ თავყანებას იწყვიენ მწერთა შორის. რომ ისინი აღტაცებით ბზუიან...

აბუ - ლ - შახან ინ ალ - ჯაზირი —

რამდენჯერ დილით მე შევესულარი ბაღში; შტრი მიგონებენ შეყვარებულთა ყოფას... ვარდნი, *يا فرات* ფაწენი; გვირილიანი — მომიმარნი ბაკენი; ხილნი: *يا ناز* — თვალთა ადგლის იქერენ...

აბუ მარვან ინ რაზინ —
ოდეს ნიაგი ხელს ახებს მას (წალკოტს) წარმოიდგენ, რომ მისნი შტრი არიან მროკენი ქალნი, რომელნიც ქანიათ ხაზონიანი ნაქსოვის მწვანე სამოსელნი...

ინ შაფაჯა —
ბაღს მქონდა პირი მმარწყინვალე სითეთისა, ჩრიდლს — თმა შვიი და წყაროს — პირი ღამაზი კილიებით... ამ პოეტს ერვაჲ მოუყვარული წალკოტია“.

რასაკვირველია, ყვავილთა წალკოტი ფრიად მოწონებული იყო ანდალუსის მცხოვრებთა ყველა წრისთვის და პოეტებაც ამ ყვავილთ უგალობდნენ... ბაღისა და ყვავილთა აღწერით იწყება ხოტბის ლექსი, სამკვლევარო ლექსი და რა თქმა უნდა, სიყვარულისა და ლხინის ლექსი. ამასთანავე ამ პოეტებს უყვართ აგრეთვე ხეების აღწერაც (იქვე, გვ. 161-201), და ხეების ადამიანის ტანის შედარება, როგორც ამას ვეფხისტყაოსანშიც ვეცნობით.

არაბული ესპანეთის, ზოგადად, ანდალუსის მწერლობაში — ამბობს არჩი პერეს — დედაკაცსა და სიყვარულის ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, კერძოდ, ბუნების აღწერაში დედაკაცი განუყრელად გადაკავშირებულია ყველაფერ იმისთან, რასაც წამოადგენს წალკოტთა ანუ ბაღთა შეხიერება და წყალთა მდინარება; ყვავილი, ან თვალთა შატოსანი თითქმის აღუცილებლობით იწყვეს პოეტური შედარებას ბავესთან, ლაწივთან, თვალთან, საყვარელის შემკობილებასთან; თვით ფერნი განსაკუთრებით წითელი და ყვითელი, დაყინებით მოგვაგონებენ შეყვარებულისა და საყვარელის განცდებს; ყვითელი წამომოსახავს ვაფთობებულ, ფერდაკარგულ შეყვარებულთა, რომელიც დნებთან ეჭვითა და უძილობით: წითელი — კეცულეც ქალწული, რომელს მისწონს შეყვარებულის წამება; ყვითელი არის — მოუსვენრობა, შეწყუბება; წითელი — კდებმა, უმანკობა მორცხვობა.

ამნაირადვე არის ვეფხისტყაოსანშიც.

ბიზანტიაშიც იყო ვარდის თაყვანება — ერთ ერთი მიგებებისას ბიზანტიის იმპერატორს ვარდთავან და სუნუნლოვან გაეტებულ ჯვარს მიართმევდნენ ხოლმე, ვარდნი სიმბოლიურად ნიშნავდნენ — იგი მოზემიე, იგი გამარჯვებული. საეკლესიო სტლის დროს ტაბაჯზე იყო აღმართული ჯვარი ქეშმარტლი, გაარზემო ყვავილებით, რომელთა შორის ვარდი ჭარბობდა ხოლმე. ყოვლად წმიდთა დღობაზე ბიზანტიის იმპერატორს მიუძღვნიდნენ ხოლმე ვარდთა თაიგულს და სუნუნელებთ. 4). გვ. 130



ცალკე აღნაინშნავია, რომ აღმოსავლეთში (საპსულ - არაბულ) მწერლობაში ყვეალი „ნარგიზი“ უფრო მოწონთ და უჩვენებიათ. ვიდრე ვარდი და პირიქით: არაბულ ესპანეთში, მასასადამე, დასავლეთში: ვარდს აქვს უპირატესობა ნარგიზის წინააღმდეგ. ვეფხისტყაოსანშიც ასეა, როგორც არაბულ ესპანეთში — საქართველოში და ანდალუსისაში პირველ ადგილზე ვარდი ყვეილოსნობს. ნარგისთან თვალთა შედარება სპარსულ (ირანულ) პოეზიაში ჩვეულებრივი არის, მაგალითად —

უატრან (მე-11 საუკუნე) თავის ლექსში «წალკოტი» ამბობს —

მაგრამ ნარგიზი, რომელიც არის თვალს შენი, მეჩვენება მე მთელ წელიწადს... 5). გვ. 48.

კბილნი — ვითა მარბაღლიტნი, ბაბამ — მარღი ნაბობარნი (შაირი 901)

გასაკვირი იქნებოდა, ირანულ (სპარსულ) მწერლობაში „მარგალიტი“ პოეტურად გამოყენებული არ ყოფილიყო!

უატრან (მე-11 საუკ.) თავის ლექსში «წალკოტი» ამბობს: —

ღრუბელი, რომელი მარგალიტებს აფრქვევს, კვლავ იტენება ოყენათი; ყვეიღნარებმა და მწვანეულობამ მიიღო ტვირთი დაფუძველ და დღანტულ მარგალიტთა; რამეთუ ქვეყანა, ყოველ ჯერ გავრილებულია ამ წვიმით. ღრუბელი ყოველთვის აქვევს დედამიწაზე მარგალიტებს თავისი თვალდინ... 5). გვ. 46.

მო-უზხი (მე-11 საუკ.) წვიმის მარგალიტს ადარებს — წვიმის წვეთნი ზღეზიან მარგალიტებად, ოდეს ისინი ცვივიან მტყერში. 5). გვ. 53.

ამ-აუ (მე-11 საუკ.) — აფრქვევს წვიმის მარგალიტთ. იგი (ასული იწვევს) და ჰკაზმავს ყოველ ღამე ჩემ წამწამთა ბოლის მარგალიტებით (კრემლებითთ). 5). გვ. 55.

ადბი — ე კაბირ (დაარჩევს მდინარე ოსუსში 1147 წ.) — თვალნი ჩენნი აფრქვევენ კრემლთ, მარგალიტთა მსგავსთ (გვ. 56). — ჰაერი უტრთდება მის (ასულს) და აფრქვევს მარგალიტებსო (კრემლებს). 5) გვ. 56.

ომარ ბაიამ (1040 — 1123): რობი 233 — ის ყოფნის ზღვაში არის საიდუმლო სიშორით, ევარიც ის მარგალიტი ვერ გახეზიტა სისწორით; ბევირ გულისტკივილით გეტყვის, თუ ის რა არის, ნამწვილიად კი რაც არის, ეს არაინ არ იცის... 6). გვ. 44.

ანვარი (მე-12 საუკ.) თავის სიყვარულის კავშანში ამბობს — მან (სატრფომ) იბრუნა პირი და თვალმა ჩემმა დაპვნატა მარგალიტნი მის ფხეთა ქვეშ და გავლისას მან დათრუნა იგი მარგალიტნი... 5). გვ. 62.

ამ-აუ (მე-11 საუკ.) სულთან სანჯარის გარდაცვალებულ ასულს ნარგიზს ადაუბებს, რომელსაც მხოლოდ წყალი და დაქნა. 5). გვ. 54.

სანაი (გარდაიცვალა 1131 და 1181 წელთა შორის) — ნარგიზის თვალთა მსგავსნი თვალნი შენი (იქ. გვ. 93)

პაფიზ (მე-14 საუკ.) — მისი თვალნი მსგავსნი ნარგისისა არაბულ პოეზიაშიც თვალნი არიან ნარგისნი, მაგალითად — არაბი მგოსანი **იბნ ამმარ** (გარდაიცვალა 1086 წ.) საყვარელს თვალებს ნარგისს ადარებს — იყო იგი პატარა ქურციკი, რომელი ნარგისებით იცქირება. 1). გვ. 8მ. ნარგისთან თვალის შედარება ვეფხისტყაოსანშიც მიღებულია და სიტყვა ნარგისი ამ მიზნით რვაჯერ იხმარება.

სანაი (მე-12 საუკ.) — კეთათვის, ჩვენ ვართ ვითაც კლრუბელი, რათა მოეფანტოთ მათზე წვიმის მარგალიტები (იქვე, გვ. 92).

აბდალაზ ამარი (1006 — 1088) — მარგალიტთა მსგავსნი კბილნი ჩენნი ჩაცვიდნენ საფლავს... 5). გვ. 13მ. მათე საუკუნის არაბი მგოსანი **ალ - მუტანაბი** საგმირო სამქმთ და ლექსს მარგალიტს ადარებს — საგმირო სამქმნი შენნი იყვენ მარგალიტნი, რომელნი მგოსანმა თავის ლექსებში ჩაქსოვა. 1). გვ. 58.

იბნ ხალდუნი მოგვითხრობს — სევილიელი არაბი პოეტი, ბრამა, **ამა - ო ტოტლი** (მე-11 საუკ.) შეეგბრში პალმით დააჯილდოვს; იგი იყო სიყვარულის მგოსანი და თავის სატრფოზე სწერდა — ოდეს იცინის იგი, ჩნდებიან მარგალიტნი; მსოფლიო მკირა მოათავსოს იგი — ოღანდ მინც იგი (სატრფო) ჩემ გულშია... 7). გვ. 211. წინარისლაშური არაბი პოეტი (გარდაიცვალა 560 წ.) **იმრულ კაის იბნ ჰაზრ** თავისი სატრფოს შესახებ მღერის — და იგი არის ვით მარგალიტი ქალწულური, თეთრი, ნახად ყვითელ-იერიანი, რომელს ჰკვებავდა უწმიდესი წყალი ზღვის ფსკერისა... 1). გვ. 33.

ოდეს პლვიადანი ამოპრწყინდებიან ცახე, ვითარცა ძვირფასნი ქვანი სამკაულ მარგალიტთა შორის, ჩასმლენი რომ არიან მოოკვილ სარტყელნი, რომელს უწოდებენ ვიშპა... 1). გვ. 32.

ვეფხისტყაოსანში სიტყვით „მარგალიტი“ აღინიშნებიან: კბილნი, კრემლნი, სიტყვანი, და აგრეთვე: ცხაღია, თვალნი პატოსანნი. საერთოდ ვეფხისტყაოსანში სიტყვა „მარგალიტი“ ორმოცდაერთჯერ არის ხმარებული.

ეს დამატებითი კნინი მიმოხილვა ჩაემატება ჩემ წიგნს „ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება“, გვ. 122-135.



ჩემ ნარკვევში აღმასის შესახებ („ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება“, გვერდი 101-104) წარმოვადინე შემდეგი დებულება — ჭეა მაგარი აქ არის „ალმასი“. რომელი ტყეით ტეხავდნენ-მეთქი. ეს დებულება ჩემ აღმოჩენად მიიღეს და თბილისში ასე გაასაღეს. ამგვარი დაფასება ვადაჭარბებული იყო, რადან არსებობდა ეს ნათქვამი ჰქონდა ვახტანგ მეფეს და წემდეგ გამოეროებულ იყო იყო თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ; ხოლო მე დასაბუთებმა მერგო წილად და ეს შეეპარულე მაშინ ჩემ ხელთ არსებულ საბუთთა მიხედვით.

ვინაიდან ვეფხისტყაოსანზე მუშაობა არ შემიჩერებია.. ამიტომ ყველა საკითხს გზა და გზა განმეორებით ვცნობოდი ხოლმე და აღმასის თაობაზე, საბუნდევროდ ერთი ზედმეტი კარგი საბუთი მოვიპოვე.

„ისლამის ენციკლოპედია“ - ში (ლაიდენ-ლაიპციკი, 1913 წ.) სიტყვისა „ალმასი“ შესახებ ნათქვამია — ფსევდო-არისტოტელესური „კიტბ ალ - ახჯა“- ის მიხედვით, — ნათესავერ ბერძნულ ცნობათა საფუძველზე, რომელი არსებობდა პლინიუსის, მოხსენებას ეთანხმებთან, — აღმასი („დიამანტი“) სტეხს, ამხსურეგს ყველა ნივთს, გარდა ტყეისა, რომელიც; ეს უქანასწველი, (ანუ ტყეა) სტეხს, ამხსურეგს პირველს, (ანუ აღმასს). 8). 337-ლი 329.

საერთოდ აღმასს, ვით სამკაულს, ძველად ხმარობდნენ მამაკაცები, — აღმასის მირთმევა დედაკაცისათვის უზრუნველობა იქნებოდა. მაგრამ ეს ჩვეულება სწავიკვალა მეთუთხმეტე საუკუნეში, პირველად ზარლ მეშვიდეს, საფრანგეთის მეფის (1422 — 1461 წ.წ.) მისახლეში. აფენის სორელიის ასულმა იმ მიზნით, არა მდეგ მოეხიბლა, გააკეთებინა აღმასთაგან აკინძული ყელსაბამი. სასახლეში ნადიმბა მყოფმა დედაკაცებმა მას ზურჯი შეჭაქეს, მაგრამ მდეგ მსორელიის ასულის სამკაულს ყურადღება მიჰქალო, თავისთან მიიწულა და მასთან იტყუა. სორელიის ასულმა გაიმარჯვა და მასთან ერთად აღმასმაც — იგი შემდეგ გახდა დედაკაცის საუკეთესო სამკაულად.

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ვეფხისტყაოსანში აღმასი არ იხმარება სამკაულად. აქ იგი არის მაგრობის, გაუტეტხელობის, მტკიცობის და ამას გარდა საჭურველის გაღვსულობის, მკვეთელობის, მჭკრლობის სიმბოლო და თვით სიტყვა აქ გამოყენებულია მხოლოდ ზეთუჯარ.



აღმასის გამო ბევრი შესანიშნავი თქმულება მოითხრობა და განსაკუთრებით ჩინებულია არაბულ-სპარსული ზღარების ერთი ამბავი: —

რომელიდაც ხეობაში შემთხვევით აღმასი აღმოაჩინეს

მაგრამ ეს ხეობა სრულიად მიუღვამებლად ხსენდება. აქ იყო ქვეწარმავალით, დიდი და შხამიანი გველებით. მაგრამ იქ ჩაფრინდებოდნენ ხოლმე არწივი და სხვა მტაკუბელნი ფრინველნი გველების დასაქუად, ამოსატანად და შესაქმელად. რა მოიგონა კაცმა? მონადირეებმა როდესაც ასეთ შემთხვევას მივეკვლიეს, მივადნენ იმ ღრმა ხეობის ნაპირზე, დაპყლეს ბევრი ცხვარი და ნაქურ-ნაქურად ხორცი ვადაჭარბეს ხეობაში. აღმასი ამ ხორცის დავარდნისას ხორცი ერკობოდა და როდესაც არწივი მას ამოიტანდა და შეეპამა, აღმასი მიწაზე ჩეკებოდა; მონადირეინ უთვალოდებდნენ ფრწველებს; მიდილიდნენ მერმე მათ ნასუფრალზე და აღმასებს აგროვებდნენ...



ალექსანდრე მაკედონელმა — მოგვიტობოს ძველი თქმულება — მიაღწია ისეთ უკაცურ, ქვინა ზეგს აზიამა, სადაც მის ლაშქარს მთა უნდა გადაეკლეს. გზა იყო ისეთი ქვინი, რომ ალექსანდრე მაკედონელმა ბძძანა: ცხენის ფლოქებზე ჩავაი და ტკავი შემოეხვიათ და აგრეთვე ისეთ ლაშქარს ებძძანა გზა ქვათაგან გაეჭინდა; ამ საქმიანობისას იპოვნეს ისეთი ქვა, რომლის გატეხა ფოლადითაც კი შეუძლებელი იყო; ალექსანდრე ასეთი ქვის უპირატესობას მიხვდა და მას დააქვა „ალმას“. ლაშქარმა აღმოაჩინა აღმასის ადგილი ხევი, რაც გველეებით იყო საუცე; ზეგემ ბძძანა: ათასი ცხვარი დაჰკალით და ხორცის ნაჭრები ხევი იპროლეოთ; არწივი, ძირა ჩაეშენენ ხაამში ხორციისათვის; ხორცს შეჭუბობლი ჰქონდა აღმასები და ისიც მათ ამოიტანეს; ფრინველები დაფრთხეს და აღმასი ადამიანს დარჩა... 9).

ამგვარ ვაგნოკემას კვიპროსელი ეპისკოპოსიც მოგვიტობოდა, მაგრამ იქ ეს ამბავი იაგულდს ეხება და არა აღმასს. 10). გვ. 14.

პირველი, რომელმა აღმასი გამოიღო მაღაროდან, იყო ისკანდერი (ალექსანდრე მაკედონელი), როდესაც მან აღმოსავლეთში იარა. იგი ერთჯერ შეჭრა და აინ შემეში (წყარო მხისა), სადაც იყო ბევრი გველი და მორიეული. მათ შორის იყო ვეებერთელა გველი, რომლის დანახვამ ალექსანდრეს ლაშქარს თანხარი დასცა. ალექსანდრემ ვაეკეთებინა ფარის მგავის საჩუქე, წამოაგო იგი ლახვარზე და ეაუსწორა იგი ამ გველის პირს, რომელმაც თავიანი თავი იმ საჩუქეში დაინახა და შიშით მანიანთვე მოკვდა. მე-მე მოიპოვეს, ცხალი, ბევრი აღმასი. 11). წი. გნი პირველი, გვერდი 79. აღმასის აღმოჩენა ერთ ერთ ხეობაში ალექსანდრე მაკედონელის მიერ მოთხრობილია აქეს ცნობილ გეოგრაფის ალ-ყაზვინის. 12). გვ. 74.



ერთი ულამაზესი ალმასის თავგადასავალი (და ყველა დიდ ალმასს თავისი ცხოვრების ისტორია აქვს) საქართველო არის დასახელებული და მხოლოდ ამიტომ ამ ამბავს აქ ვაგვანობთ. ის ენება ალმასს, რომლის სახელი არის: „მთათა მთვარე“! მისი სიდიდე 120 კარატს უდრის.

როდესაც ნიდერი შაჰი (პატარა კახის, ერეკლე მეორის თანხლებით) ანდოეთს შევიდა, მან გაძარცვა სატახტო ქალაქი დელკი (1739 წელს) და იქ მითთვის სამეფო ტახტი, რომელშიც ჩასმული იყო აღნიშნული ალმასი. 1747 წელს ნადირ შაჰი მოკლეს შინაურებმა და ეს დიდი ალმასი მარბარეს, დაიკარგა.

ერთ დღეს ქალაქ ბასრაში (ბასსორა) მივიდა ვიღაც ავღანელი, რომელმაც სომეხ ეპარას შფარას მიტღანა საყიდლად ალმასი „მთათა მთვარე“. სომეხმა იგი მამულზე არ იყიდა და ავღანელმა იგი ერთ ზღადღელ მუქავსეს მიჰყიდა. სომეხმა როცა ეს გაიგო, დიდად გაბოროტდა, მოეღაპარა თავისი ორ ძმას და მათ ვადასწყვიტეს გაემარცვათ და მოეკლათ ზღადღელიც და ავღანელიც. თქვეს, შესარღვლეს. ორივე მოკლული ჩასდეს ტომარაში და მდინარე ეფერატში ჩაადგეს; მაგრამ მალე ამ ალმასის გამო სომეხ მძებნ შორის მოიქმნა დავა და უფროსმა მძებნე მოკლა. ჩასდეს ოინი ტომარაში და ჩაადგო იქვე, მდინარე ეფერატში. ბევრი იბრა თუ ცოტა ძმთა მკვლელებმა სომეხმა ასტრახანს მიადწია და აქ შემდეგი არის ნათქვამი: მან ვადასწყვიტა აქედან საქართველოში წასულიყო. მაგრამ ის ეწინა, რომ ამ სომეხს დიდი ალმასი ჰქონდა სწრაფად გაფრცხლდა და იმპერატორს ეკატერინე მეორის ყურამდე მიადწია; და იმ წამსვე იმპერატორს ამ თვისი კაცი ვაგზუნდა ასტრახანს, რომელმაც მალე მონახა სომეხი ეპარა და ეპარობაც სწრაფად შესრულდა: სომეხმა მიიღო აზნაურობა (თუ თავადობა, — ნათლად არ არის ნათქვამი) 600.000 მანეთი ვერცხლის ფული და 70.000 მანეთი ასივანკით. „მთათა მთვარე“ იმპერატორს ეკატერინეს გვირგვინი დაამუშენა. 16). 33. 156.

აღმას

ეგრეთ წოდებულ „არისტოკრატის ქვათა წიწა“-ში (რომელიც გადაკეთებული, თუ გამოზონილი არის არაბთა მიერ დაახლოებით მეცხრე საუკუნეში) მოთხრობილი არის ალმასის გამო —

ალმასს აქვს განსაკუთრებული თვისება; ერთი მთვანი არის: ალმასი ვერ შეეუბნება რომელიმე ბუნებრივ გემს, რომ იგი მან არ გაუქვითოს, ან არ დატეხოს; თუ რომელიმე თავანს ალმასი დაარტყი, მას იგი გახეთქავს; და მეორე თვისება მისი ის არის, რომ არც ერთ სხვა ქვას არა აქვს ძალა ალმასის წინააღმდეგ, — მხოლოდ ტყვიის ძალას შეუძლია მასზე იმოქმედოს... თუ ვინმე ალმასს ტყვიის საშუალებით უფხენილად აქცევს და მის უფხენლ რკინის წვეტზე გადაიბანს, ამით მას შეუძლია ყოველ

გვარი ქვა გახვრიტოს, როგორც მაგალითად ჩვენდნი, სმარაგლას და სხვანი. 10). გვ. 149.

აღმას

იოჰანის ბაუნტუს-ს ნოტროპოლი ქვეს ამბივე ერთი ლურჯი საფირონის შესახებ და იგი მოტანილი აქვს ცნობილ მკვლევარს ჯორჯ ფ. კენზის —

ლურჯ საფირონს ფერი შეიძლება იმდენად ამოუწყერო, რომ იგი გახდება თეთრი და ამგვარად ალმასს მიენსავსება ისე კარვად, რომ მისი სიმართლე ანუ ნამდვილობა გამოცდილს შეეძლოს გამოიკნოს. ეს ძალიან ძველად იცოდნენ და ამიტომ ზოგ მწერალს ალმასის თვისება ლურჯი საფირონისთვისაც მიუკუთვნებია. ვინმე რაბინი მოგვითხრობს — ერთი კაცი მივიდა რომ თავისი საფირონის გასასყიდად. მყიდველმა მას უთხრა: სანამ შევიცნო ამა, მე იგი უნდა გამოვცუდო. მან დასდო ძვირფასი ქვა უცდემლზე და მას დაართვა კვერი; გატყდა გრდემლი, დაიმსხრა კვერი. მაგრამ ძვირფასი ქვა დაჩა უცნებელი. 13). გვ. 394. ამით იწყვევა ალმასის სიმავრე-სიმტკიცე, თან საფირონისა და ისიც, რომ ჩვეულებრივი გრდემლი ალმასს ვერ უძლებს.

აღმას

ბალნიუს იტყობს: ალმასი არის უმაგრესი ყველა ძვირფასი ქვისა; არც ერთ ქვას მასზე მოქმედება არ შეუძლია. მან და ტყვიას... ალმასის გასატყდა — ამბობს იგი — მას ახვევენ ცილში. შეიტანებენ ლურჯამის მილში და მერმე მას ნახად დაატყვენ ტყვიის ჩაქვს, ისე რომ იგი რკინას არ უნდა შეეხოს. ან მეორე გვარად — ალმასს ჩასდებენ ტყვიის მილში და მას დააბრტყვენ მაგარ ქვას, და ამით ხდება ალმასის გატეხა...

მკვლევარი კლემან მალუე ასეთ ცნობას მიიწერს იმას, რომ მთხრობელს კარვად ვერ გაუვიდა და ვერც ვადმოუცია, ან ვერ დაუნახავს ალმასის გატეხის საქმე. უფრო პოზიტეფიკი ამბავი ის არის, რომ ალმასი არის უმაგრესი ძვირფასი ქვა და მისი საშუალებით ტეხდნენ, ან ხერხდნენ ლალს და სხვა ძვირფას ქვას. 14). ვინმე მე-2 და მე-3. გვ. 131.

... «With regard to the indestructibility of the diamond, Ben Mansur tells us that one laid upon an anvil, instead of breaking, is drawn into anvil, so that the only plan of reducing it is to wrap it in lead, «which is fabulous», says Leonardus, «for I have seen many broke with a blow of the hammer».

William Jones — History and Mystery of Precious Stones. London, 1880. p. 41.

ასე თუ ისე, მასსადავამ, გავრცელებული იყო ის შეხედულება, რომლის მიხედვით: ალმასის გატეხა მხოლოდ ტყვით შეიძლებოდა, რაც აგრეთვე ეფხისტყაოსანში პოეტურად არის გამოთქმული — გასტეხს ქვასაცა მა-

გარსა ვრდემლი ტყევისა, ლბილისა... ეს ტყევის ვრდემ-
ლი ალმასა სტესს...

◆◆◆◆

„ათას ერთი ღამის“ ხელოსარმოცდამეთხე ზღაპარში
მეზღვეური სინდაზი მოგვიტობზობს: —

იქ, სადაც ახლა მოვხვეცი. ან მიძიპოვებოდა არც ხე,
არც ხილი, არც წყალი. მაჟამ არ არის ძალი და არ არის
დიადობა თენიერ ალაპისა. დიდებულისა, დიდისა!
ქეშვირად, თუ ხშირად ამიშორებია ქირი და საფრთ-
ხე, აქ კი უარეს გაჭირვებაში და მიძიპოვებოდა არც
ვარდი. მინც თავი მხნედ დავიჭირე და ხეობის გასწორე
სეღისას, ვნახე, რომ ნიდავი ალმასისა არის — ეს არის
ქვა, რომლითაც სტეხებ მინერალებს და ძვირფას ქვებს
და ფაფურს, და ონიქსოს, რადგან იგი არის მკერივი ქვა
და მაგარი, რომელსაც არც რკინა და არც ჯიუტი თავი
არ მოქმედებს და შეგვიძლია ვაგვართ ან ვაგვტებოთ იგი
(ალმასი) მხოლოდ ტყევის ქვის საშუალებით-ო. უფრო
მეტე, ხეობა სავსე იყო გველებითა და ეჭიდნებით...

აი, ეს არის „გასტეხს ქვასაც მაგარსა ვრდემლი ტყე-
ვისა რბილისა“...

◆◆◆◆

ქარაას ოთხმოცდამესამე ზღაპარში („ათასერთი ღამი-
სა“) ნათქვამია —

ვაზირის კეპი („დილო“) იყო დიამანტისა ანუ ალმა-
სისა. და აქ შენიშვნაში „ათასერთი ღამის“ ინგლისურად
მთარგმნელ რ. ფ. ბარტონ (ბურტონი) ამბობს — სწავ-
ლებულ ყოფილი პოოფესორ მასკელინეს წინააღმდეგ მე
იმ შეხედულებისა ვარ, რომ ალმასით ვატება ვაჟსა ძა-
ლიან ძველი დროიდან არის შემოღებულთა. ვ. მ. ფლან-
დერს პეტრიე, რომელმაც ბევრი „პირამიდული ზღაპა-“

განმითმა ლალი,

ბათლილი ანდამატისა კმირითა (1342)

ამ ლექსში დასახელებული სიტყვა «ანდამატი» განვი-
ხილე ჩემ წიგნში «ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება»
(ბუენოს აირეს, 1953/4 წ. გვერდი 104) და გამოვარკვიე,
რომ «ანდამატი» არის იგივე «ალმასი». ამის დასამტყვე-
ბელი საბუთები მკითხველს იქვე მივაჩაფი. და ბოლოს
აღწიწე ვასამკრებელი საბუთები ბიბლიიდანაც, თუ-
მცა ტექსტის თარგმანი არ მომიტანია —

წინასწარმეტყველ იერემიას (17.1) ნათქვამი აქვს —

„ყოღვა იუდასი არს ნაწერსა შინა, რკინასა შინა ფრჩხი-
ლთა ადამანტისათა...“

ეს სიტყვა «ადამანტისათა» ბერძნულ ბიბლიაში გადმო-
ცემულია სიტყვით «ადამანტონი» — ანდამანტისათა;
ინგლისურად იგივე სიტყვა ნათარგმანი «დამონდ» (დი-
ამანტი=ალმასი); გერმანულად «დემანტ» (დამანტი=

რი“ გააუქმეს, ამტკიცებს, რომ ძველი ეგვიპტის უფრო-
ტიკის სტატუები, როგორც არის ხუფუს-ს (ხუფუსის)
სტატუები ბუაიკის მუზეუმში, ალმასით გათლილია
ათენიელს თავის წიგნში გვეუბნება, რომ ანდამანტი
მოუტანეს მარგალიტები და ალმასები პტოლემეისი ფი-
ლადელფოს-ს; და ეს გვაჩვენებს ჰუას, გათლას, ვატხ-
ვის, რადგან ანდამანტი არ არის იგი არა მოსახეზავი, მო-
სართავი, როგორც გაუქმელი, გაუტეხელი, გაუთლილი
ალმასის ქვაო. 15). წიგნი მე-7, გვ. 383.

„... and walking along the Wady found that its soil
was of diamond, the stone wherwith they pierce mi-
nerals and precious stones and porcelain and onyx,
for that it is a dense stone and a dure, whereon nei-
ther iron nor hardhead hath effect, neither can we
cut off aught therefrom nor break it, save by means of
leadstone. Moreover, the valley swarmed with snakes
and vipers...“

The Book of the Thousand Nights and a Night,
translated from the arabic by Captain Sir R. F. Bur-
ton, reprinted from the original edition and edited
by Leonard C. Smithers. London, 1894. vol. IV. p. 359.

◆◆

ყველა ეს გადმოცემა მჭერმეტყველურად ამტკიცებს
იმ ამბავს, რაც ვეფხისტყაოსანში პოეტურად არის გა-
მოთქმული ალმასის შესახებ, თუმცა იქ სიტყვა „ალმასი“
მოხსენებული არ არის; ვატხებს ქვასაც მაგარსა, ვრდემ-
ლი ტყევისა რბილისა... და ნუღარავინ ეჭვობს აქ რაიმე
გაუგებობა, ან შეცდომა იყოს... ეს არის ძველი ტრა-
დიციული თქმა, რაც ირანელ მგოსანს ნიშამი ვანჯელსაც
მოეუბნება. მე ეს უკვე აღნიშნული მაქვს ჩემ წიგნში:
«ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება». 16). გვ. 101-9.

ალმასი); ფრანგულად «დამანი» (ალმასი); ესპანურად
«დამანტე»; რუსულად «ალმანი» (ალმასი).

სრულიად გაკვეულად მქონდა ნაჩვენები «ანდამატის»
მნიშვნელობა და ყოველი ეჭვს ვარეულ დამტკიცებელი
იყო, რომ იგი არის ალმასი.

ავთანდილი ტირის, პირისახეს ხელდება სცემს, სისხლს
ადენს და ამიტომ ნათქვამი არის —
გახებოქა ლალი, გათლილი ანდამატისა კვერითა (1342).

აქ ლალი არის ავთანდილის დაწვენი, ლოყები, რო-
მელნი გათლილი იყვნენ ანდამატისა კვერითა, ანუ ალ-
მასით და ახლა იგი თავის ხელებს, ალმასის კვერის შე-
სადარს, ლოყებს ურტყამს და ტეხსო! მაშასადამე, ამ პო-
ეტურში შედარებით აღიარებული არის, რომ ლალს თლი-
დნენ, ტეხდნენ ანდამატისა კვერითა.

ბ-ნ სერგო წულაძის ეს «ანდამატი» ფანჯრულად სწო-
რად აქვს ნათავმნი სიტყვით «დიამანტი», რაც არის ალმასი
ალმასი.

ესპანურად გუტსტაიო დე ლა ტორრეს-ს იგივე სახელი
«ანდამატი» ნათავმნი აქვს სიტყვით «დიამანტი», რაც
არის ალმასი.

მაჯორი უორდროზს სახელი «ანდამატი» ინგლისუ-
რად არ გადაუთარგმნია, რადგან «ანდამატი» არის იგივე
ალმასი.

დრ. კიტა ჩხენკელის «ქართულ-გერმანულ ლექსიკონ-
ში» «ანდამატი» ნათავმნი ორი სიტყვით: 1. დიამანტი
(ანუ ალმასი) და 2. მაგნეტი (მაგნიტი, მალიტი) და თუ
რატომ არის ეს მეორე მნიშვნელობა აღნიშნული, ამას
აქვე, ქვემოთ წვეტიტყობ. მასევე სიტყვა «ალმასი» გადა-
თარგმნილი აქვს «დიამანტი»-ად.

ერთი ცული ჩვეულება იკიდებს ფეხს ევფხისტყაოსა-
ნის კვლევის საქმეში. თუ ვინმეს რომელიმე ცნების შე-
ნახებ აზრი მოუვიდა, იგი იმას აღა- დადიდევს, ამ საკით-
ხზე სხვა დასწერა რამე თუ არა!

რამდენჯერ მითქვამს: მეპატრიება-მეთქი, თუ ვიყო-
რბ იმ საკითხზე მსჯელობას, რომელიც საბოლოოდ გა-
მორკვეულად უნდა ჩაითვალოს, რადგან აველა წერილი,
ყველა ნარკვევი, თუ წიგნი ჩემამდე არ აღწევს და კანტი
კუნტად თუ მესმის ხოლმე. მაგრამ იმ პირათვის, რო-
მელიც საქართველოში ცხოვრობენ და ევფხისტყაოსა-
ნის საკითხებს ეხებინან, მათთვის, სავალდებულო უნდა
იყოს მასალების უცნა და თავს ტყუილად არ უნდა იტ-
ყივებდნენ (თუ ვინმეს თავის გამოჩენის ჭია არ აწუხებს!)

**

პირველად 1960 წელს დრ. გაბოზ იმედაშვილმა თავისი
რედაქციით მზის ნათელზე გამოიტანა თეიმურაზ ბა-
ტონიშვილის «განმარტება ევფხისტყაოსანისა», რომელ-
ში ეს სიტყვა «ანდამატი» კარგად არის გარკვეული. ბ-ნ
ინჟინერი ბ. თაბუკაშვილი ამ წიგნს მაისს უნდა გასცნო-
ბოდა და იქ სიტყვისა «ანდამატი» განმარტება ითვნიდა!
და შემდეგ აღარ დასჭირვებოდა იმისი მტკიცება: 1. თი-
თაო ევფხისტყაოსანის ზემომოტანილი შიარის : 1. სახელი
«ლოი»-ს შემდეგ უნდა ამოვაგონ მძიმე (.) და აწი აღა-
უნდა დაბეჭდონ! 2. ანუ იმის მტკიცებას შეუღებოდა,
თითქმე ანდამატი მარტო ფორმად გულისხმობდეს და 3.
ანუ იმას იტყობა, რომ ეს სიტყვა, ვითარცა «ჩრდის მი-
ზიდველი ნივთიეთების მნიშვნელობით ქართულში მრავ-
ალ საუკუნეთა განვალდებაში ხმარებულა. იგი იხმარე-
ბოდა, ახლაც იხმარება და წემდგომშიაც უნდა იხმარე-
ბოდეს. ჩვენი სახელოვანი მწერლებმა და საზოგადო მო-
ღვაწეთა: [!!!] ნაწარმოებებში»-თ. (იხილეთ ინჟინერი ბ.
თაბუკაშვილის წერილი «ანდამატის მნიშვნელობა შოთას
პოემაში», «ლიტერატურული საქართველო», 8 ივლისისა,

1966 წ.). მაგრამ რა დააშავა სიტყვა «ანდამატი» რუს-
თაველის პოემაში და რატომ განმარტებენ ბუნებრივად
შვილმა მისი ენობილი მნიშვნელობისწინაშე სიტყვა და
არის ანდამატი=ალმასი?
გენგლიცოქიქა

რამეთუ საქმე ასეთი. იძულებული ვხდები, ამ საკითხს
კვლავ მივუბრუნდე —

დიამანტი=ალმასის სახელი ბერძნულად არის «ადა-
მას», რაც წარმოადგარია სიტყვისაგან «ადამასო» და
მისი მნიშვნელობა არის: მაგარი, მტკიცე, გუტსტეული.

ამ საკითხის მკვლევარი ბ. ბლუემენერ ამბობს — გა-
მოურკვეველია ეს სახელი «ადამას», რომელიც ფო-
ლოზს ახასიათებდა, გადაიტანეს იგი ძველმა ბერძნებმა
ამ ძვირფას ქვას (ალმასზე), თუ არაო. ამ ქვის სიმკაცრე-
სიმტკიცისა გამო, როდესაც მათ ეს ძვირფასი ქვა პირ-
ველად იხილეს და მას გაეცნენო! სიტყვა «ადამას» მნი-
შვნელობით «ალმასი» უმხარია ფილოსოფოს პლატონს,
ძველად საერთოდ «ადამას»-ს ეწოდებოდა კიდევ რქ-
აოს კვაილიო, რადგან ფიქრობდნენ: მასში არიან რქ-
აოს უწმინდესი და უკეთესი უზობილესნი (წესნიერა)
თვისებანი შემკვირვებულნიო.

ადამას=დიამანტი=ალმას ძველ საბერძნეთში აღმოსავ-
ლეთიდან მიიღეს და მას თვლიდნენ უმტკიცესს, უმაგ-ეს,
დაუძვეველ ქვად (სხვათა ზრის, ეს რწმუნა შუა საუკუნე-
თა მანძილზე და შემდგომაც იყო გავრცელებული, სანამ
ახალმა მეცნიერებამ იგი უარყო (რადგან გამოიჩინა
რომ ალმასი დიდ ცეცხლში იწვის!). ძველად რწმამდით
აგრეთვე: თუ ალმასს=დიამანტს ანდამატს თხის ცხელ
სისხლს გადაასხამდი და გდრემლზე დაღებდი, მისი ვა-
ტება შეიძლება კვებით.

როგორც უმაგრესს, უმტკიცესს, ძვირფას ქვას ადამას=
ანდამატს ძველად ხმარობდნენო — ამბობს ბ. ბლუემენერ
— თვით ალმასის გასათლელად, ვასალამაზებლად და ამ
გვარ მუშაობას ეწოდებოდა «სიღირებტეს». და ძველნი
მკვლერი, ისე ვითა დღევანდელნი, ადამას=ალმასის ნა-
ტეხს ხმარობდნენ კეთილშობილ ქვეთა. თვალთა პატრო-
ნისათა, ძვირფას ქვეთა გასათლელადო. 17). წიგნი მე-9,
გვერდი 324

ეს, რასაკვირველია, იმის ნიშნავს, რომ ალმასით, ანდა-
მატით თლიდნენ სხვა ძვირფას ქვებს. და თავის თავად
ცხადია: ალმასი ისეთი ძვირფასი და ძვირი იყო და არის,
რომ მისგან გაკეთებული ანუ კვერი და ანუ უწო არ არ-
სებოდა. მაგრამ უმეტესად, ხის ან ფორალის კვერთხ ჩა-
ჭობილი ნატეხი ალმასისა იხმარებოდა თვალთა პატრო-
ნისათა ვაითა — გამწვანებრებისათვის, როგორც ასეთი
კვერი ღღეს იხმარება შუშისა, მინის საქველად, რასა-
კვირველია, რუსთაველს შეეძლო პოეტურად ეთქვა: —
«ანდამატისა კვერითა»!

უძველეს ბერძენ მწერლის პეზიოდოს-ს (მერვე საუკუნეში) ქრისტეს წინ) აქვს ნახშირი სიტყვა «ადამას». ამ ცნებით მან აღნიშნა ლითონი უღირესად მგავრი, და ფრიად მტკიცე. დიმიტრის ჰქონდათ საიდუმლოება ასეთი ლითონის დამზადებისა. ძნელი არის იმის გამოჩვენება — ამბობს მკვლევარი შ. მორელ. — აქ საქმე ფოლადის ეგება თუ არაო; ან იქნებ ამით სხვა ზამ შერეული მეტალი აღინიშნებოდაო! ყოველ შემთხვევაში პოეტურ სილაროს ეუთუნოდა ეს სახელი «ადამას» და ცნობილია ადამასის მუზარადი, ჩაქანი ჰერკულესისა, სატურნუსისა, პრომიეთისისა და სხვათა.

ლათინი პოეტები — ამბობს შ. მორელ — ამ ტრადიციას განავრცობდნენ და ისინი ხმარობდნენ სიტყვას «ადამას» გამოთქმით «ადამანტინუს» = «ადამანტესუს», რითაც აღინიშნებოდა სიმავრე, სიმტკიცე, უტყუებლობა.

ლათინთა შორისაც ძვირფას ქვას ღაერქვა «ადამას» = «ადამანტესუს». საიდანაც შემდეგ წამოიშვა სახელი «დიამანტეს-ლიამანტ». მერმე იგივე სახელი ვადაიტანეს სახელად მაგნიტისა: «მაგნეს-მაგნიტ», სახელთა შერევის გამოო, — ამბობს მკვლევარი შ. მორელ. 18 წ. 1. გ. 65.

საიდან გაჩნდა სახელი «მაგნიტა» «ანდაპიტასთის»?

შუა საუკუნეთა მწერალთ სიტყვა ადამას = ადამანტეს გამოჰყავდად ლათინურ სიტყვისაგან «ადამარა» და ეს კი არის: შეერთება. მიზიდავ და რადგან ეს თვისება შეერთება-მიზიდვისა მაგნიტის თვისება არის, ამიტომ მას ღაერქვა «ლაპიდემ ადამანტემ», ანუ «ქვა მიზიდველი». ანუ მაგნიტა და მკლამეტე საუკუნეშიც მას ეწოდებოდა «ლაპის ადამანტესუს». 19). აი, როგორ მოხდა რომ ძვირფას ქვას ადამას = ადამანტეს = ალმასს ღაერქვა კიდევ მეორე სახელი ანდამატი = მაგნიტი. ამით გასაგებია, თუ სახელს «ადამანტეს» რატომ მიეცა ოჯგვარი მნიშვნელობა: 1. ანდამატი = დიამანტი, ალმასი და 2. ანდამატი = მაგნიტი, რკინის მიმზიდველი ნივთიერება.

ვეფხისტყაოსანის ზემო-მორტანალ შაირს ეს მეორე მნი-

შენიშვნა სწულებით არ უღდება! ბ-ნ-ა. თანუკაშვილს ჰკონია, არ შეიძლებაო ლალის გათლა კვირთა, «რის-განაც არ უნდა იყოს ის [კვერი] ვაკეთებულსაო» და ფიქრობს კვერი რკინის დასაკვერბერად, «სატყუებლობა» (საბას მიხედვით). მაგრამ ვეფხისტყაოსანში ძალიან ვარკვევით არის ნათქვამი «ანდამანტეს კვირთა» და რუსთაველმა კარგად იცოდა, თუ რას ამბობდა! ჩვენ ვიცით დღეს, რომ ძვირფას ქვებს და მათ შორის ლალსაც ანდაპიტით, ანუ ალმასით თლიდნენ და ტყუილად, როგორც ეს სპეციალისტ მკვლევართა დადასტურებით მოგახსენეთ. 18). გვერდი 322. ამგვარად, ბ-ნ თანუკაშვილის მთელი მსჯელობა საფუძველს მოკლებულია და ტყუილად აიტკივა თავი ვეფხისტყაოსანის 1342 შაირის შესასწორებელად!

მაგრამ მე პირადად მისი მადლობელი ვარ, რადგან თავის წერაში მას მოაქვს ენათ ცნობა, რომელიც ჩემთვის მიუღწეველი იყო. ვინაიდან იგი მოთავსებული ყოფილა ესამყურნალო წიგნში. «კარაბადინა»-ში, რომელი ზახა ფანასკერტლს შეუღღენია, ძველ მასალათა მიხედვით, მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში და თბილისში დაუბეჭდავთ 1950 წელს.

ზახა ფანასკერტელი ალმასის პუნებაზე მსჯელობს და ამბობს —

«ხსიათი ალმასისა. — ალმასი ქვა არის რომე ქვეყანათა ზედა მის უმავრეს არა არის-რა და არცა იპოვბის. მის ვერც-რა გასთლის და ვერც რა გასტეხს და ტსუიუა [ტყვი] გასტეხს. და ტყუივისა [ტყვიისა] უღბისი არა არის-რა. ამაღ რომე ალმასმა არა თქუას, ვითა: ჩემებ არა არისო».

აქედან ცხადია, რომ საქართველოში კარგად იცოდნენ, რომ ალმასს სოლიდენ და სტებდნენ ტყვიით. ამის შესახებ აქ წინა-წერილში სხვა ცნობებიც მაქვს მოტანილი და ამით საერთოდ ეს საკითხი — გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა თბილისა — ამოწურულად მიმაჩნია.

ლეივლი, ივლისი, 1966 წ

კვლევა მართი თვალნი სამსებასმო მზისა უშუალო ნამატისა (1465)
ღამე მხემერ განანათლის, ჩნდის, სადაცა შეჰხედვდენ

ფრიდონის მიერ ნესტან-ტიბილისისათვის გარდახდილ ქორწილში, მეფე-დედოფალს მრავალი ძღვენი მიართვის და მათ შორის:

კვლა ერთი თვალი სამსეაესო მზისა უშუალონამატისა, მას წინა ღამით, ძალ-ელად მხატვარსა ხატვა ხატისა (1465)

ნესტანმა თინათინს გაუგზავნა ძღვენი: ერთი თვალი, — წამლებელმან ვერა თქვას თუ ცუდად ვხიდე, —

ღამე მხემერ განანათლის, ჩნდის, სადაცა შეჰხედვდენ (1659).

ღამე მხემერ განანათლის, ჩნდის, სადაცა შეჰხედვდენ (1659).
გამოკვლევის შედეგად ჩემ წიგნში («ვეფხისტყაოსანის ფუძემდებელი» გვერდი 96-101) დავადგინე, რომ: ის თვალი, რომელიც: ღამე მხემერ განანათლის, და ის:

ველა ერთი თვალი სამხავაკო მზისა შუქ-მონამატისა, -- არის ერთი და იგივე თვალი პატრიარხი, რომელს ჰქვია კარბუნკულუსი. ანუ წითელი იაგუნდი.

ეს კარბუნკულუსი დიდად ცნობილი და განთქმული იყო, რასაკვირველია, პირველად ყოვლისა აღმოსავლეთში და შემდეგ, გვიან ხანაში: დასავლეთ ევროპაში და ამ ძვირფასი თვალისა პატრიარხისა დამატებით ისტორიას აქ გავეცნობით, რადგან შეიძლება ჩემ პირველ განმარტებას ვინმემ ეჭვის თვალით შეხედა და ამ შიარტებში დაუსახებლემელი ძვირფასი ქვა კარბუნკულუსად არ მიიჩნია. დღეს ესაზგებლობს «კავკასიონი»-თ, რათა ამ საკითხს ცვლაგ მივუბრუნდეთ.



კარბუნკულუსი წითელი იაგუნდი არა ერთჯერ არის მოხსენებულად ძველ ზღაპრებში, თქმულებებში, მწერრობაში. იგი ითვლებოდა შუქმომღვანე ძვირფას ქვად, რომელიც თავის ძლიერ სინათლეს შოპს აფრქვედა.

— როგორც ეს აწერილი მაქვს ჩემ წიგნში «ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება» (1959/4 წ. გვერდი 96-101).

ეს ამბავი, ჩინელთა მიერ ვადმოცემული, გამიგორა მარკო პოლომ. სხვა მასალაც მოგვითხოზოს მანათობელი წითელი იაგუნდის კარბუნკულუსის შესახებ: — სეილონის მეფეს ჰქონდა ისეთი დიდი კარბუნკულუსი, რომელიც ცეცხლივით ანათებდა; ჩინეთის იმპერატორმა დიდი განძი შეაღობა საფასურად, (მეფის მიერ არჩეული ხელი დიდა ქალაქის შემოსავალი), მაგრამ მეცემ უარი შეუთვალა... ამბობენ, ბუდისისტური ერთი ტაძარის კედლის თავში იყო ჩასმული ქვა იაგუნდი და დიდი აღმასი; ისინი ისე ძლიერად ანათებდნენ, ვანსაკუთრებით როცა მათ მზე დაეკერდებოდა, რომ მათი ბრწყინვალება იყო დიდებული და შეუღარებელი, — ამბობს კოსმასი. მეორე ავტორი (ჰაიტონი) გვეუბნება: ეს ამბავი სხეებსაც აქვს მოთხრობილი...

ე. ტენენტე გვიამბობს: ჩინური თხზულებების თანახმად, მეთორმეტე საუკუნის სეილონის მეფეს აქვს კარბუნკულუსი, რომლითაც დამით სასახლის დიდ დარბაზს ანათებენო და მას ეწოდება წითელი სასახლის განმანათლებელი...-ო.

მეორე საუკუნის ბერძენ ისტორიკოსსა და გეოგრაფოს პაუსანიას ნაამბობი აქვს შემდეგი: წინასწარმეტყველ - მარჩიელ ხარაქსა, რომელიც ცხოვრობდა ტრიპას-ში, კევრტის ოლქის კარბუნკულუსი ჰქონდა და მან იგი მოიპოვა იმ ადგილზე, სადაც დიდი გველი იყო მკვდარი და ის ძვირფასი ქვა ისე ბრწყინავდა, რომ ზნელ სახლს ანათებდა. იგი ისეთი დიდ სინათლეს აფრქვედა, რომ ბინასთან მიახლოებებს ხალხი ერთდებოდაო. ხარაქის დასაფლავებისას იგი ბრწყინვალე ქვა — კარბუნკულუს — მას საფლავში ჩაატანესო.

„ოქროსი საწმისი“-ში გრისე მოგვითხრობს: ხეოსპის პი-

რამიდაში ყოფილაო კევრტის ტოლი კარბუნკულუსი = იაგუნდი, რომელიც დარბაზს დღესავით ანათებდა და ანუ მრავალი ამგვარი თქმულება ამ კარბუნკულუსს წითელი იაგუნდის შესახებ. 20). გვერდ 29-30.

„კარბუნკულუსის“ ეწოდება აგრეთვე „ანთრასი“, რომლის შესახებ ნათქვამია — ცეცხლის ალისა და ნაკევრტალის და ლალის ბრწყინვალეების შოპის მსგავსებდა და ერთობამ გამოიწვია სახელი ძვირფასი ქვისა, ბერძნულად — „ანთრასი“, ლათინურად — „კარბუნკულუსი“ (და ლინის). ამიტომ იგი თითქმის გაათანაწიროეს ცეცხლთან, ზოგი მისი გამოჩენების მიხედვით. ხომ კარვად არის ცნობილი დღესაც — ამბობს ვეროჯ ფ. კუნს — რომ ზოგ ქვას აქვს ძლიერი გამოფრქვევა სინათლისა! და ამასთან აიანი დაკავშირებულნი ის თქმულებანი ნათელ-მფრქვევე ქვათა შესახებ, ომცა მათი კეძო თვისება ლალისათვისაც აისო დამახასიათებელი. 21). გვ. 162.



ამ ძვირფასი ქვის, კარბუნკულუსის გამო, რასაკვირველია, აღმოსავლეთის გავლენით, დასავლეთშიც იგივე შეხედულება იყო გავრცელებული.

„გესტა რომანო-უმ“-ში (თავი 107) ნაამბობია შემდეგი: როდესაც მოხელემ კიბენი ჩაიღო და დარბაზს მიადგა, მან იქ იხილა მეფე და დედოფალი, მჯდომარენი მაგიდასთან; მათთან ერთად ისდნენ მოდარბაზნი, დიდებულნი და კარისკენი, ძვირფასად და მდიდრულად მორთულნი; სუფევდა სრული სიზმე. ვათილი კარბუნკულუსი მოიღეს დარბაზს ანათებდა; იქ მოპირდაპირე კუთხეში დაინახა კაცის ფიგურა; მას მოკიბული ჰქონდა მშვილდისაჲ. მზად გასატყორცნად; მის შუბლზე დაწერილი იყო: მე ვარ იგი, ვინცა ვარ. ვერავინ გავტყევა ჩემ ტყორცნას, ვერც აი ის კარბუნკულუსი, რომელიც ანათებსო. განცვიფრებული მოხელე შევიდა დარბაზში და დაინახა ლამაზნი ქალბატონნი, რომელნიც პურპურის ქსოვილზე ხელსაწობდნენ ამ კარბუნკულუსის წითელი იაგუნდის სინათლემ... მაგრამ ყოველივე იყო სიჩუმე... მოხელემ განაგრძო სასახლის დათვალიერება და მისი გარდა უზოპო იყო... იმდენი ძვირფასი სავანი მან იხილა. აი ცემბერებუნო, იფიქრა მან, უნდა წაიღო რამე. აილო ერთ მაგიდაზე ოქროსი თასი და დანა. ჩაიღო ისინი უბეში... კუთხეში მდგომმა კაცის ფიგურამ ცუტე გასტყორცნა ისარი და მოახვედრა კარბუნკულუსი, დაიმსხტა ეს თავიჯ პატრიარხი, დაბნულად. უკუნი ჩამოვიარდა. მოხელემ გამოსავალი გზა ველარ მიავნო და იგი შიმშილით მოკვდა თავისი აზვარების შედეგად.

ეს ამბავი შეთხზეს პაპი სილიბისტრო მეორეს შესახებ რომელიც 1003 წელს გარდაიცვალა, — ამბობს უილიამ იჯონსი. 20). გვ. 57.

იგიდელის „მეტამოროფოზ“-ათა თარგმანში გოლდინგი (1575 წელს) ამბობს: სვეტნი სასახლისა იყენენ ოქროს

ფერნი ყვითენლი, მოოქვილი ბრწყინვალე კარბუნკულსებით, რომელ ცეცხლივით ანათებდნენ...

პალენგენიუსის თარგმანში „გოგო“ (1565 წელში) მთვარის აღწერისას ამბობს: ცხებდარბაზი ავებული იყო კარბუნკულსისაგან. რომელი ცეცხლივით ანათებდაო.

მნივლილ თავის „მოგზაურობა“-ში მოგვითხრობს — იმპერატორს თავის ოთახში ჰქონდა სვეტი ოქროსი, რომელში ჩასმული იყო ლალი (რუბინ) და კარბუნკულს და ამით ნათდებოდა ღამით მისი ოთახი.

ჰეიუსის თხრობაში (1517 წელს) — „დიდი სიყვარული“ აღწერილია „უმანკობის კოშკი“, სადაც იყო დიდი კარბუნკულს, რომელი დარბაზს ანათებდაო.

ინგლისელი ცნობილი პოეტი ჩაუსერ თავის „რომაულტ ოვ დიი როლზ“-ში კარბუნკულსის გამო ამბობს: ჭეა იყო ისე წმინდა და ნათელი, რომ ღამესაც ანათებ-

დაო... და ამას იგი თავის ლექსებში იმეორებს. (იქვე).

ამ კარბუნკულს=წითელ იაგუნტს=ანთარქს ვეცნობით ვეფხისტყაოსანის შიარებში 1465, დეკ 1659, სადაც ამ ძვირფასი თვალი პატიოსანის სინამდვილეს მხატვარს ღამით ხატის დახატვა შეეძლო სინათლზე, რომელიც ღამე მუზებს ანათებდა.

ამ დამატებითა მიმოხილვამ მაჩვენა, რომ ჩემი განმარტება ზემოაღნიშნულ შიართა სწორი იყო.

კარბუნკულსის შესახებ შეიხსელი შეზღუდვება, მისი დიდი ბრწყინვალეობისა და ცეცხლადობის შესახებ თავსდება ძველ აღმოსავლურ, ჩინურ - ინდურ და შემდეგ დასავლურ - აღმოსავლურ, ქართულ და ევროპულ ჩარჩოში.

პარიზი, მაისი, 1966 წ.

იხიზია

ვით მარბალიტი ოზოლი...

სახელი „იეტმა“ ეწოდება „ოზოლს“ და ამ სიტყვით მონათლა „მარგალიტი“. მაგრამ ისეთი, რომელიც თავისი სახით, სიდიდით, ფერით, ბრწყინვალეობით და სუფთათა წყალობით, ფოხანთ, ფასით არის უძვირფასესი და იშვიათად საშობენელი, ძვირად სასყიდელი, რომლის გამო ახალ აღთქმასაც კი არის საუბარი მისი ძვირფასობისა გამო —

მათ 13, 46 და პოეის რაა ერთი მარგალიტი მრავალსასყიდლისა...

ამიტომ არის ვეფხისტყაოსანში ნათქვამი: დაეჯე, რთოთელმან გაველქე, მისთვის გულს ლახვარსობლი,

აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი... (7). ვით მარგალიტი ოზოლი, ხელი-ხელ საგოგმანები, ვპოვე და ლექსად გარდათქვი... (9)..

აღმოსავლეთის ხალხთა შეგნებაში თითქმის ყველადღერს თავისი წარმოშობის თავგადასავალი აქვს და აქედან, როგორ შეიძლება, იეტმას ანუ ოზოლ მარგალიტს იგი არა ჰქონდეს!

ცხოვრობდა ომანში ვინმე მუსლიმი ძე ბეშერისა: იგი იყო კეთილი, სათნო და ჰყავდა მარგალიტთა ლოკოკინების (სუმილთა) ზღვიდან ამოტანი მყუდურებში. მაგრამ მისი ხალხის მუნაობა კარგ შედეგს არ იძლეოდა და ეს ჩვენი ბეშერი გაკოტრდა: არც მარგალიტი, არც ფული! შერჩა მის ცოლს ერთი სამაჯური: და თხოვა მან თავის მრუდლეს, მომეციო ვასაყიდად შენი სამაჯური და კიდევ ცალი ერთჯერ მარგალიტზე ზღვაში ნადირობასო. მაგრამ დედაკაცი უარზე იყო: ამ სამაჯურის მეტი არა

დავგრა ჩა და ეს პურისათვის მიანიც ვავიხმაროთო! არ მოუშეა ქმარი, გამოართვა მას სამაჯური. ვაპყიდა იგი. დაიჭირვა ზღვაში მყენთან, სამი თვით. ყოველ დღე ჩაიყურავდადენდენ ხოლმე დაქირავებულთა და 59 დღე ისე ვაღება. რომ ერთი ხეივანი მარგალიტინი ნიქარაც ვერ ამოიტანეს. მესამოცე დღეს, ვაჯავრებულნი მეყურებუნი გადაცივიდნენ ზღვაში და თან ასხენენ „ეზლის“ ეშმაკის სახელი. ამოვიდნენ მაღლა. ამოიტანეს ლოკოკინები. გახსნეს ისინი და ერთ მათგანში იპოვნეს შეწინიერი დიდი მარგალიტი.

— აი, — უთხრეს ძეს ბეშერისა მუშებმა — ეზლის - ეშმაკის სახელის სხენებით ჩავეჯრეთ: ზღვის ფსკერზე და ნახე: რა კარგი მარგალიტი ამოვიტანეთო!

ბეშერის ძემ გამოართვა მყენთავს ძვირფასი მარგალიტი; ზელში დაფშნა იგი; ფხენილი წყალში გადაყარა.

— რა ჰქენი, აცო! — უსისხა მუშებმა — შენ აღარა ფერი ვაგანჩია! შენ ხარ შიმშილის პირზე! ეს მარგალიტა მილიონები ღირდა! შენ კი იგი ვანაცამტვერე!

— დიდება უფასო! — უსასუხა მას ბეშერის ძემ: — ეშმაკის სახელით მოპოვებული მარგალიტი მე არა მსურს. ეშმაკის სახელით შეძენილი ქონებით ვერ ვისარგებლებ. ღმერთი მას არ დალოცავს! ჩემ გამოსაცდელად მოხდა ეს. ერთხელ კიდევ ჩაიყვინეთო ზღვის ფსკერზე და ეს იქნება უკანასკნელი ჩაძირვა, მაგრამ ასხენეთ ღმერთი და თქვი: სახელითა ღმრთისათა და წყალობითა მისითა...

ამბორუნდნენ მარგალიტზე მონადირენი. ამოიტანეს ზღვის ფსკერიდან ზღვიანი. გახსნეს ისინი და მათ შორის მხოლოდ ორი მარგალიტი აღმოაჩინეს: ერთი იყო უძვირფასესზე ძვირფასი; მეორე — შედარებით სიდა.

პირველი იყო არა ჩვეულებრივი სილამაზისა და სიღირსისა. ბეწურმა იგი წაუღო ხალიფა რაშიდ-ს და მან მისცა ამ ობოლ მარგალიტს „იეტიმა“-ში 70,000 დირჰემით ხოლო მეორე მარგალიტში — 30,000. ბეწურის ძე დაბრუნდა ომან-ს. იქ მან აიშენა სახლი. ცხოვრობდა ცეთილყოფით.

აი, ეს არის მოთხრობილი „იეტიმა“ = „ობოლი“ მარგალიტის შესახებ წიგნში: „ადგმა იზნ ალ-ჰინდ“, ანუ „სასაქირველებანი ინდოეთისა“. რომელიც დაწერილია არაბულ ენაზე მეთუ საუკუნეში. 22). გვ. 190-193.

ობოლ მარგალიტს = „იეტიმა“-ს მალაი ადგილი უჭირავს აღმოსავლეთის პოეზიაში: პოეტები მას მოწონებით ახსენებენ და შედარებისათვის ქებად ხმარობენ. მაგალ. თად, სპარსელი პოეტი ნიზამი განჯელი თავის პოემაში „ხსაროე და შირინი“, ჭალბატონ შირინს ათქმევინებს: „შაქრის მემკვიდრე, მარგალიტი ვარ ობოლი“-ო (ნიზამი განჯელი — ხსაროე და შირინი. თარგმანი სპარსულიდან ამბაკო უკლიძის მიერ. თბლ. 1964. გვ. 308).

ჭალბატონი შირინი ხოსროესა სწერს: —
ნუ წყენის თუ შენთან მაგალიტს აღარ იქნება;
შენ თვით ვანძი ხარ, ის მარგალიტს არ ზამორჩება.
თავი ის სჯობს თუ სხვა თავი არა ჰყავს ტოლი,
გოვარის ის სჯობს, თუ მეტია და მჯობს ყოვლის (გ. 268).

ეს გოვარი, ანუ მარგალიტი აჩის „ობოლი“, მეტად დიდი და ყოვლის მჯობი...

ვეფხისტყაოსანში ამ „ობოლ მარგალიტს“ ეწოდება კიდეც „ღარიბი“ — „თვალ მარგალიტი ღარიბი“ (შაირში 1385); „რა მარგალიტი ღარიბი“ (შ. 1685);

„ღარიბი“ ნიშნავს: „საოცხოო, მეტად ძვირფასა, რაც ობოლ მარგალიტს“ შეეფერება.

ამას გარდა, ცალკე არის დასახელებული „დიდროაზნი“, „სხილი მარგალიტი“. —

ათასი თვალი, ნაშობი რომანულისა დედისა

არაბთა მეფე როსტევანმა ნესტანასა და ტარიელს მიუძღვნა „ათასი თვალი, ნაშობი რომანულისა დედისა“, ანუ სხვა თქმით: „რომანელისა“, „რომანულისა“, „დედლისა“, სიტყვა „დედლისა“ ვეფხისტყაოსანის უმრავლეს ხელნაწერში არის. ამ პოემის უკანასკნელ გამოცემებში შეტანილია სიტყვა „რომანულისა დედისა“; ძველად კი უფრო იხმარებოდა თქმა „რომანულისა დედლისა“ (მაგალითად: გ. კარკიშვილი. იუსტ. აბულაძე და სარგის კაკაბაძის გამოცემანი ტვისა).

თუ რა არის „რომანულისა დედლისა“ ამის განმარტება არის დაფუძნებული ბატონიშვილი თეიმურაზის ასსნაზე, რომელიც გვეუბნება:

დია მიკერის, საძღნოდ ჩენად სით მოიღებ ამ თვალსა, მარგალიტსა დიდროანსა... (1167).

იგი ტაბაკი სასევა მარგალიტთა სხვილეთა... (1467).
ორივე შემთხვევაში: „დიდროანი“ და „სხვილი მარგალიტი“ აჩის ობოლი მარგალიტი.

მარგალიტის ისტორია იცნობს არა ერთ განთქმულ ობოლ მარგალიტს=იეტიმას. მათ შორის ერთი ასეთი მარგალიტი, თავისი არაჩვეულებრივი ბრწყინვალეობით და სილამაზით, სიდიდით, თავისი დიდებულებებით, რომლის ფასი იყო ექვსი მილიონი სესტერს, ანუ 1.830.000 ოქროს ფრანკი, იულისეს კეისარმა=ცეზარმა მიაართვა ბუბტუსის დედსა, ცეცილიას სიყვარულის ნიშნად და წინდვად.

და ნაირობა მჭირვას მარგალიტე მაშინ სივარედ გარდაიქცა. 23). გვ. 12.

მოგზაურმა ტავერნიემ რომელიც იყო ძვირფას ქვათა მკოდნე, სწავლული ვაჭარი (საქაბეველოშიც ნაყოფი). ირანის შაჰთან წახა ერთი მარგალიტი ობოლი. რომელიც ღირდა 32.000 თუმანი; ხოლო შემდეგ არაბეთში, მსაკატის სულთანს პურობდა ერთ ობოლ მარგალიტს, რომლის ფასი იყო 80.000 ოქროს ფრანკი. (იქვე, გვ. 22).

ლონდონის ერთ მუზეუმშია დაცული მარგალიტი ბანკირ პოპისა, რომლის წონა არის 450 კარატე, ხოლო მარგალიტი „სამხრეთის ჯვარი“ ღირს 20.000 გირვანქა სტერლინგი... (იქვე).

აი აქ გაცნობილ ობოლ მარგალიტ=იეტიმაზე არის საუბარი ვეფხისტყაოსანში, სადაც რუსთაველი ობოლ მარგალიტად თავის პოემაში მიიჩნევს, სასებით სამართლიანად.

პარიზი, მაისი, 1966 წ.

„რომანულნი დედლანი ზღაპართა შინა მოხსენებულ არიან, რომელ იგინი მარგალიტსა და ძვირფას თვალთა კვერცხსა დასდებდეს“-ო. (თეიმურაზ ბატონი — განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, გაიოზ იმედაშვილის რედაქციით, გამოკვეცივით და საძიებელით. თბლ. 1960. გვ. 280). ამ საკითხით იმ ზომად დაინტერესებული ვიყავი, რომ ძველადვე შევეცადე ეს თქმა გამეზრკია, მაგრამ ჩემსა ცდამ ფუჭად ჩამიარა. ამიტომ იყო, რომ ჩემ წიგნში „ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება“ (გვ. 89) ვწერდი: (თეიმურაზ ბატონიშვილის) „ასეთ ცნობას ვერსად შევხვდი“-მეთქი. სად, რომელ ზღაპარში იპოვნა თეიმურაზ ბატონიშვილმა ასეთი ცნობა? თუ თეთონ შე-

თხზა იგი ოქროს კვერცხის დამდებ ქათამის ანაკის მიხედვით? მაგრამ ეს საკითხი არ ვადამივიდა და გზა და გზა მას ყურადღებას ვაქვეყდი. მკითხველს დღეს ვაეა-ცნობ ჩემ მიერ შეკრებულ ცნობებს, ფრად მნიშვნელოვანს, მაგრამ ვეფხისტყაოსანს „რომანულ დედას“ თუ „დედელს“ მაინც ვერსად წააწყდი.

თვალთა და მარგალიტის წარმოშობასთან დაკავშირებით აუარებელი თქმულება და ამზავი არსებობს. ძვირფას ქვათა წიგნი, ინდიოთის მწერალის ბუდითფატანას რომ ეუთეთნის: „არანაპარკისა“ ანუ დაფასება ჯავართა, თვალთა პატოსანთა, რომლის დაწერის თარიღი ვამოურკვეველი არის, ვადმოცემლნი არიან ის თქმულებანი, რომელნიც შეექმეს საუკუნის ინდოეთში ყოფილან გავეტლებულნი.

სტანს: 52: მხოლოდში ცნობილ მარგალიტთა წარმოშობილნი არიან: სპილი, ნისლი, ვარცული ღორი, ნაფარა, თევზი, გველი, ლოკოინა-ზუმბილი. ზღვის ლოკოინათა მარგალიტი უფრო ხშირად მოიპოვება.

სტანს: 53: მხოლოდ ეს მარგალიტნი არიან, რომელნიც ფასობენ: მხოლოდ ესენი არიან, რომელთა ვაგვრეტა შეიძლება, დანაწინი კი არც იხერტებან.

54: ზამბუკის, გველის, ნისლის, ნიფარის და ღორის მიერ წარმოშობილ მარგალიტი მოკლებულია ბრწყინვას, მაგრამ მაინც დაფასებულია თავისი მკურნალობითა თვისების გამო.

55: ნიფარის მარგალიტი ყველაზე უფრო ცნობილია თავისი საყურანაო თვისებით, ხოლო სპილის მარგალიტი უკანასკნელ რგშია.

56: ნიფარის მარგალიტს იგივე ფერი აქვს, რაც მის ბუდეც, სადაც იგი იბადება: ხოლო სპილის მარგალიტი, რომელიც მისი მუხლის კობიდან იბადება, არის ტანით დიდი და სპილენძის ფერისა. მუქი, არა ბრწყინვალე.

57: ნიფარი, რომელიც ზუმელთა შორის დედიფალია გაქმნედილია დღით „ვისნის“-ს ტუჩებით და წმინდა ჯიშის სპილია არის იგი, რომელიც მარგალიტს წარმოშობს.

58: თევზის მარგალიტი ისეთი ფერისა არის, რომელიც ლლავის, ლოქოს ზურვის ფერს წააგავს; იგი იბადება თევზის პირად; ეს თევზი ზღვაში ცხოვრობს.

59: დევას, ავნის, მანის თავყანებისას, იოგათა წესებში, საოჯახო დღეობებში ნიფარის მარგალიტი ამულეტად მიეცე მას, ვისაც კეთილდღეობა სურს.

60: მარგალიტ წარმოშობილი ვარცული ღორის ეშვისაგან ეშვის წვეტს ემსავსება.

61: ზამბუკის მუხლში დაბადებული მარგალიტი არის ბრწყინვალე ვითარცა სეტყვის კაკალი. ეს ზამბუკი არ იხრდება ყველა მიწაზე, არამედ მხოლოდ იმ ადგილზე, რომელიც ღმერთთათვის მისაღწევი არის.

62: გველის მარგალიტთა მხოლოდჯო, სუფთა, მკვე-

ლი, საცხებით ჩინებული ფერთა და ბრწყინვითი, წმინდა და მეტად ნაყურკლია.

63. დიდებული სამკაული. სიმდიდრე. უფრუფრუფრუდა მიულწველი დიდება ერგება მას, ვინც ხანდახან მარგალიტს გველის თავიდან დაბადებულ მარგალიტს მოუპოვებს.

64: არც წამაინი ვგელო: არც ჯადოქარობა არც სწეულება, არც ფათარაკი არ მიეკარება მას; ვისაც აქვს პატრი ვოლოდენს გველის თავიდან ნაშობ მარგალიტს.

67. ნისლიან წარმოშობილ მარგალიტნი მიწამდე არ ჩამოდან; მათ პაერში ღმერთები იჭერენ; მაგრამ ყველას ათა. ნისლიან წარმოშობილნი მხსენილნი ბრწყინვალენი არიან.

72: ნისლის მიერ შობილნი მარგალიტნი ჩაყვივიან ზღვაში და ისინი არიან დედოფალნი მარგალიტთა. 22). გვერდი 166-171.

მარგალიტის წარმოშობის გამო ინდოეთში სამი გარკვეული შეხედულება არსებობდა: 1. ის, რაც ჩამოთვლილი არის ზემოდ, „არანაპარკისა“-ს წიგნში 2. მარგალიტნი არიან წვიმის წვეთნი, რომელნიც ზღვაში ნიფარის თავიდან და შედანი ზღვის ლოკოინაში „სკარის“-ს ნიშნით; 3). მარგალიტნი არიან კილინი „ასურა ბალა“-სი, რომელიც მცხით მოჰკლა ღმერთმა „ინდრა“-მ.

ინდურ ათავან-ვედას ერთ გალობაში იტყოდნენ — ზუმბილი, ნიფარი ვეიფავს ჩვენ... იგი არის ჩვენი ამულეტტი, დაბადებული ზეციით, დაბადებული ზღვით... ღმერთთა ძვალნი ვარდაქმნენ მარგალიტებად და ვარცხლებული ცხოვრობენ ისინი ზღვაში... დეე, მარგალიტის ამულეტბა ვიმფარველოს ზენ... 24). გვ. 301.

ჩინელთა აზრით, მარგალიტი არის დრაკონის (გველეშაპის კბილი; „ჰან“-ის წიგნის თანხმად: მარგალიტი არის ზუმბილის, ლოკოინის სული. 24). გვ. 383.

ციელონზე ვარცხლებული რწმუნების მიხედვით — ადამ და ევა იქ ხუთასი წელიწადი ცხოვრობდნენ და მარად დღე ტრობდნენ კანის მიერ ახელის მოკვლის გამო. მათ მიერ დაღვრულია ცუბულთავან შემქნება ტბა, სადაც მარგალიტის მომცემი ნიფარები არიან. აქტური მარგალიტი არის „დაბადებული სიყვარულისა და წუხილის შედეგად“. 23). გვ. 15.

დასავლეთ აზიაში და ახლო აღმოსავლეთში ვარცხლებული შეხედულება. რომლის თანხმად მარგალიტნი არიან წვიმის წვეთნი, ვანაფიფერებულნი ზღვის ლოკოინათა მიერ (ინბლეთ ჩემი წიგნი „ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება“, ბუენოს აირეს, 1953/4, გვ. 122-135).

ასეთი რწმენა იყო ვარცხლებული სპარსეთში და იქედან იგი შეითვისა დასავლეთმა ევროპამ. ამას აქ დაერთო ახალი თქმეც: იქ, სადაც კოსმარტყლა მიწის ვენება, მას ჩამოჰყვება ერთი ჯადოქარი ასული, რომელიც იქ მავიურ მარგალიტს დებს. „ისი ღირებულებაც იმერატორ კარლოს დიდის ყველა განმს აღმეტბება. ბავშვე-

ბი გაზობდნენ ამ ძვირფასი მარგალიტის მოსაძებნად და ბალახზე დაფრქვეულ ცეპას ნახულობდნენ ხოლმე. 23). გვ. 189.

ერთ უნთ ფრანგულად დაბეჭდილ წიგნში მოთხრობილია ერთი ამბავი: მარგალიტს რომ მეტი ბრწყინვალეა მიეცეს და გაახალგაზრდადევსო, ამბობენ, თითქო ამ მიზნით მარგალიტს გადაყლაპებინებენ დღღა ქათამს და შემდეგ სკინტლიან ერთად გამოსული მარგალიტი მეტის მეტად ბრწყინვალე არისო. (იქვე გვ. 25.)

მასასადამე: მარგალიტს აქ დღღალი ქათამი ჰბადებენ : მაგამ არა „რომანული დღღალი“, არამედ დღღალი კუნძული სელიონისა! ოლინდ ამგვარი „დაბადებმა“ არ არის ბუნებრივი. იგი არის ხელოვნური და ამ ამბავში „რომანული დღღა“, თუ „დღღალი“ ნახსენებელი არ არის.

კუნძულ ზოგნოს მარგალიტის მიხედვით, ანუ მონადირეში, თავისი ძველი ჩვეულების მიხედვით, ყოველ მეცხრე მარგალიტს შუშის ჭურჭელში ჩადებენ და მასთან ერთად თითოულისათვის ბრინჯის ორ მარცვალს მოათავსებდნენ ხოლმე. მათ ჯეროდან, წინააღმდეგ სინამდვილისა, რომ ამ მეცხრე მარგალიტს აქვს სქესობრივი ვამპირებისა და სხვა მარგალიტთა წარმოშობის ძალა, ჩვეულების თანახმად. ეს შუშის ჭურჭელი დაცობილი უნდა ყოფილიყო მკვდარი ადამიანის თითო... 21). გვერდი 41. არის კიდევ სხვა ამბავი მარგალიტის წარმოშობისა. — შავბუნელ ოკეანეზე, წელიწდის ერთ დროს, ბატონებს საზნებო ქაზინო; ამ ვაშს ზღვის ძირიდან ამოღის პატარა ცხოველი, რომელს არაბულად ეწოდება „სადაფი“; იგი ვალეტს ლაუტზე: ვადაყლაპავს ოკეანის წყალს; მიდის ოკეანის ერთ წყნარ ადგილზე. შეიუნთქავს ქარს და მზის სითბოს და მეზამე ისევ ზღვის ფსკერზე ჩაბრუნდება. მის მუცელში მზადდება მარგალიტი. 12). გვ. 65.

ერთი სხვა არაბული თქმულებით, მარგალიტი წარმოიშობა ვითარცა კვერცხი . როგორც ეს ჩვევით ფრანველი, რომელიც ჩვეულებრივ თავის კვერცხს სტებენო. 28). გვ. 24..

არაბული თეორიის მიხედვით, მარგალიტი წარმოდგება ციური ცეპარისაგან, რომელიც შედის ლოკოინაში. 14. გვ. 388. ტოკიუნური თქმულების თანახმად, მარგალიტი

წარმოიშვა მეფის ასულის სისხლისაგან. მეფემ თავისი ასული დასაჯა სიკვდილით, რადგან მან თავის ქმარს გაუფიქროა საიდუმლოება ჯადოსნური მშველელისაისა. რომელიც ყოველთვის უსათუოდ ნიშნებს ადევნებდა განრისხებულმა მეფემ თავის ასულს თავი მოსჭრა და სიკვდილის წინ ქალმა ილოცა და ინატრა, ჩემნი სისხლისა წყითი. დღერთი. მარგალიტებად გადააქციეთ! ღმერთმა მას გაუფრია ეს ნატვრა და შესარლვა იგი; სასკეთისა და უძვირფასესნი მარგალიტნი მოიპოვენიან ზღვის ადგილზე, სადაც მეფის ასული სისხლი ჩაიქცა. (იქვე გვერდი 384).

**

მარგალიტის ქათამი მოხსენებულია არისტოტელესთან და იგი ამბობს, ამ ქათამის კვერცხი არისო ფორაჯიანი. ვარაო კი გვეუბნება: მარგალიტის ქათამი არის აფრიკული ქათამი, რომელს ეწოდება „მელაფაიდის“; იგი არის დიდი, ჭრელი. პლინიუს მოგვითხრობს მელაფაიდის საფლავის ამბავს: მელაფაიდე იყო კალიდონის მეფის შვილი, რომელიც დაიღუპა ვარეულ ღობაზე ნადირობისას; მისი დები ისე შეწყბნენ, რომ ღმერთებმა ისინი შეიკოდეს და გარდააქციეს ფრინველებადო. (ინოვიდისის „მეტამორფოზანი“ (8, 534 დს კხ.).

ამ აფრიკულ ქათამს ასე უწოდებენ, რადგან მას აქვს მრავალი ასპიტის ქვის რუხი ფერით ფორაჯი, მარგალიტის მსგავსის წვეთის მიხედვით — მარგალიტის ქათამი. და რადგან პოეტებს მარგალიტი და ცრემლი გაიგივებული ჰქონდათ, ამიტომ ეს სხელი მელაფაიდეს დების ცრემლებს დაუკავშირეს. და თვით გმირ მელაფაიდეს გლოვისას. საფლავზე აწყობდნენ ხოლმე მარგალიტს — ქათამთა შეჯიბრ — ჩხუბს დაღუბულ გმირთა მოსახსენებლად. 25). გვ. 324. ამ ცნობის მიხედვით, ეს მარგალიტი-ქათამი ჩვეულებრივ კვერცხსა სდებს და თვალისა ან მარგალიტის დამღებია არ არის.

როგორც გაივით ამბავი თვალ-მარგალიტის დამღები „რომანული დღღისა“, თუ „რომანული დღღისა“ ჯერ კიდევ მიუცნობელია და ამ მასალათა გასაწვავრომ აღიარებს დასჭირდეს, ამიტომ მოვიტანე ეს თქმულება-გადამოცემა-ამბავნი.

პაიზი, 1965.

ცარიელსა, ვითა მარგალიტსა... (141)

მარგალიტის ცნობილი იყო ძველ ჩინეთში, დაახლოებით სამი ათას წელს ქრისტეს წინ; იგი მოხსენებულია არის ინდო ბრაჰმანთა წიგნებში, მესხეთი საუბრეში ქრისტეს წინ, მაგრამ ინდოეთში მას უფრო ადრე იცნობდნენ; უცუველია. ინდოეთის ეპოსი „რამაიანა“ და „მაჰაბჰარატა“ მარგალიტს ასხენებს. მის აღმოჩენას ღმერთ კრიშნას მიაწერდნენ, რომელსაც იგი ზღვის ფსკერიდან თავისი ასუ-

ლის ქორწინების დღისათვის ამოუტანია. ხოლო სანსკრიტულ მწერლობაში (ქრისტეს წინ პირველ საუკუნეში) მარგალიტი („მეტაკა“ = წმიდა) ხშირად არის დასახელებული.

სპარსეთში არაწი თუმცა მარგალიტი ძველ წიგნებში — ზოროასტრულ (ზარათუშტრულ) და ფალაურ მწერლობაში მოხსენებული არ არის, მაგრამ მას უცუველია

იცნობდნენ, რადგან მარგალიტის ერთი სამშობლოთაგანი იყო და არის სპარსეთის ზღვის ყურე. ქალაქ სუსას (შუ-შან) ქრისტეს წინ მეოთხე საუკუნის ერთ განათხარში მოხრანმა აღმოაჩინა მარგალიტის ძეკვი, რომელიც დღეს ლუერს-ში არის შენახული.

ბაზილიან-ასირია და საერთოდ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მარგალიტს ოლითანვე იცნობდნენ და ეგვიპტეში ოთხი ათასი წლის წინად იყო იგი ცნობილი და მხარებული.

ისრაელშიც იცნობდნენ მარგალიტს და იობის წიგნში (28, 18) მის შესახებ არის ლაპარაკი ხოლო ახალ აღმოჩენაში ნათქვამია:

მათ 7, 6 ნუ მისჯემთ სიწმიდესა ძალთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქვენსა წინაშე ლოცხთა, ნუტყუთ დარაჯუნონ იგი ფერკითა მათითა და მოიქნენ და განხეთქნით თქვენ.

მათ 13, 45 მერმე მყავს არს სასუფეველი ცათაი კაცსა ვაჰასა, რომელი იძიებნ კეთილთა მარგალიტთა...

მათ 13, 46 და პოვის რაჲ ერთი მარგალიტი მრავალ-სასყიდლისაჲ წაშებთ და განყიდა ყოველივე, რაჲცა ეღვა, და მოიყიდა იგი.

გამოცხადება იოანესი (აპოკალიპსის) 21, 21 და ათორმეტნი იგი ბუნენ იყენს ათორმეტნი მარგალიტნი, თითოფილი ბუე იყო ერთისა და ერთისა მარგალიტისა...



რაბინულ ამბავში მოთხრობილია აბრაამისა და მისი მეუღლის სარას შემთხვევა, რომლითაც ნათელია თუ ისრაელის მარგალიტს რა ზომ აფასებდნენ —

ეგვიპტის საზღვარზე მისელისას აბრაამმა თავისი მეუღლე დამალა კიღბაში, რათა მისთვის ცოლი არ წაერთმიათ მისი სიღამაზის გამო. მეხვერუნი (მებაეებნი) აბრაამს ეუბნებიან: გადაიხდე ბაჟი. მან უპასუხა: გადავიხდი თქვენს ბაჟს. მათ უთხრეს: შენ მოვაქვს სამოსელი! მან მიუგო: გადავიხდი ბაჟს სამოსელისათვის. მათ უთხრეს: შენ მოვაქვს ოქროს. მან უპასუხა: გადავიხდი ბაჟს ოქროსათვის. მათ უთხრეს: უტყველია, შენ მოვაქვს უნაზისი აბრეშუმი. მან მიუგო: გადავიხდი ბაჟს ნახს აბრეშუმისათვის. მათ უთხრეს: კემშარბად! შენ უნდა მოგქონდეს მარგალიტები. და მან უპასუხა: გადავიხდი მარგალიტისათვის! მაშინ მეხვერემ (მებაეემ) უთხრა აბრაამს: აბა, გახსენი კიღბანი და გვაჩვენე, რა ვაქვსო შვი. მან გახსნა კიღბანი და ქვეყანა განათდა სარას სიღამაზის ბრწყინვალეობით...

წინასწარმეტყველი მამადი, როდესაც იგი სამოთხეს აღწერს, იქ მარგალიტების ქვევს ასახელებს; მამადის სამოთხეში ხეებს ასხიათ მარგალიტის ხეცა; ნეტარს შეუძლია იქონიოს მარგალიტებისაგან და სხვა თვალთა პატრიონათაგან გაკეთებული კარავი და სხვა.



ძველ ბერძენთა შორის ჰომეროსი თავის ოლილიადში (14, 183) მარგალიტს ახსენებს; აგრეთვე ოდისეაში (18, 298) და ბერძენმა იგი გაიციენს ფინიკელთა მეზობელთა.

მეხუთე საუკუნეში (ქრისტეს წინ) სპარსეთთან ომის დროს, რასაცირველია, ბერძენმა მარგალიტი ნახეს და მის შესახებ განსაკუთრებით სწერს თეოფრასტის (372 — 287 წ.წ.) და უწოდებს მას „მარგარიტს“, რაც არის გადაკეთებული სპარსული სახელი „მირგარედ“.

ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის შემდეგ მარგალიტი გავრცელდა საბერძნეთში და მან, როგორც სამკაულთა რიში აღფრთოვანება და აღტაცება შექმნა, რაც მერმე რომის შემოჭრა და ეს მსოფლიო ქალაქი ამ პატარა მარგალიტმა დაიპყრო.

რომის დასუსტების შემდეგ, როდესაც აღმოსავლეთში ბიზანტია დაარსდა (მე-4 საუკუნეში), მარგალიტთა და თვალთა პატრიონათა ცენტრი გახდა ქალაქი კონსტანტინეპოლი და ფუფუნების ბუდე — ბიზანტიურ არისტოკრატიული საზოგადოება, საერო და საეკლესიო; საერო — თავისი პირადი სამკაულისთვის, ხოლო ეკლესია ხატთა ქურქელთა და წიგნთა მორთვა-მოკაშმულობისათვის. 23) 22); 24).

რომიდან გერმანიაში, მარგალიტისა და საერთოდ თვალთა პატრიონათა მიერ აღტაცება და შემკულობა გავრცელდა დასავლეთის სამეფოებში და ყველა ქვეყნის მეფე და არისტოკრატები ცდილობდნენ ამ მატერული და მდიდარული ფუფუნებით თავი გამოეჩინათ. ხოლო ჯერაროსანთა ხანაში ერთი სანუკვარ საგანთაგანი იყო — მარგალიტი. ეფსოზი მის უწოდებს „პერლ“ (მსხლის ფორმის მიხედვით) და ამ პერლთა მამუდელი და შემდეგი ხანის სამკაული დღეს ევროპის მწველუმებს ამწვენებენ. 24).



ინდოეთში და საერთოდ აღმოსავლეთში თვალთა პატრიონათა სამკაულს ჰქონდა ზოგადი მნიშვნელობა, — მის მატარებელს უნდა რკებოდა „პატივი, მსკოვანება, სიმდიდრე, ზედინერება, სიმხნე-ძლიერება და პყრობა“ საერთოდ: კეთილად ყოფნა. 10). გვ. 300.

მარგალიტი არის სიმბოლო სიყვარულისა, სიღამაზისა, უმანკოებისა სიწმიდისა, ქალწულებისა, ტკბილი თავდაცურისა, სინაზისა, აღფრთხილისა, რელიგიური გზნებარებისა, მშფოთარე ხასიათის დამაწყნარებელი, სულის სანაწმინდისა, თავმდაბლობისა, შიშისა ღმერთის წინაშე, მშვიდისა, მოთმენა-მოთმინებისა ანუ როგორც იტყოდა შექსპირი: ვარდი დათმინისა მოთმინებისა, სიტყვისა, ცრემლისა...

ქრისტიანულ ქვეყნებში მარგალიტი არის სიმბოლო სიწმიდისა თავმდაბლობისა, შიშისა ღმერთის წინაშე, ქალწულობისა, ცხონებისა, სიტყვისა ღმერთისა (ეგრე-

ბეშქ-ისა) და სხვა. 19). გვერდი 15-18.

ყველა ამას გარდა მარგალიტი არის სიმბოლო ცრემლისა, — თვით ცრემლი.



სავლისხმა ის თქმულება, რომლითაც მარგალიტი ცრემლიან არის გადაბმული. არ შემოიღია ვიქტა, რომ მარგალიტის ცრემლად დასახვა ამ თქმულების შედეგად ჯერა ხალხში და მწერლობაში; ეგრე იმას ვიტყვი, თითქო ცრემლისა და მარგალიტის მსგავსება და პოეტური დიხატვა აღმოსავლეთის მწერლობაში ინდოეთის ამა თქმულების ნაშობი იყოს. თავის თავად კი თქმულება მნიშვნელოვანია მხატვრული შედარების განვითარების საქმეში და საერთოდ პოეტურ აღქმაში. —

ძველთა ძველად, ინდოეთის დიდ სატახტო ქალაქში მოგოლს ჰყავდა შესანიშნავი და მომხიბვლელი სილა-მაზის ასული; მის შეწვენაზე საუბარი შორეულ ქვეყნებში გაისმოდა და ყველა ერთხმად იმ ასულის სილამაზე-შეწენაზე ლაღაღებდა. ბევრი მეფე, ბევრი უფლისწული იმ ლამაზი ასულის გულის მონადირეობას ცდილობდა და მათ შორის იყო ჰაიდარაბადისა, გოლკონდისა და ბენარესის რაჯა-მეფე; მეუფე იგი უღირსად სახელოვანია და ძლიერი. თვალმარგალიტით მდიდარი, მაგრამ ხანდაზმული, თუმცა ჯერ კიდევ მხნე და ვაჟაკი. მეორე მორტყე იყო ახალგაზრდა თავადი, ოღონდ რაჯასთან შედარებით არც ძლიერი, არც მდიდარი. ისსაკვირველია დიდი მოგოლის ნორჩმა ასულმა არ შეიწყნარა ხანში შესული რაჯა და შეიყვარა ჰაბუკი თავადი.

დიდი მოგოლს, თავისთავად ცხადია, ერჩია რაჯა, ძლიერი, მდიდარი მეფე, თუმცა თვითონაც ზღაპრულად მდიდარი იყო და მასთან ერთად ფრჩად ძლიერიც; და მამამ გადასწყვიტა თავისი ასული ჰაიდარაბადის რაჯასთვის მიეთხოვებინა. მაგრამ ასული ეურჩა მას და ევრავითარმა ჩაგონებამ მასზე ვერ გასჭრა: ასული ჯიღტ უარს ეტყობდა მამას. ოდეს მამამ ყოველი იმედი დაქარავა თავისი ასული დაეყოლებინა და რაჯასთვის მიეთხოვებინა, მაშინ გაბრაზებულმა მამამ თავისი საყვარელი ასული, მაგრამ მისი ნების წინააღმდეგ აჯანყებული, შორეულ ციხე-სასახლეში გადააგზავნა, — იქნებ იქ მაინც მოვიდესო ჰქვამდა ეს ციხე-დარბაზი ეს აგებული იყო ზღვის ნაპირზე ტინ კლდეთა შორის და უდაბურ მხარეში. მამამ მას თავისი ერთადერთი მოახლენი მიუჩინა, ასე რომ საწყალი ქალი თავის მზღებელთა შორის თანაგრძობისა ევრავითარობდა; იყო იგი მარტო, ნაწყენი და მოწყენილი; მაგრამ მისი ასეთი მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე, აუტანელი და საზინელი გახდა მას შედეგად, როცა მან გაავიღო, რომ მისი საყვარელი შებრძოლებასში მისმა მტერმა მოჰკლავდა და სიკვდილის ქალბატონმა ძალი იგი თან წაიყვანათ.

ამ დიდი ტბელური ამბავის შეტყობის შემდეგ მოგო-

ლის ასული დღითა და ღამით იჯდა ავიანზე რომელიც ზღვას გადასდგომოდა. და აქედან ვადასწრებოდა იგი ზღვას, რომელიც ერთად ერთი იყო, ვისაც ეს ლამაზი ასული ეცოდებოდა; ზღვა ხან წყნარდგებოდა, ხან კი ვეგებდა; ხან ზოგავდა, შფოთავდა, ეგებებოდა ზვირთებით ნაპირს აწყდებოდა; ხან იყო იგი იავანა ამ ლამაზი ქალწულისათვის; ხან იყო აღშფოთებული და ლამაზმა შესილი ტირილი დაიწყო... ტიროდა... ტიროდა... და ეს ტირილი მისი შევლიდა. ოდნავ მას აწყნარებდა... ბერძენი ამ აივანს უწოდეს: „აკვანი წუხილისა“. „აკვანი ცრემლიანა“; ტიროდა იგი ასული და ამოშრა ამ ტირილის შედეგად მისი სიკიცხელი და ერთი დამეს, ოდეს ზღვა დაეწავდა, შფოთავდა, ბოჩავდა, ღრიალებდა, ენთქებოდა მიშასა და კას — აივანზე მყოფი დიდი მოგოლის ასული გაადაიცვალა. მიახლებებმა ნახეს იგი დილით, ნახეს იგი: პირი მისი მოღიმარი სიყვარულის ბედნიერებით...

და ცრემლი, რომელი დიდი მოგოლის ასული ციხე-დარბაზის აივანზე ზღვის წინაშე დიდი ხანის განმავლობაში უხვად ფრქვევდა, ჩასცივირდნენ ისინი ზღვას; სიყვარულის დემონი კეთილი ინება და ამ ასულის ყველა ცრემლი, ზღვაში ჩაღვრილი, მარგალიტად გარდაქცეა. და მას შემდეგ სიყვარული, ცრემლი და მარგალიტი გაუწყურდება შეკვეთრებულია და ხალხს და მწერლობა მარგალიტს სავალაუბელს ეუბნება...



არამც თუ ძველი, არამედ ახალი პოეზიაც საზღვებლობდა მარგალიტი—ცრემლით თავის შედარებებში და ხალხზე თქმულებასთან გადაბმულთა სწერებენ;

ღამის მარტოობაში კაცთა მღვივე სიზმარი გაფრინდება ზღვაზე წყლისა და ცის საზღვრამდე და იქ თავის ენებად ნატერას დატრის. ზღვის ლოკოკანანი (ზუმბონი) მათ ცრემლს იჭერდნენ და იმარხავდნენ ვულში. ვაჟ-დააქვედნენ მარგალიტად, ვითარცა ძვირფას სიყვითეს, სანამ თავის მხრე კაცი ამ მარგალიტით თვითონ არ მოიხიბოს. (იქვე).

საერთოდ: მარგალიტი, თავისი ფორმით, მსგავსი ცრემლისა, და ცრემლი ვითარცა მარგალიტი. არის სიმბოლო მუშუბარებისა, ჭირისა უიმედობისა, ვაჟირეებისა, სასო-წარკვეცილობისა და სხვა ტბელურ განცდათა. და ამავე სიმბოლოკას ეკუთვნის ცრემლ—მარგალიტთა ფერის დახასიათებაც: ქვირთა და ობოლ ბავშვთა ცრემლი გარდასიამოვნებაც თეთრი, ან ვარდის ფერ მარგალიტად; ხოლო ზოგადედ დედაკაცთა და ბავშვთა სუბუქი ცრემლი იქმნება რუს ან შავ მარგალიტად; ხოლო მამაკაცთა ცრემლი, არა ხშირი, არის უფრო მძიმე წინაშე უფალისა... (იქვე) 1. გვერდი 15.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მარგალიტი აღმოსავლეთის მწერლობაში, ეგრემოდ სპარსულში, არის ქალწულობის სიმბოლო, ხოლო მისი გახერგება — ქალწულო-

ბის დაკარგვა. იგი ხშირად იხსენება «ათასერთი ღამის» ზღაპრებში, მაგალითად: —

და იპოვნა მან იგი (ქალი) მარგალიტით. უენიშენა 2. — «რომელიც არ იყო გახურებული».

პირველ ღამეს აღმოსავლეთის ხალხს იწვიათად განიხილავდნენ როგორც მინიშნულვანს... გრძელი თეორიული გაცნობა ვენესის თაყვანებთან არ სტოვებს დიდ საიდუმლოს საქორწინო ღამისას. ადელ სწავლის უნერგავდნენ «ახალგაზრდა» პირებს, «ჯალაბის მოხუც დედაკაცთა გამჭრიახი შემწეობით ახალგაზრდა ბიჭებს მათი მხევალი, ხასების და განსაკუთრებით კი მონა - ქალების მიმართ. 12). წიგნი 11. გვერდი 322.

რასაკვირველია, მარგალიტი ვით ცრემლი ჩვეულებრივი თქმა აღმოსავლეთის მწერლობაში. «ათას ერთი ღამის ზღაპრებ»-ში ცრემლი იღვრება იქ, სადაც წყევარებულთა თავგადასავალი აღწერილი და არაბულ ზღაპ-

რებში ტრიან ან მარტო ადამიანები, არამედ ხალხი და მხეცნიც.

ცრემლი მარგალიტი დამკვიდრდა ევროპულ მწერლობაში 30). მკვლევარი ჯორჯ ფრედერისონი ამბობს: უძველესი მარგალიტის და ცრემლის წვდომებამ გამოიწვია გერმანული ანდახა: მარგალიტები ცრემლებში არიანო. 24). გვ. 16. იოჰან ვოლფგანგ კოეთე, მაგალითად: მარგალიტს ლექსს ადარებს.

რასაკვირველია, მარგალიტი ვით ცრემლი ჩვეულებრივი თქმა აღმოსავლეთის მწერლობაში, თქმა ან უნდა. მას ეფებისტაყოსანშიც ეცნობით. ოდეს ავთანდილმა — თვალათ ვითა მარგალიტი. ცხელი ცრემლი გარდმოყარა (160).

მარგალიტი დიდი საუნჯე არის პოეტურ საღაოში და სასულიად ბუნებრივია მას მკითხველი ეფებისტაყოსანში ეცნობოდეს.

თუ მოყვარე მოყვარისათვის ტირის... (31)

ჩემ წიგნში „ეფებისტაყოსანის საზოგადოებათმეტყველება“ გვერდი 229, თავისა შემდეგ „ტირილი შაჰ-ნამე“-ში გამოჩინილია თავი „ტირილი ვისრამიან“-ში, აქ შესატყვისა მხოლოდ იორილე მაგალითს აღენიწნავ; ხოლო საერთოდ ვიტყვი, რომ ვისრამიანში ცრემლთა ზღვა იღვრება — ვისი „ფრჩხილთა პირსა ივლეჯდა და ტირილი და ზახილი დაიწყა“. 26). გვ. 27. ვისის წყითელთა დაწვითა მარგალიტისებრთა ცრემლთა დგარულბერად აღდგენდა“ (იქვე გვ. 27). ძიძას „ტირილიან და მოთქმისაგან კიდევ აღაზა საქმე ჰქონდა. ტირილითა მინდორი მტკვრად შეიქმნა და მოთქმითა მთა გააყავა“ (გვ. 44). რამინი იარებოდა „თვალ-ცრემლიანი და გულ-დადაბლული“ (გვ. 53)... „ეგზომი იტირის, რომელი ტრანსამოში მისი დაიწარებოდაის“ (გვ. 113). „დავიდებ სისხლისა ღერასა თვალთაგან“ (გვ. 152). და სხვა.

ვისრამიან-ში მრავალჯერ მოისმის ტირილი, გოდება; მრავალჯერ ხედავს მკითხველი თმისა გლეჯას, პირის კაწვრას და სხვ.

ხშირი ტირილი იყო აგრეთვე ბიზანტიელთა და კერძოდ ბიზანტიის იმპერატორთა შორის. მაგალითისათვის,

ამ სიტყვებზე იმპერატორ ისაყ კონენს (1057 — 1057) თვალბი ცრემლებით ავესოო. იმპერატორმა კონსტანტინე მეათემ (1059 — 1067) შეთქმული დანაშაულმა გააყვევებთ დასაჯა — მოგვიბრძოლეს ფილოსოფოსი მიხეილ სპელლოს — იმპერატორმა სადღოდ მიმოწვია. ის ჰამის დროს შეჩერდა და დაიწყო ტირილი ამ ამბავის გამო. „აჰ — მიბრძა — ფილოსოფოსო! ისინიც ნეტავ ასე ისიამოვნებდნენ, ისინიც, რომელნიც გააყვევებულნი არიან. მე როგორ შემიძლია ასეთი სიამოვნება განვიცადო, როცა სხვები უბედურებაში იმყოფებიანაო“. 27. იმპერატორი საუბრის დროს აფორიაქებდებოდა და ცრემლთა ნიაღვრანს მოუშვებდა ხოლმე! 27). გვ. 150.

ქართულთა სიძე, ბიზანტიის იმპერატორი მიხეილ მეშვიდე (1071 — 1077) ტახტდაკარგულ რომანოს მოთხოვ დიოგენის ბედს დატიროდა (მას თვალბი ამოწვევს) და ასეულის ვეცამბობს: იმპერატორი ამის გამო ცრემლებს აფრქვევდაო (გვ. 169). და სხვა და სხვა.

ტირილი ხშირია აღმოსავლეთისა და დასავლეთის მწერლობაში, კერძოდ დანტეს პოეზიაში და საერთოდ შუა საუკუნეთა ცხოვრებაში და მწერლობაში.

თავსა რიღითა შაბითა (1131)

სახელისა „რიღე“ გარჩევას იმ დასკვნამდე მივდი, რომ „რიღე“ არის „თავსახურაი, რომელიც ბექებზედაც ვადადის და ეკრპოულ „ლინც“, — ვიმალ, — დიხა, — შლაიერ“-ი არის. (იხილეთ „ეფებისტაყოსანის ფერთამეტყველება“, ბუენოს აირს, 1953 წ. გვ. 68-71). მას შემდეგ ეს სახელი „რიღე“ ანა ერთჯერ შემხვდა და

უქანასკნელად კიდევ ინგლისელი სწავლული ბარტონ (ბურტონ) გვაცნობს.

არაბულად შესამოსელი, ტრანსამოსი არის „ჰოლოპა“; იგი შესდგებოდა შემდეგისაგან: „ბუზდ“, ან „რიდა“, ანუ: ბექებზე, მხებზე წამოსახურაი, ექსიდან ცხრა ფულამდე გრძელი და „იხარ“ („ცილიტი“), რომელიც იყო შესკნელი ან ჩაშული ქაშაშიო. 15). წ. 5. გვ. 373

თავის მოგზაურობის წიგნში იგივე ინგლისელი სწავლული „რიდა“-ს შესახებ გვეუბნება: დაბანვის შემდეგ მობანავს აძლევენ წამოსახურავს (ზეწარს). რომელიც არის უბრალოდ ბამბის ქსოვილი; თითოული მათგანი ექვსი ფუტი სიგრძისა არის და სამხანგეთი ფუტი სივანისა. — ვიწრო, წითელი ნაჭერი, ხაოიანი. მთელ ამ კოსტუმს ეწოდება „აღ ელდეკ“ კაიროს აბანოში. ერთ ასეთ ზეწარს ეწოდება „რიდა“; მას მოისხამენ (დაიხუწვენ) ზუ-

რგზე და შეიკინძვენ მარჯვენა მხარეზე; ვიშაქსტილი-ზეო. 29) წიგნი მეორე, გვერდი 139.

ასეთი ყოფილა არაბული „რიდა“; რაც ევფხისტყაოსანის „რიდ“-ს წინაპარია, უეპველაფი უნდა იქნებოდეს ევფხისტყაოსანში, როგორც ვთქვით, ეს რიდე არის მოსახურავი, წამოსახამი, რომელიც თავიდან მხრებზე გადაიდის და მთელ ზურგს ფარავს, ალბათ თემობამდე. ეს რიდე ევფხისტყაოსანში ძალიან ძვირფასი ქსოვილია და მას მამა და დედაცაუკები ატარებენ.

აბთონდოლ მაღლი შბრძანან (1249)

როდესაც ჩემ წიგნში (ევფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება, პარიზი, 1963 წ. გვ. 254) „მაღლის“ საკითხი გაეპრობე, მაშინ დავასკენი:

„ამრიგად, ევფხისტყაოსანში ცნებანი „მაღლი“, „მაღლობა“, „მივალბა“ რელიგიური ხასიათისა არიან: მაღლის თქმა არის უმთავრესად ღმერთის მიმართ მაღლობა და იხმარება აგრეთვე კაცის მიმართაც.“ (გვ. 256).

ამ დეტულების განსამარტებლად საჭიროდ მიმაჩნია შემდეგი დამატება:

არაბულ ენაზე და არაბულ ზნე-ჩვეულებაში არ არსებობს წესი „მაღლობისა“, როგორც ეს არის ევროპაში და საქართველოში. „გმაღლობით“ — არ იტყვის არაბი; მაღლობის ნაცვლად არაბი დაგლოცავთ და კეთილყოფას

და დოვლათს გისურვებთ. ევროპელები ძალიან ვაკვირებულნი იყვნენ. რომ მათ რაიმესათვის მაღლობას არ მოახსენებდნენ, სანამ ჩვეულების ვითარებას არ გაიგებდნენ ზოლზე. ასეთი დალოცვა კი ჩვეულებრივია და სიტყვას „მაღლობა“ იგი სცემის. „ღმერთმა ნუ მოგიშლის დოვლათი“; „ყოვლად ძლიერმა ალლაჰმა ამრავლოს შენი ბედნიერება“; „აღლაჰ იყოს შენი მფარველი“ და სხვა ამგვარი კურთხევა. 28). წიგნი მეხუთე, გვერდი 140.

ამაირად ირკვევა, რომ ევფხისტყაოსანის ცნებას „მაღლი“ „მაღლობა“, არაბულ ენასთან და თქმასთან არავითარი კავშირი არა აქვს. იგი არის წმინდა ქართული ქრისტიანული ჩვეულების თქმა.

შემომყარა კაეშანი, ტვირთი მძიმე.

ვითა მირსა (958)

ავთანდილი წინათობადმი ვალობაში, როდესაც იგი ზულაღ (სატურნუსს, კრონოსს) მიმართავს, თინათინისადმი სიყვარლის შემწეობისათვის, მას უვალობს — მო, ზუალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა, ჰირი ჰირსა; გული შვად შემიღებე, სინეღესა მიმეც ხზირსა; შემომყარე კაეშანი, ტვირთი მძიმე ვითა ვირსა, მას უთხარ; თუ „ნუ გასწორავა შენია და შენთვის ტირსა“

ამ ჩინებული შაირის გამო ჩემ წიგნში „ევფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველება“ (გვ. 95) ვწერდი — „ასტროლოგიურად ზუალი არის ძალმობრობის და დაცემის უფალი; „უბედური დიდი ვარსკვლავი“; მისა ფერი არის შავი.

ავანდილმა კარგად იცის ზუალის ბუნება და ამიტომაც მას სათანადო და შესაფერი თხოვნით მიმართავს; იგი ასახელებს ზუალის ბუნების თვისებებს; აღნიშნავს მისი ხასიათის ნიშნებს: — ცრემლი, ჰირი, შვავა (საშვე), კაეშანი —

„ზუალი უბედური ვარსკვლავია და მას შეუძლია ცრემლი ცრემლს, ჰირი ჰირს მიუმატოს; ზუალი „შვი“

ვარსკვლავია და მას ძალუძს ავთანდილის გული შვად შეღებოს და იგი სქელ სინეღელში, წყვილაღში ჩაავლოს; ზუალი მწუხარების შავი ვარსკვლავია და მას შეუძლია კაეშანი, ვაება — მწუხარებით ავთანდილი და ტვირთის მძიმედ ვითარება ვირო; და აი, ასეთ შავს, უბედურების ვარსკვლავს ავთანდილი ევედრება: თინათინს უთხარო, შენ ნუ გასწორავ ავთანდილს, ვინაიდან იგი შენი არის და შენთვის ტირსო. ამგვარად, ეს შავი და უბედური ვარსკვლავი ავთანდილმა თავისი სიყვარლის ამბავში მოკიჟულად გამოიყენა.

ეს აჯა, რასაკვირველია, ასტროლოგიურია და დიდი პოეტური ხელოვნებით სიყვარულისათვის გამოყენებული“ (გვერდი 95).

მკითხველი გაიგებს, ამ ასტროლოგიურ გარჩევაში, ვირისათვის ყურადღება არ მიმიქცევია, მაშინ როცა იგი ჩაწერწებებს და ყურადღებას მოითხოვს.

ეს საბოდიშო მაქვს ვირთან. რადგან იგი თავის დროზე ყურადღების მიპყრობის გარეშე დავად და მისი მნიშვნელობა შესავარისად და ღირსეულად არ გან-

ვიხილე. ასეთი დაგვიანებული ბოდიშის შემდეგ ვირიას საკითხს მივხედოთ.

მამა

ასტროლოგიაში არსებობს ფაქტით წოდებული „ჰემბდომიტური სწავლა“. რაც პლანეტათა, ანუ მნათობთა კვირულს ეკუთვნის: თითოეულ მნათობს მიეწერება და მიეკუთვნება: ღმერთი, მეტალი, ზერი, გემო-გემოვნება, ძვირფასი ქვა (თვალნი პატისანნი), მცენარე, ცხოველი, ყვავილი, ხნოვანობანი, გვამის ნაწილი—ასონი, შვიდნი ხზომლი, შვიდნი ხენი, შვიდნი ჯვარი, შვიდნი ცეხალანი საკუთხველი, შვიდნი ღდენი, გრძობანი, ქონება, ღარიანი, ანბანი, საღებავნი, სუნნი, სუნალებანი, სუნნენი, დემონი ცათა და სხვა. 29). გვერდი 2518.

ვინაიდან აქ ყურადღებას იძლევა ვირის საკითხი, ამიტომ ჩვენთვის საინტერესოა არიან ის ცხოველი, რომელიც მნათობთ მიეკუთვნება: რომელი მათგანი არის სიმბოლო რომელი პლანეტისა?

მთვარის მიეკუთვნება: რქისანი, აქლემნი, სპილენი, მოწინაურებული ცხოველი.

ოტარი (მერკურუსს): ფრინველი წყალთა, ჭიჭი-მიხინობი. (ან მგელი). ძალნი.

სპიროს (ვენუს), ვენერა: იქნენი, კანჯარი (გარეული ვირნი), ნამორნი, კაკაბნი, ღვრავნი, მტრენი, თევზნი, კალიანი.

მზეს (ქვიანი, ქუჩიანი (გარეული თხანი), ცხენი, მამალი ქათამი, არწივი.

მარიხს (მარსს): ძალნი, ფოცხვერი, ლეობარნი, ვეფხნი, საერთოდ მხენი, მიამუნნი, ღორნი, კახანანი.

მთვარის (იუპიტერს): ღომნი, წმინდა ფრინველი. **ზუალს** (სატურნუსს, კრონოსს): გველეშაბნი, გველი, ზღარბნი, მორილი, მელიბი, კურდღელი, თავენი, კატანი, ღამის ფრინველი, შინი. 29). წიგნი მესამე გვერდი 2533.

მასასადავ, ვირი მიეწერება და ეკუთვნის მნათობს ზუალს, შავს ვარსკვლავს, უბედურების მომტან პლანეტას — ზუალ-სატურნუსს-კრონოსს.

მამა

ბერძნულ კლასიკურ მწერლობაში „ვირი“ ფრიად ცნობილი ცხოველი იყო და მას გარეული ვირის ჩამოშავილად თვლიდნენ. ვირი მრავალჯერ არის მოხსენებული უძველეს მწერლობაში. აღწერილია იგი და მისი ბუნებაც შესავლისადაც დახასიათებულია. „ვირი“ — ბერძნულად: „ონოს“, ლათინურად „ონუს“ — არის: ნელი, ზანტი, დუმე ჯიუტი, ცემა-ტყვიის ადვილად ამტანი, სქესობრივად მხურვალე („პრიაპოსული ბუნებისა“), აღვირს არ მორჩილი, ცემის გამო კიდევ უფრო ურიი, დაეინებული, უჯაბი, დიდი მშრომელი, ამტანი, ბევრის არ მომბოხენი, ცეცხლის მოშინარი, ყროყინა,

უგუნური თვალებით, თავ მდაბალი, წყნარი, მშვეიდი, უჭკორი, არა მზრუნველი, ცოტას მკამელი, შემადის მომთენი, ადვილად მოსაცელი, არა ძვირი, სწავლის ან მიძღობი, და სხვა. 25). გვერდი 626. მარკინუსი

ვირი იხმებოდა ტვირთთა შვიდველად „საქმედობად“, მატარებელად: ძველად ვირებს კავალრიაც ჰყავდათ და საბარბოლო ეტლშიც მშვეილი. ნერონის მფლავის პოზეას 500 ვირი ჰყავდა, რომლის რძეში იგი ბანაობდა. 23. გვერდი 211. რომელიც სხვა ბანოვანიც ხმარობდნენ ბანაოში ვირის რძეს კანის ვასანაზემელად და ვასამშვენიერებელად. მაგარი მთავარი დანი მწველად ვირისა მინიც იყო და არის სახედაობა. ვანსკუთრებით მთიან ადგილებში და ტვირთშობილველობა. 25). გვ. 626.

ვირის სახელი ვაკეთილშობილა იესო ქრისტემ; იგი ხშირჯერ მჯდათ შვიდა იერუსალიმს ქრისტიანთა, არც ვირის ბუნება, არც მისი მდგომარეობა არ გამოცვლილა, მაგარ მინიც იგი პატივით იხსენებოდა და იმდენად, მაკამდიანთა შორის ეს ამბავი პოეზიაშიც კი არის გამოყენებული.

სპარსელი პოეტი ნიზამი განჯელი სწორედ ვირის გამო სწერს თავის დიდ პოემაში „ხოსროვი და შირინი“ — აღნათე ცეცხლი, ვითარცა ჭურბ, ამ ტაძარდ მილი, უიესოვად ვირს იძლევა პატივი როდი...

ესე იგი: იესო ქრისტეს გარეშე (უიესოვად) ვირს პატივს არ დებენო, და კიდევ —

ღირსეულ იყავთ ამ ქვეყნით რომ იბრუნებ პირსა, ჰმაძე იესუს, მეგობარო, არა მის ვირსა...

ანუ: თუმცა ვირს იესო ქრისტეს გამო პატივი აქვს, კაცმა ვირს კი არ უნდა მიმბაძოს, არამედ თვით იესოს (ქრისტესო). (ნიზამი განჯელი — ხოსროვი და შირინი, თარგმანი სპარსულიდან ამბაკო ჭელიძის მიერ, მაგალი თოდუას რედაქციით... თბლ. 1964. გვ. 396, 408. კარგი იქნებოდა სათაურად ყოფილიყო ქართულ მწველ მწერლობაში ანაირი სათაურისათვის განმტკიცებული „ნი“ ვით მავალითა: ვისპამიანი, ჯვარდ-ბულბულიანი და სხ.

ამას გარდა, ცალკე არის დასახლებული „დიდრომანი, რომ მაკამდიანთა შორის ეს ამბავი პოეზიაშიც არის გამოყენებული. —

მამა

ეფთხისტეპიანისის შირის მივეზრუნდეთ, სადაც მნათობ ზუალისადმი ვალობაში „ვირი“ არის დასახლებული.

ახლა იოლად მისახედრია, თუ აქ, ზუალთან ერთად, „ვირი“ რატომ არის მოხსენებული.

„ვირი“ მიეწერება და ეკუთვნის მნათობ ზუალს, — ასტროლოგურად ვირი არის ზუალის ცხოველი და ამიტომ ამ შირი რუსთაველს „ვირი“ შესაფერ ადვილზე აპყავს და ავთანობის ათქმევინებს — შენ, შავი ვარსკვლავი, უბედურების მომტანი მნათობი, გული მისად შემიღებე, სინბნელე-წყვილიდმი ჩამაგდე, შემომყარე კა-

ემანი-მწუხარებანი და ამ დიდი წუხილით დამტვირთვ
მძიმედ ვითა ვიროი. — ყველაფერი ეს ჩაიდინე; ყველა-
ფერს ამას მოვითმენ, ოლონდ გთხოვ, თინათინს მინც
უთხრა: აეთანდლის ნუ ვასწირავს, რადგან იგი შენი
არის და ღვთის ტირის-თქო.

ამგვარად, იოლად მისახვედრია, თუ ზულთან ერთად,
სვედა-მწუხარების ამტვირთველი ცხოველი, რომელიც

ზულას მიეწერება და ეკუთვნის. აი, რაღომ არის ვირო
მოხსენებული ვტის აღნიშნულ შაირში.

ამგვარად, ვირო აქ ორ გვარ დანიშნულებას ასკუ-
ლებს: 1. იგი არის ასტროლოგიურად სვედასმტვირთ-
ველი, 2. იგი არის ტვირთმზიდველი; აეთანდლის კემან-
სვედა-მწუხარების ამტვირთველი ცხოველი.

მადრიდი, მაისი, 1961 წ.

1) Poesia arabe. Seleccion de H. Miri. Buenos Aires, 1944. p. 112.

2) Prof. Ar. Kahn — La Littérature arabe. Paris, p. 93.

3) Prof. Dr. Henri Péres — La poésie andalouse. Paris, 1937.

4) Constantin Porphyrogénète — Commentaire par Albert Vogt. Paris, 1935. p. 130.

5) Prof. Henri Massé — Anthologie persane. Paris, 1950. p. 48.

7) Prof. J. C. Risler — La civilisation arabe. Paris, 1955. p. 211.

8) Enzyklopaedia des Islam, herausgegeben von T. W. Arnold, Th. Houtsma, R. Basset und R. Hartmann. Leiden und Leipzig, 1913. B. I. S. 329.

9) Prof. Ed. Montet — Le conte dans l'Orient musulman. Genève, 1930. p. 77-78.

10) Julius Ruska w Untersuchungen ueber das Steinbuch Aristoteles. Heidelberg, 1911. S. 14.

11) René Basset — Mille et un contes, récits et légendes arabes. Paris, 1924. vol. I. p. 79.

12) George Frederick Kunz — The Curious Lore of Precious Stones. Philadelphia and London, 1913. p. 74.

13) George Frederick Kunz — The Magic of Jewels and Charms. London, 1915. p. 394.

14) Journal Asiatique. Paris, 1868. t. II et III. M. Clement Mullet — Sur la Minéralogie arabe: — Les pierres précieuses. vol. XI. VI série. p. 131.

15) The Book of the Thousand Nights and a Night, translated from the arabic by Captain Sir R. F. Burton. London, 1894. vol. VII. p. 383.

16) Simon Hatem — L'Empire des perles et des pierres précieuses. Paris, 1956. p. 156.

17) Paulys Real-Encyclopaedie der classischen Al-

tertumswissenschaft. Stuttgart, 1909. B. XII. S. 626. Band 40. Seite 2165.

18) Ch. Daremberg et Edm. Saglio — Dictionnaire des Antiquités Greques et Romaines. Paris, 1877. tome I. p. 65.

19) The Oxford English Dictionary, 1961. vol. I.

20) William Jones — History and Mystery of precious stones. London, 1880. p. 55-56.

21) George Frederick Kunz — The Curious Lore of Precious Stones. Philadelphia and London, 1913. p. 162

22) Léonard Rosenthal — Au Royaume de la Perle. Paris, 1926. p. 190-193.

23) Félix Hermann — Les Gemmes et les Perles dans le monde. Paris, 1949.. p. 7-9.

24) The Book of the Perle, the History, Art, Science and Industry of the Queen of Gems, by G. F. Kunz and Ch. H. Stevenson. London, 1908. p. 301.

W. Dakin — Pearles. Cambridge, 1913.

25) Herald Othmar Lenz — Zoologie der alten Griechen und Roemer. Gotha, 1856. S. 211.

27) Michel Psellos — Chronographie ou Histoire d'un siècle de Byzance (976 - 1077). Texte établi et traduit par Emile Renaud. Paris, vol. II. p. 149.

28) The Book of the Thousand Nights and a Night, translated from the arabic by Captain Sir R. F. Burton. London, 1894.

30) W. H. Roscher — Ausfuerliches Lexikon der griechischen und roemischen Mythologie. Leipzig, 1897-1902. B. III. S. 2518.

29) Captain Sir Richard F. Burton — Personal Narrative of Pilgrimage to Al-Madinah and Mecca. London, 1898. vol. II. p. 139.

30) George Frederick Kunz — Shakspeare and Precious Stones. Philadelphia and London, 1916. p. 16.



მოგვცემს ზმირთა ზმით მჟჟობრთა მჟჟობისა

ძველად, ვთქვათ, მეცხრამეტე საუკუნეში, დანტე ალიგიერი ს ჰკიცხავდნენ, როგორც კათოლიკობის უკუ-მომჭმელია; ჰგომბდნენ მას ვითარცა პაპის წინააღმდეგ მებრძოლს! ჰკილადნენ მის, ვით რევოლუციონერს! განაქიქბდნენ, თითქო სოციალისტი იყო! ძაზხავდნენ: არის კაპალისტიო! ტუქსავდნენ: იგი ჰერეტისი იყო! და ჯრთი შერალო დანტეს გნოსტიკოს-მანიქეანად აძხალებდა და ეკლესიიდან მის გაძევებას მოითხოვდა...

ყველა ეს რსოვა და ჩატრატრი დრომ გააქანა და უფსჯატლში გადაჩეხა. დანტე დარჩა იგივე, როგორც იყო და მისი წმინდა სახელი ცუდი და უხამსი მოუბრაზით აწმეღახულა...

მ მ მ

ყველგან, განათლებულმა საზოგადოებამ დანტე ალიგ-პიერის შვიდასი წლის თავი აღიღესაწაულა და რასაკვირველია, ყველაზე დიდი ზეიმი მის მშობელ ქალაქში მოუწყო. იტალიის დიდი მეგოსანის შვიდასი წლის თავზე, ფლორენციაში ზეთასმა სასულიერო დიდმა პირმა მოიყარა თავი; მათთან იყო აგრეთვე იტალიის განათლების მინისტრი ბ-ნი გუი და ბაწყინვალე ინტელექტუური საზოგადოება!

სანტა გრაჩეს ბაზილიკაში კარდინალმა ფლორიტმა, ფლორენციის არქიეპისკოპოსმა, წირვა გადაიხადა და დანტეს საპატრიცეოლ ხობტა ბრძანა!

წირვის შემდეგ შევიდნენ ტაძარს იმ განყოფილებაში. — მაპისტერთუმ —. სადღე დანტე შეიდასი წლის წინა მონათლა: იქ კარდინალმა ჯიკონანიმ წაითხა დღევანდელი მთელი მსოფლიოს კათოლიკეთა უმაღლესი სულიერი მამისა და პატრიარხის, რომის პაპის პაულ მეექვსეის სიტყვა და მის მიერ დანტეს ხსენებისდმი მიძღვნილი, ოქროთი დამზადებული დავენის ვეირგვინი დასვენა...

კათოლიკეთა პაპის სიტყვით, დანტე იყო დიდი ოსტრაცი ხელოვნებაში და მოგვცა დაუზოგველი, სასტიკი გაყვითლი ცხოვრებისათვის. დანტესთან ყველაფერი დამყარებულა საწმენების, რწმენის უძლიერეს მისწრაფებასთან. — სასოება, — გულმოწყალებაზე... მის სურდა კავობიონისათვის ეუწყებინა შინაგანი გაჯანქმისა და განათლების სუფიონება, უაწყოთი ცდათა საშიშროება... მან დავვისახა ღმერთი ერთი და სამება და საიჭიოში თავისი პოეტური მოგზაურობის აღწერით გვაჩვენა იგი...

შემდგომ ფლორენციის ძველ სასახლაში შეიკრიბნენ სასულიერო პირნი, დიდი საზოგადოება და ქალაქის მოუაზრებელნი დანტესადმი მიძღვნილ სიტყვაში სულიერ მამათა მონაწილეობის დიდი მნიშვნელობა მოიხსენა, ხოლო სა-

სულიერო ხელოვნების პანტიფიკალ კომისიის თავმჯდომარემ და დანტეს ცნობილმა სპეცილისტმა მონსენიორ ჯიოვანნი ფალანინი დანტე ადიდა ვითარცა პოეტი სარწმუნოებისა და ქრისტიანობის...

მ მ მ

ქართველმა დიდმა მეოსანმა შოთა რუსთაველმა გაიზიარა დანტე ალიგპიერის ბელი, მაგრამ არა გაიკიცხა და განსვენებებით: რუსთაველის დღესავების მხოლოდ ერთი გვესმის, თავისთავად ქება უკუღმართი, მაგრამ არა გაიკიცხა და არც არავითარი გაიკილვა! არც ძრახვა და სხვა რამ ასეთი

პირიქით: რუსთაველს აქებენ, როგორც ათისტიკი იდეების მტარებელს! მას ხობტას უძღვნიან, როგორც პანთეისტ-მატერიალისტს! მას აღიღებენ, ვით დემოკრატის მობაიანტრეს! მას ხობტას ასხამენ, თითქო იგი თერისტ კოფილიოუს! აღიღებენ, იგი მუსულმანი იყო! მას უქმევენ, თითქო არის იგი მანიქეანი! მას ამკობენ, ნეო-პლატონიანი იყო! არც წარმართულობა დააკლეს მას! არც მისი ელინისტრობა დაუზრახავთ! აქებ-აღიღებენ მას, ვითარცა ქართული ეკლესიიდან განდევნილსა და დანენილს! განსაკუთრებით გუნდრუქს უქმევენ იმისათვის, რომ იგი თუმე თანამედროვეობას, «კომუნისტურ» ხანას ეხმარება! და სხვა კიდევ რამდენი უხამსობა, უმსგავსობა, მდარობა, ღნიოკობა, ფინაუფენობა...

მ მ მ

და წელს — 1966 — საქართველო ზემით აღნიშნავს შოთა რუსთაველის დაბადების რვათას წლის თავს!

მხოლოდ გონება-შერყეულ შეუძლია წაპ-მოიდგინოს, ან ვისი შეიძლება დაესიზმროს, რომ რუსთაველის იუბილეს დღეს: — საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქი ევგენ მუროე, ზემიზე მყოფთა თანადასწრებით, მიზრძანდება სიონის ტაძარში, შესარულბეს წირვას და რუსთაველის ხობტა-შესხმას ბრძანებებს!

მხოლოდ ნეკნჯალბულსა და შექანებულს შეუძლია ინტროსი, რომ საბარლო ქართველი ეპისკოპოსები მიევენ თავის სამეველო ტაძარში და რუსთაველს გუნდრუქს უქმევენ!

მაგრამ პარიზში, ღატაკ ქართულ ეკლესიაში, მამა ილია სწირავს და გადაიხდის პანაშვილს, ხოლო ქართული გუნდი ვალობას იტყვის...

მ მ მ

იქ კი, თბილისში, ესაქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის აზნაავს გივი დიმიტრის ძე ჯაეახიშვილს უკვე გამოუცხადებია: —

... მიმდინარე წელს ვიზეიმებთ გენიალური ქართველი პოეტის ... დაბადების 400-ე წლისთავს. ქართველი ხალხი უდიდესი მადლიერებით აღნიშნავს, რომ რუსთაველი იუმბილე კიდეც ერთი მკაფიო გამაზნებელია კონსტანტინე პარტისა და საბჭოთა მთავრობის შეუწყველებელი ზურგისა ჩვენი ქვეყნის ხალხთა [!!!] კულტურის შემდგომი აღმავლობისა და გაფორმებისათვის. ეს მნიშვნელოვანი საერთო-სახალხო ღონისძიება შესაძლებლობას მოგვცემს მთელ მსოფლიოს ეუწყენით არა მარტო რუსთაველის სიღიადე, არამედ ის გრანდიოზული ძეგლები და წარმატებებიც, ქართველმა ხალხმა რომ მოიპოვა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ეროვნული კულტურის დაზღვევა-ო...

«და ახლა, როცა ნათელი კომუნისტური ჰუმანიზმი — სწერია ვაზეთში «კომუნისტი» (31. 7. 66 წ.) — ყველა ქვეყნების აღმანიშნებს მოუწყობდეს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ქვეყნად ბედნიერებისა და მშვიდობისათვის ბძოლისაკენ, სახეიმიდ ელერს რუსთაველის სიტყვები: «მორიქსა სძლია კეთილმან, — არსებამისი გრძელაჲს»-ო (!!!)...

ამ სიტყვებს განმარტება არ ესაქიროება!

მ. მ. მ.

აქ მსურს გავიხსენო და გვანანელის, იოჰან ვოლფგანგ ვოგელის (1749—1832) ნათქვამი: —

«განათლებული, მხოლოდობით და უღრმესი საკითხი მსოფლიო და კაცის ისტორიისა, რომელს ყოველივე დანარჩენი ექვემდებარება, არის განვითარება სარწმუნოებისა და ურწმუნოების შორის. ყველა ის ხანა, რომელში სარწმუნოება ბატონობს, როგორი სახისაც არ უნდა იყოს იგი, არის ბჭყინვალე, გულის აღმაფრენა და ნაყოფიერი თანამედროვე და შემდგომ თაობათათვის. წინაუტყვიად: ყველა ხანა, რომელში ურწმუნოება, როგორი სახისაც არ უნდა იყოს იგი, გამაჯრეხებს ფლობს, თუ ენდა წუთიერი მოჩვენებით ბჭყინვალეობითაც ტრაბახობდეს, გაქრება მომავალ თაობათათვის, ვინაიდან არაფის არ შეუძლია სიამოვნებით უნაყოფოს შემეცნებით: დიიტანჯოს!»-ო!

არც ამისი განმარტებაა საჭირო!

მ. მ. მ.

რუსთაველის «უთქმელი» (შაირი 1250) და «უცნაური და უთქმელი» (შაირი 809) ანის დანტის «უთქმელი» («ინეფალი»), ლმერთი, «ვანება» და აი, დანტე ამბობს — ლმერთის უთქმელმა განვებამ კაცს დაუსხა ორ საბოლოო მიზანს სიდიდის: პირველი აწის საბაო სიკოცხლის ნეტარება; იგი გამოიხატება ჩვენ საკუთარ საინოებათა მოქმედებაში და განსახიერებელია მიწიური სამოთხით; მეორე არის: ნეტარება მარადული, საუკუნო სიკოცხლისა და ეს არის ლმერთის ხილვით დატკობა; ასეთ დატკობას კაცი ვერ მიღწევს ლმთებრი ნათელის და-

უნებარებლად; და ჩვენ სულს იგი წაბოლოვდება ციურ სამოთხედ. ამ ორ სხვა და სხვა ნეტარებას კაცმა სხვა და სხვა საშუალებით უნდა მიღწიოს.

პირველს (მიწიურ სამოთხეს) ჩვენ შევძლებთ ფილოსოფიურ სწავლებით, თუ მხოლოდ მას მივუძღვით ჩვენ მოქმედებაში მოზალურ და ინტელექტურ საინოებათა მიხედვით; მეორეს, ანუ ციურ სამოთხეს, ლმერთის ხილვას ჩვენ მივალწვით სულიერი-საინიტუსული სწავლით, თუ მხოლოდ მას მივუძღვით ჩვენ თეოლოგიურ საინოებათა მიხედვით და ეს არის: სარწმუნოება, სასოება და წყალობა!

— ამ დასვენით და ამ გზებს, რომელთა უნდა მივცეთ. — ამბობს დანტე, — გვაჩვენებს, უეჭველად, ერთი მხრივ კაცობრივი ვინება, — ჩვენი ფილოსოფიური სწავლა საესებით გვაძლევს; და 2) ვეცნობით აგრეთვე უეჭველად წინასწარმეტყველება სიტყვებით, იესო ქრისტეს წმიდა სიტყვებით, სწავლით მოუკლებლათა, რომელთაც გამოვეცხადეს ზებუნებრივი საინოება. — აუცილებელი ჩვენ დასწინისათვის, უცნობისათვის...

ასეთი არის დანტეს შეხედულება ლმერთისა და კაცის ურთიერთობის შესახებ, რაც მან განავითარა თავის ნაწამოებში: მონარჩიათა. აღარ გამოუდგებთ იმ საკითხს, რომ დანტეს აზრით, მონარჩია არის მსოფლიოს კეთილმოწყობელს, მშედილობს და ბედნიერების საშუალება! მონარჩია კაცობრიობას უნდა უხელომდვანელოს საერო საქმეში, ხოლო რომის პაპი კი იმავე კაცობრიობის სულიერი მამა და პატრონი უნდა იყოსო. ეს საკითხი ბძოლის საქმე იყო დანტეს ხანისა და იქვე დატკობით.

მ. მ. მ.

ჩვენ ვიცნობთ რუსთაველის მხოლოდ ევეფისტყაოსანს და სხვა რამე მისი ნაწიერი არ აწლებს. დანტე აღნიშნულ საკითხს შეეხარ ტრაქტატში მონარჩიის შესახებ — ჩვეულებრივი სიტყვით, ხოლო «დივინა კომედია»-ში მან მხატვრულად დაგვიხატა იმავე საკითხის შინაარსი და გაცხება: კაცსა და ლმერთის, ლმერთისა და კაცის ურთიერთობის შესახებ. რუსთაველის პოემაში კი კაცისა და ლმერთის და პირიქით ურთიერთობა მხოლოდ პოეტური სიტყვით და მოკლედ. სხატად არის ნათქვამი! ყველა ასეთი თქმა გარჩეული მაქვს ჩემ წიგნში «ვეფხისტყაოსანის ლმერთისმეტყველება». აქ მხოლოდ ერთ შიარხი მსურს განმეორებით შეგერტედ: ეს არის შიირი 790 — რათავთ თვია სიკრუე ყოცისა უტელობისა, მე რად ვაგწიო- მოყვარე, ძმა უმტკიცესი ძმობისა?! აა ვიქმ, კოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბძნობისა! მით ვისწავლებით, მოვეცეცს შერთვა ზესთა მწყობრთა მწყობრთა...

ავთანდილის შეხედულებით: სიკრუე არის ყოველგვარი უბედობის, უბედურების სათავე. — იგი არის ცოდვა. და რადვან სიკრუე არის ყოველი უბედურების თავი, ამიტომ მე ამ სიკრუეს არ ჩავიდუნ, მოვეყარს არ ვაგწი-

რაც და რადგან ტაილს დავპირდი მოვებუნდები შენთან-
მეთქი, ამიტომ მძობაზე უმტკიცეს მძას ვერ მოვატყუებო!
თუ ამას არ ვიქცე, მაშინ რად-და გამომადლებდა ფილისო-
ფოსთა ბრძანება, მათი სიბრძნე ეს სიბრძნე ეს ვასწავ-
ნის, რომ ჩვენ მოვეყვებით, მოვეყვებით „ხესთ მწყობრ-
თა მწყობრან“ ზეროთვა, ანუ შეერთება, მასთან მისვლა,
მისი ხილვაო!

ქრისტიანული თვალსაზრისით. — ვამბობდი, — ერთი,
ანუ ღმერთი არის მწყობრი მწყობრთა, მწყობრი ყოვლია
მსოფლიოსი... (გვერდი 370). იგი არის ღმერთი, რომელმა
მსოფლიო მოაწყო, განავო, დააწყო. ყველაფერსა და ყო-
ველივეს თავისი წესი. თავისი რიგი მისცა და დაუდგინა.
(გვერდი 387). — ღმერთთან შეერთვის, შეერთების, მას-
თან მისვლის და მისი ხილვის საკითხი სხვა და სხვა გვა-
დავ განიმარტება ქრისტიანულ თეოლოგიურ ფილოსო-
ფიაში. ღმერთთან შერთვა, მასთან მისვლა და მისი ხილვა
შესაძლებელია სიყვარულის ნიადაგზე: 1. ნომოს-სჯუ-
ლის-კანონის 2. ავაზე-სიყვარულის და 3. ეროს-სიყვარუ-
ლის საშუალებით (და კაპიტას გზით). აქ, რასაკვირვე-
ლია, ღმერთის ხილვის, „ნეტარი მკურნალი“ მისტრი-
სური მიღწევის საკითხს აუ ვებნები, ეს არც რუსთაველსა
აქვს და არც დანტეს თავი მონარქია-ში.

დანტე ნეტარების მისაღწევად ორ გზას სახავს: ერთი
არის სათნობათა მოქმედება. რომლითაც კაცი მიწიურ
სამოთხეს მიაღწევს; იგი არის გზა მორალისა და ინტე-
ლექტუალური სათნობათა. მეორე არის უმაღლესი — ღმერ-
თის ხილვა, მასთან მისვლა — რუსთაველის სიტყვით: მას-
თან შერთვა, შეერთება. ამას დანტეს სიტყვით კაცი აღ-
წევს სულიერ სწავლით, თეოლოგიურ სათნობათა მე-
ოხებით: სარწმუნოებით, სასოებით და წყალობით.

რუსთაველს, ავთანდილის თქმით, ასეთი დანაწილება
არა აქვს.

ავთანდილის თქმით. — როგორც ჩემ წიგნში დაეასკევი-
ნი, — „შეერთება ღმერთთან, ვითარცა მსოფლიოს, უზი-
ნლავი და ხილვითი მსოფლიოს მწყობრთან... დასაბუთებელია
მხოლოდ ზნეობრივი კანონით, სჯულის დასაბუთლე-
ბით, ზნეობრივ მოვალეობათა განამდვილებით, იმ ნომო-
სით, რომელიც ავაპესთან არის დაკავშირებული. ეს არის
აგრეთვე გზა „პიეტას“-სი. პიეტას არის ღმერთისმოსაკობა,
მოურძალკობათა და მოწმუნებთ რელიგიურ ზნეობათა აღ-
სრულებით“ (იხილეთ ჩემი წიგნის გვერდი 387).

ამით თავისთავად ცხადია, რომ რუსთაველსა და დანტეს
არსებითად ერთნაირი გაგება აქვთ ღმერთთან კაცის ურ-
თიერთობის შესახებ. ორივე ერთსა და იმავეს ამბობს: —
კაცს შეუძლია ღმერთს შეერთდეს, ღმერთთან მივიდეს.
ღმერთი იხილოს და მით განიცადოს უზენაესი ნეტარება
ზნეობრივ მოვალეობათა შესრულების, სიყვარულის
გზით, სასოებისა და რწმუნის განამდვილებით, ფილოსო-
ფიური ბრძნობით, რაც მორალისა და ინტელექტუალურ-სუ-

ლიერ სწავლათა, თეოლოგიურ სათნობათა გავარცხ-
ლებით არის შესაძლებელი. ეს არის ერთობა შენდრელე-
ბისა, რომელიც დამყარებულია ქრისტიანულ ქვეყანაზე
და რუსთაველი — დანტე, ორივე მტკიცედ ამსაფუძველ-
ნენ დას.

დანტეს შეიდასი წლის თავზე მისი მღვივე ქრისტი-
ანობა ყველამ აღნიშნა. რუსთაველის რვათა წლის თავზე
თბილისში, რუსთაველის ქრისტიანობაზე კინტასაც არ
დაძრავენ, მაგვარა აქ, პარიზში მაინც, ეს უნდა ითქვას და
უნდა ვაჭიო და ვადიდოთ რუსთაველი, როგორც დიდი
მორწმუნე, ვით დიდი და მღვივე ქრისტიანი!

ივლისი, 1966 წ.

**

რუსთაველის 800 წლის იავზე იუბილესათვის მზა-
დების ხანაში ვეფხისტყაოსანის საკითხებზე ბევრი სხვა
და სხვა ხასიათისა და ხარისხის წერილი იმეძლება. ზოგი
რამ პარიზშივე აღწევს და არც ხელთ ჩამივარდა, იგი
უაზრადღებოდ არ აღმოცეცია. ქვემოდ მკითხველი გა-
ვეცნობა იმ წერილებს, რომელთა დაფასება, მგონია, და-
უდგომად შეეძლება...

და წერადი დამბრახავს იმიტომ, რომ პირუფერე-
ლობა იყო ჩემი სახელმძღვანელო დებულება...

**

იტმპნის: პი, მზნომ...

თუ თბილისში როგორი ციებცხელება არის ვეფხის-
ტყაოსანის გამო გავცეცლებული, ამას არა ერთი და ორი
მავალით დადავებს. ვეფხისტყაოსანის მოსტრანე მკვლე-
ვართ აუკრძილებით აზრი, აღმოვაჩინოთ ამ პირებში და
დიდი შთაბეჭდილების მომხდენი ამბავი, — და ასეთი
მხოლოდ ისეთი რამ შეიძლება იყოს, რაც შუა საუკუ-
ნეთა კულტურის ფარგლებს სცილდება და თანამდრო-
ებამდე ვადმოდის. არც არის „ჩვენი დროის გამოძახილი“!

ასეთი ციებცხელებით შეზარბილი პირები მიაწერენ
ვეფხისტყაოსანს თუ შოთა რუსთაველს ისეთ შეხედუ-
ლებას, რაც არც თვით ნაწარმოებში არ მოიხილება და
არც მის ავტორს თვით რეკომენდის. ერთ ამგვარ
მრკვეველად, ჩემად განსაკვირვებელად, გამოჩნდა აკა-
დემიკოსი გიორგი ჯიბლაძე. მან „მნათობ“-ში (დევემბერი
1965წ.) მოათავსა წერილი შემდეგი სათაურით —
„რუსთაველის მხატვრული დეაბოზი“. იგი განიხილავს,
სხვათა შორის, მზის საკითხსაც, რომელი მე დაწვრილებით
გავაძრავი ჩემ წიგნში „ვეფხისტყაოსანის მხისმეტყ-
ველება“ და რომლითაც გ. ნადირაძემ უხვად ისარგებლა
ამ ჩემი წიგნის მოუხსენებელად. და გ. ნადირაძის არგებზე
დაყრდნობით აკად. გ. ჯიბლაძემ ავთანდილის ლოცვაში
ჩამოთვლილ მნათობთა რიგს არკვევს...

ვეფხისტყაოსანის მკითხველმა აკაგად იცის: ამ ლოკ-
ვაში მზე პირველ ადგილზე არის გადატანილი. ხოლო
შუა საუკუნეთა ასტრონომიის მიხედვით, იგი მეოთხე
ადგილზე უნდა იმყოფებოდეს.

ამ საკითხს ყურადღება მიაქცია განსვენებულმა ზურაბ
აბოშვიდმა თავის წიგნში „ვეფხისტყაოსანის საკით-
ხები“ და როგორც მოვახსენიეთ მეც დაწერილებით გამო-
ცეკვლიყ იგი.

აკად. გიორგი ჯიბლაძე ეყრდნობა რა გიორგი ნაძი-
აბის ზოგ დებულებას, ცოტა მსჯელობის შემდეგ და-
ასკენის, რომ

„მზეს მინიჭებული აქვს ისეთი რანგი, რომელიც მას
ლეთაებასთან ათანაბრებს“-ო და „რუსთაველის მზე —
ლეთაებადზე შარავანდელით მოსილი მზეა, რომელსაც
ყველა ციურ მნათობი ყოველ წამს ემორჩილება“-ო.

აქ ავტორი ერთმანეთში ურჯავს მზის მინიჭებულობას
რელიგიურ ფილოსოფიაში და ასტროლოგიაში.

რუსთაველმა მზე არის ხატი ღმერთისა. ეს არის რე-
ლიგიუ-ფილოსოფიური დებულება. ხოლო მზეს რომ
ყველა მნათობი ემორჩილება — ეს არის ასტროლოგი-
ური დებათი.

აკად. გიორგი ჯიბლაძე განიხილავს ვეფხისტყაოსანის
ორ შიორს თავისი სენსაკური დებულების გამოსაცხა-
დებლად. შიორი 836-837: „იტყვის: „ჰე, მზეო, ვინ ხტად
გოქვეს მზიანის ღამისად... ივის, ხტად ღმერთისად გიტყ-
ვიან ფილოსოფიუსნი წინანი“ და შიორი 995, 956, 957,
სადაც ავთანდილი მზეს თინათინს ადარებს: „მზესა ეტყ-
ვის: „მზეო ვეტყვი თინათინის ღაწეთა დარად“... და სხვ.

და აი, ამ შიორების გაცნობის შემდეგ აკად. გიორგი
ჯიბლაძე მოვიყვრდებს —

„შეიადრეთ ერთმანეთს ავთანდილის ეს ორი მიმართ-
ვა მზისადმი, ჩაუყვირდით ორივეს ღამა აზრს, წარმო-
იდგინეთ რა ადგილზეა მოთავსებული ლეთაებასთან გა-
თანასწორებული ზუნების ეს საოცარი ფენომენი და
თქვენ უეჭველად დარწმუნდებით, რომ ორივე შემთხვე-
ვაში მზე ენტრად არის ქვეული, ხოლო ყველა და-
ნაზინი ციური სხეული მის ირველივ შემოკრებილია,
როგორც სუზერენს გარს ახლავან მისი ვასალები. აქედ-
ან ზუნებრივი და ლოღიჯრი იქნება, თუ ეფიქრებთ,
რომ რუსთაველისათვის ჩვენი სამყაროს ცენტრი მზეა
და არა დედამიწა, მისთვის პელიოცენტრიზმა უმზარი-
ტება და არა გეოცენტრიზმი“ („მნათობი“, გვ. 100).

არა, ბატონო ჩემო, თქვენი წერილის მიხედვით
„უეჭველად ვერ დავრწმუნდები“, თითქო ვეფხისტყაო-
სანში პელიოცენტრიზმი იყოს გამოსახული. უეჭველად
კი დავრწმუნდები, რომ აკად. გიორგი ჯიბლაძის და არც
ზემოდასახელებულ წინამორბედებს ბევრი რამ არ გაე-
გებათ არც ასტრონომიაში და არც ასტროლოგიაში, რო-

მელს ვეფხისტყაოსანში დიდი ადგილი უკავია ისე, ვით
დანტესთანაც და საერთოდ მაშინდელ აღმოსავლეთისა
და დასავლეთის მწერლობაში.

ქართულში

თუ ასე ძალიან სურთ თბილისში აღმზანანისაგანლი
ასტრონომია“, ანუ „პელიოცენტრიზმი“, მაშინ იქნებ კე-
თილი ინებონ და გაიწონ ცნობილი სპარსული მწერალის
ნიშამი განჯელის ასტრონომია, — იქნებ იქ მონახონ
„უკეთესი საბუთი“...

აკად. გიორგი ჯიბლაძე მიმოიხილავს კიდევ მზის სა-
კითხს და ისე მსჯელობს და ისეთი საბუთი მოაქვს, რაც
„აღარა ღირს ა-ცა ჩიარად“ (შიორი 787) და მოკლებუ-
ლია მეცნიერობას, სამწუხაროდ.

ამ წელს ალბათ ბევრი წერილი, ნარკვევი, თუ ნაკე-
ლვეი დიბეჭდება და მოველი ისეთ წერილსაც, რომლი-
თაც ვინმე დაგვიმტყიცებს: ვეფხისტყაოსანის „ღამის
მზე“ რუსთაველს თვითონ პირადად აქვს ნახული და იგი
მან ნახა იმ ქვეყანაში, სადაც მზე მისი - ივისი - ივლის -
ავგისტოში — ოთხი თვის განმავლობაში არ ჩაღის და
ღამითაც ანათებს. ამ ქვეყანას ჰქვია საერთოდ ჩრდილო-
ეთი და კერძოდ: ლაპლანდია და აი, რუსთაველს —
გვეტყვიან — უმოგზაურაო ლაპლანდიაში, რატომაც
არა? ან იქნებ ჩრდილოეთის პოლუსზე ოთხთვიანი მზე-
ნი და იმე ვერ იხილა რუსთაველმა! სამაგიეროდ, სამხრ-
ეთის პოლუსზე იმოგზაურა და იქ დატკა ჩაუვალი მზის
ქვერბითი, რატომაც არა?!

მშა მტირალი 70 ღღა ზღმისს პირსა მიშა ბზსსა

ხომ გამოარკვია ბატონმა დიმიტრი ქუმსიაშვილმა
„ვეფხისტყაოსანის გეოგრაფიული გარემო“, თუმცა ამი-
სათვის შიორის ვაყალებუც დასჭირდა! ეს მისი წერილი
გამომგზავნებს შესთავსებლად. მაგრამ იგი იგივე აბუჩად
ამგდებ და უპასუხმგებლო წერილად ჩავთვალი, რომ
ხმაც არ ამომიღია. მაგრამ სხვამ არ დასტუვა იგი უპა-
სუხოდ და ბზნს ს. ციონვილმა და ნ. ნათაქმე მისი კვლ-
ვა სათანადოდ უარყვეს.

ქართველთა შორის კრიტიკა მგჯად ძნელი საქმეა;
კრიტიკოსი თუ ვაყაკი და გმირი არ არის, მას ცუდი
დღე დაადგება. — დამღრუბა რა მოსტანია! ავტორი
საზღადმო მტერად ვადავყოფება. ეს პირად გამოკვი-
ლიპით შეშავნია.

ბ-ნი გ. ქუმსიაშვილი უკმაყოფილო დარჩენილი ბბ. ს.
ციონვილმა და ნ. ნათაქმე უაყუფითი დაუთსებით და
ახლა, 1965 წ. დეკემბერის „მნათობ“-ში იგი „მტრებს“
ანგარის უსწორებს წერილით: „პასუხი რეცენზენტებს“.

ღ მათ „გასანადგურებლად“ ისეთი გაუტყებელი, შეუ-
ტყებელი, ურყვევი და შეურყვევი საბუთი მოაქვს, რომ ალ-
ბათ კინტს ველარაინ დასძრავს... რა საბუთი არისო?!
— იკითხავთ და გვაჯანოთ —

„მარქსისტულ - ლენინური მსოფლმხედველობის მიხედვით, არც ერთი თვით ყველაზე უფრო დახლართული და ბუნებრივი ფანტასტიკური წაზომოდინაც კი არა ადამიანის გონების წმინდა სუბიექტური ქმნილება... შემოაღიწმენილი მარქსისტული თვალსაზრისიდან გამომდინარეობს საყოველთაოდ ცნობილი დაბეჭდვითი ამის შესახებ... და სხვა და სხვა. აბა! ედავეთ!

მე, რუსთველი ხელოვანი...

აშკარა ეგვიპტისა და ალბათობის პირობებში ვიმყოფებით. როდესაც რუსთველოლოგის სარგის ცაიშვილი რუსთაველის ცხოვრების გაცნობას ცდილობს.

ავტორი მიმოიხილავს ყველა დღემდე არსებულ მოსაზრებას: ვანიკითხავს ყველა ბუნდ შეხედულებას (რადგან მართალი არც ერთი არ არის), და თითოთი ეგვიპტის სობის და ალბათობის მიხედვით მსჯელობს ზოგ ხელშეუსახებ მასალაზე დაყრდნობით. („მნათობი“. თებერვალი, 1966 წ.). ეს არის საკმაოდ მოკლედი მოჭრილი, ვასაგები სიტყვა სხვა და სხვა თეორიის შესახებ. არავის დაზარება ითვის იცნებათ თხუზღება დაიწერა რუსთაველის ცხოვრების შესახებ. და ზნი სარგის ცაიშვილი თავის მოსაზრებას გევიზიარებს — შეიძლება რუსთაველი ყოფილიყო თამარ მეფის დროის მინდარტოთხუციკა ჰიპატერის შვილი და იგი გამხარა თამარის მეტურქული თხუციკის ანუ ავტორის სიტყვით — „ხომ არ უნდა ვიფიქროთ. რომ იგივე სახელი (მეტურქული თხუციკის) ამ წლებიდან (1205 — 1220) შეიძინეს მანამდე მანდარტოთხუციკსად მყოფმა ჰიპატერმა ან მისმა ვაჟმა შოთა თორელმა? სხვა პრეტენდენტი ამ ხანებში, წყაროების მიხედვით, არ ჩანს“—ო. 2. „მნასადამე, უფრო რბილურად ჩანს იმის დაშვება, რომ შოთა თორელმა, შემდეგში მეტურქული თხუციკსად, რუსთველობა მიიღო თორშივე შემავალ რუსთაველიან, რომელიც მას ალბათ, როგორც თორელთა საგავერჯლის წევრს, სამამულოდ ბოზა“—ო. 3. „დასასრულ, რუსთველობა მის მიღლა ვითარცა შეღწილება თორელთა სამფლობელოში შემავალი, იმ დროისთვის, ალბათ, ციხე-სიმაგრედ ქვეული მესხეთის რუსთაველიან“—ო. და სხვა.

ეს მკვლევარი მით განსხვავდება სხვა მკვლევართაგან, რომ იგი ალბათობის გარემოში რჩება და თავზე არავის ახვევს თავისი ეგვიპტის შესხედულებას.

სად არის შოთას საფლავი!

ასე ვერაოდნენ ზოლმე თბილისელი აშულები... ისინიც ეძებდნენ შოთას საფლავს... ხალხიც ეძებდა შოთას საფლავს... მეტყინებოც ეძებენ მას... ყველა ეძებს. ვერაოდნე პოეულობს...

რუსთაველის რეასი წლის თავზე დღეობისთვის პროფ. დრ. იოსებ მეგრელიძემ დაბეჭდა მცირე ტრინი წიგნაი. რომელიც თავისი შინაარსითა და ფაქტობრივად გამოკვეთილი დიდ სქელ ტრინან წიგნს ანაბეჭდვით წიგნაი იწოდება: „შოთა რუსთაველი ზეპირსიტყვიანობაში“ (თბილისი, 1965 წ. 34 გვერდი). პროფ. დრ. იოსებ მეგრელიძემ თავისი სადოკტორო სამუშაოც სწორედ ამ საკითხს მიუძღვნა.

ვინაიდან რუსთაველის ცხოვრებისა და თავდასაგავლის ნამდვილი ამბავი არ ვიცით, ამიტომ ხალხურ ზეპირსიტყვიანობას მნიშვნელობა ენიჭება და ეგვიპტის გზით და თვით ეგვიპტისთვის ტექსტის მხედველობაში მიღებული, შეიძლება რუსთაველის ვინაობაზე ერთგვარი წაზომოდინება ვიქონიოთ. აი, ამ საქმეს ემსახურება ეს პატარა, კარგი წიგნაი, რომელიც მოკლედი, შეკუმშულად ბიოგრაფიული ალბათობის საკითხს განიხილავს.

ავტორი არ მარჩიელობს, არც მკითხაობს, არამედ ზეპირსიტყვიანობის მიხედვით თავის მოსაზრებას გევიცნობს. წიგნაკს დართული აქვს რუსთაველებზე თქმულებათა და ეგვიპტისთვის ხალხური ვერსიების გეოგრაფიულად გავრცელების რუკა. რაც ნათლვ გვიჩვენებს, თუ რაოდენ ფართოდ ყოფილა რუსთაველის შესახებნი თხრობანი გავრცელებულნი.

ამ წიგნაკში დრ. იოსებ მეგრელიძის ზოგი ასეთი ვადმოკვება და თქმულება სამაგალითოდ მოაქვს და საკითხის გარკვევის შემდგომ გვეუბნება —

1. ხალხის თვალში რუსთაველი არის წარმოშობით მესხი. (იგი არ არის ჰერეთელი, როგორც სხვანი ამტკიცებენ).
2. რუსთაველი ყოფილა შეძლებული გვარის შვილი. ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენელი;
3. რუსთაველს კარგი განათლება მიუღია (უცხოეთში);
4. რუსთაველს ოჯახური უსიამოვნება ჰქონია;
5. რუსთაველი ყოფილა თამარ მეფესთან თანამდებობით დაახლოებული პირი;
6. რუსთაველი ვარდაცვალებულა ღრმად მოხუცებულნი, სამშობლოს გარეთ;
7. ამას ზედ ერთვის კარგა მგარად ფესვადგმული თეორია, თითქო რუსთაველს „ფეოდალური იერარქიისა და სასულიერო წოდების“ პირები უწინააღმდეგეობდნენ და „აიძლეეს სამშობლოდან გადახვეწილიყო“ (!).

რაც შეეხება რუსთაველის დაბადების წელიწადს აქ დრ. იოსებ მეგრელიძე, ასაკვირველია, ალბათობის ნიღბად დგას და ამას იგი გარკვევით გვეუბნება —

„ვადმოკვების მიხედვით დაბადების ზუსტი თარიღის დადგენა შეუძლებელია, მგარამ ვთავაზობ დაწვრილ მანინც შეიძლება“—ო და ამ შემთხვევაში იგი ცნობილ „ვარაუდის“—ს. პროფ. პ. ინგოროყას იმოწმებს —

„შოთა რუსთაველი დიბადა 1160-იანი წლების მეორე ნახევარში, 1166 წლის ახლოს“-ო.

„არაა ეს შეუძლებელი თარიღი“-ო — დასძინს დრ. იოსებ მეგრელიძე.

ამგვარად, ცხადია რომ შოთა რუსთაველის 800 წლის თავზე დღობა არის ალბათობის საფუძველზე დადგენილი — 1166 წელი!

ამ პატარა წიგნაკში ყველაფერი ნათელი არის, ეგვიპტისა და ალბათობა.

საქართველოში კარგა ხანია განამტკიცეს ტრადიცია, რომლის თანახმად რუსთაველს ებრძოდნენ, რუსთაველს სჭამდნენ სასულიერო პირები და სხვა. ამ ტრადიციას ბევრი მისდევს და კერძოდ, არ-გაყვლა ვერც დრ. იოსებ მეგრელიძეს მოუთმენია. იგი ვეუბნება —

„რუსთაველის სიდიადე იმაში მდგომარეობს რომ მინათები უყვადვი იდებენ გამოსახა ვანუფორებელ მხატვრულ ფორმაში ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც რელიგიური - მისტიკური აზროვნება იყო გაბატონებული და სასულიერო მწერლობა გზას უხშობდა საერო მწერლობას“-ო.

დაბაკ: სასულიერო მწერალთათვის სასიამოვნო არ იქნებოდა საერო მწერლობის, სატრფიალო ლიტერატურის გაჩენა, მაგრამ იგი არც გაბატონებული ყოფილა და ვერც გზას დაუხშობდა საერო მწერლობას და ამის საუკეთესო მაგალითი არის ქართული ვისრამინი, რომელიც უფრო ადრე ხანაშია გაჩენილი და შიშველ ხორციელ სიყვარულს გვაჩვენებს. ასეთ რამეს ვი „დაუხშო გზა“ სასულიერო წოდებამ და მით უმეტეს მაღალი, წმიდა სიყვარულის ვეფხისტყაოსანს ვერას დააკლებდა, თუ კი მასთან ბრძოლას მოისურვებდა. მაგრამ სად არის ამ ბრძოლის საბუთი?! ვის აქვს იგი?! გამოაჩინეთ, ვთაყვია!

თებერვალი, 1966 წ. ცაქრის.

პაცი არ ჟებლა სწორია,
ღიღი ძის კაციმ პაცამღვი,

დიდად სამარცხენოდ მიაჩნით საქართველოში აეტორმა უარყო თათვის ძველი შეხედულება; მაონია, თათვის მოსაყვალ სამქედ თოვლება ერთჯერ გამოთქმული დებულების უკუგდება და ახალის გამოქვეყნებით აზრის გამოკვლის აღიარება.

ევროპაში ასეთი რამ არც იშვიათია, — მხოლოდ ერთ მაგალითს დავასახელებ: დიდად ცნობილ მეცნიერს, ჯ. მუნსენს... ამ განცხადებით — ამბობს იგი — მე აღვიარებ, რომ არ იყო სწორი ჩემ მიერ უწინდელი გაიცივება ბლავიურის აუტრიზმისა და ფარანის აუტორიტეზმისა და ეს უკანასკნელი უკან მიმაქვს-ო. ამას მიკარნახებს ჩემ მიერ შესრულებული საფუძვლიანი გადასინჯვა ცნებისა ლიბილი-ო. (იხილეთ მისი შრომა: „ლიბილი“).

პროფ. ნიკო მარბი ამ წესს მიმართავდა ხოლმე და იტყვობდა: მაშინ ისე ვეჭვობდი, ახლა კი ასე ვეჭვობა! ეს იყო მისი დიდი ღირსება, მაგრამ უეჭველად შეგნობ: არ ფიქრობს ამგვარად. და როცა ახალი დებულებას მოტანას სურთ, ძველად გამოთქმულ მოსაზრებებს სრულიად არ იხსენიებენ, თითქო არც კი თქმულიყოს!

ამის საუკეთესო მაგალითს ვთავაზობს აკადემიკოსი, პროფესორი შალვა ნუცუბიძე.

უკანასკნელად აკად. პროფ. შ. ნუცუბიძემ გაგვაცნო ასეთი მაგალითი თურნალი „დროშ“-ის 1965 წლის დეკემბრის ნომერში — „სიკეთე განაწილებული კაცთა შორის“.

თუ კი მკითხველს ახსოვს, რა დასწერა აკად. პროფ. შ. ნუცუბიძემ ამ საკითხზე ძველად და რას სწერს იგი ახლა, ეს მხოლოდ გაკვირებას გამოიწვევს...

აკად. პროფ. შალვა ნუცუბიძე გვიმტკიცებდა: ვეფხისტყაოსანის შიორში
კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის (952)
იესო ძრისტტეზე არისო ლაპარაკი...

აკად. პროფ. შ. ნუცუბიძე თავისი „ქართული ფილოსოფიის ისტორია“-ში (თბლ. 1958, წიგნი მე-2, გვ. 218), გვასწავლიდა — (თუმცა მისი სწავლა არ მივიღე, მაგრამ გავიგე) — „მეორე ადგილი თითქოს **შერადპირი მითითება უნდა იყოს ქრისტეზე**. ეს ადგილი შერყენილი ჩანს: „**კაცი არ ყველა სწორია**, დიდი ძეს კაცით კაცამდის“. ეს მეითხე მუკარია 952 სტროფისა. თანამედროვე ქართული სათავის შეიძლება გაუგებარი იყო ზნა — „ძეს“, რაც ნიშნავდა ახლანდელ „ძეს“. რა აზრი აქვს ფარნაზს — „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს“ კაცით კაცამდის“? ამ ფარნაზს ასეთი სახით არავითარი აზრი არ მოუბოვება, რადგან უწინადადებს ქვემდებარე აკლია ხოლო ზნის ფორმა უწინად უაზროა. აქ შესაძლებელია, ეს ფორმა უცვლელი დარჩას ძველი დროიდან და ძეს კაცით რაღაც სხვა რამეს უნდა ნიშნავდეს“-ო.

რას უნდა ნიშნავდეს? აკად. პროფ. შ. ნუცუბიძე გვიხსნის — „ეს ვასაგები ვახლება, თუ მეგველობაში იქნება მიღებული, რომ რუსთაველი არეოპაგისტული, ესე იგი, ქართული ნეოპლატონიზმის ნიადაგზე დგას და ამ შემთხვევაში მით შორის ერთგარი საფუძვლები ვეყარება, სახელიდაზ: იერარქიის პრინციპს, რომლის მხედვეთი ქვეყანა წარმოიღვივნება საფუძვლებრივად, სადაც ადამიანებზე კი არ არიან ერთი და იგივე, ყველა არაა სწორი, არამედ მით შორის ერთგარი საფუძვლებრივი წყობაა, რიგები ანუ სირაბა. კაცის ცნებაში უზნაღესი საფეხნარი, ცხადია, არის ღმერთ-კაცი ანუ ძე ღვთისა — სხვა-სხვადა — ქრისტე, მისი შემდგომი საფუძვლები სხვა და სხვა ვითარების კაცები იქნებოდნენ და ასე უზრალა კაცადე. რადგან რუსთაველის საფილოსოფიო თემა ამ შემთხვევაში კაცია, ამიტომ იერარქულად გაგებულ ქვე-

ყანაში კაცთა შორის სწორობის არყოფნა გამოიხატება — ზემოდან ქვემოდ იერარქიულად — ძე კაციდან უბრალო კაცამდე, რომელიც არც გვირია, არც სხვა რაიმე თვისებით გამოჩნეული“ და სხვა.

აი, ეს კაცი არის, რასაკვირველია, იესო ქრისტე... ასე ფიქრობდა აკად. პროფ. შ. ნუტუბიძე 1958 წელს. ახლა კი აკად. პროფ. შ. ნუტუბიძე გვიბრძანებს: — „დადგა დრო, როცა რუსთაველივით ხელი უნდა მოვიდოს რუსთაველის სიტყვანმარტვის შესწავლას მისი არეოპაგიტული წარმოშობის თვალსაზრისით“-ო.

და აი, აკად. პროფ. ასეთ სიტყვანმარტვად ზემო აღნიშნულ შაირს გვირდევს და გვიმტკიცებს: ამ შაირში — „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის“ — სიტყვა „დიდი“ უნდა განიმარტოს და ამით ეს შაირი გასაგებ გახდებაო.

როგორც სათანადოდ ბრძანებს აკად. შ. ნუტუბიძე სიტყვა „ღიცი“ არეოპაგიტის თხზულებაში არის სახელი ღმერთისა: „ღვთაების სახელდება“. ეს ყველამ კარგად იცის, ვინც ფსევდო-დიონისე არეოპაგელის (როგორც მას აკად. შ. ნუტუბიძე უწოდებს: პეტრე ბიროილის) თხზულებების იცნობს: ავტორი არცვებს ამ „დიდ“-ს მნიშვნელობას და ამბობს: ეს ცნება „დიდი“ უდრისო, როგორც ღმერთს, ისე უმაღლეს სიკეთეს, სინაოლეს, სასუბობას და ა. შ. ამდენად, აქ ღმერთი, დიდი, სასუბობა და უმაღლესი სიკეთე ერთი და იგივე ამბავია. მაშასადამე, „დიდი ძეს კაცით კაცამდის“ შეიძლება წაიკითხოთ არა მარტო ისე, რომ „ღმერთი ძეს კაცით კაცამდის“, ანუ სიკეთე ძეს კაცით კაცამდის; კაცის მიმართება „დიდისადმი“ ცვალებადია, რადგან „კაცი არ ყველა სწორია“; ცხადია, რომ აქ მიზეზი ამ უსადარობისა არის კაცის ღიღისადმი „მსგავსების“ ესე იგი, „მიახლოების“ საფუძერებრივობა, არის „განდმერთობის“ სხვადასხვა ხარისხი. ამისგან დამოკიდებულია სიკეთის მიღების ანუ „დატენების“ სხვადასხვა „ოდნობის უნარი“-ო, — და ასაკისა აკად. შ. ნუტუბიძე და სხვა მწერლების შემდეგ დასძენს — „ყველა ზემონათქავემოდან ცხადია, რომ „დიდი“ უნდა ითარგმნოს როგორც „სიკეთე“, განაწილებული კაცთა შორის; „მისი დატენების“ მიხედვით. მაშასადამე, სიკეთე, როგორც „დიდთა მისისა (ღმერთისა — შ. ნ.) სიღიღისაგან მომცემლობისა“, „ძვეს კაცით კაცამდის“ და ქმნის მათს უსწორობას. რუსულად ეს იქნებოდა: ნე რაენი დრუგ დრუგუ ლიუდი, ბლაგო ვ ნიხ — იხ გრან მირსკიაა“.

ასე იტყოდა აკად. შ. ნუტუბიძე, მაგრამ ეს მის მიერ შესრულებული რუსული თარგმანი შეადარეთ ეფესოსე-ტყაისანის შაირს — „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის“!

თუ გინდ აღვიართო ის დებულება, რომ „დიდი“ არის

„ბლაგო“, რა შეუშია არის აქ „იხ გრან მირსკიაა“? გაუგებარია! „იხ გრან მირსკიაა“ სრულიადც არ გამოხატავს „დატენებას“, კაცთა მიერ სიკეთის მიღებას. რაინაობის სხვა და სხვა ხარისხს.

მე კი მგონია, აქ არ არის „სიკეთე განაწილებული კაცთა შორის“. რატომ? მიზეზი, რომ „ღიცი“ არის ლაზრის ღმერთისა, ისე როგორც მრავალი სხვა სახელი, ვით მავალითად: ნათელი, — კეთილობა, ტრფიალება, ნამდვილეობა (ცხოვრება, მტრობა, ყოვლის მპყრობელობა, სხვაობა. მსგავსობა, უმსგავსობა, დღობა, ძევა, გონება, სხვა და სხვა. მაშასადამე: ცნება „დიდი“ არის ერთი მრავალ სახელთაგანი ღმერთისა და ეს სახელი „დიდი“ არ შეიძლება სხვა რომელიმე სახელზე გადატანილ იქნეს, ან შეენაცვოს რომელიმე სხვა სახელს, თუ გინდ, მავალითად სახელს „სიკეთე“; ასეთი შენაცვლებითი არეუდარევა ამ სახელთა შორის არ არსებობს და იგი ნამდვილადევი არის.

ამას გარდა გარკვევით უნდა აღენიშნო, რომ ჩემი აზრით, სიტყვა „დიდი“ არ არის რელიგიური ცნება და ამ ლექსის განმარტება გაუგებარებს არც უნდა იწყვეთ. ან რაა აქ გაუგებარი? ეს ლექსი — „დიდი ძეს კაცით კაცამდის“ — კაცის გარკვეულ ღირებულების, ღირსების დებულებას შეიცავს.

მარჯერი უორირობის ეს ადგილი ინგლისურად ასე აქვს გადათარგმნილი — „კაცი არ არიან ყველანი თანასწორნი; არის დიდი განსხვავება კაცსა და კაცს შორის“-ო.

ეს სწორ და გასაგებ თარგმანად მიმაჩნია. აქ არის განსხვავება ფიზიკური და ზნეობრივი — კაცთა შორის.

ბ-ნ სერგო წულაძის მიერ აღხაზან ფრანგულად ნათარგმნ ვეფხისტყაოსანში ეს სტრიქონი ამგვარად არის გაგებული და გადათარგმნილი —

„კაცი არ არიან თანასწორნი, მათ შორის არის დიდი, (მრავალი) მანძილი“-ო.

ეს არის სწორი და კარგი გავება. მადლობა ღმერთს აქ გაუგებარი არაფერია. ამ ლექსით წარმოდგენილია კაცის ღირებულების, კაცის ღირსების, ვარგისობის დებულება და ამ დებულებაში ჩაქსოვილი არის ზნეობრივი ღირებულება.

არ ვიცი, ვინ გამოაცხადა ეს სტრიქონი გაუგებარად. აუხსენილად. ყოველ შემთხვევაში, თუ ეს ლექსი აკად. პროფ. შალვა ნუტუბიძის გაუგებარად მიაჩნდა, რატომ არ შეასწორობინა მან იგი ბ-ნ სერგო წულაძეს თარგმანის ცული ექსპერტობისა?!

პირადად ჩემთვის, ეს ლექსი არასოდეს გაუგებარი და მისი აზრი საუკუნოვანი არ ყოფილა და მესმება ყოველივეს სრულიად გარკვეულად: ყველა კაცი არ არის სწორი, კაცთა შორის არ არის თანასწორობა; მათ შორის

ძეს (ძემს), კაციდან კაცამდე არის დიდი მანძილი, ანუ დიდი განსხვავება — ცხადია: ფიზიკურ - ზნეობრივი თვალსაზრისით. და აქ არეოპაგელის „დიდი“, რომელიც აღმართის ერთ - ერთ სახელად იხმარება, მოსატანი არ არის.

ცაქრობ, თებერვალი, 1966 წ.

მიპარავით მოკალ სსსიძო

იურიდიული თვალსაზრისით ვეფხისტყაოსანი გაუ-სინჯავს ვახტანგ აბაშმაძეს („მნათობი“, იანვარი, 1966) და მას ჰკონია, ვეფხისტყაოსანში —

„დახასიათებული იდეატური საზოგადოებრივი ურთი-ერთობების არსებობას რუსთაველი გადაჭრით უარყოფს ბრალის ვარგაშე პასუხისმგებლობას და მოითხოვს პასუ-ხისმგებლობის საფუძვლებების განსაზღვრას ანა ობიექ-ტური შერაცხვის პრინციპის მიხედვით, არამედ ბრალი-სა და სამართლიანობის (კანონიერების) მიხედვით. ვე-ფხისტყაოსანის სიუჟეტის ვანჯითარებისას პოემის მთა-ვარი გმირების მოქმედებათა იურიდიულ შეფასებას სა-ფუძვლად უღედს ბრალის ცნება“-ო.

ასე ფიქრობს ბ-ნი ვახტანგ აბაშმაძე და ეს მისი ფიქ-რი ფანტაზია ხომ არ არის; მას იგი ალბათ საკითხის შე-სწავლის და გამოწვევით შეედგება დაადგა. მაგრამ აქვე, ვახტანგ აბაშმაძის მსჯელობას ქვემოდ რომ არ ჩა-ვეყვით, ერთი ხელწამოსაკრავი საკითხი წარმოისახება — სად, რომელ ქვეყანაში (და ისიც „იდეალური საზოგა-დოებრივი ურთიერთობის არსებობისას“), რომელ ჩამო-რჩენილ, თუ ჩამოუჩრენელ მხარეში იყო აღიარებული და განამდგელებული „ბრალის ვარგაშე პასუხისმგებლო-ბა“? რომელ ხანაში და რომელ ქვეყანაში ბრალს არ და-სდებდნენ, დანაშაულის ჩადენას არ დაბარალდნენ და კაცს ისე პასუხისმგებლობას არ მოითხოვდნენ?!? ბრალის დადება რომ არ არსებულყო, მაშინ არავის დასჯიდე-ბოდა ნავალისმდე დანაშაულები გამოტყისათვის მრავ-ალ-მრავალი სატანჯი იარაღისა და საშუალებების გამო-ვრება! ყველან ბრალის გამოძიების ამ გვარი სხე არსებობდა და დღესაც არსებობს სხვა, უფრო ლობიერ საშუალებათა ძალით; ხოლო ბედნიერ სოციალისტურ ქვეყანაში არსებობდა გამოსატყებლ არა - ადამიანური სიმკაცრე, სისასტყე, მგეგმელობა, წვალება, დაუზოგ-ველობა, ჯალათობა, მგეგობა, კედის ვახეთქა ტყვიით და კიდევ რამდენი რა... გაუფონარო...

„ვეფხისტყაოსანიდან ნათლად ჩანს — გვეუბნება ბ-ნი ვახტანგ აბაშმაძე — რომ მე-12 საუკუნის ფეოდალური საქართველოში უკვე იცნობენ ბრალის ცნებას და იგი მიაჩნიათ პასუხისმგებლობის საფუძვლად“-ო.

მაგრამ ამისთანავე მას ეკვი ევარება: გაურკვეველი

არისო ფეოდალურ საქართველოში ბრალის ცნება. და ამის ვარკვევითის დიდი მნიშვნელობა ეფხისტყაო-სანის გმირთა მოქმედების უფესესებს შორის: ჩა ენა-ხით ახლა: ვის უყენებს ვახტანგ აბაშმაძე მსჯელობას ამ პოემაში?!

ბ-ნ აბაშმაძეს ჰკონია: „რუსთაველი ძალიანად თანა-უგრძნობს ნესტანსა და ტარიელს და სამართლიანად თელის მით მოქმედებას. მიმართულს ხეარაჰშუმს შვი-ლისადმი“-ო, ესე იგი: მის მოკვლას!

ბ-ნ აბაშმაძეს ჰკონია: რუსთაველს ტარიელისა და ნესტანის მოქმედება სამართლის ნორმების დარღვევად არ მიანიჭია. კიდევ მეტი: მორალურ ნორმებსაც არ არ-ღვევსო და ამას „ვეფხისტყაოსანი ცხადყოფს“-ო; კი-დედ უფრო მეტი: ასეთ მკვლელობას რუსთაველი „მისა-ბამ მავალითად თელის და მათი საქციელით ადგროვავ-ნებულთ აუალიბობს ფეოდალური ეპოქისათვის სრული-ად ახალ, პრატერული შინაარსის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპს: „ქმნა მართლისა სამართ-ლისა, ხეხა შვიქს მხელსა ნეტლად“ (შარი 542)...

გავგონიათ, ბატონებო, ანეთ რაშ?!

ნესტანი არის ფარსადან მეფის ასული და მისი ტახტი მემკვიდრე, ტარიელი არის სარიდან მეფის შვილი და ფარსადან მეფის აღზრდილი, თუ ვნებთა, ნაშვილიცა.

აქ ერთი უფლები, ფეოდალური თუ არა ფეოდა-ლური წესით ტარიელი არ არის ფარსადანის კანონიერი მემკვიდრე. და ტუთილად ჰკონია ბ-ნ ვ. აბაშმაძეს: „რო-გორც ნესტანს ისე ტარიელს ერთნაირი უფლება აქვთ სამეფო ტახტზე“-ო. ასეთი „ერთნაირი უფლება“ საერ-თოდ არ არსებობს. ეს არის გამოგონილი ამბავი. — და ეს უფლება გამოგონა ნესტანმა, რათა მკვლელობა და-ესახებუნებია. სხვა არავითარი უფლება არ ჰქანებს აქ. ეს არის სიყვარულის ნიადაგზე წარმოშობილი მკველ-ლობა სისძიის მოკვლა, რადგან ეს სისძიო ნესტანისა და ტარიელის ცოლქრობას ძირს უთხრის, მარჩავს.

აი, ეს არის მიზეზი, რომლის გამო ხდება მკველელო-ბა, წინასწარ განზრახული მკველელობა; ხოლო ამ მკველ-ლობის „იურიდიული გამართლებისათვის“ თუ არა, ზნე-ობრივი გამართლებისათვის მინც, ნესტანი საბუთებს ეტებს: ამიტომაც იგი თავანველ ტარიელს გვემით ურ-ჩევს: სისძიის მოკვლის შემდეგ მამა-ჩემ ფარსადანს უთ-ხარია: მე ნებას არ მოცემ არავის ნესტანის შერთვით გა-ვაბატონო ინდოეთში, რადგან ინდოეთი ჩემი არისო. (შა-ირი 544). და სწორედ ამ საბუთს ტარიელი თავის გამზ-დელ მეფე ფარსადანს მოეცულთა პირით ატყობინებს — იცით, ინდოთა სამეფო რაჰმოს სრა-საჯდომია!

ერთი და მე ვარ მემკვიდრე... სიმართლით ტახტი უჩემოდ არავის მისახლობია! (654), ინდოეთი ჩემი არის, არვის მიესცე ჩემგან კიდევ(566).



მოელი ეს ამბავი ავებულია ნესტანის მიერ შემუშავებულ გეგმაზე და აქ იურიდიული დასაბუთება ტახტის მემკვიდრეობის, როგორც, როგორც ანდონის, ნესტანის კამოგონიანია, თორემ ტარიელს აინუნიაც არ მოსვლია ფარსადანის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ასვლა, საერთოდ ამაზე არასოდეს არ უფიქრია და ბ-ნი ვ. აბაშმაძე სადად, მარტვილ იმეორებს იმას, რასაც ნესტანი ამბობს.

უცნაურად მსჯელობს ავტორი: საყვედურს ამბობს, ნესტან-ტარიელის მიჯნურობაში ფარსადანს „დისონანსი“ შეაქვს; მას არც კი სურს იფიქროს ტარიელისა და ნესტანის შეუღლებაზე! არა, არა! ან მე მაქვს ტვინი შემბრუნებული, ან ბ-ნი ვ. აბაშმაძეს.

რატომ არ იკითხავენ ს. ივრისტი* ავტორი, პოემის მიხედვით, იცოდა ფარსადანმა მათი მიჯნურობის ამბავი, თუ არა? მან იცოდა, რომ ტარიელი დაესწრო სახელმწიფო საბჭოს სხდომას, სადაც ვადაწყდა ნესტანის ხვარაზშმას შვილზე გათხოვების საკითხი და ტარიელმა ეს უყოყმანოდ დადასტურა, — დიახ: უყოყმანოდ! ეს იცოდა ფარსადანმა. და მეტი არაფერი! დანახენი, რასაც ბ-ნი ვ. აბაშმაძე ამბობს, არის მისი ფანტაზიის ნაყოფი და ამ მის მიერ შეთხზულ ამბებსა და მის გარშემო მსჯელობას რომ გაეყუცე, კილომეტრიანი წერალი უნდა გავკვიმო!

გარკვევით უნდა მოგახსენოთ შემდეგი — 1). ტარიელს არავითარი კანონიერი უფლება ტახტზე არა ჰქონია; 2). ტახტის კანონიერი მემკვიდრე არის ნესტანი; 3). დიდი შეცდომა არის იმაზე ლაპარაკი, თითქო ფარსადანი ნესტანის გათხოვებით და ზედმისი მოყვანილ ტარიელის სატახტო უფლებებს არღვევდეს (და ასე რომ ყოფილიყო ტარიელი თავის უფლებას დაიცავდა საბჭოს სხდომაზე). მით უმეტეს, ფარსადან მეფე არ არღვევს „სასახლეში“ გაბატონებული ფეოდალური არისტოკრატების მალა ზნეობრივ ნორმებს. ასეთი მძალადი ზნეობრივი ნორმებზე ვფიქსტაოსანსში არ მოიპოვება და რასაც აქ იგი, ავტორი რუსთაველს მიაწერს, ის არის მხოლოდ მისი საკითხი ფანტაზია და მეტი არაფერი!

მემკვიდრე ასული არის არაფეთში — თინათინი. იგი როსტევანს ტახტზე თვითონ აპყავს.

მემკვიდრე ასული არის ინდოეთში ნესტანი — მის დედ-მამას აქვს გარკვეული გეგმა: ნესტანი, რასაკვირველია, იყო, არის და იქნება ტახტის მემკვიდრე, მაგრამ სამეფოს ინტერესებისათვის მათ ურჩევნიათ მის ქმარი მოყვანონ, რომელიც იქნება სამეფოს ნამდილი პატრონი, რადგან „უმისა არ სმა არად გუგავა (შაირი 508), სამეფოსა დაბატონოთ, სახელმწიფო შევიანხოთ (509). ტახტზე ვინაა ნესტანი და მისი ქმარი ერთად? — ისე როგორც თვით ნესტანი ფიქრობს ტარიელის მიმართ — მე და შენ დავსხლეთ ხელმწიფედ, სჯობს ყოვლსა სიძე-


სძლობას (შ. 537) არავითარი ტახტის მემკვიდრეობითი იურიდიული დაწვევა, თუ ზნეობრივი შელახვა აქ არა შემოიპოვება და ამგვარი გათხოვება და თხოვება ყველს მსახურს უფლებითი არსებობა, ფეოდალურშიც და ბურჟუაზიულშიც და სოციალისტურშიც. სადაც ტახტს აღარ ებრუნებინან, მაგრამ ბოზობლბთან. მათი ქალის შერთვის გზით და ამგვარი დანათესავებით, მაღალ კიბეზე არბინას იოლად აწყარბენ, ან უკვე მოპოვებულ საფეხურზე ყოფნას იმტკიცებენ და იმაგრებენ...

რა დააშავა ხვარაზშმას ეიამა? რა ბრალი ედება მას? რა შეცოდება მიუძღვის მას? არც იურიდიული, არც ზნეობრივი ბრალი ხვარაზშმას ვაის არ შეიძლება დაედოს. ეს იქნებოდა ყოველგვარი სამართლის და სამართლიანობის შელახვა. რატომ?

1. მეფე და დედოფალმა, ნესტანის დედ-მამამ ვადაწყვიტა ნესტანისათვის ქმარის მოყვანა; 2. სახელმწიფო საბჭომ, ტარიელის დამოწმებით. ეს სურვილი დადასტურა; 3. სასიძოდ აირჩიეს ხვარაზშმას ვატი, ძლიერი ხელმწიფის შვილი, ტარიელმაც ეს დადასტურა; 4. მოქალაქეების საშუალებით მათ თხოვეს ხვარაზშმას ინდოეთში ზედსიძედ ვატი მოეცა; ტარიელი ამასაც დათანხმდა; 5. ვადაზენეს მოკეთებულად და რა დააბარეს? ამავე გვეუბნება რუსთაველი — შესთავაზეს: „გახდა უმკვიდროდ სამეფო ჩენი ყოველი: არს ერთი ქალი სიძეო, არ-კიდვ გასაოხოვლი, თუ მოგვეცემ შეილას სასიძოდ, სხვას ნუღარა მოელი (შ. 514). ვთქვათ, ეს დანაბარები არ იყო და ტარიელმა, მაგრამ ის ხომ კარგად იცოდა, რომ „კაცი მოვიდა... გჰახარებოდა ხვარაზშმას სინაურლითა დილითა“ (შ. 515) და გამოეგზავნა ძვირფასი საჩუქარი. ტარიელმა ისიც იცოდა, რომ ვადაზენეს კაცნი „სასიძოსა მოყვანებდა“ — რასაკვირველია, შეყვარებული ტარიელი წუხდა, სევდით შესყარბოლი, მაგრამ მას არ უთქვამს: ტახტი ჩემი არის, სასიძო ნუ მოაკეთო!

მოვიდა სასიძო. ფარსადანის თხოვნით — ტარიელი ქორწილს ამზადებს; სტუმრებისთვის „მოედანს დაევიკარებები წითლისა ატლასებისა“ და ამ მუშაობით დიდი-დიდი კიდევ (შ. 553)... არსად და დროის განმავლობაში ტარიელს ფიქრადაც არ გაეღვებია ფარსადანის ტახტზე თავისი მემკვიდრეობის მოთხოვნილების სურვილი გამოეთქვა. მამს იმ ბრალი მიუძღვის ხვარაზშმას ვატი? რა დანაშაული ჩაიდინა სასიძომ? ყველაფერი მოხდა და შესრულდა ისე როგორც ხდებოდა და სრულდებოდა ყველგან... ყველა ხანაში და ყველა ხალხში...

მაგრამ აი, მოპობრას ბ-ნი ვ. აბაშმაძეს და იფიქრა სხვა გვარი და ეს თავისი სხვანაირი ფიქრი, თუ ფანტაზია რუსთაველს მიუწერა —



„მისი (რუსთაველის) აზრით, ფეოდალურ საზოგადოებაში საქორწინო საფუძველი სიყვარული უნდა იყოს და ფეოდალიზმის ეპოქაში იდეალური საზოგადოებრივი წყობილება შეიძლება დამყარდეს მხოლოდ მაშინ, თუ ეს ოჯახი სიყვარულის, პატივისცემისა და საქორწინო ურთიერთობის უბიექტო ურთიერთმოკრძალების საფუძველებზე იქნება აგებული. ამ თვალსაზრისით, ხვარაზმშას შვილის მოქმედება ანტიზნობრივია, იგი ფხვ ქვეშ თელავს ფეოდალური არისტოკრატიის მაღალ ზნეობრივ ნორმებს. ხვარაზმშას შვილის მოქმედება უცხო და მიუღებელია ნესტანისათვის იგი ამცირებს ნესტანის ღირსებასა და თავმოყვარეობას.. ხვარაზმშას შვილს გადაწყვეტილი აქვს ცოლად შეირთოს ნესტანი, რომელსაც პირადად არ იცნობს და არც კი უცვლია ვაგეო ამ უკანასკნელის აზრი ქორწინების თაობაზე. ხვარაზმშას შვილი, როგორც ჩანს, ფაქიზ ჯანსაღობის მქონე ნესტანს დიდი სახელმწიფო პოლიტიკის უბრალო დანამატად თვლის, და, სწორედ ამიტომ, ხვარაზმშას შვილისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს სიყვარულის კეთილშობილური გრძნობას. რა თქმა უნდა, ამით ხვარაზმშას შვილის მოქმედება ობიექტურად ნესტანის ღირსების შემლახველია, იგი ანტიზნობრივი და დასაგმობია“-ო...

აი, ბატონო, თურემ რატომ განიზრახა ნესტანმა და რატომ შესარებლა ტარაღმა ხვარაზმშას შვილის მკვლელობა. და ეს მე არ მომიგონია. ბ-ნი ვ. აბაშშიძე ამბობს: „როგორც პოემის შინაარსი გვაფიქრებინებს, ხვარაზმშას შვილი ბრალის მქონეა, მისი მოქმედება ბრალს სთავსებს და ამიტომ იგი უნდა დაისაჯოს“-ო!

ნუ თუ შესაძლებელია ასეთი აბაღუბდის დაწერა და მისი დაბეჭდვა?

კაცს წარმოადგენა არ უნდა ჰქონდეს ზოგადად არც ისტორიაზე, არც სოციალურ და პოლიტიკურ ისტორიაზე, არც საერთოდ ქვეყნის, თუ ქვეყნების ცხოვრებაზე, რომ ამგვარი მიმოხილვებს შეუღდეს! და ამიტომ აღარც ღირს ბ-ნ ვახტანგ აბაშშიძის დანაშაღი როლში, უხამს და უმსგავს დებულებათა ხსენებაც კი. ვიტყვი მხოლოდ ერთს: ვაი იმ სამართალსა და სამართლიანობას, რომელს ისეთი იურისტი ჰყავს, როგორც ბრძანებულა ბ-ნი ვახტანგ აბაშშიძე. მეტი არა შეთქმის რა!

* *

- ამ ენის მიმოხილვის დასკვნა არის შემდეგი —
- 1. ხვარაზმშას შვილს არავითარი ბრალი არ ედება.
- 2. ტარიელმა ჩაიდინა მკვლელობა. მის ბრალი ედება მკვლელობისა, განზრახვითი მკვლელობისა.
- 3. ეს მკვლელობა მოამზადა ნესტანმა.
- 4. ეს მკვლელობა გამოწვეულია განსაზღვრული მიზეზით: სიყვარულის ნიადაგზე.

- 5. ეს მკვლელობა „მკვლელობა ვენებადი“, ანუ „სკრაი დე პასიონი“.
- 6. ამ „ვენებადი მკვლელობის“ მსხვერპლის განაღდება ნაშაულო, უბრალო, უმანკო — ხვარაზმშას ვაჟი.

ასეთი არის ნამდვილი ამბავი და ნამდვილი ვითარება ვეფხისტყაოსანში!

(კურის, მარტი 1966 წ.)

წიგნის ავტორი სწირია

ოდეს წიგნსაცა ავრე პარა სწირია, ასეთ შემთხვევაში მკვლევარი მიმართავს მოსაზრებათა ერთი მეორეზე აბმის და ამის ნაყოფად წარმოიშვინება მთლიანი ნაგებობა, ხან და ხან კეთილი ტანადობისა და საამოდ შესახედლი! მაგრამ ეს არის მინცა მოსაზრებათა დაჯგოება, ხშირად ნამდვილობისაგან დიდად დაშორებული და მეცნიერებისათვის ფუჭი, ამაყო.

არა ერთი და ორი არის ისეთი დიდი პიროვნება, რომლის ცხოვრება დამამდგომელით არაიენ იცის, მაგრამ მკვლევარი ცდილობენ მისი თავდასადავლი მცირე ხელ შესახებ საბუთებით აღადგინონ. იშვიათი არის ისეთი შემთხვევა, როცა ვინმე ასეთ დადებით შედეგს მიიწვევს, გარნა ცნობისმოყვარეობის ჭიის დასაკმაყოფილებელად და დასამშვიდებელად ამ გზას ხშირად ტყეპნია.

ქართული კულტურის ისტორიაში არა ერთი და ორი ცნობილი პიროვნება არის უცნობი და მათ შესახებ წარსულს ჩხრეკენ, აღორიაჭებენ და ხან წმინდა ზღაპრულ, ხან მიახლოებულ „ცხოვრებასა და მოქალაქეობას“ წარმოშობენ ხოლმე. მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა ითქვას გარკვევით, როგორც ამას შეგალითად, სარგს ციფილი შევება, რომ რუსთაველის ეს თავდასადავლი და ცხოვრება არისა საეგვიმო, აღბათობის აიგუი.

სრულებით არ არის მეცნიერული ისეთი კვლევა როცა რაიმე მცირედ წასაპოტინებელ ცნობას ვამოხანავენ, გამოკვლევიან და მერმე ამბეზ ნამდვილ. ეჭვმიტანულ ბიოგრაფიას შეთხვევა — ამისი დიდი ოსტატი არის პროფ. პაველ ინგოროვეკ, როგორც ეს აღმინიშნავს ხოლმე. ბეგრს აქვს ასეთი ცოდვა ჩადენილი, დაწყებული თეიმურაზ ბაგრატიონიდან, და შემცოდება შირის პროფ. პაველ ინგოროვეკმდე. ყველაზე დიდ ცოდვილად ზაქარია ჭიჭინაძე ჩაითვლება, რომელიც პირდაპირ და წარმუხუბრებულად წარსულის ამბებს გამოიკონება და უცნობი პიროვნებათა სურათსაც კი დააბატინებდა ხოლმე. ეს, რასაკვირველია, იხსენება ეროვნული ენობრივი კონკლუქსით („კომპლექს ინფერორიტა“), რაც მეცნიერებისათვის ზიანის მომტანია, ხოლო მოილოტინე ეროვნულ, პატეიომყვარეობას, ცუდ ყოყლოინიობას, მამაკინწობას, უხამს თავმოწონებას, პირმხეულ ტრაბახასა და კვენა-ბეჭიაობის მოთხოვნილებას კი მართლია ვა-

აძლებს. ამ საკითხზე საკმაო დიდი გამოკვლევის დაწერა შეიძლება — თუ გნებავთ სალიტერატორო სამუშაოს!

თუ ამაზე ბაასი ჩამოვადგე, ეს იმიტომ, რომ წავიკითხე ბ-ნ ივანე ლოლაშვილის წიგნაკი: „რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა“ (თბილისი, 1961 წ.) და მისი მეორე წიგნაკიც; ძალიან მიზნოდველი სათაურით: „რუსთაველის ეპოქის ჩვენამდე არმოღწეული სალიტერატურო მემკვიდრეობის გარშემო“ (თბილისი, 1965 წ.)

რას გვიმტკიცებს, ან რით გვიმტკიცებს ბ-ნი ივანე ლოლაშვილი? იგი გვიმტკიცებს დიდ რამეს: თორმე ერთ ისტორიული ქართულის დაწერა შოთა რუსთაველი ყოფილა! და ისტორიული თხზულებად არის შესანიშნავი ისტორია თამარ მეფის მამისა და თვით თამარის მეფობისა და მას ეწოდება — „ისტორიანი და აზმანი შარავანდეთიანი“.

ბ-ნი ივანე ლოლაშვილი ამ საქმეში პირველობას ვერ დაიჩემებს, რადგან აქ უცხოეთში უკვე კარგა ხანია, იგივე „აღმოაჩინა“, მაგრამ სხვა გზით, პროფ. მიხეილ წერეთელმა, რომელმაც გამოკვიცხა: ეს ისტორიული თხზულებად რუსთაველს თხუთვნისო. მაგრამ ბ-ნმა ივ. ლოლაშვილმა იქნებ არ იცოდეს ეს „აღმოჩენა“ და ამიტომ მას დაეთუთო პირველობა.

რით გვიმტკიცებს ბ-ნი ივანე ლოლაშვილი „ისტორიანი და აზმანი შარავანდეთიანი“-ს რუსთაველის მიერ ა-რის დაწერა?

ანტონ კათოლიკოს, მეთვრამეტე საუკუნის თეოლოგოს, ფილოსოფოსს და საერთოდ ფრიალ განათლებულ დიდ პიროვნებას, თავის ქართულ გრამატიკაში ერთი ნიმუში აქვს მოტანილი და ამას იგი რუსთაველს მიაწერსო. და რადგან ანტონ კათოლიკოსი სანდო მწერალია, ამიტომ ეს ერთი ნიმუში უსათოდ რუსთაველისა იქნებაო. და საიდან მოაქვს ეს ნიმუში კათოლიკოს ანტონს? იგი მას მოაქვს ისტორიული თხზულებებიდან რომელს ეწოდება არა „ისტორიანი და აზმანი შარავანდეთიანი“, არამედ „ცხოვრება მეფეთ მეფის თამარის“, რომლის ავტორობა ბასილ ეზოთიმოძველის მიეკუთვნება.

და აქ იწყება ბ-ნ ივანე ლოლაშვილის თვალთმაქცობა.

იგი გვეუბნება: მართალი არისო, რომ ანტონ კათოლიკოსის მიერ მოტანილი ნიმუში დაწერილია „ცხოვრება(ში) მეფეთ მეფის თამარისი“ და ამ ისტორიის დასასრულში არის მოთავსებულიო, მაგრამ ნამდვილად კი ეკუთვნის იმ თხზულებებს რომელსაც ჰქვია „ისტორია და აზმანი შარავანდეთიანი“ და სწორედ ამ ნიმუშს კათოლიკოსი ანტონი რუსთაველს მიაწერსო.

როგორ მოხდა ეს? როგორ იყო შესაძლებელი, რომ „ცხოვრება მეფეთ მეფეთ თამარის“-ს წიგნში ეს ნიმუში შეტანილი არის მეორე ისტორიიდან, ან იმ წიგნიდან.

რომელს ეწოდება: „ისტორიანი და აზმანი შარავანდეთიანი“?!

ქართული კულტურის ისტორიაში დამწავიე ყოფილეთის ადგილი მოსახებნია, — ეს ა-რის შერქმედიულო გადამწერი. მან ჩაიდინა ეს მკრებელობა და ერთი წიგნის ბოლოდან მთელი ადგილი ამოიღო და მეორე წიგნში ჩააკეთა! მაგრამ ასეთი ეშმაკობა ვადამწერის არ გამოსვლია და ანტონ კათოლიკოსს ხელთა ჰქონია ისეთი „ისტორიანი და აზმანი შარავანდეთიანი“, სიდაც რუსთაველის მწერლობის ნიმუში ყოფილა მოთავსებულიო. აი, ბატონებო, როგორ ააგო მსჯელობა ბ-ნმა ივანე ლოლაშვილმა.

ოღეს პირველად ბ-ნ ივანე ლოლაშვილის დასახელებული წიგნი წავიკითხე და მის დასაბუთებას ვავეცინი, სასიამოვნოდ გაკვირებული დავრჩი; ოღონდ არავითარი მასალა ხელთ არა მქონია იგი საფუძვლიანად ვამყინჯა! მაგრამ თბილისში ყველა ხომ თვალთმაქცობას არ მიდევს; არც ყველას ექაშნივინა ზღაპრების წერა; არც ყველას ებიტანება აკნეილებული ოცნების მოსმენა...

მკვლევარი ნოდარ ნათაძე დაგვიანებით გამოებნაურა მკვლევარი ივანე ლოლაშვილის დასახელებული წიგნის („ნათაძე“, ნომ. 2. 1966 წ.). და გააჩვია მან ყველა მისი საბუთი და რა აღმოჩნდა?! ბ-ნ ივანე ლოლაშვილის ... „ეს დასკვნები უსაფუძვლოა. წარმოდგენილი თეორიის წყაროა მხოლოდ რუსთაველის უტნობი ნაწარმოების პოვნის ანთონიური სურვილი, რაზედაც ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსანის“ ერთერთი პირველი მკვლევარი, ოთანი ბატონიშვილი ამბობდა: ამ სურვილის შესრულება უძვირფასესისა დატკობითა აღავსებად სულსა ჩემსა“ო. ეს ბუნებრივი სურვილი, ვეჭვობთ — განაგრძობს ბ-ნი ნოდარ ნათაძე — იმასაც გვიხსნის, თუ საიდან წარმოადგება ანტონ კათოლიკოსის ზემოთ დამოწმებული ცნობა: რადგან რუსთაველი ცნობილი იყო როგორც თამარის დაახლოებული პირი და მისი მეზობტი, თამარის პიროვნების განდიდებაც მის ე. ა. მეორე ისტორია“-ში ტრადიციას რუსთაველის ნაწავად მიუჩნევია. ვეჭვობთ — დასაკვნის ბ-ნი ნოდარ ნათაძე — ანტონის ცნობისათვის იმაზე მეტი მნიშვნელობის მინიჭება შეეძლოა იქნებოდაო. და ასეთი უნეიშენა მართებულია.

ორიოდ სიტყვაც უნდა წარმოითქვას ბ-ნ ივანე ლოლაშვილის მეორე წიგნის შესახებაც რომელს ეწოდება გემის აღმძვრელი სათაური — „რუსთაველის ეპოქის ჩვენამდე არმოღწეული სალიტერატურო მემკვიდრეობის გარშემო“. მაშ, ვავეყთ ავტორის გარშემო.

ავტორი დიდი აღფრთოვანებით ა-რის აღტკებული; იგი ასახელებს მრავალჯერ დასახელებული სათაურით და-

დღეულ თბუზღებთა („დილა“ გეთიანი“, „ქებანი“, ლირიკა და სხვა). მაგრამ ამას გარდა თურმე სხვა დიდი რამეც გვექონია რუსთაველის ხანაშიც ავტორი გვეუბნება — „ყოველივე ეს ვგაფიქრებინებს, რომ მე-12 საუკუნეში იყო ასეთი „ელისა ზღაპრობათა“ მსგავსად პომეროსის ეპოსის მოკლე ვადამუშავებული ვერსია“; რომელშიც ყოფილა უმთავრესად „ომიროსის თხრობა“ და „სხვა ბერძნული თქმულებები აქტილი-ტროელთა ეპიკური ციკლის შესახებ“ (აქ იგი იმორწმუნს პ. ინგოროვსას). მერმე ყოფილა თბუზღებთა „იოანე ვანდგომილი“; მერმე კიდევ „ალექსანდრიანი“, „ქილილა და დამანა“ და სხვა.

„განხილული ცნობებიდან ცხადი ხდება — ამბოპს ავტორი — თუ როგორი მხატვრული მეცედიდობა გვექონია ქართული მწერლობის კლასიკურ ხანაში“...

სად დაიკარგა ყოველივე ეს და სხვა? ამის პასუხი ხშირად მოგვისმენია — ყველაფერი ეს დაიღუპა წყეულ მონღოლთა შემოსევის ხანაში. რა საბუთით ამბობენ ამას? ამბობენ ვარაუდით, აღზათობით, მკითხაობით, მარჩიელობით... ეს საკმარისი არ არის, ნათელია!

ცაქუბის, მარტი, 1966.

მალმან მისცა მარბალიტი

ბ-ნი ნოდარ ნათაძის ზოგი წერილი წამიკითხავს და თუ მისი შეხედულება არ გამიზიარებია, ყოველთვის ისეთი შთაბეჭდილება მაინც მრჩებოდა ხოლმე, რომ ეს მკვლევარი ევფხისტყაოსანის საკითხებს მონდომებით, გულდასმით და საქმიანად უდგება ხოლმე. და მოკლებულია, ასე ვთქვათ საქართველოში გავრცელებულ „პრობაგანდისტულ ფეხს“.

„შნათობი“-ს 1966 წლის მარტის რვეულში დაბეჭდილია მისი წერილი: „ევფხისტყაოსანი და ეპოქის ზნეჩეულებანი“.

ბ-ნი ნოდარ ნათაძე ფიქრობს, „პოპულიარულ წარმოდგენაში ევფხისტყაოსანის სიყვარული შესულია, როგორც ამაღლებული, იდეალური სიყვარული, რომელიც პლატონურისაგან იმით განირჩევა, რომ თავისი სწრაფვის საბოლოო მიზანად სატრფოსთან შეუღლება აქვს დასახული“-ო.

ამ შეხედულებისათვის მას ეჭვის თვალით შეუხედნია და სიხარულით აღუნიშნავს ასეთი ეჭვი განსვენებულ ზურაბ ავალიშვილს გამოაუთქვამს.

3. ინგოროყვა სწერს: „ვახიანის მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა დაკავშირებული იყო ჰერეთის ერისთავის სამფლობელოსთან და 1192/3 წლებიდან იგი ჰერეთის ბაგრატიონთა გვარზე გადავიდა. ამ რიგით, შოთა ჰერეთის ბაგრატიონი, ერისთავი ჰერეთისა და რუსთავისა (რუსთველი), ყოფილა მეჭურჭლეთუხუცესი „წესისა-

ებრ სახლისადა“. ეს დებულება მკლეა. ამას ახლავე აღვნიშნავთ.

3. ინგოროყვა ემყარება თამარის ისტორიკოსთა მეტყველებულიც მაღალ მოხელეთა დანიშვნის მექანიკიკობით წესზე ლაპარაკობს. პრინციპიალურად ეს ასე იყო, მაგრამ ისტორიული წყაროებიდან და თვით პ. ინგოროყვას მიერ დასახლებული საბუთებიდანაც ნათლად სჩანს, რომ ეს წესი ხშირად იცვლებოდა მთელი რიგი პოლიტიკური მოთხების გამო.

ვაქსინგით საკითხი თვით ინგოროყვას მიერ მოცემული ცნობების ნიადაგზე; ამ საბუთებიდან ვტყობილობთ: 1117/20—1145 წლებს შორის ასათ პირველი (ინგოროყვას შოთას ბაბის პაპა) და ვაგოლ მეორე (შოთას პაპის მამა) ყოფილან მანდატურთ უხუცესები. მხოლოდ შოთას მამას და პაპას ჰქონდა მეჭურჭლეთუხუცესობა. ყველა ესენი იყვნენ ბაგრატიონები. მაშასადამე, ერთი გვარიდან ორს მანდატურთ უხუცესობა ჰქონია და ორს კი მეჭურჭლეთუხუცესობა. არსიდან სჩანს, რომელი ამ ორთაგანი იყო სავარაუდლო თანამდებობა და ან მეორემ პირველი რატომ შესცვალა!

ამ, ისედაც საეჭვო მექანიკიკობის „წესს“ აბოთლებს თვითონ შოთას მეგობარი. ან არსებობს საბუთი იმისა, რომ შოთა ჰერეთის ერისთავი იყო მეჭურჭლეთუხუცესი; რადგან პ. ინგოროყვას საბუთები სწორედ საწინააღმდეგოს ლაპარაკობენ. მაგ. პ. ინგოროყვამ შოთა მეჭურჭლეთუხუცესად დანიშნა 9245 - 50 წლებში, როდესაც შოთა 80 წლის ასაკის ახლოს ყოფილა.

როდესაც მექანიკიკობაზე ლაპარაკობენ, ეს იმას ნიშნავს: მამის ჰუნება თუ თანამდებობა გადადის შვილზე ან უახლოეს ნათესავზე იმ დღიდან, როდესაც შესწყდება პირველის მფლობელობა, ან გარდაიცვლება.

შოთას მამა (ინგოროყვას თქმით) გარდაიცვალა 1204 წელს (თამარის სიცოცხლეში) და თანახმად აღნიშნული წესისა, იმ წლიდანვე შოთა უნდა გამხდარიყო მეჭურჭლეთუხუცესი (ხალხური წარმოდგენაც შოთას თამარას ეწებოდა ასახელებს). შოთას კი ეს თანამდებობა არ მიუღია, არც მაშინ და შემოიღება არც ოდესმე! ამ დროს შოთა უკვე 40 წლის კაცი ყოფილა. არასიდან სჩანს, რომ ქვეყნის გმირი და სსახელო ადამიანი (ასეთად მართო სიმბრეშ ხომ ვერ გახდებოდა!) თამარს დაესაჯოს და მამის თანამდებობა შეილისათვის არ გადაეცეს. შოთას მამის გარდაცვალების შემდეგ ამ თანამდებობაზე ვხედავთ შემდეგ პირებს (პ. ინგოროყვას ცნობებით):

- 1204-5 წლ. — შალვა ახალციხელი-თორელი.
- 1205-12 — ოვსე ყმა (პანკელი).
- 1212-45 — ყვარყვარე-ივანე მეთაუე ჯავაყელი-ციხისჯვარელი.

როგორც სჩანს, შოთას მამის გარდაცვალებიდან 40 წელი გავიდა და მექანიკიკობით თანამდებობა შოთას

არ ეღიროს. ის კი ამასობაში 80 წლის მოხუცია და პ. ინგოროყვამ მას სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში მიანიჭა თუ არ მისცა მეტურქული-უხუცესობა, მაშინ მთელი მისი კვლევა-ძიება განწირულია. ამიტომ 1245 წლისთვის ინგოროყვამ ღრმად მოხუცებული შოთა მეტურქული-უხუცესად გამოაცხადა, რომელიც 1250 წლის ახლოს გარდაცვლილა და აღნიშნული წესი კიდევ ერთხელ ირღვევა, რადგან 1250-57 წლებში მეტურქული-უხუცესად არის გამარჯვებული მეორე თორელი, მერმე, 1257-70 წ. — კახა მეორე თორელი და სხ.

თუ მეტურქული-უხუცესობა პერეთის ერისთავთა სამემკვიდრეო თანამდებობა იყო, რატომ აცდევინეს სახელმწიფოში განთქმულ მოღვაწეს 40 წელი, სანამ ამ თანამდებობას ჩიბარებადა? პ. ინგოროყვას ჯერ ამ საკითხზე უნდა გაეცა პასუხი. თორემ უზუსტლო განცხადებას, შოთას „წესისაებრ სახლისა“ გაუთუნოდაო — რა ფასი აქვს?..

იმისთვის, რომ იერუსლიმის აღაბეში მოხსენიებული შოთა მეტურქული-უხუცესი გაეგვიგინა ჰერეთის ერისთავ შოთასთან, საჭირო იყო როგორმე ეჭივრეთუხუცესობაში ჩაიბრუნებინა მისი მეტეა. ეს თანამდებობა, რომელიც მისი მეტეა იყო, განწირულია. პ. ინგოროყვამ ასე მოიქცა ყოველგვარი სერიოზული საბუთის გარეშე.

ჩვენ არ გვინდა დავსკეთ ფასი პ. ინგოროყვას კვლევა-ძიებისა. ამგარიშში გვაქვს მისი ინტუიციაც, იქნებ ოდესმე მისი დებულების დამამტკიცებელი საბუთებიც აღმოჩნდეს! მაგრამ დღეს დღივით, მან თავის ადრინდელი საბუთებს ახალი ვერ შესძინა და ვ.ტ. ავტორის ვინაობის საკითხი რჩება საიდუმლოებით მოკული.

ალ მანველიშვილი

თებერვალი, 1964 წ. ვაშინგტონი.

ალ. მანველიშვილი

CHOTA ROUSTAVELI — LE CHEVALIER à LA PEAU DE TIGRE.

ვეფხისტყაოსანი, თარგმანი სერგო წულაძისა, 1964 წ.

ვეფხისტყაოსანის თარგმნა უცხო ენაზე რომ ძნელი სჩქეა, ეს ყველამ იცის. მიუხედავად ამისა მის თარგმნას მიმართავენ ხშირად არა კომპეტენტური პირები. ამ სიტყვის ქვეშ მე ახ ვეჯდისხმობა არა მქონდით ენებისა-ც თარგმანებითი წესებისა. ახამედ, კერძოდ ვეფხისტყაოსანის თარგმნისათვის სათანადოდ მოუმზადებლობას. რადგან ვ.ტ. თარგმნა კიდევ მეტს მოითხოვს. ენების ბუნებისა და ხასიათის და თარგმანებაში დახელოვნებასთან ერთად — პოეტურ ნიჭს და მაღალ მხატვრულ გემოვნებას; ცოდნას ძველი ქართლისა და თვით რუსეთის ფრიალ ორიგინალური სტილისა. ყველა ან ზოგიერთ ამ თვისებათა მოკლებული მთარგმნელის ხელოვანად ხშირად გამოდის მთარგმნელის ვეფხისტყაოსანი და არა რუსთაველისა.

რას წარმოადგენს ამ მხრე სერგო წულაძის ფრანგული თარგმანი? თავშივე უნდა აღვნიშნო: მიუხედავად იმისა, რომ ამ თარგმანით წულაძეს პირველად ვხედავთ საშუალო ასაბუხზე, მიუხედავად აგრეთვე მიუღიროს შეცდომებისა, რასაც ქვემოდ აღვნიშნავთ, წულაძეს აქვს მიწვევა.

დაბადებით ქართველი, ენობრივი თუ კულტურული აღზრდილი ის ფრანგია, ამიტომ მას ენაზეხება ფრანგული ენის თავისებურებათა გამოყენება. ამ მხრე ის აქმაყოფილებს მდგომარეობას. სინდრე მეღაღენდება ქართლის, განსაკუთრებით, ძველი ქართლის მიმართ. სისუსტეს იჩენს აგრეთვე რუსთაველის სტილის გაგებაშიც.

ტექნიკურად ძნელია მთელი ტექსტის კრიტიკის წარმოღვენა. ჩვენ მაინც გვინდა ყველა ტიპიურ შეცდომებზე მიუვთითოთ და ეს მხოლოდ ერთი გზამობით: თუ მთარგმნელი მათ (და ალბათ სხვებიც) დონსულოდ გამოიყენებს შემდეგი გამოცემისათვის. მრავალი ნაყლის გამოსწორება შეიძლება. ამ იმედს ვაძლევს ის ვარაუზება, რომ, ყველა ის ადგილები, რომელიც სერგო წულაძეს კარგად გაუგია და ყურადღებით მოაპრობია, შესანიშნავად არის თარგმნილი.

შინაარსი სწორად არის გადატანილი და ისეთ ფორმებში ჩამოხსმული. რომ ფრანგი მას სიამოვნებით წაიკითხავს.

პროფესორმა რენე ლაფონმა სამართლიანად შენიშნა, რომ მთარგმნელი, ფორმისათვის ხშირად ღალატობს შინაარსს. მაგამ ეს ღალატი მარტო აქვანდ არ მოდის, როგორც ქვემოდ ვნახავთ მეტი შეცდომები დაუღვერობის შედეგია. და მთარგმნელს, მისი ბოლოში წინასიტყვაობაში, რომ მას განსაზღვრული დრო ჰქონდა პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს. ვ. ტ. თარგმანი დროის განსაზღვრით და დაკვეთით არ შეიძლება. თარგმანში დაშვებულია შემდეგი ხასიათის შეცდომები:

1. მთარგმნელს არ ესმის ტექსტის მთავარი აზრი და თარგმანში მას აყალბებს, უკეთეს შემთხვევაში, ამცირებს აზრის მნიშვნელობას.

2. მთარგმნელს ვერ გაუგია ზოგიერთი სიტყვები და თარგმანს ასრულებს საერთო აზრის მიხედვით. მაშინ როდესაც ასეთი სიტყვები ძირითადი მნიშვნელობისა არიან.

3. ზოგი შეცდომა მომდინარეობს მთარგმნელის უც-

რადღებობიდან, ან და იმეორებს სხვათა შეცდომებს.

ყველა ამ ხასიათის შეცდომებიდან დაეასახლებებთ სანომოშო შემთხვევებს.

1). ევფხისტყაოსანის ტექსტის ლალატი იწყება პირველი სტრიქონიდან და თავდება ბოლისიტყვაობის უკანასკნელი სტრიქონით.

„იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი“, თავგზნოლია —

«Il y avait en Arabie un Roi du nome de Rostevan»...

შეცდომა რომ ნათელი იყოს, აქაც და ქვემოდაც ფრანგულს უკანვე გადავთარგმნი. ამ შემთხვევაში უკუთარგმანი იქნებოდა: „არაბეთს იყო ერთი მეფე, სახელიდ როსტევანი“. ნათელია, რომ ეს არ უდგება რუსთველის სტრიქონს. მითარგმნელმა გადაავლო ენითერც, „ღმრთისაგან სვიანი“, მაგიერ ჩაუმტა სახელი“ და ამით ნაწარმოების დასაწყისს დაუკარგა ის ზვიადი სახე, როგორც ეს ახასიათებს რუსთველს. დაუკარგა ის აზრიც, რომ რუსთველი მეფეს ყველგან წარმოადგენს ღვთაებრივი ატრიბუტით. ესე იგი, აქ ის ხაზს უსვამს მეფის ღვთაებრივ წარმოშობას. ეს თეორია გამატონჯებული იყო ანტიურ ხალხებშიც და განსაკუთრებით საშუალო სასუფთაო დასახლებულ ევროპასა და საქართველოშიც: აქ შოთა იმეორებს იმას, რაც უფრო კონკრეტულად გამოთქმა წინასიტყვაობაში: „მისგან არს ყოლი ხელმწიფე სახითა მის მიერთა; თარგმანში კი ღმრთისაგან სვიანი“-ს ამოგდენით შოთას აზრი მეფობაზე დაკარგულია.

2. ახლა ავიღოთ ე.ტ. ებილოვის სულ უკანასკნელი სტრიქონი, რომცა ეს ებილოვი სადავოდ არის გამოცხადებული, როგორც შოთას კუთვნილება, მაგრამ თარგმანი მინც სწორად უნდა იყოს შესრულებული.

1671. ტაბაიელს — მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ - შეუშრობელსა“ თარგმნილია:

«Tariel l'est par moi, Roustaveli qui deverse pour lui mon larmes»...

უკლებმა თარგმანი კი იქნება: „ტაბაიელი (შეჭებული) ჩემს მიერ, რუსთველის, რომელიც ვაფრქვევ მისთვის (ჩემს) ცრემლებს. პირის შებრუნება ამ შემთხვევაში დაუსშვებელია.

3. სტროფი 19-3 „ვითქვენ ხელობანი ქვენანი, რომელინი ხოცთა ხვლებიან“. თარგმნილია:

«Avec le titre d'Amiral, il lui donna un grand pays»... la chair»...

უკუთარგმანი იქნება: „მე აქ ვუმღერი (ანუ ვაქებ) მიწიერ ხელოვნებას, რომელიც თავის გზაზე ხორცთა ხვდება“. სრული უაზრობაა! რუსთველი სწორედ საწინააღმდეგო ამბობს. ის კი არ აქებს, კი არ უმღერს, არამედ უარპყფს ასეთ ხორციელ სიყვარულს, როგორც უარპყფს აგრედვე მეორე უკიდურესობას, როდესაც

„შორი ბნდებიან“. აქ სიტყვა „ხელობა“ „ხელოვნებად“ გადათარგმნა!

4. 20. „მიჯნური შშავსა გვიქვია არაბულისა ენითა“. თარგმნილია: «Midjour designe en langue arabe l'arabisme en raison se perds»...
ეს კი ქართულად იქნებოდა: „მიჯნური არაბულ ენაზე ნიშნავს გონება დაკარგულ სატრფოს“. განსხვავება ცხადია. 5. სტ. 72. „პირ-ოქრო რიდე ეხვია, ჰშვენოდა ქარქაშოსანი“. თარგმნილია: «Un voile d'or couvre ses traits, la tunique de chuse lui sied»...

ამ სტრიქონზე უნდა შევიჩნდეთ, რადგან ყველაზე მეტად ეს არის დასახიზრებული და დამახინჯებული. ეს სტრიქონი სრულებით ვერ გავუთავ. „პირ-ოქრო რიდე“ ს. წულაძის გადათარგმნა, როგორც „ოქროს რიდე“. სად გავიწინა ოქროს რიდე და მერმე მისი შემოხვევა! პირ-ოქრო ნიშნავს მოკიროვებულს. „ქარქაშოსანი“ უთარგმნია „პერანავაღ“; „ქარქაშოსანი“ კი ხრმალი. და არა პერანავი (ტუნკიკი!). მოვიტანოთ მთელი ეს სტროფი თარგმანის სიმახინჯის წარმოსადგენად:

„ილიასა ადრე მოვიდა იგი ნახრალს სოსანი, ძიქუეულითა მოსილი, ჰირად ბრალ-მადეშოსანი, პირ-ოქრო რიდე ეხვია, ჰშვენოდა ქარქაშოსანი.

მეფესა გასულად აწუვედა, მოგდა თეთრ-ტაიკოსანი. წარმოიდგინეთ ავთანდილი პერანავანი, (თუ გნებათ, ჯაჭვის პერანავანი, ცხენზე მჯდომი, მისული სასახლეში! ეს „პერანავი“ რომ „ჯაჭვის პერანავაღაც“ გავიგოთ; მაინც არაფერი გამოიღოს, რადგან ტექსტში გარკვეულად არის ნათქვამი: ის იყო „ძიქუეულითა მოსილი“. 120 სტროფში კი ნამდვილად მოხსენებული პერანავი „ტუნკიკად“ არის თარგმნილი. სჩანს ამ „ტუნკის“ თილისმა ჰქონია: ხან პერანავია, ხან „ქარქაშოსანად“ იქცევა!

6. 308. „ლილ-ჩახსნილი საამბობლა დაჯდა, მახარნი ამოყარა“. ნათარგმნი ასე: «Dégrafant son col s'assit la gorge nue pour raconter»...

უკუთარგმანი იქნება: „შეიხსნა საყელო და ეკლში-შველი დაჯდა საამბობლად“. „მახარნი ამოყარა“ — გადაავლო. ეს მოგმარებოდა დამახასიათებელია, როდესაც ადამიანი ღონეს იკრებს დიდი და მძიმე ამბის მოყოლისათვის. რუსთველსაც ამისთვის დასჭირდა.

შემდგენი სტრიქონებიც აღნიშნავენ, რომ ტარიელი დიდ ხანს ასე იჯდა მოღრუბლებული და პირს ვერ აღებდა...

8. 316-1. „ერთი სამეფო, საკაცყემო, უბოძა ამირბა-რობა“. თარგმნილია:

«Avec le titre d'Amiral, il lui donna un grand paus»... ამ თარგმანში „ერთი სამეფოს“ „დიდი ქვეყანად“ თარგმნა არ არის სწორი. უფრო დაუსშვებელია „საკაცყემოს“ ამოგდება. ეს ფეოდალური ხანის იურიდიული ცნებაა

— მაჩვენებელი ამიზარის ვასალობისა. ფრანგულად „საკარგმო“ თარგმნება „ფიელ“-ად. თარგმნში ამ მოვლენის უკლებილყოფა ნაწარმოებს უკარგავს ეპოქის ხასიათს.

9. 324-4. „საქურტელ ვასცნეს, აივსნეს ლაშქარნი საბოძვარითა“. თარგმანი: „L'armée fut remplie des présents donnés (ou offerts) du tresor de l'Etat...“

უკუთარგმანი: „ხელძობამ ხელი გაივსო ოქროთი, რომელიც მათ დაუბრევს“ ჯერ ერთი „საბოძვარი“ მარტო ოქრო ხომ არ იქნებოდა და მეორე საიდან მიიღეს ეს ოქრო? არ ვიცი, რათებ, „საქურტელ ვასცეს“ გაქპრა მთარგმნელის ხელში. ბევრად უმჯობესი იქნებოდა და-ახლოებით შემდეგი თარგმანი:

„Les guerriers eurent les mains pleines de l'or qu'on distribua...“

10. 413-4. „ვეკუტუო ღმერთმან მიწა მქმნას, ნღმცა ცხრითავე ვზი ცითა“. თარგმანი: „Que Dieu, Loin duNeuvième Ciel si je ments, me reduise en cendre...“

უკუთარგმანი: „ღმერთმა, შორს მეტხვე ციდან (ე. ი. რომელიც იმყოფება შორს, მეტხვე ცაში) მიწად (ნაც-რად) მაქციოს, თუ შენ გატყუებდო. მთარგმნელს ვერ გაუგია ეს სტრიქონი. რუსთველი სხვას ამბობს. „მეტხვე“ ცის საკითხი ცნობილია კოსმოგრაფიაში, რომელიც არამაშე მენიერება აღ პათითრმა გამოიგონა და იქ მოათავსა ის ძალი, რომელიც ამოძრავებს პლანეტათა სფეროებს. ნესტანის ფიციში ეს იგულისხმება საიქიო, ე. ი. აზრი ასეთია: ღმერთმა მიწად მაქციოს და ნუწუ საიქიო მღირსოს, თუ მე შენ გატყუებო!“...

11. 502-4. „მტკიცსა რასმე შავისა“ თარგმნილი: „ერთგვარი შავი აბრეშუმისა“. მეტად თვითნებურია!

12. 706-3. „ძებნა წამლისა მისისა, ცოდნა ხაშს მართ უცისა“. თარგმანი: „Il faut lui rechercher un baume, l'ignorance mène au savoir...“

უკუთარგმანი: „უნდა მოიძებნოს მისი წამალი, უციკობას მიეცვათ ცოდნაში“. აქ არავითარ აფორიზმთან არა გვაქვს საქმე. დებულება მარტივია: უნდა შევიტყუო, რაც არ ვიცი, უნდა მოინახოს მისი წამალი, მისა საშველი.

13. 789-4. „სიტუჟე და ოპირობა ავენებს ხორცსა მერმე სულსა“.

ეს ადგილი ცუდად არის გაგებელი. ასევე ცუდად გაიგო ის შ. ნუტუბიძემ, როდესაც „მერმე“ „რიგის“ მნიშვნელობით ასწნა და ამ ერთი სიტყვის მცდარი წაკითხვით რუსთაველი მატერიალისტად გამოაცხადა — პირველად ხორცსა დასახლებულაო! სიტყვა „მერმე“ ქართულ მეტყველებაში და მწერლობაშიც სხვა და სხვა მნიშვნელობით იხმარება. ის ხშირად უღრის „ავარედნევისა“, «განსაკუთრებით» და სხ. თუნდაც ერთი მაგალი-

თი მწერლობიდან: ევა სწერს — „ღმერთმა დასწყვეტოს დიდი, მერმე ლამაზი ქალიო“. ყველა მიხედვებ, რომ აქ „მერმე“ „განსაკუთრების“ ნიშნავს. არც ქრისტიანული ხმარობს მის „რიგის“ მნიშვნელობით. სიტყვის სწორი ასეთია: სიტყვებზე მავნებელია, როგორც ხორცისათვის, ისე სულისათვისაც. რუსთაველი რომ იმოწყობეს პლატონს, ესეც სწორია. ამ აზრს ის გამოთქვამს თავის „რესპუბლიკის“ ბოლოში. ცხადია, მას ეს დღესად არ დაუწყერია! და შ. ნუტუბიძე ამასივე სცდება; სერვო წულაძემ ეს შეცდომა გაიმეორა!

14. 926-4. „დიდი ღზინია ქითა თქმა, თუ ეკასა მოუხდებოდეს“. აქ გამოთქმულია ელემენტარული ფსიქოლოგიური მოვლენა. რომ ადამიანს შეეძას ანიჭებს თავისი დარღის გაზიარება ვისმესადმი, თუ მიეცა ამის შემთხვევა. თარგმნილი კი არის: დიდი ზედნიერებაა თავისი დაღრის მივილება, თუ ეს უნდა უნდა!

15. 1503-3. „მტერი ყოელი ჩალად გიჩანს, ღმრთისა ვადგას ნათლად ვეგტი“. თარგმნილი: „L'ennemi te semble un brin d'herbe, fût-il ainsi qu'un arbre épais...“

ზუსტად რომ ვადმოთარგმნოთ, მივიღებთ: „მტერი მიგჩინა ნამცვე ბალახად (ან ბალახის ღეროდ), თუ გინდ ის აიოს სქელი (ანუ მსხვილი) ხე. სტრიქონის პირველი ნახვევიც არამაშე მენიერება და მამაკაცივლად მივიჩინოთ, მეორე ნახვევი სრული ფანტაზია...“

2. ახლა სრულად შევიცხოთ ზოგიერთი სიტყვების მცდარი ვაქოთხება.

აქ აღსანიშნავია ის გაზემოება, რომ იმით რუსთველი ხშირად ერთდაგივე სიტყვას სხვა და სხვა მნიშვნელობით ხმარობს. და მისი სხვადასხვანაირი თარგმანიც ბუნებრივი იქნებოდა. აქ ს. წულაძე უკუმაღ იქცევა.

ს. წულაძე ხან ერთი მნიშვნელობით სთარგმნის სიტყვას, როცა ის სხვა და სხვა ატარებს; ხან კიდევ სხვა და სხვა მნიშვნელობით სთარგმნის ერთ სიტყვას, როდესაც ის ერთ მნიშვნელობას ატარებს. ამ შეცდომათა ნიმუშებია:

1. „ლაშქარ მრავალი, ყმინი“ თარგმნილი: „riche en vassaux et en esclaves...“

ანუ მდიდარი ვასალებითა და ყმებით. აქ ორგვარი შეცდომაა. „ესკლავი“ მონა და არა ყმა. მეწმე ის ყმასაც და მონასაც თანავედრე ვაგებობს ხმარობს, რაც სრულიად არ შეეფერება ვტ.-ის შინაარსს. ჩვენი ღრის ვაგებობით „ყმა“ ფრანგულად იქნება „სერფი“; „მონა“ კი „ესკლავი“. არც ერთის და არც მეორე სიტყვის თანამედროვე ვაგება არ მოუღებია რუსთველის სიტყვებს. ვტ.-ის „მონა“ არ უღრის ანტიურ ხანაში ვაგრცელებულ „მონას“, რომელიც ეკლთვინდა საზოგადოების უმდიდრეს ფენას, მოკლებულ ყოველგვარ უფლებას. მაგ. ასმინი „მონად“ იწოდება მამის, როცა მას ეხვევა და ჰყობის ნესტანი, ტაბიელი, აეთანდილი. რომელი რომელიც პა-

ტრიცი ვადაჭკონიდა თავის მოხანს! „მოხანთა წუგ“ ვ.ტ.ში აღნიშნავს საქართველოში კაცად ცნობილ მსახურულთა ფენას, რჩეულთა ფენას, რომელიც თავისი იურდიული და მატერიალური მდგომარეობით ყველა დამაბლ წრეებზე მაღლა იდგა. ცხადია, მასში მრავალი კატეგორიაც იყო. იგივე ითქმის „ყმა“-ზე, აქ ეს სიტყვა იმხარება იმავე მნიშვნელობით, როგორც „ეპიტელიო“ და აგრძელებს. იმავე ღრის ფერადლუს იერარქიაში „ვახალ“-ის გამოხმსახველია. მაგალითად: ზერმადინი „ყმა“ იყო ავთანდილისა. ავთანდილი კი „ყმა“ იყო როსტევისანსა. ზერმადინს კიდევ თავის მხრივ ჰყავდა ყმები. 1. წულაძე ნიზაად ისე თარგმნის, რომ მკითხველი გაიგებს ისეთ ყმად, როგორც ვიცილობთ ე. წ. „მატონ - ყმობის“ დროინდელ ყმებს.

2. სტრ. 8. 2-ზე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი“. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სიტყვები „ამა დარი“ (თუ გადაწყვეტავენ დამახინჯებულ მოვლენასთან არა გვაქვს საქმე), მცდარად წაიკითხა, როგორც პ. ინგოროვილი (ლაამდარი), ისე მიიღო წყურთელმა (ამას მცდარი).

სერჯო წულაძემ ასე სთარგმნა: «Moi Roustaveli, j'ai créé cette œuvre au moyen de mon art»...

უკუთარგმანი: მე რუსთველმა შექმენ ეს თხუზულება ჩემი ხელობითის საშუალებით-ო. თარგმანი ფრადი მახინჯია. აქ ერთი სიტყვა ორგვარი შეცდომით წაიკითხა. ვჯუჟ ერთი, აქ „ხელობით“ ნიშნავს „სიციფეს“. მეორე — „ხელობა“ რომ პირდაპირი მნიშვნელობითაც გაეგიათ: მაინც „ხელობენებად“ ვერ იქცევა. ამ შეცდომამ სწულიად შესცვალა თარგმანის აზრი.

3. 62. „სიბერე მახლავს, დავლიე სიყმაწვილისა დღენია“. თარგმანი: «J'ai bu les jours de ma jeunesse. le temps de moi s'est emparé»...

აქ „დავლიე“ ნიშნავს „გათავებსა“. მთარგმნელი „შემსის მნიშვნელობით სთარგმნის და გამოუყვია: მე შეესვი ჩემი ახალგაზრდობის დღენია... ასეთი გამოთქმა კი, თუნდაც იდიოზუმი ვფორმით, ფრანგულ ენაში არ არსებობს!

4. 291 და 295 სტროფებში სიტყვა „თუჰქი“ თარგმნილია „ქუზთად“..

5. 1088. ბულბული თარგმნილია „ჩიტად“.

6. 1395-4. ვაზი — „უკუ“ (თასი, ფილა) ან არას. ვაზი არის ხეში ამოჭრილი ან ფიკრით შეკრული დიდი ქურჭელი. რუსთველი საგანგებოდ ხმარობს ამ სწორედ დიდი ზომის ქურჭელს ვაცემული ძღვენის გასაზვიადებლად — „თვალ-მარგალიტი ღარიბი უძღვნა ოქროსა ვაზითა“. რუსთველს შეეძლო ეთქვა „ოქროს თასით“. ეს ცოტა იქნებოდა. რუსთველი სიუბვის და გაზვიადების შევლია. დედანისა და თარგმანის ანალიზი იქნება, თუ

ვიტყვი: ღვინო მიართვა ჩავით (რუსთა) და ღვინო მიართვა პატარა ჭიქით (თარგმანი)!

7. სიტყვა „მაყაზი“ ფრანგულად არის „გაქსონ დე ნოს“. ს. წულაძე კი ერთ ადგილს (43 მხ.) „მაყაზი“ რთავს „მაჰი“, მეორე ადგილს (1554), როგორც „კონივი“ (სულაძე წვეული).

8. „მურანი“ (349) თარგმნილია როგორც მდღელები და აგრძელებს (351) როგორც „აულთობისა“.

9. სიტყვა „მოლარე“ თარგმნილია როგორც „მაჰი“, მეორე ადგილას (370) ის იქვეა „ინტენდანტად“.

10. „სამი ზეფი“ აქ რიცხვს ნიშნავს. ძველად „ზეფი“ ათი ათას უფრადია. უნდა თარგმნილიყო 30.000-ად. ნათარგმნი კი არის ასე:

11. 705. „საწუთო-ო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხეების“. თარგმნილია: «Le destin traite chaque humain ainsi que le Dieu des Tempêtes»...

ქართულად: ზედი ყველა ადამიანს ისე განჯდის, როგორც ქაჩიშლის ღვთაება. მთარგმნელს სიტყვა „ტაროსი“ გაუგია როგორც ხეთური დარიაანობის ღმერთი „ტარო“. ვ.ტ.-ში კი ტაროსი ნიშნავს: ამინდს, დარიაანობას, როგორც ეს მიღებულია ქართულ მეტყველებაში. ეს სიტყვა ასეთი გაგებით იმხარება მაგალითად: მესხეთში. ასე რომ „ქაჩიშლის ღმერთი“ აქ აზაფერა შუაშია.

3. სერჯო წულაძის თარგმანი ზეფიანს შეეცდომებოდა, რაც ვკვანია, უწყაღდებობის შედეგი უნდა იყოს. მაგალითად:

1. 483. „აკარვა ყმათასა ვიქმოდეთ მოწმად ჩვენთანა ხელბასა“. თარგმანი: «Pour témoins et pour compagnons prenons les milliers de chevaliers»...

(მოწმად და თანამგზავრებად წვიყვანით ათასობით რაინდებო (თუ ყმებო).

2. „უხვი, მდებალი, უკადრი“. თარგმნილია: «Que Dieu ne t'accorde jamais rien qui ne porte ton «Ils brûlent d'une flamme neuve»...

გაუგებარია, რომელი სიტყვით ითარგმნება „უხვი“. „მდებალი“ სულ გაქაჩა.

3. 381-3. ნესტანი სწეზს ტარიელს: „ღმერთთან მე იგი ნუ მომცეს, რაც ანა უწინ ფერია“. მარტივი და ვასაძევი. მთარგმნელი კი უკვლამა აზარუნებს: (ღმერთმა არ მოკვს არსოდეს ის, რაც არ ატარებს შენს ნიშნებას) და სხვა. შოთა ნესტანს ალაპარაკებს თავის თავზე; მთარგმნელი კი ალაპარაკებს ტარიელზე!

4. 955-7. ირესი ცეცხლითა სწიოთა“. თარგმანი: «Ils brûlent d'une flamme neuve»...

(ისინი სწევენ ახალი ცეცხლით). ლაპარაკია ავთანდილზე, რომელიც ირესი თავის თინათინისთვის. მთარგმნელს მოეჩვენება მესამე პირზე გადაქვს და ისიც მრავლობით რიცხვში (?)



5. „ასი ათასი წითელი“ თარგმნილია „ერთი ათასი ოქრო“-თი (741-4).

6. 1496. ამუნ გემასპინძლოს ასმათმა, მას უცხ ხორცისა ხმელობა“. თარგმანი: «Nous serons les hôtes d'Asmath, qui fera rotir le gibier»...

უკუთარგმანი: „ჩვენ ვიქნებით ასმათის სტუმრები, რომელიც შევვიწვევს ნანადირევს“. ეს მოხდა გამოქვეყნებულში, როდესაც განთავისუფლებული ნესატნი მოიყვანეს „მათ სამთა გმირთა“ და რომელიც თან ახლდათ ასმათი. ამ დროს არც არავის უნადირინია და არც ამბზე უფიქრია ვისმეს. მაშასადამე, შევადის შეწევანზე ფიქრიც არ შეიძლება. ტარიელმა სთქვა: ასმათის გამხმარი ხორცი აქვს შენახული და ამით გავვიმასპინძლებო. მთარგმნელმა ეს მას ნანადირევი შეიწვევინა! ეს და კიდევ სხვა მაკალითების დასახელება შეიძლება. მაგრამ ამით ვიკმაოთ.

დასასრულ მკითხველს ასუსი იმ შენიშვნაზე, რომელიც მითხვებში შეიძლება დაეხადოს: შეუძლებელია თარგმანის თარგმანი დედანს მიუღვას! რომ პირდაპირი თარგმანი შეუძლებელია! ბუნება იმ ენის (ამ შემთხვევაში ფრანგულის), რომელზედაც ითარგმნება, მითხვებს სხვა წყობას, სხვა გამოთქმებს. პირდაპირი თარგმანი შეცვლის არაპირდაპირად და ფრანგულიდან უკან გადმოთარგმნილი არ მიუღვება ქართულ დედანს! დაევმატებთ —

ანგარიშსასწაველია ისიც, რომ მთარგმნელი ლექსის ფორმით: თარგმნის, იცავს ზომას და ხანდისხანს, რეგულარულად, ამიტომ პირდაპირი თარგმანი, რასაკვირველია, შეუძლებელია. ეს ყოველივე ჩვენ შედეგელობაში გვაქვს. ჩვენა კრიტიკა შეიგება აზრის, შინაარსის შეცვლასა და დამახინჯებას. სერგო წულაძეს ისეთი ადგილებიც ბევრი აქვს, როდესაც აღნიშნული პირობების-და მიუხედავად, შინაარსს არ ღალატობს. მხოლოდ ერთი მაგალითი: „რა ვარღვან მისი ყვავილი გაახმოს დაამქნაროსა“, თარგმნილი არის:

«Lorsque la rose voit sa fleur qui se fane et qui se dessèche»...

აქ რუსთველის სტრიქონი შეზღუდულია და გავრცელებულიც, მაგრამ შინაარსი სწორად გადმოცემულია.

მთარგმნელს რომ ყველა აღნიშნული შეცდომები თოვლივთ ავსებდინა, მისი თარგმანი წერიალ დამაკმაყოფილებელი იქნებოდა. ჩვენი დიდი სურვილია, რომ ამ თარგმანს მთარგმნელი ს. წულაძე კიდევ ერთხელ დაუბრუნდეს: რადგან ჩვენი საერთო შთაბეჭდილება დაუღებოთა და იმაშიც დაწმუნებული ვარ, რომ სერგო წულაძე შესძლებს ღირსეული თარგმანის შესრულებას.

ალ მანველიშვილი

სან ფრანსისკო. იანვარი, 1966 წ.

გოორგი გამყრელიძე

შატანი

საჩუქარდ ვ. ნოზაძეს

ფატმან-ხათუნ! გავიშრთავს დიდებული ღვინი.
 მაგრამ რომ ხარ გუსულმანი — მე არ მჯერა სულაც:
 თორემ როგორ დათარბდი სტუმრებს წითელ ღვინით!
 ღვინოს კრძალავს მოჰამედი. ყურანი და სუაჰ!
 მუხრებში დამ მომღაღრი ნარნარ სმთაა ფუჭვევით,
 შეკრებილან დიდ დაბაშში, რკალში ღვანან ორფად.
 შენ კი, ზუა-წუშში როცა, სავეს მყერდის რბევით,
 ნაკეთად კარგო... მიმხილველი... თუმცა აღარ ქორდა.
 ყელს სხმული მაგალტი ნაწონია მისსლო...
 ტანს ვიპურავს ხორასნული ძოწუელის ფლასი.
 ძწელი არის, როცა რიავს მძლავრად უღვდს სისხლი, —
 მაგრამ ქმარი ზებერი ჰყავს, მჭელ და თვალად ნსი.
 ოქროდ ფასობს იშვიათი და კოკობი ვარდი...
 მაგრამ ოდეს გაიადღეს, მისი ფასი — ჩირო!
 შენ ფეხებში გაგებლართა ეკლიანი ბარდი!
 შენი ძველი საყვარელი, შენი ჩანჩაგარი!
 ოდეს ნახე აეთანდილი, პირად მზე და ალვა,

გულს დავესო სიყვარული — იფ ვაქდთა მუშტარს!
 ეცავე და ვერ შესძელი ზეაშიადის მალვა
 და დაუწყე ცრემლით წერა სამიჯნურო უსტარს.
 შენ აეთანდილს ეხევილი მოცახებე ტანით...
 ჩანჩაგარის მოკვლას სისხლიან: მოაქმა-ხეყნით დიდიო,
 წაიდა და მოვიტანა სისხლიანი დანი —
 მის ხელიდან მოკვეთილი ბეჭდანი თითი.
 სისაულმა აგიტაცა, ფთა ვაშლა გულში,
 დიოყე ვენის ალი დაუშვები, მწველი.
 მივივს. შოთამ რად გაჰკილა შენი ძტლაშა-მტლუშო!
 თუ გაჰკილა, რად დაგახტა ეგზომ მომხიბლველი?!
 მაგრამ ფატმან! რომ ცხოვრობდ შენ, ჩვენი ახალ ღოშო,
 ბეჭუნ-ბეჭუნ იკადრებდა შენს წინ ქედს დახარს,
 წაყვიანდენ ჰოლიეფდში, პარაშში, ან რომში —
 ცხრაჯერ ქორწილს გადისხიდი, ცხრაჯერ ისეც გაყრას!

გოორგი გამყრელიძე

ფიქრები მეფხისტაოსანის შესახებ

ქართულ ლიტერატურას ხანგრძლივი ევოლუცია უნდა განეცდოდეს, სანამ ის მწერლობის ისეთ შედეგს შექმნიდა, როგორც არის ორიგინალური ნაწარმოებები: «წამება წმიდისა ზუზანიკისა» და «ბიბლიის» ისეთი დახვეწილი ერთი თარგმანი, რომელიც თავისი შესანიშნავი სტილით, მძაფრად გადმოცემობს, ყველა უცხოურ ენაზე გადათარგმნის ბიბლიათა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა.

ქართული ერის მადლობა ეკუთვნის მის მეფეებს, სახელმწიფო მართვის და მისი ურჩივრი მტრების მოკვრების გარდა, ღმრთობა რომ შოველობდნენ ქართული კულტურისათვის და ლიტერატურულ ძეგლების გამოცემების ოლქშიც გამოდიოდნენ;

მადლობა ეკუთვნის ქართულ დევსია - მონასტრებს, თავადობდებულ მცველებს და დარაჯებს ქართული სასულიერო კულტურისას, რომელიც საფუძვლად დაედო შემდგომ განვითარებას და გენიოსურ გამოვლინებას ქართული ლიტერატურული სიმდიდრისას;

მადლობა ეკუთვნის ჩვენს მაღალ წოდებას, ცხრაკლიტულში ჩვენი მწერლობის შედეგებს აზიზად რომ პატრონობდა;

მადლობა ეკუთვნის თვით ქართველ ხალხს, რომელში ხელიდან ხელში საგონებებელად გადადიოდა ქართული შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები;

მადლობა ეკუთვნით ჩვენს უანგარო მეცნიერებს, მკვლევარებს და გულშემატკიერებს საქართველოში და უცხოეთში, დღის სინათლეზე რომ გამოაქვთ ქართული ნიჭის დიდება.

რუსთაველის იუბილე ქართველი ერის იუბილეა! ქართული ხალხი საქართველო და ქართველობა უცხოეთში აღფრთოვანებით ეგებება ამ დიდი დღის მნიშვნელობას და სიამაყით სასუქ მდებარე კულტურული მსოფლიოს წინაშე, რომელსაც უბოთა, თავისი გენიალური ნაწარმოებით, ქართული მდიდარი ზღვრება და სპეტაკი სული ვაყენო...

ვეფხისტყაოსანი უპირველესად ხელოვნების დიდი ნაწარმოებია, მხატვრულ-ლიტერატურის შედეგია, ადამიანის ღირსების მქადაგებელი, მორალური აღმშენებელი კაცობრიობის, ქართველ ერს დაუფასებელი სამსახური რომ გაუწოდებდა მასზე აღზრდილ ქართველ თაობათ დღემდის გამოჰყვით სიყვარულის, მეგობრობის, თავგანწირვის, ვეულადობის, თავისუფლებისათვის ბრძოლის უნარი.

თინათინის და ნესტანდარეჯანის გარეგანი სილამაზის და მათი მაღალი სულიერი თვისებების პარმონია ვეფხისტყაოსანი.

ავთანდილ-ტარიელ-ფრიდონის ვაჟკაცური მშვენიება და სიმწინე-სიმაჰაცე, გაერთიანებული და ერთმანეთთან შეხებახელი, წაშრადგენს სრულყოფილ სურათს ვეფხისტყაოსანის იდეალური მამაკაცისას.

ზოგიერთი მკვლევარი ძველ ბერძნულ ქანდაკებათა სიმშვენიერება და სილამაზის ცნობილ პროფილებს პპოულობს მხოლოდ საქართველოში, და ეს არც ვასაკვირია, თუ ვეფხისტყაოსანის გმირების დემონსტრაციის მოვადენით. — ხორციელი და სულიერი თანასწორობა, მათი მთლიანი გასურათება სიკაცობის აზრად მიჩნეული, ადამიანის იდეალ დასახული, ბედნიერების სწული ასახვა, მის მისაწვევად გაშვებული ბრძოლა, სიხარულისა და ბედნიერების მომგვრელი, სილამაზეუ და სიყვარულზე მაგალობელი არის ვეფხისტყაოსანი.

საქართველოს იმ-ღრობინდელი ხანა ფეოდალიზმის სისტემის ხანაა. ბიზანტიის ისე როგორც არაბეთში, ან სპარსეთში ქართული ფეოდალიზმის სისტემის მსგავსს ეფერება ხეობაში! ისინი ფეოდალიზმის პატრონი - ყმურ ყოფის სწულიად არ იცნობენ და საქართველოში წიორად, ამ პარმონიული პატრონიყმური ურთიერთობის ნიდაგზე მზეა ქართველი ხალხის სულისკეთების რაინდული ტრადიციები. შოთა რუსთაველის პოემა სწორედ ამ რაინდულ საზოგადოებრივ ცხოვრებას დასტრადილენს თავზე, უმღერის მეგობრობას, როგორც საზოგადოების დედაბოძს, სამართლიანობას, როგორც ადამიანობის გამოვლინებას, ვაჟკაცობას და თავგანწირვას, როგორც უძლეველი სიყვარულის გამოძლევაწებას. ეს ემოციები, გრძნობები, ქართველი ხალხის საკუთრებად მიჩნეული არა ჰგავს აღმოსავლეთში არსებულ «მენტალიტეტს» ცხოვრების ფორმისას, არამედ გამოვლინებაა უღრმად წმიდა ფაქიზ გრძნობების ქართული კოლორიტის.

რა მკვიდრო კავშირი აქვს გენიალურ პოემას ხალხურ შემოქმედებასთან, ამას ქართული თქმულებები და ლეგენდები, საერთოდ ხალხური ცამოცემა, სადაც ხშირად წარმოდგენილია საუკუნოვანი ტრადიციებისა თვითი სიმდიდრე, ააშკარავებენ. ვეფხისტყაოსანის გმირები აზრით-ლებენ ქართულ ათა-წმინე-ჩვეულებებს, ქართველ ხალხს სისხლში რომ აქვს ვამჯადარი.

დედაკაცის მამაკაცთან სოციალური გათანასწორების იდეა, «ქალის კულტა», სპარსეთში არ არსებობს.

ქალისადმი პატივისცემა, მოწონება და მოკრძალება ამტკიცებს. ქალისადმი პატივისცემა და მოკრძალება უეკე უსხოვარ დროიდან ქართველი ხალხის წინა-



პრემია განმტკიცებული ჯერ კიდევ პოტოტხეებში და შემდეგ ხეთებში.

ქართულ ენაში მდებარეობით სქესის წარმომადგენელი ყოველთვის რომ პირველ ადგილას მოიხსენება, და თვით მისი მდებარეობით სქესისადმი მიკუთვნება, არ ანიან შემთხვევითი მოვლენები, არამედ მფარველობის და ზრუნვის ბუნების გამოყვანებაა.

სპარსეთში დედაკაცი მონასთან და ცხოველთან გათანასწოებული, არავითარი უფლებებით არ სარგებლობდა. რუსთაველმა გამოიჩინა ფეოდალურ საზოგადოებაში უფლებისა და მთავრობის ცნება და იმ-დროინდელი საზოგადოებასათვის სრულიად ახალს წარმოადგენდა მის მიერ მამაკაცისა და დედაკაცის უფლებებზე თანასწორობის პრაგრესიული პოლიტიკური დებულება.

რუსთაველის აზრით, მამაკაცი და დედაკაცი, ორივე, ღმერთის მიერ არიან შექმნილი და გასავლენიან. „რომ — ლეკვი ღობისა სწორია, ძე იყოს თუნდა ხედიანა!..“

ფეოდალიზმისათვის და განსაკუთრებით კი შუა საუკუნეების ეპოქისათვის, სრულიად უცნობია სოციალური და პოლიტიკური თანასწორობის პრინციპი და ის მხოლოდ ვეფხისტყაოსანის მოძღვრების დამახასიათებელია. წმინდა ქართული ჰუმანიზმის ასპექტში წარმოადგენილი.

დღესაც ხომ ძალზე ხალხურად აღიქმულია აზრი, რომ ვეფხისტყაოსანი ქართულ ენაზე რთულდება ავადებული, და ვადა ამისა, პოეზია ცხოვრების და ავტორის სულიერი ყოფის ასახვა არის! ავტორმა თავისი ვეფხისტყაოსანი თამარ მეფეს მიუძღვნა. თამარის მაცოცხლებელი სიყვარულის შუქმა რუსთაველის გულიც განვმარა; ის ეთაყვანება მას და მოსავს წმინდა, უმანკო თვისებებით; მისი სილამაზის აღწერა მისი სიხვედრისაა ჩრდილში აყენებს და საუთოდ, დედა ქალის სილამაზის სიმბოლოდ მზეც მიჩნეული. ისე როგორც ქართულ ლეგენდებშია. შოთას უნდა გამოემთავრებინა თავისი ღვთაებრივი სიყვარული თამარ მეფისადმი და თავისი პოემა განავტო სპარსულ ამბავად მონათლა. მიუხედავად დიდი ოპტიმიზმისა, რომელიც წითელი ზოლივით გასშეულია პოემის მთელ სივრცეზე, ვერ აუქციეთ გვერდს ქართულ ფოლკლორის რუსთაველის უიმედო სიყვარულზე თამარ მეფის ნიშნად, და ავთანდილის პირით ბედზე უკმაყოფილების მწაჩე ჩივილი ხომ შესაძლებელია თვით რუსთაველის სულიერი განწყობილების დასურთება იყოს!

შოთა რუსთაველის მგელვარე მუხა, რომელსაც მედნიე წყაროდ თამარის ბრწყინვალე სახე ევლინება, ხომ ზედმად სიყვარულს უფლობს, — ხომ სიყვარულია მისთვის მთავარი დაუმუტელი წყარო, რომელიც ბედნიერებისა?! სიყვარული ბატონობს მის პოემაში, სიყვარული — წმინდა, უმანკო, ხოცვილიც, მაგრამ საკრალური, ერთ-ჯელუბის და თავგანწირვის გრძნობით განსაკუთრებული;

მაშინ, როცა სპარსეთის იმ-დროინდელი პოეტები „რუსთაველს“ მეტს არაფერს წააშობადგენს.

რა დიდი ნიჭითაა არ უნდა იყოს მესამე დარჯილდობელი, ის ვერ შექმნის სიყვარულზე უკველვ ნაწარმოებს და რუსთაველის ტალანტიც უკმა იქნებოდა, და ვტო 800 წლის ეკსპლუატაციას ვახებოდა, რომ შოთას თვით არ ვანეტყავა სიყვარულის დიდი ძალა.

შოთამ თავისი გული ვეფხისტყაოსანში ვახებია და თამარს მიუძღვნა. მალულად ნატარები გრძნობა, გაუმხელი სიყვარული, საკუთარ დარღთან ხშირად ვანმარტობული, თავისი ნატყივანს ვერ ვამოააშვარავებ ვეფხისტყაოსანის ვასავებად, მაგრამ ათუ სიკოცხელ მწაჩე მქონდა, სიკვილიმაც მქონდას ტყბილიო. ხომ შეიძლება ეს სიტყვები მისი პირადი სულიერი მღვთაბუნების ამოკენეს იყოს — და თუ მოვიფიგნებთ, თამარის ლეგენდა-ულ ან-დეროს იერუსალიმში დასაფლავების შესახებ, სადაც რუსთაველი მიწას მივბარა. მათ ურთივე თაძმონობათა ანალიზში აღარ შევიღვართ. რატომ არ შეიძლება იყოს მართალი ამის შესახებ ანსებული ხალხური ვამბოვიც? ან-და შეიძლება საწინააღმდეგოს დამტყიცება?

რუსთაველმა ვანუფორებული დიდი პოეტური ნიჭით თავისი სიმაღლეზე აიყვანა ქართული ენა. ვტმო ქართული ენის სურნელმა იგრძნობა, ვხიზლავს თვისი ელვაებებით და ვგზნება-უბოთ, ვათობს თავისი მუსიკალური ელვა-ლიბით. შოთამ თავისი პოეზიაში ქართულ ენას დასრულეული და სრულყოფილი სახე მისცა და ბატონი კონსტანტინე ვამასახუდიას სიტყვები რომ ვავიფიქროს, — დიდმა რუსთაველმა მოგვცა ბოლორითმოვინი ლექსით დაწერილი დიდი პოემა, რომელსაც ბადალი არა აქვს იტალიისა და საფრანგეთის პოეზიაშიაო.

შოთა ქართული ენის მამაა, ისე როგორც დანტე ერთი საუკუნის შემდეგ, რომელმაც იტალიურ ენას თავი-მართრობა და დღევანდელ არსებული ბეჭედი დასავ. სხვა-ნაირად ვიდრე სხვა ქვეყნებში, როცა ვერძნობია, მთავალითად, ბიბლიის თარგმნით ღრმა ენობრივ ვარდაქმნას და ვანგიოთაბას ადგილი აქვს, იტალიის უკვე მაგარი, დადგენილი ენობრივი ფორმა ვააჩნია, ენა დანტეს, რომლის შერევა არავითარ პოლიტიკურ ან რელიგიურ ძალას არ შეუძლია. თუ მანამდე ლირიული ენა სიცილიისა ან სასულიერო ენა-უმბრიისა, ან ახალი სტილის — ტოსკანის, რომელიც სხვა და სხვა დიალექტურ ცდებს წარმოადენდნენ, მხოლოდ ლათინური ენის ბატონობის მოსპობას ცდილობდნენ, ლიტერატურული ენის ერთიანობას მხოლოდ დანტემ შევადგინა. და მან შეუქმნა, მისცა თავისი ხალხს თავისი ენით კულტურული ვაგა-თიანება, იტალიისათვის მართკ დანტემ ვასწავა ის დიდი შრომა, რაც ვოლფემ დონ ენენბანამ თავისი პარციფალი,

ლუთერმა — ზიბლიის თაგმნით, გოეთემ — ფაუსტით. ამ სამმა ერთად გერმანიისათვის.

გორაკი ხომ გაიძიხან: არუსთაველის ენა უმაღლესა ეიდრე დანტესი, ტასოსი ან მილტონისა. სიტყვათა და აზრების მიმდინარეობაში, საგნის მოთხოვნაში და ეპიზოდებში არ არსებობს დაბრკოლება რითმის, ხან და ხან დღეთაბრე ჰომეროსისად სიძინავს! რუსთაველზე ამისა თქმა არ შეიძლებაა—!

თქმულის სიღრმემ და აზრთა სიუხვემაც შოთას ხელი ვერ ააღებინა რითმთან ლექსზე და ის სხეულისავე მიუღწეველია, როგორც ფენომენალური აქტივეტორი მშობლიური ენისა. განა თვით შოთა ან ამბობს — შიარობა პირველათვე სიბრძნისა ერთი დარგით! და აქ აშკარაა მკვიდრი კავშირი პოეზიისა, ფილოსოფიისთან და სიბრძნესთან! დიახსიც, დარდასილა ქართული ენა, მომავლიდებურად სილამაზის, დარდასილური და კეკელიცე მხატვრული და მეცნიერულიც. შაბაენდელით მოსილი, კურთხეული სახელით შემეკლი ქართული ენის დარაჯად იდგა მთელი პოედა ქართული სიტყვის დიდოსტატებისა, რომელთა შორის შოთას მშის სხივებით მოკული გვირგვინი ადგია თავზე!

ეფესისტყაყანის ენა და რითმა, უღარესად მაღალ-პოეტური, მრავალ-ფეროვანი და მიუწვდომელი გემოვნებით დახვეწილი, მხატვრულ უმაღლესი ფორმის კონსტრუქციონი გამოვლინებული, თავისი ხშირი განმეორებით, ტაქტოლოგიური რითმების სიუხვეთი, ხანდახან ესთეტურ გემოვნებას აზიანებს და ყურთა სმენას ისე გადკაპარბებულად ეხამუშება, რომ ხშირ შემთხვევაში და განსაკუთრებით ისეთებში, სადაც სიტყვები ფორმით, ისე როგორც შინაარსით, სავსებით იდენტიურია, უცხო ხელთა, საუკუნეების მანძილზე, ვაზგიშობის შედეგად უნდა ნივინიოთ, რომლის გამო ეფესისტყაყანის ორიგინალი თავის პირველ სახეს ჰკარავს.

შაბაენდისა და შოთას მოითხოვს აქვე აღენიშნოთ, რომ რითმის ტაქტოლოგია, კეთილდღეობას ხშირად რომ ასე ავნებს და თანამედროვე ქართულ ლექსში უთუოდ რითმულ ნაკლად ითვლება, კლასიკური ხანის ნაწარმოებებში არის ჩვეულებრივი მოვლენა.

რუსთაველმა თავისი უცვადვი პოემა შეამკო ფილოსოფიური და ეთიკური აფორიზმებით. აკადემიკოს ივანე ლეპოლს ოასზე მეტი აფორიზმი დაეთვლია, და ამ მხრივ შოთა რუსთაველი მსოფლიო ეპიკური და პეროფიკული პოეზიის ყველა კლასიკოსის შორის, დაწყებული დიკენდაბული ჰომეროსით და დამთავრებული მე-17-18 საუკუნეების ეპიკური პოეზიის წამომადგენლებით, ერთ ერთ პირველ ადვილზე დგასა—, გვირწმუნებს იგი.

აა * აა

რუსთაველი უარპყოვს ცალმხრივ ემოციურობას ორიენტალური პოეზიისას, ისე როგორც ცალმხრივ პლატონ-

ნერ იდეალიზმს სიყვარულისას და მშვენიერებისას. სრულიად პოეტის დიდი გამარჯვება! შოთა კამითს ათქმევინა — გული, ცნობა და გუნება-ეგრეგუნება-ზედა კლიანს. აა გული წვა, იგიცა წველენ და მისკენ მიდიანს. გული და გონება, ორივე, თავისი ძლიერებით და სრულყოფით აღვილინ, წა-მოადგენენ მისი პოემის თემატიკის საგანს. რუსთაველი გულს ერთგვარ უბრა-ტესობასაც კი ანიჭებს — უფულო კაცი ვერ კაცობს, კაც-თავან განაკლიანს. და მართლაც, ყველა სხვა გრძობას სიყვარული ანა აქვს საფუძვლად? შესაძლებელია მე-კობრობა ან ერთგულება, თავდადება ან სამართლიანობა უსიყვარულად? სიმამაცე, გვირობა, თავის განწირვა, — ყველაფერი ეს სიყვარულის გრძობის ანაგულად არ უნდა ჩაითვალოს? საქართველო დღეს იარსებებდა, რომ მის დამფრთხი სიყვარულით აღვილინ გმირები ანა ჰყოლი-და? განა თავისუფლებისადმი სიყვარულმა არ ათქმევინა რუსთაველს: ასჯობს სიცოცხლესა ნაძარბას, სიკვდილი სახელოვანია! და თემურ ლენგის განციფრება — მთელი ანა ფუტყვე განგრახი, მაგრამ ქართველებს ვერ მო-ეხაზვიენე თავიო!, დამახტრება არ არის რუსთაველის უცვადვი პოემის, რომელმაც გმირები აღვიზარა?!

აა * აა

რუსთაველის პოემა ან არის მოჩვენებითი შეუღლები გადაუწყვეტელი ფილოსოფიური საკითხებისა, როგორც ეს ნიშანს ახასიათებს და აკვ ღმერთისაკენ მისტიური გზის მარგნებელი, როგორც ეს დანტა. რუსთაველი ორივე ფეხით მაგრად დგას მიწაზე და არ მიჰყვება ფილოსოფიურ მოღუქვ ხელოვნებას ორიენტისას, როგორც ამას ნიშანი სჩადის, მაგრამ მისთვის ისეთივე უცხოა იმ სახის კავშირი ხორცისა და ფინებას შორის, მიწისა და ცის შორის, რომელსაც ასე ბეჯითად იტალიური რენე-სანსი ემსახურება. რუსთაველი წინააღმდეგობათა ვაერ-თიანებას კი არ ეძებს, ანამედ წინააღმდეგობათა ერთი-ანობაში მოურჩიებლობის მიზნების გაჭაწყულებას, მსო-ფლიოში პარპონისა, კეთილგანწყობას და სიმშვენიერებს.

სიყვარულს რუსთაველი ბრწყინვალეობას და ბედნიერე-რებას უქმნის, რათა მას სიკვდილი არ დაემატრონის. ამ ქვეყანაში სიყვარულს და ბედნიერებას დასაყარებლად გაშ-ნავებით იბრძვის მისი გმირები! საზოგადოებრივად სა-სარჯებლოს, პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძო-ბით შინაარსთან ღამაზ სიცოცხლეს უმღერის ჩვენი გეო-სანი და მისთვის სიცოცხლე დიდი სიყვარ და ბედნიერე-ბა არის, რომლისთვის ღირს თავგანწირული ბრძოლი! მწიოლოდ ბძოლით შეიძლება ამ-ქვეყნიური სამოთხის მიღწევა!

სიყვარული ხეციური და მიწიური, სულიერი და ხორ-ციელი. — აი, პარპონებში, ვაკილებით უფრო დავვი-ანებით იტალიურ რენესანსს. რა ამოძარაებდა, რომელ-

საც; ჩასაკვირველია, თავისი მეტადიზიკური ალტერნატივით ის ვერ გადაწყვეტდა.

საქართველოს სოციალური და კულტურული ცხოვრების პირობები, იმ-დროინდელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ბანა — ეს აძლევს რუსთაველს ჰუმანისტური და ფილოსოფიური პრობლემების სწულყოფილ გადაწყვეტილების შესაძლებლობას. აქ აღედგება სულიერ და ხორციელ ზეციურ და მიწიურ ერთობას და ამაშია მთელი აზრი და განსხვავება მისი პოემისა უკვირანესი რენესანსისაგან, რომელიც ბოლოს ასეტიკიზმს და მისტიციზმს უბრუნდება პეტრარკიდან დაწყებული (1304-1374) ტრადიციულ ტასოს-მდე (1544-1595). რუსთაველისათვის, როგორც მემპოლი ჰუმანისტისათვის, ფილოსოფიური სალექსო ხელაწვებზე წარმოადგენს სიკაცობის სიბრძნის აღდამიანთა შრომის, მითითებას მოქმედებისაკენ, ბრძოლასაკენ. ამ-ქვეყნიური ბედნიერებისა და კეთილდღეობის მოხეტეისათვის.

ადამიანის აქტიური ბრძოლა სიყვარულისა, მეგობრობისა, თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, შეადგენს რუსთაველის ფილოსოფიური პოეზიის საგანს.

რუსთაველის იდეური საფუძველი — რწმენა ადამიანისა, როგორც კონიერი და დამოუკიდებელი აქსებისა, რწმენა პატიოსანი ბუნებისა, სილამაზე და ღირსება პიროვნებისა, მისი უფლება თავისუფალი ფიქრისა, თავისუფალი მოქმედებისა და ნიჭის თავისუფლად გაფორმება.

მიჯნურობას, მეგობრობას, სიკეთეს, სამართლიანობას, ნამაშვილოურ, ისე როგორც ხალხთა ძმობის გრძობას — ყველა ამ მონათესავე ფსიქოლოგიურ მოვლენას ერთი და იგივე წყაბო აქვს, ერთი და იგივე ძირი აქვს და ეს არის — სიყვარულის გრძობა, რაც რუსთაველის ნაწარმოებში მთავარ მოტივად არის მიჩნეული.

მე-მე

რუსთაველი თავის აფორიზმების მეტ ნაწილს სიყვარულის გრძობასა და იღებს უძღვნის, ლამაზსიტყვაობის პათოტიკა ადგილი არა აქვს მის მომჯადობელო აფორიზმებში; აქ ეტყობის ღამე ვანქლებით ასხლებული ფილოსოფიური და ესთეტიკური მხარე, მდიდარი შემოქმედების და უკუდავი სიბრძნის ეროვნული ნაწარმოები, კეთილ-სინდისიერებით უმღერის უნივერსალურ იდეას ჰუმანიზმისა, სიმბოლური პოეტური მეტყველება, განუყოფელი შედარებები და დასურათება მოველნათა. და ისიც აღდამიანის უფრასათვის დამათობელი, გრძობების მიმდევრული მუსიკალური პანთონ, მთელი მისი გენიალური პოემის სიგრძეზე რომ ვრცელდება...

პოემის ბრძნული აფორიზმები, მისი გმირების უმაგალითო მიმსჯავება მზესა და მთვარესთან, ისეთი პოეტური გაქვანებით და მხატვრული სიძლიერით, სრულყოფილად გადმოცემულია, რომ მიკითხველი ექსტაზში შე-

დის და პოემის მუსიკით დამთვრალს ღრმა აზრის შეცნობა გონებიდან ეპარება. მზის მსგავს გმირებს სჯე-თოდ მზის, როგორც უმადსათვის სიმბოლიკის გამოყენებას პოემის გმირების დასახსათობლად უკუქმედებულ კვადრატებზე და აგრძნობს, ისეთი მხატვრული შედარებით შესრულებული და ბუნებრივად ჩაქსოვილია ეფებისტეასიანის პოეტიკაში.

მისი გმირები არა მარტო გულის სიკეთით, ბუნების სისუფთავით და სისპეტაკით, ერაუფლობით, სიბრძნით და ხასიათის უღრეკელობით გამოირჩევიან, არამედ მათი გაწვეული სიმშვენიერის, სახისა და ტანის ყოველი ნაწილის ესთეტიკურ აღწერაში ბევრი ვერ ვატოლებდა.

რუსთაველი სილამაზეს გვერდს ეჭა ჩაუვლის, სადაც არ უნდა იყოს ის: ბუნებაში, ადამიანში, მის გაწვევაში, მის საქმედებში, სრულყოფა აქაც პოეტის დიდი კამეჯეებაა!

მე-მე

რუსთაველი არაფად ან აგდებს სიკვილს: რას დავალებს იგი, თუ კი დაგრჩება საქმე კეთილი?

გმოწული სიკვილია სამარადისო სიკვილის მოპოვება არის. მან ძალიდ აუტო სიყვარული, დედამიწა მისია, სიყვარულის ძალას შეუძლია სიკვილზე გამარჯვება.

ეფებისტეასიანის ყოველ სიტყვაში, ყოველ რიომაში აღდამიანის გულის ძგვა აგვისის: «გული მისცეს გული-სათვის, სიყვარული ზხად და ზიდაღ», და ვინც ამას იბდაივიწყებს და თავის სიკვილის ვანმავლობაში ამ იღებს გულში დაისადგურებს. ის თავისი სიკვილის შედგეც სიკვილში, ვინაიდან მსიყვარული აღგამალებსა-ო, — ნათქვამია პოემაში.

რუსთაველს სიყვარული თავისებურად, მდიდრად ესმის და ამას ძალიან კარგად გამოხატავს იგივე სიტყვებით, რაც პატონ კონსტანტინე გამასხარდის დანტევი აქვს ნათქვამი: მდიდარი ალგეობრებით გვემცნოს დიდი პოეტი, რომ ადამიანის სხეული ისევე საკაალურია, როგორც ადამიანის სული — ეს ხორციელი სიყვარულის სიწმინდებზე ნათქვამია.

ბრძოლისა და ხასიათის სიმტიკეი მიზნის მიღწევაში, ოპტიმიზმის ფილოსოფია დამახასიათებელია ეფებისტეასიანისათვის და ის მთელ ნაწარმოებს წითელი ხაზით თან სდევს, გმირების ტანჯვას ბოლო აქვს; მოქმედების სინდელნი ვადალახული არიან და სიკეთის ძალა იმარჯვებს. გამწარებული ბრძოლის შედეგად ყველაფერი თავდება კარვად: ავთანდილი, ტარიელი და ფრიდონი შინ ბუნებრივად და ბედნიერ ცხოვრებას განაგრძობენ.

ასტრაქტული ხასიათი იდეალისტური თეორიისა სიკეთისა და ბოროტების შესახებ, რუსთაველმა დასძლია, მის რეალისტური ინტერპრეტაცია მისცა და სასიკვილოა ჰუმანიტური შინაარსის შეამკო, მიზანდასახულობა

და ადამიანის შეუღრქველობა ბრძოლაში ბოროტებას აჩვენებს და ხანვძლივ ზედნიერებას იმსახურებს.

მუდამ სათაყვანებელი უნდა იყოს ჩვენთვის ვეფხის-ტყაოსანი. ჩვენ მას დიდი პატივით და მოწიწებით უნდა ვეპატიობოდეთ, ყოველგვარი გაუგებრობისაგან, გაუბრალოებისაგან მას უნდა ვიცავდეთ და ვიფარავდეთ. ამის ნაკვირვალ ყური დაუგრეთ ვიღაც ვახტანგ ჯავრიშვილს, როგორც ამაღლმუსავებია რუსთაველის გენიალური აფორიზმები! ამა წლის ხონის რაიონული გაზთვის მეექვსე ნომერში ბ-ნი ჯავრიშვილი ბეჭდავს თავის ნაწარმოებს: «რუსთაველის აფორიზმები ახალ შესატყვისებთან». დაბეჭდილია ნაწილი ზოთა რუსთაველის მეტოქის! გულდასმით ჩაუფიქრდით და «დატებით»!

რუსთაველის «საგზოს სიკოცხლსა ნაზარხსა სიკვილიო სახელოვანი», ბ-ნ ჯავრიშვილს ასე გადაუტყუებია და ანით ახალი შესატყვისი მოუცია — ვანი იმას, ვინც მხოლოდ სიკვილიამდე ცოცხლობს».

რუსთაველის «აფსა კაცსა ავი სიტყვა ურჩენიან სულსა, გულსა», ბ-ნ ჯავრიშვილს ასე გადაუთარგმნია და ახალი აფორიზმი მოუცია — «ავადმყოფობაც — ავადმყოფობაც».

რუსთაველის «ლევი ლომისა სწორია, ძე იყოს თუნდა ხეადია», ბ-ნ ჯავრიშვილს ასე გაუშალაწინებია — «სამშალოს ქალის იცავენ, რაკი დამცველებს ზრდინა»-ო! რუსთაველის ფარძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგია, ბ-ნ ჯავრიშვილის ასეთი შესატყვისით აქვს ვადმოკრემული — «აზზს ისევე უხდება სარეველასაგან გამარცხული, როგორც ყანასა»-ო!

რუსთაველის «ვული კჳულია კაცისა, ხარბი და გაუძმომკლი», ბ-ნ ჯავრიშვილისათვის ყოფილა — «ხარბს უთხზეს — ყელამდე ოქროში ჩაგვამათ და ალვის ხეს კენწეროზე მოექცა»-ო!

რუსთაველის «გველს ხერვლით ამოიყვანს ენა ტბინლი მოხვარა», ბ-ნ ჯავრიშვილს ასეთი აფორიზმით შეუტყვილია — «დაილოცოს ის ტყვილი, ავადმყოფს რომ მოარჩენს»-ო!

რუსთაველის «საგზოს სახელისა მოხვევა ყოვლისა მოსახეველსა», ბ-ნი ჯავრიშვილი ამის ნაცვლად შემდეგს გეთავაზობს — «რაკი ნაყადული ყოველთვის ზევიდან ქვევით მოედინება, გერ თაღი გაივსე და არა ჯიბე»-ო!

«მაზე მეტი გაუბრალოება და გაღარიბება შოთას გენიალური აფორიზმებისა მათზე რომ არ ვიქვავთ, კრძინაწლობაა. ვანა შეიძლება ამაზე ზოგს წაიდის უმეტყვება, კანდირება და უპასუხისმგებლობა»-ო? — კითხუ-

ლოვენ კონსტანტინე ლოთქიფანიძე, დემნა შენგელია და რევაზ ჯაფარიძე ერთობლივად გამოკვეთესტოლ წყაროში «მხოლოდ რელიკია», 1966 წლის 28 იანვარს «ლიტერატურული საქართველოს» ნომერში. მათ მომავლეთ ავრთვე ბ-ნ ჯავრიშვილის «შესატყვისების» ვაშო მოწონებაც და ჩვენს თვალებს აჩვენებთ.

აი ზას სწერს ცნობილი ფოლკლორისტი და ანდაზების სპეციალისტი პროფესორი მიხეილ ჩიქოვანი ბ-ნ ჯავრიშვილს: «მივიღე თქვენი «რუსთაველის აფორიზმები ახალი შესატყვისებით», რაც ჩემზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. კარგია, ასეთი ცდები უდავოდ წახალისებს ღირსი... ასეთ მასალას გამოუკვეთებელი საკუთარი ორგანო რომ მჭონდეს»-ო!

ბ-ნი პროფესორი ნ. ჩიქოვანი მარტო არაა. ჯავრიშვილის «შესატყვისებს» სხვების გემოვნებაც დაუტყაოფილებია. აკადემიკოსი პეტრე ქავთარაძე დიდი აღფრთოვანებით ამბობს: «მე თქვენ პირადად არ გიცნობთ, მაგრამ თქვენს აფორიზმებსა და ანდაზებს არა თუ ვიცნობ, არამედ ზოგჯერ კიდევაც ვიყენებ ლექსებზე»-ო!

აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძესაც თავი ვერ შეუკვეთა სიხარულისაგან: «გამოიტყვედები, დიდად ნასიამოვნები დაეჭი ახალი შესატყვისებით». ყველა ერთმანეთზე უკეთესი მეჩვენება. რუსთაველი ხომ რუსთაველია, აფორიზმებზეც ვენიოსი, მაგრამ თქვენ პლასტიკურად მიკვირებით «ახალი შესატყვისები» ჩვენი ოქროპირისათვის, რომ ვერაფერი წუნი ვერ დაედება»-ო!

ბ-ნ ჯავრიშვილის ამ «მარგალიტებს» საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერი აკადემიკოსი, გიორგი ახვლედიანი და ვიქტორ კუპჩაძეც კი მოუხიბლავს!

ქართველი მწერლები: ლოთქიფანიძე, შენგელია და ჯაფარიძე აღფრთოვანებით ამთავებენ წერის და ბ-ნი ჯავრიშვილის ნაცოდელარს აბლაღუნდათ ნათლავენ..

აქ მოტანილი აფორიზმები თურმე პატარა ნაწილი ყოფილა მისი «გენიალური ჩანაფიქრისა», რომლითაც მას აზრთ თავის სიკოცხლის განმავლობაში შოთას მეტოქეობა გადაუწყვეტია. არამედ როგორც თვით ამბობს: — «ვაი იმას, ვინც მხოლოდ სიკვილიამდე ცოცხლობს»-ო, და სიკვილის შემდეგაც ვანუზახვს თავის უკვდავი აზრებით ქართველი ხალხის მესხიერებაში სიკოცხლე!

პროფესორ ჩიქოვანის, აკადემიკოსების: ქავთარაძის, ჯიბლაძის, ახვლედიანის, კუპჩაძის ამ სამწუხარო ნაბიჯზე, მათი უშუალო კოლეგების, ჩვენი მეცნიერ-აკადემიკოსების პასუხი ყველან ყვემზეთ, მაგრამ ამავეთ, და რად უკვირს ამის შემდეგ ჩვენს დამსახურებულ აკადემიკოსს, ბატონ მუსხელიშვილს, ვიქტორ ნოზაძის სიტყვები ზოგიერთის მიმართ, რომლითაც მან ეფხისტყაოსა-

ნის საკითხებში უეცრობა და უპასუხისმგებლობა უკიფი-
ნა და გაპიკისა?!

ევფისიტყაოსანის აფორიზმების ღრმა აზრსა და მნიშ-
ვნელობას დიდი ხანია ჩასწვდა მთელი საქართველო და
მას არავის მიერ შეთითხნილი «შესატყვისებინა» ან ესაკი-
როება. «ზეგადმო ნიჭით ცხებული პოეტის ჩანგით უფ-

ლაქებით უბირ გლეხებსა და მეფეებსაც» საქართველო-
ში — ამბობს ერთი რუმინელი მწერალი რუსთაველზე,
და ეს მართალია!

საქართველოში
დავით ვაშაძე

იენისი, 1966 წ. იცეპო (გერმანია).

ბ. წერეთელი

მაითხველს უნინოვნა

რუსთველის პიროვნების შესახებ

1966 — შოთა რუსთველის საიუბილეო წელიად
არის განუყოფელი საქართველოში. ჩვენც დღეებლობა-
ში მყოფი ქართველობა, მიუხედავად ტერიტორიული
სიმშორისა, უხილავი ძაფებით ვართ დაკავშირებული ჩვენ
სამშობლოსთან. ვცდილობთ: ვისუნთქოთ იგივე ჰაერით,
დავიწვათ იგივე ცეცხლით, და თუ რამ ძვირფასი გადარ-
ჩება ამ წწის შედეგად, ისიც ფერფლად ჩვენს ძვირფას
მამულს გადაეყაროს!

ევფისიტყაოსანი ქართული პარნასის მწვერვალია. იგი
აზრს ჩვენი ეროვნული სიამაყე, ქართველი ხალხის ავ-
კარგის მუდმივი მოწმე და თანაზიარი.

შატო რის ფაქტი რომ ჩვენი ეროვნული კატასტრო-
ფებით საესე რვა უკანასკნელი საუკუნე გადმოილახა, მო-
ვიდა ჩვენამდე და დღესაც ჩვენს სულსა და გულს კვლავ
ასეთი სიძლიერით აღფრებებს, აზრს მრავალმეტყველი.

ევფისიტყაოსანზე აღზრდილმა თაობებმა ჭეშმარიტად
იციან წმიდა პოეტის ფასი და მისით გამოიწვეული სუ-
ლის ღებობაზე იგი აღმაფრენა.

სიყვარული, მეგობრობა, სიღამაზე და ვეკაცობა არა-
ვის, არც ქართველს, არც არა ქართველს — ჩემი გაგებით
— რუთველისებრი სიძლიერით არ უღივლებია.

პომპროსის, ფირდოუსის, დანტე ალიგიერის და ვი-
ლიამს შექსპირის, მსოფლიო პოეზიის ამ კორიფეთა
მსგავსად, შოთა რუსთველი მისტერული ფიგურაა. არა-
ვითაზიარ სარწმუნო წყარო არ არსებობს მის შესახებ: რო-
დის და სად იხილა ნათელი ამ - ქვეყნიური, როგორი
აიყო მისი ბავშვობა, ყრობა და ქვაბულობა. რა წრეში
გაიფორჩქნა მისი გენიალური ნიჭი. ფეოდალური საქარ-
თველოს რა სოციალურ საფეხურზე იდგა, ან სად და
როდის დალია სული, ესე-ოღონდ ვთვლით დიდი, —
სხვა მრავალ კითხვასთან ერთად უპასუხოდ დარჩენილა
ქართლის ცხოვრების ისტორიულ ანალებში.

ყოველ ფანტაზიას, შემსაძლებელს თუ შეუძლებელს,
ამგვარად, ვხა ხსნილი აქვს.

ჩვენი ეროვნული დაკნინების გამო ძალიან გვიან და-

იყუა მეცნიერული მკვლევარ-ძიება უკვდავი პოემისა და
მისი ავტორის შესახებ.

წარსულში მას ბევრი გამოჩენილი მკვლევარი ჰყავდა,
მაგრამ თითქმის ვერც ერთი ვერ აცდა მცდარ გზას და
ხშირად ურთიერთ საწინააღმდეგო პიპოტეზებში ვაიხ-
